

## **სანიციონი სამართლი**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოქებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
სამოქალაქო საქმეებზე**

2023, №11

**Decisions of the Supreme Court of Georgia  
on Civil Cases  
(in Georgian)**

2023, №11

**Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
in Zivilsachen  
(in der georgischen Sprache)**

2023, №11

**Решения Верховного Суда Грузии  
по гражданским делам  
(на грузинском языке)**

2023, №11

**გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი  
კეთევან გენერალი**

**ტექნიკური რედაქტორი  
გარივა გაღალაშვილი**

**რედაქციის მისამართი:**

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

**შურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების  
დეპარტამენტის მხარდაჭერით**

## საპირალო

<b>1. მფლობელობა</b>	
უძრავ ნივთზე საკუთრების შეძენა ხანდაზმულობით .....	4
ნივთის მფლობელობის შეწყვეტა	
მესაკუთრის პრეტენზის გაძო .....	17
<b>2. საკუთრება</b>	
უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა .....	47;67
ხელშეშლის აღკვეთა .....	77
აუცილებელი გზა .....	87
ბავშვის საკუთრებაში არსებული	
უძრავი ნივთის განკარგვა .....	99; 109; 119
საკუთრების უფლების დროებით შეზღუდვა	
არასრულნლოვნის ინტერესებიდან გამომდინარე .....	129; 141
საკუთრების შეძენა მოძრავ ნივთზე .....	148
<b>3. საკუთრება, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება</b>	
იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის გადასვლა	
კრედიტორის საკუთრებაში .....	160

## 1. მუნიციპალიტეტი

უძრავი ნივთიერების საკუთრების შეძლება ხადაზმულობით

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-368-2020

20 დეკემბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. ზამპაზიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
მ. ერემაძე

**დავის საგანი:** სამკვიდრო მოწმობისა და ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა, უძრავი ქონების მესაკუთრედ აღრიცხვა

#### აღწერილობითი ნაწილი:

#### სასარჩელო მოთხოვნა:

1. კ. კ-ძემ (უფლებამონაცვლე ს. ჯ-ია) (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მოსარჩელე“) სარჩელი აღძრა სასამართლოში ე. ჭ-იას (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მოპასუხე“ ან „კასატორი“) მიმართ და მოითხოვა:

1.1. კ. კ-ძის (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მამკვიდრებელი“) სამკვიდრო ქონებაზე გ. ძ-ის (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მოპასუხის მეუღლე“) სასარგებლოდ გაცემული სამკვიდრო მოწმობის  $\frac{1}{2}$  ნაწილის ბათილად ცნობა;

1.2. მოპასუხესა და მის მეუღლეს შორის დადებული ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა;

1.3. ზუგდიდში, ... მდებარე 514 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და შენბა-ნაგებობის, ს/კ: ... (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „სამკვიდრო ქონება“ ან „უძრავი ნივთი“), მესაკუთრედ მოსარჩელის ცნობა.

#### 2. სარჩელის საფუძვლები:

2.1. უძრავი ნივთი ირიცხებოდა მოსარჩელის მამიდის საკუთრებად. ამ უკანასკნელის, მისი მეუღლის – პ. ძ-ისა და შვილების: ვ. და გ. ძ-ების გარდაცვალების შემდგომ, მოსარჩელემ იგი დაკეტა. უძრავ ნივთში დროგამოშვებით ცხოვრობდა მოსარჩელისთვის უცნობი ხალხი, რომელთათვის ქირავნობის თანხა არასდროს გადაუხდევინება. 2018 წლის დეკემბერში მოსარჩელემ გადაწყვიტა, გადაეფორმებინა მამიდის (მამკვიდრებლის) სამკვიდრო ქონება, თუმცა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში შეიტყო.

რავი ნივთის წილის მემკვიდრედ ცნობილი იყო ან გარდაცვლილი მოპასუხის მეუღლე, როგორც მამკვიდრებლის შვილი. ამ უკანასკნელმა უძრავი ნივთის  $\frac{1}{2}$  ნაწილი (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „სადავო უძრავი ნივთი“) 13.08.2002 წელს თაღლითურად დაირეგისტრირა თავის სახელზე და იმავე წელს აჩუქა მოპასუხეს.

2.2. 13.03.2019 წელს მოსარჩელემ მიმართა ნოტარიუსს, რათა მიეღო მამიდის სამკვიდრო ქონება. სამკვიდროს მიღების შემდეგ მის სახელზე დარეგისტრირდა უძრავი ნივთის  $\frac{1}{2}$  ნაწილი, ვინაიდან  $\frac{1}{2}$  გაფორმებული აქვს მოპასუხეს.

### 3. მოპასუხის პოზიცია:

3.1. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მისმა მეუღლემ სადავო უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება მოიპოვა სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე და ასევე მართლზომიერად გადასცა საკუთრების უფლება მეუღლეს.

3.2. მოპასუხე სადავო უძრავი ნივთის მესაკუთრედ საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია 18.09.2002 წლიდან, ანუ 17 წელზე მეტი. ამ დროის განმავლობაში იგი ქონებას ფლობს როგორც საკუთარს.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარჩელული ნაწილი და საფუძვლები:

4. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 25.10.2019 წლის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება ეფუძნება შემდეგს:

4.1. მოსარჩელის მამიდა, მამკვიდრებელი ცხოვრობდა ქ. ზუგდიდში, ... ამ მისამართზე არსებული უძრავი ნივთი რეგისტრირებულია მამკვიდრებლის საკუთრებაში 14.08.2001 წლიდან. სახლმდობელობაზე ცნობა-დახსაიათება გაცემულია ზუგდიდის ტექნიკური აღრიცხვის ტერიტორიული სამსახურის მოპასუხის მეუღლის მოთხოვნით მისივე განცხადებაზე 08.08.2001 წელს გამოტანილი გადაწყვეტილების საფუძველზე.

4.2. მამკვიდრებლის მეუღლე იყო პ. ძ-ი. მათ ჰყავდათ შვილები ვ. ძ-ი და ვ. ძ-ლი. ისინი გარდაცვლილები არიან. გარდაცვლილია მამკვიდრებლის ძმა (მოსარჩელის მამა) ვ. კ-ძეც.

4.3. 13.08.2002 წელს მამკვიდრებლის ქონებაზე სამკვიდრო მოწმობა მოპასუხის მეუღლემ მიიღო.

4.4. მოპასუხის მეუღლის განცხადების საფუძველზე ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 08.08.2001 წლის გადაწყვეტილებით (საქმე №2/286) ქ. ზუგდიდში, ... №4-ში მდებარე სახლ-უარი ცნობილია ან გარდაცვლილი მამკვიდრებლის საკუთრებად. იმავე გადაწყვეტილებით მოპასუხის მეუღლეს გაუგრძელდა სამკვიდროს მი-

დების ვადა. სასამართლოს გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში და აღსრულებულია. მის საფუძველზე გაცემულია სამკვიდრო მოწმობა მოპასუხის მეუღლის – როგორც პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრის (შვილის) სასარგებლოდ სამკვიდრო ქონების ½ ნაწილზე. შესაბამისად, მოპასუხის მეუღლე სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე დარეგისტრირდა სადაც უძრავი ნივთის მესაკუთრედ.

4.5. მოპასუხის მეუღლემ თავის საკუთრებაში არსებული ქონება აჩუქა მოპასუხეს. მოპასუხე დარეგისტრირდა მის ახალ მესაკუთრედ.

4.6. მოპასუხის მეუღლე გარდაიცვალა 12.12.2008 წელს.

4.7. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზის მიხედვით, მოპასუხის მეუღლის მშობლები არიან: მამა – პ. მ. ძე ძ-ლი, დედა – ვ. ნ. ასული ძ-ლი.

4.8. მოსარჩელემ იმთავითვე იცოდა მამიდის გარდაცვალების შესახებ. 12.04.2019 წლამდე მამიდის სამკვიდრო ქონებასთან დაკავშირებით არ უდაგია. უფრო მეტიც, მან სამკვიდრო მოწმობა (სამკვიდრო ქონების ½ ნაწილზე) მიიღო 13.03.2019 წელს, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ 27.02.2019 წელს გამოტანილი გადაწყვეტილების საფუძველზე (საქმე №0202120218002773791 (2/2394-18)), სადაც არ მიუთითებია ქონებით დაინტერესებული პირებისა და მათთან დავის არსებობის შესახებ.

4.9. ამჟამად, მოსარჩელეს სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე საკუთრებაში რეგისტრირებული აქვს მამკვიდრებლის სამკვიდროს ½ ნაწილი.

4.10. სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 1306-ე, 1336-ე მუხლებით და მიუთითა, რომ მოპასუხის მეუღლეს მამკვიდრებლის სამკვიდრო მიღებული აქვს როგორც პირველი რიგის კანონით მემკვიდრეს – შვილს. ამგვარი ნათესაური კავშირის შესახებ მითითებულია ზუგდიდის რაიონული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაში, რომლის საფუძველზე მოპასუხის მეუღლემ მოიპოვა საკუთრების უფლება სადაც უძრავ ნივთზე. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში მითითებული ფაქტები პრეიუდიციული ძალის მქონეა და დამატებით მტკიცებას არ საჭიროებს. ამასთან, სარჩელი ხანდაზმულია. მამკვიდრებელი გარდაიცვალა 13.01.1987 წელს. მოპასუხის მეუღლემ სადაც უძრავ შესახებ დაირეგისტრირა 13.08.2002 წელს, ხოლო მოპასუხებ 18.09.2002 წელს. ყველა ამ თარიღიდან გასულია ხანდაზმულობის ზოგადი ვადა 10 წელი (სსკ-ის 128-ე მუხლი), რადგან ამ ფაქტების შესახებ მოსარჩელეს იმთავითვე უნდა სცოდნოდა.

5. გადაწყვეტილება საპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მოსარ-

ჩელემ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

### **სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და საფუძვლები:**

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 31.03.2020 წლის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი მამკვიდრებლის სამკვიდრო ქონებაზე მოპასუხის მეუღლის სასარგებლოდ 13.08.2002 წელს გაცემული სამკვიდრო მოწმობა მამკვიდრებლის დანაშთი ქონების ½ ნაწილის მიღების თაობაზე; ბათილად იქნა ცნობილი მოპასუხესა და მის მეუღლეს შორის 18.09.2002 წელს დადებული ჩუქების ხელშეკრულება სადაც უძრავ ნივთზე; სადაც უძრავი ნივთის მესაკუთრედ ცნობილ იქნა მოსარჩელე. გადაწყვეტილება ეფუძნება შემდეგს:

6.1. 08.02.1912 წელს დაბადებული მამკვიდრებლის მშობლები იყვნენ ს. კ-ძე და პ. კ-ძე.

6.2. 13.09.1956 წელს მამკვიდრებელი დაქორწინდა პ. ძ-ძე. ქორწინების რეგისტრაციის შემდგომ ცოლის გვარი არ შეცვლილა და დარჩა კ-ძე. პ. ძ-ისა და მამკვიდრებლის შვილები იყვნენ 23.04.1952 წელს დაბადებული ვ. ძ-ი და 01.04.1954 წელს დაბადებული გ. ძ-ი. მამკვიდრებელი გარდაიცვალა 13.01.1987 წელს. გ. ძ-ი და ვ. ძ-ი გარდაიცვალნენ 1994 წლის მარტში.

6.3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე წარმოდგენილი დაბადების მოწმობის თანახმად, 15.03.1943 წელს დაბადებული მოპასუხის მეუღლის მშობლები იყვნენ პ. ძ-ი და ვ. ძ-ი. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 22.07.2019 წლის წერილის თანახმად: „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზის თანახმად, 06.04.1943წ. ზუგდიდი რუხის ს/საბჭოს მიერ რეგისტრირებულია დაბადების აქტის ჩანაწერის №10 შემდეგი მონაცემებით: ბავშვი – გ. ძ-ი, დაბადების თარიღი – 15.03.1943წ., მამა – პ. ძ. ძე ძ-ლი, დედა – ვ. ნ. ასული ძ-ლი“.

6.4. 13.08.2002 წელს მამკვიდრებლის ქონებაზე სამკვიდრო მოწმობა მიღებული აქვს მოპასუხის მეუღლეს. მოპასუხის მეუღლის განცხადების საფუძველზე ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 08.08.2001 წლის გადაწყვეტილებით (საქმე №2/286) უძრავი ნივთი ცნობილია მამკვიდრებლის საკუთრებად. იმავე გადაწყვეტილებით მოპასუხის მეუღლეს გაუგრძელდა სამკვიდროს მიღების გადა. სასამართლოს გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში, იგი აღსრულებულია. მის საფუძველზე გაცემულია სამკვიდრო მოწმობა

მოპასუხის მეუღლის, როგორც პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრის (შვილის) სასარგებლოდ სამკვიდრო ქონების ½ ნაწილზე. შესაბამისად, მოპასუხის მეუღლე სამკვიდრო მოწმობის საფუძვლზე დარეგისტრირდა მთელი ქონების ½ ნაწილის მესაკუთრედ.

6.5. მოპასუხის მეუღლემ საკუთრებაში არსებული ქონება 18.09.2002 წელს აჩუქა თავის მეუღლეს – მოპასუხეს. მოპასუხე დარეგისტრირდა ახალ მესაკუთრედ. მოპასუხის მეუღლე გარდაიცვალა 12.12.2008 წელს.

6.6. 13.03.2019 წლის სამკვიდრო მოწმობის თანახმად, ნ. კ-ამ, როგორც მამკვიდრებლის მეორე რიგის კანონისმიერი მემკვიდრის – ძმისშვილის (მოსარჩელის) „მინდობილმა პირმა“, „მიმნდობის“ სახელით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით (შემდეგში სსკ) დადგენილი წესით, სრულად მიიღო 13.01.1987 წელს გარდაცვლილი მამიდის – მამკვიდრებლის სამკვიდრო. სამკვიდრო ქონება შეადგენდა უძრავი ნივთის ½ წილს.

6.7. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან ირკვევა, რომ სამკვიდრო ქონება ირიცხებოდა მამკვიდრებლის სახელზე, რომელიც იყო მოსარჩელის მამიდა. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით (დაბადების მოწმობებითა და 13.03.2019 წლის სამკვიდრო მოწმობით) ირკვევა, რომ მამკვიდრებელს ჰყავდა მხოლოდ ორი შეკლი – ან გარდაცვლილი – გ. და ვ. ძ-ები. მოპასუხის მეუღლე იყო ვ. ნ. ასული ძ-ის შვილი და არა მამკვიდრებლის შვილი. 15.03.1943 წელს დაბადებული მოპასუხის მეუღლის მშობლები იყვნენ პ. ძ-ი და ვ. ძ-ი. ამდენად, იგი იყო პ. ძ-ის შვილი პირველი ქორწინებიდან. ამის შემდეგ კი პ. ძ-ი უკვე მეორედ, 13.09.1956 წელს დაქორწინდა მამკვიდრებელზე. ამასთან, ქორწინების რეგისტრაციის შემდგომ ცოლის გვარი არ შეცვლილა და დარჩა – კ-ძე. შესაბამისად, მოპასუხის მეუღლე ვერ იქნებოდა მამკვიდრებლის კანონისმიერი მემკვიდრე.

6.8. მართალია, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე მოპასუხის მეუღლეს გაუგრძელდა მამკვიდრებლის სამკვიდროს მიღების ვადა, შემდგომ კი გაიცა სამკვიდრო მოწმობა მოპასუხის მეუღლის, როგორც მამკვიდრებლის პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრის – შვილის სასარგებლოდ მამკვიდრებლის დანაშთი ქონების ½ ნაწილზე, თუმცა აღნიშნულ გადაწყვეტილებას მოცემული დავის გადაწყვეტისას ვერ ექნება პრეიიუდიციული მნიშვნელობა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსკ) 106-ე მუხლის „ბ“ პუნქტის მოთხოვნიდან გამომდინარე, პრეიიუდიციულად დადგენილია ფაქტები, რომლებიც დადგენილია კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით, მხოლოდ ერთი აუცილებელი პირობით – თუ სხვა სა-

მოქალაქო საქმის განხილვაში იგივე პირები, ე.ი. იგივე მოსარჩეულე, იგივე მოპასუხე ან იგივე მესამე პირი დამოუკიდებელი მოთხოვნით მონაწილეობს. იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხის მეუღლის მიერ წარდგენილი განცხადება არ განხილულა სასარჩელო წარმოების წესით (განცხადება განხილულია უდავო სამართალწარმობის წესით და მისი განხილვის თაობაზე ინფორმირებული არ ყოფილა კანონისმიერი მემკვიდრე), ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 08.08.2001 წლის გადაწყვეტილებას ვერ ექნება პრეიუდიციული ძალა და ამ გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები საფუძვლად ვერ დაედება მოცემული დავის გადაწყვეტას (იხ. სუსგ ქანის-911-869-2013, 24.01.2014წ.).

6.9. ვინაიდან მოპასუხის მეუღლე არ იყო მამკვიდრებლის პირველი რიგის მემკვიდრე, არსებობს მის სასარგებლოდ გაცემული სამკვიდრო მონმობის ბათილად ცნობისა და ამ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძვლები (სსკ-ის 54-ე მუხლი).

6.10. დადგენილია, რომ მოპასუხის მეუღლემ საკუთრებაში არსებული ქონება 18.09.2002 წლის აზუქა მოპასუხეს. მჩუქებელი და დასაჩუქრებული იყვნენ ცოლ-ქმარი. დასაჩუქრებულისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო ის გარემოება, რომ მისი მეუღლე არ იყო მამკვიდრებლის შვილი, შესაბამისად, დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს, მოპასუხემ იცოდა, სადავო უძრავ ნივთზე მჩუქებელს საკუთრების უფლება არ ჰქონდა მოპოვებული კანონით დადგენილი წესით და ქონებაზე მისი საკუთრების თაობაზე საჯარო რეესტრის ჩანაწერი არასწორი იყო. ასეთ ვითარებაში გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულება ადასტურებს ამ გარიგების მოჩვენებითობას და მხარეთა მიზანს, შემძების კეთილსინდისიერებაზე მითითებით, თავიდან აეცილებინათ სადავო უძრავი ნივთის კანონისმიერი მემკვიდრისათვის გადაცემა. ამ გარემოების გათვალისწინებით, პალატამ დაადგინა, რომ გარიგება მოჩვენებითია და, სსკ-ის 56-ე მუხლის შესაბამისად, ბათილია.

6.11. სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 1306-ე, 1336-ე, 1337-ე, 1421-ე მუხლებით და მიუთითა, რომ მამკვიდრებელს არ დაუტოვებია ანდერძი, ამასთან, არ დარჩა პირველი რიგის მემკვიდრე, რის გამოც სამკვიდრო მონმობა სრული მოცულობით – სამკვიდრო ქონებაში შემავალი აქტივებითა და პასივებით გაიცა მეორე რიგის მემკვიდრის, მისი ძმისშვილის, მოსარჩელის სახელზე. ამრიგად, არსებობს სადავო უძრავი ნივთის მის სახელზე აღრიცხვის საფუძველი.

### **საკასაციო საჩივრის მოთხოვნა:**

7. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო

საჩივარი წარადგინა მოპასუხემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით – სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

9. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოს საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო საპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

10. დადგენილია და საკასაციო საჩივრით დასაშვები, დასაბუთებული პრეტენზია წამოყენებული არ არის, რომ:

10.1. მამკვიდრებელი და პ. ძ-ი დაქორწინდნენ 13.09.1956 წელს, შეძინათ ორი შვილი – 23.04.1952 წელს დაბადებული ვ. ძ-ი და 01.04.1954 წელს დაბადებული გ. ძ-ი. მამკვიდრებლის მეუღლე და შვილები გარდაცვლილები არიან.

10.2. მამკვიდრებელი გარდაიცვალა 13.01.1987 წელს.

10.3. მოპასუხის მეუღლის განცხადების საფუძველზე ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 08.08.2001 წლის გადაწყვეტილებით (საქმე №2/286) უძრავი ნივთი ცნობილ იქნა მამკვიდრებლის საკუთრებად. იმავე გადაწყვეტილებით მოპასუხის მეუღლეს გაუგრძელდა სამკვიდროს მიღების ვადა. სასამართლოს გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

10.4. 13.08.2002 წელს გაიცა სამკვიდრო მოწმობა მოპასუხის მეუღლის, როგორც პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრის (შვილის) სასარგებლოდ სამკვიდრო ქონების ½ ნაწილზე. სამკვიდროს მეორე ნახევარზე პრეტენზია არ განუცხადებია. მოპასუხის მეუღლე სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე დარეგისტრირდა უძრავი ნივთის ½ ნაწილის მესაკუთრედ.

10.5. მოპასუხის მეუღლემ საკუთრებაში არსებული ქონება (უძ-

რავი ნივთის ½ ნაწილი) 18.09.2002 წელს აჩუქა მოპასუხეს. მოპასუხე დარეგისტრირდა ამ ქონების ახალ მესაკუთრედ.

10.6. მოპასუხე სადავო უძრავი ნივთის მესაკუთრედ რეგისტრირებულია 18.09.2002 წლიდან და ამ დროიდან დღემდე ფლობს მას – როგორც საკუთარს.

10.7. მოპასუხის მეუღლე იყო ვ. ძ-ის შვილი და არა მამკვიდრებლის – ვ. კ-ძის შვილი, ანუ მოპასუხის მეუღლე იყო პ. ძ-ის (მამკვიდრებლის მეუღლე) შვილი პირველი ქორწინებიდან.

10.8. მოსარჩელე არის მამკვიდრებლის მეორე რიგის კანონის-მიერი მემკვიდრე – ძმისშვილი.

10.9. 13.03.2019 წლის სამკვიდრო მოწმობის თანახმად, მოსარჩელემ წარმომადგენლის მეშვეობით სრულად მიიღო 13.01.1987 წელს გარდაცვლილი მამიდის – მამკვიდრებლის სამკვიდრო. სამკვიდრო ქონება შეადგენდა უძრავი ნივთის დარჩენილ ½ წილს.

11. წინამდებარე საკასაციო საჩივრის ფარგლებში სასამართლოს მსჯელობის საგანია მოსარჩელის, როგორც მამკვიდრებლის მეორე რიგის კანონისმიერი მემკვიდრის, უძრავი ნივთის მოპასუხის სახელზე რიცხული ½ ნაწილის მესაკუთრედ ცნობის კანონიერება.

12. საკუთრების უფლება წარმოადგენს თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების განვითარების საყრდენს (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 27 დეკემბრის №2/3/522,553 გადაწყვეტილება საქმეზე „სპს „გრიშა აშორდია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-31). საკუთრების უფლება ბუნებითი უფლებაა, რომლის გარეშე შეუძლებელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა. საკუთრების უფლება ადამიანის არა მარტო არსებობის ელემენტარული საფუძველია, არამედ უზრუნველყოფს მის თავისუფლებას, მისი უნარისა და შესაძლებლობების ადეკვატურ რეალიზაციას, ცხოვრების საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართვას. ყოველივე ეს კანონზომიერად განაპირობებს ინდივიდის კერძო ინიციატივებს ეკონომიკურ სფეროში, რაც ხელს უწყობს ეკონომიკური ურთიერთობების, თავისუფალი მეწარმეობის, საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, ნორმალურ, სტაბილურ სამოქალაქო ბრუნვას (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის №1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელეიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5).

13. იმისათვის, რომ პირმა შეძლოს საკუთრების უფლებით პრაქტიკული სარგებლობა, არ არის საკმარისი მისთვის აბსტრაქტული საკუთრებითი გარანტიის მინიჭება. მან ასევე უნდა ისარგებლოს იმგვარი სამოქალაქო, კერძოსამართლებრივი წესრიგით, რომელიც

შესაძლებელს გახდის საკუთრების უფლებით შეუფერხებელ სარგებლობას (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-33).

14. საკუთრების უფლების შეძენისას, სამართლის უმთავრესი მიზანი საკუთრების უფლების უზრუნველყოფა და სამოქალაქო ბრუნვის უსაფრთხოების დაცვაა, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, ორივე მათგანის ერთდროულად მიღწევა შეუძლებელია. ხშირად ერთი მიღწევა მეორის ხარჯზე (ფალავანდიშვილი კ., უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების ხანდაზმულობით შეძენისა და კეთილსინდისიერი შეძენის ურთიერთმიმართება, კერძო სამართლის მიმოხილვა, №3-4, 2021-2022, 49). კონფლიქტური მდგომარეობის არსებობისას, სამართალს არ შეუძლია, უარი თქვას მის მოწესრიგებაზე (კერძების და, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009წ., გვ.3). აღნიშნულის გათვალისწინებით, სამართალი განსაზღვრავს ხანდაზმულობით საკუთრების შეძენის წესს.

15. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ მოპასუხის მეუღლე, რომელიც, 13.08.2002 წლის სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე, როგორც მამკვიდრებლის პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრე (შვილი), დარეგისტრირდა მამკვიდრებლის დანაშთი უძრავი ნივთის (სამკვიდრო ქონების) ნახევრის მესაკუთრედ, იყო არა მამკვიდრებლის შვილი, არამედ მამკვიდრებლის მეუღლის შვილი პირველი ქონისგანდან. აღნიშნულ გარემოებაზე დაყრდნობით სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხის მეუღლე ვერ იქნებოდა მამკვიდრებლის კანონისმიერი მემკვიდრე.

16. კასატორი არ ეთანხმება სადაცო უძრავი ნივთის მესაკუთრედ მოსარჩელის ცნობის შესახებ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას. მისი მითითებით, სააპელაციო პალატამ არ შეაფასა ის გარემოება, რომ მოპასუხე სადაცო უძრავი ნივთის მესაკუთრედ საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია 18.09.2002 წლიდან და დღემდე უწყვეტად ფლობს მას როგორც საკუთარს, შესაბამისად, მას სადაცო უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება შეძენილი აქვს ხანდაზმულობით.

17. სსკ-ის 167-ე მუხლი ადგენს შემდეგ ქცევის წესს:

თუ პირი საჯარო რეესტრში შეტანილია მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრედ ისე, რომ არ შეუძენია საკუთრების უფლება მათზე, იგი მოიპოვებს ამ საკუთრების უფლებას, თუკი რეგისტრაცია არსებობდა თხუთმეტი წლის განმავლობაში და ამ

ხნის მანძილზე პირი ფლობდა მათ, როგორც საკუთარს. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების ხანდაზმულობით შექნისთვის ერთდროულად უნდა იყოს განხორციელებული ამ მუხლით განსაზღვრული შედეგის განმაპირობებელი ყველა ფაქტობრივი გარემოება: ა) საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაცია; ბ) რეგისტრაციის არსებობა თხუთმეტი წლის განმავლობაში და გ) უძრავი ნივთის, როგორც საკუთარის, უწყვეტად ფლობა. თუნდაც ერთ-ერთი ელემენტის არარსებობა გამორიცხავს აღნიშნული ნორმის გამოყენების შესაძლებლობას.

18. შექნითი ხანდაზმულობის ინსტიტუტის არსი გულისხმობს, რომ კანონით დადგენილ პირობებში, ნივთზე განხორციელებული ფაქტობრივი ბატონობა განსაზღვრული დროის შემდეგ, მასზე საკუთრების უფლებას წარმოშობს (ქოჩაშვილი ქ., მფლობელობა და საკუთრება – ფაქტი და უფლება სამოქალაქო სამართალში, გამომცემლობა „ბოზა კაუზა“, თბილისი, 2013წ., გვ. 144). საკუთრების უფლება წარმოშობა იმიტომაც, რომ ამ უფლების შესაბამისი ფაქტობრივი მდგომარეობა დიდი ხნის მანძილზე იყო დაცული (ზარანდიათ., სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად შესრულებული ნაშრომი, თბილისი, 2002წ., გვ. 45). საკუთრების შექნის ეს ორიგინალური გზა იმ ფაქტის აღიარებაა, რომ არ შეიძლება ნივთზე უფლება უსასრულოდ გაურკვეველ (მერყევ) მდგომარეობაში იმყოფებოდეს (ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 2003წ., გვ. 171). მესაკუთრის საკუთრების უფლებას დაბრკოლება ექმნება არა უფლების განუხორციელებლობის ან მისი უფლების განხორციელების ვადის ამონტურის გამო, არამედ იმ მფლობელის საკუთრების უფლების ცნობით, რომელიც მის უფლებას ჩაენაცვლა (ზარანდიათ., სანივთო სამართალი, მე-2 გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2019წ., გვ. 220).

19. განსახილვებ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მოპასუხის მეუღლემ საკუთრებაში არსებული სადაცო უძრავი ნივთი აჩუქა მოპასუხეს. ეს უკანასკნელი სადაცო უძრავი ნივთის მესაკუთრედ საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია 18.09.2002 წლიდან. მოსარჩელემ პრეტენზია განაცხადა უშუალოდ სარჩელით (იქამდე საჯარო რეესტრის ჩანაწერის რაიმე ფორმით შედავების დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში წარმოდგენილი არ არის), რომელიც აღდრა 12.04.2019 წელს. ამრიგად, სარჩელის აღდერამდე, მოპასუხე სადაცო უძრავი ნივთის მესაკუთრედ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული იყო 15 წელზე მეტი დროის განმავლობაში და

ფლობდა მას. რაც შეეხება მფლობელობის უწყვეტობას, მოსარჩეულები სარწმუნო მტკიცებულებების ნარდგენის გზით ვერ გააბათილა მოპასუხის მითითება, რომ იგი ამ დროის განმავლობაში ფლობდა სადავო უძრავ ნივთს, როგორც საკუთარს. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სსკ-ის 167-ე მუხლი მოქმედებს რეესტრში რეგისტრირებული მესაკუთრის სასარგებლოდ. შესაბამისად, მოწინააღმდეგებ მხარემ უნდა გააბათილოს მფლობელობითი ხანდაზმულობის შემადგენლობის ნიშნები. რეესტრში რეგისტრირებულ მესაკუთრეს არ ევალება ნივთის ფლობის უწყვეტობის ვარაუდის დამტკიცება სსკ-ის 166-ე (თუ პირი ნივთს ფლობდა დროის გარკვეული მონაცემის დასაწყისში და ბოლოს, ივარაუდება, რომ იგი ფლობდა ამ ნივთს დროის შუა პერიოდშიც) მუხლის მიხედვით (თოთლაძე ლ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი II, ჭანტურია(რედ.), 2018, მუხ. 167, ველი 7). მოსარჩელემ ვერც იმ გარემოების გაბათილება შეძლო, რომ მოპასუხე სადავო უძრავ ნივთს ფლობდა, მოიაზრებდა საკუთრად (შდრ. ზარანდია თ., სანივთო სამართალი, მე-2 გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2019წ., გვ. 167). საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს სარჩელში თავად მოსარჩელის მითითებაზე, რომ სადავო უძრავ ნივთში მცხოვრები პირები მას ქირას არასოდეს უხდიდნენ.

20. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს სსკ-ის 167-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგის განმაპირობებელი ყველა ფაქტობრივი გარემოება და მოპასუხებ სადავო უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება შეიძინა ხანდაზმულობით.

21. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სსკ-ის 167-ე მუხლით უძრავი ნივთის ხანდაზმულობით შეძენის წინაპირობას არ წარმოადგენს მფლობელის კეთილსინდისიერება. უძრავი ნივთი ხანდაზმულობით შეიძლება შეიძინოს არაკეთილსინდისიერმა მფლობელმაც, რადგან ამ შემთხვევაში არსებითა თვით საჯარო რეესტრის მონაცემები და არა იმდენად პირის სუბიექტური დამოკიდებულება შეძენის ნამდვილობის მიმართ. რეგისტრაციის ფაქტი აბათილებს არაკეთილსინდისიერ ნებას (ქოჩაშვილი ქ., მფლობელიბა და საკუთრება – ფაქტი და უფლება სამოქალაქო სამართალში, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2013წ., გვ. 145; ზომებ ბ., ქართული სანივთო სამართალი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 2003წ., გვ. 177). სხვაგვარად რომ ვთქვათ, რეგისტრაცია ცვლის კეთილსინდისიერებას (ფალავანდიშვილი კ., უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების ხანდაზმულობით შეძენისა და კეთილსინდისიერი შეძენის ურთიერთმმიმართება, კერძო სამართლის მიმოხილვა, №3-4, 2021-2022, 51). ამრიგად, სადავო უძრავი ნივთის

ფლობის სამართლებრივი საფუძვლებისადმი მოპასუხის დამოკიდებულება სსკ-ის 167-ე მუხლით განსაზღვრულ შედეგს ვერ გამორიცხავს.

22. მხარეთა შორის წარმოშობილი დავა ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობით მოწესრიგებას და უცხო ქვეყნის საკანონმდებლო რეგულაციას, თუ პრაქტიკას მოცემულ საქმეზე პირდაპირი მოქმედება ვერ ექნება, თუმცა, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქართველოსათვის, როგორც რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის ქვეყნისათვის, ყურადსაღებია განსახილველ სადაც საკითხზე გერმანის საკანონმდებლო და პრაქტიკული მიღვიმა (იხ: ზოძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005, გვ.256-275).

23. გერმანის სამოქალაქო კოდექსის §900 განამტკიცებს შეძნითი ხანდაზმულობის ინსტიტუტს, რომლის თანახმად, პირი, რომელიც საადგილმამულო რეესტრში რეგისტრირებულია, როგორც მესაკუთრე ისე, რომ მას არ შეუძენია საკუთრების უფლება, იძენს საკუთრების უფლებას, თურეგისტრაცია არსებობდა 30 წლის განმავლობაში და იგი ამ ვადის განმავლობაში მინის ნაკვეთს ფლობდა, როგორც საკუთარს (იხ: იან კროპჰოლერი, გერმანის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2014წ. გვ900).

24. შესაბამისად, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების ხანდაზმულობით შეძენისათვის გერმანიის სამოქალაქო კოდექსი ადგენს ისეთ ნინაპირობებს, როგორიცაა: а) საკუთრების უფლების რეგისტრაცია; ბ) ქონების ფლობა, როგორც საკუთარის; გ) ხანგრძლივობა (მფლობელობა არანაკლებ კოდექსით განსაზღვრული ვადისა). რაც შეეხბა მტკიცების ტვირთს, იგი აწევს იმ მხარეს, ვინც ჩანაწერს სადაც ხდის, ანუ მან უნდა დაამტკიცოს შეძენითი/მფლობელობითი ხანდაზმულობის გამომრიცხველი გარემოებები (Bassenge, in Palandt BGB Komm, 72. აუფლ., 2013, გვ900, რn. 3, 4).

25. სსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო საქმეზე გადაწყვეტილებას თვითონ მიიღებს, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოში დაბრუნების საფუძვლები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ,

პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილ-დეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალა-ქო საქმეთა პალატის 31.03.2020 წლის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

26. განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან სარჩელი არ დაკმა-ყოფილდა, მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნ-და დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის, 300 ლარის, გადახდა, რომლის გადახდისაგან საკასაციო საჩივარზე გათავისუფლებული იყო კა-სატორი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 411-ე მუხ-ლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. ე. ჭ-იას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალა-ქო საქმეთა პალატის 31.03.2020 წლის გადაწყვეტილება და მიღე-ბული იქნეს ახალი გადაწყვეტილება.
3. ს. ჯ-იას (კ. კ-ძის უფლებამონაცვლე) სარჩელი არ დაკმაყო-ფილდეს.
4. ს. ჯ-იას (კ. კ-ძის უფლებამონაცვლე) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის გადახდა 300 ლარის ოდენობით.
5. გაუქმდეს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 05.04.2019 წლის განჩინებით (საქმე №020217719002931695 (2/უზ-4-19)) გა-მოყენებული სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და მოეხსნას ყადაღა ე. ჭ-იას თანასაკუთრებაში რე-გისტრირებულ უძრავ ქონებას, მდებარე: ქ. ზუგდიდი, ... ..., №4-სი, ს/კ: ... (ნაკვეთის ნინა ნომერი ...) (მთელი ქონების  $\frac{1}{2}$  ნაწილი).
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ნივთის მფლობელობის შეცვალა მესაკუთრის პრეტენზის გამო

### გადაცვალის საქართველოს სახელი

№ას-709-2022

30 სექტემბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ბაქაქური,  
მ. ერემაძე

**დავის საგანი:** უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

#### აღნერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს (შემდეგში: მოსარჩევე, ქონების სააგენტო ან კასატორი) სარჩელი ო. ი-ვის (შემდეგში: მოპასუხე, არამართლზომიერი მფლობელი ან აპელანტი) უკანონო მფლობელობიდან სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, ... (...), საკადასტრო კოდით ... (შენობა-ნაგებობა №1/1-ის 43.50 კვ.მ და შენობა-ნაგებობა 2/1-ის 59.03 კვ.მ) გამოთხოვისა და სახელმწიფოსათვის თავისუფალ მდგომარეობაში გადაცემის შესახებ დაკმაყოფილდა.

2. საქალაქო სასამართლო მოცემულ საქმეზე უდავო ფაქტობრივ გარემოებებად მიიღინია:

2.1. უძრავი ქონება, მდებარე ქ. თბილისში, ... (...), საკადასტრო კოდით ... სახელმწიფო საკუთრებას ნარმოადგენს, დაზუსტებული ფართობი 530 კვ.მ-ს შეადგენს, შენობა-დანგებობების ჩამონათვალი №1 საერთო ფართით 84.08 კვ.მ-ია, №2 საერთო ფართია 212.72 კვ.მ;

2.2. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საინფორმაციო-სამისამართო ბიუროს მიერ 2020 წლის 7 სექტემბერს გაცემული ცნობის თანახმად, მოპასუხე სანერგემეურნეობის დასახლებაში რეგისტრირებულია 2004 წლის 22 სექტემბერს;

2.3. სს „თ-ის“ 2020 წლის 7 სექტემბრის წერილის მიხედვით კომპანიის მონაცემთა ბაზაში №4285561 სააბონენტო ბარათზე აბონენტად მითითებულია მოპასუხე, მისამართი: ქ. თბილისი, ...;

2.4. შემოსავლების სამსახურის 2020 წლის 27 აგვისტოს წერი-

ლის მიხედვით, მოპასუხის მიერ 2010 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 ივლისის ჩათვლით მიღებული დასაბეგრი შემოსავლის შესახებ ინფორმაცია არ ფიქსირდება; ამავე წერილით ირკვევა, რომ 2020 წლის 27 აგვისტოს მდგომარეობით მოპასუხე, როგორც გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირი, არ არის რეგისტრირებული;

### **3. საქალაქო სასამართლომ მოცემულ საქმეზე შემდეგი სა-დავო ფაქტობრივი გარემოებები დაადგინა:**

3.1. სადავო უძრავი ქონების (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 2.1 ქვეპუნქტი) ნაწილით (შენობა-ნაგებობა № 1/1-ის 43.50 კვ.მ და შენობა-ნაგებობა 2/1-ის 59.03 კვ.მ) არამართლზომიერად სარგებლობს და სამეწარმეო საქმიანობისათვის იყენებს მოპასუხე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად „სამართალნარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები“. ამავე კოდექსის 202-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე „თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს“, ხოლო მე-3 ნაწილის მიხედვით „საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით“;

3.2. საქალაქო სასამართლომ დაასკვნა, რომ განსახილველ შემთხვევაში საქმეში არ არის წარდგენილი რაიმე სახის მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მოპასუხის მიერ სადავო უძრავი ქონების მართლზომიერად ფლობის ფაქტს, ხოლო, თავის მხრივ, მოსარჩევებმ, შეძლო კუთვნილი მტკიცების ტვირთის დაძლევა, რაც სარჩელის დაკმაყოფილებას დაედო საფუძვლად, საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 160-ე-162-ე, 170-ე, 172-ე, 183-ე, 312-ე მუხლებზე დაყრდნობით;

3.3. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი იცავს საკუთრების უფლებას – ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს აქვს უფლება, დაუბრკოლებლად ისარგებლოს თავისი ქონებით. არავის შეიძლება წაერთავს ქონება იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ამას საზოგადოების ინტერესები მოითხოვს და იმ პირობით, რაც გათვალისწინებულია კა-

ნონით და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით. ადა-მიანის უფლებათა ეპროპულმა სასამართლომ საქმეზე „სპორონგი და ლონრონთი შვედეთის წინააღმდეგ“ განმარტა, რომ „აღნიშნული დებულება მოიცავს სამ განსხვავებულ ნორმას: პირველი ნორმა, რომელიც მუხლის პირველ წინადადებაშია ჩამოყალიბებული, არის საერთო ხასიათის და იცავს საკუთრებით დაუბრკოლებლად სარგებლობის უფლებას. მეორე ნორმა, რომელსაც მუხლის მეორე წინადადება ეხება, ითვალისწინებს საკუთრების ჩამორთმევის უფლებას და ამას უკავშირებს კონკრეტულ გარემოებებს. მესამე ნორმა, რომელიც მოცემულია მუხლის მეორე ნაწილში, აცხადებს, რომ სახელმწიფოებს შეუძლიათ აკონტროლონ საკუთრებით სარგებლობის უფლება საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე“. საქმეში „მარქსი ბელგიის წინააღმდეგ:“ ადამიანის უფლებათა ეპროპულმა სასამართლომ განმარტა: „იმის აღიარებით, რომ ყოველ ადამიანს აქვს თავისი საკუთრებით (ქონებით) შეუფერხებელი სარგებლობის უფლება, მუხლი პირველი არსებითად უზრუნველყოფს საკუთრების უფლებას. ეს არის სრულიად ცხადი წარმოდგენა, რომელსაც ტოვებს სიტყვები „საკუთრება“ და „საკუთრების გამოყენება“ (იხ. მარქსი ბელგიის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ეპროპული სასამართლოს გადაწყვეტილება განაცხადის №6833/74, სტრასბურგი, 1979 წლის 13 ივნისი);

3.4. სსკ-ის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად „მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებორჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ იღავება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას“. საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ მითითებული დანაწესი ითვალისწინებს საკუთრების კანონისმიერ და სახელშეკრულებო ბოჭვას, რომელსაც გააჩნია თავისი ფარგლები, კერძოდ, არ შეიძლება, რომ საკუთრების ბოჭვამ, შეზღუდვამ მოსპოს საკუთრება. საკუთრების სუბსტანცია, რომელშიც იგულისხმება საკუთრების ინსტიტუტით გათვალისწინებული შინაარსის რეალიზაცია, უნდა შენარჩუნდეს, ე.ი. კერძო საკუთრების შეზღუდვა არ უნდა ნიშნავდეს საკუთრების უფლების რეალიზაციის მოპობას. არ შეიძლება პირს ფორმალურად გააჩნდეს საკუთრების უფლება, ხოლო ფაქტობრივად ვერ სარგებლობდეს მისით;

3.5. სსკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილი მესაკუთრეს უფლებას აინიჭებს, მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის

ფლობის უფლება. უკანონო მფლობელობიდან გამომდინარე ნივთის გამოთხოვის შესახებ სარჩელის წარდგენა ხდება, როცა შელა-ხულია ნივთზე მესაკუთრის მფლობელობა, როცა მესაკუთრის ქონება უკანონო მფლობელის ხელთაა, ამასთან, არამფლობელი მესაკუთრის მიერ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის მართლზომიერებისათვის უნდა არსებობდეს აუცილებელი წინაპირობები: ა) მოსარჩელე უნდა იყოს მესაკუთრე, ბ) მოპასუხე უნდა იყოს ნივთის მფლობელი და გ) მოპასუხეს არ უნდა ჰქონდეს ამ ნივთის ფლობის უფლება. მხოლოდ მას შემდეგ, რაც დადგინდება სამივე წინაპირობის არსებობა, შესაძლებელი გახდება მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა. ვინდიკაციური სარჩელის საფუძვლიანობა მონმდება იმ გარემოებათა შეფასებით, არსებობს თუ არა მოსარჩელის საკუთრების უფლება ნივთზე და იმყოფება თუ არა ეს ნივთი სხვა პირის არამართლზომიერ მფლობელობაში;

3.6. სსკ-ის 312-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე „რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმაცია, ე. ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა“ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის სახელზე საკუთრების უფლების ჩანაწერი გაუქმდებული არ არის. სსკ-ის 168-ე მუხლის თანახმად „მესაკუთრის პრეტენზიის გამო ნივთის მფლობელობა წყდება, თუ მესაკუთრე მფლობელს წაუყენებს დასაბუთებულ პრეტენზიას“;

3.7. საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ სსსკ-ის 102-ე მუხლის (იხ. 3.1 ქვეპუნქტი) საფუძველზე მოსარჩელის ვალდებულებაა, საჯარო რეესტრის ამონაწერზე დაყრდნობით დაამტკიცოს სადაც ნივთზე საკუთრების უფლების არსებობა, რაც მოცემულ შემთხვევაში დადასტურებულია, ასევე – ნივთის მოპასუხის მიერ ფლობის ფაქტი, თავის მხრივ, ამ უკანასკნელმა თავისი შესაგებელი შეიძლება დააფუძნოს როგორც ფლობის მართლზომიერებას, ისე – საკუთრების უფლებას, რაც მისი მტკიცების ტვირთს განეკუთვნება. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მოსარჩელე არის სადაც უძრავი ქონების მესაკუთრე, ხოლო მოპასუხეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ აქვს სხვისი ნივთის ფლობის ნამდვილი უფლება. მოპასუხის მტკიცება, რომ ის სადაც უძრავი ქონების მისამართზეა რეგისტრირებული და ფაქტობრივად იქ ცხოვრობს, ამასთან სხვა საცხოვრებელი არ გააჩნია, ასევე ირიცხება სს „თ-ის“ აბონენტად, არ წარმოადგენს სარჩელის დაემაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს. საჯარო რეესტრის მონაცემებით სახელმწიფოს საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე წარმოშობილია. დღე-

ვანდელი მდგომარეობით არ არსებობს მხარეთა შორის არანაირი სახელშეკრულებო ურთიერთობა, რის საფუძველზეც მოპასუხეს ექნებოდა უძრავი ნივთის ფლობის უფლება. შესაბამისად, მოპასუხე არ წარმოადგენს სსკ-ის 160-ე-162-ე მუხლებით დაცული უფლების მქონე პირს – მართლზომიერ მფლობელს. ასევე, არ არსებობს არც კანონისმიერი ბოჭვის საფუძველი, ამდენად მოსარჩელე უფლებამოსილია, განახორციელოს მის საკუთრებად რიცხულ ქონებაზე კანონით გარანტირებული უფლებები.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მოპასუხის (სადაც ნივთის მფლობელის) სააპელაციო საჩივარი, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, ქონების სააგნენტოს სარჩელი მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან სადაც უძრავი ქონების გამოხსოვისა და თავისუფალ მდგომარეობაში გადაცემის შესახებ, არ დაკმაყოფილდა.

5. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც წინამდებარე გადაწყვეტილების 2.1-2.3 ქვეპუნქტებშია ასახული და განმარტა, რომ მოცემულ საქმეზე შესაფასებელია აპელანტის მხრიდან სადაც ქონების ფლობის მართლზომიერება, რის გამოც სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს, განმარტოს სათანადო საცხოვრებლის უფლების რაობა და მიუთითებს, რომ ხენებული კონსტიტუციური უფლება – პირიციპი გარანტირებულია სხვადასხვა საერთაშორისო აქტში. მათ შორისაა როგორც საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, ასევე – პოლიტიკური და პროგრამული დოკუმენტები;

5.1. სამართლებრივ აქტებში სათანადო საცხოვრებლის უფლება უმეტესად განცალკევებულად არ არის გამოყოფილი და ცხოვრების სათანადო დონის უფლებაში მის კომპონენტად იკითხება. საცხოვრებლის უფლების წანილში აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, რომლის 25-ე მუხლის პირველი პუნქტი მიუთითებს: „ყოველ ადამიანს აქვს უფლება, ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე (საკვების, ტანსაცმლის, ბინის, სამედიცინო მოვლისა და საჭირო სოციალური მომსახურების ჩათვლით), რომელიც აუცილებელია თავად მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად და უფლება, უზრუნველყოფილი იყოს უმუშევრობის, ავადმყოფობის, შეზღუდული შესაძლებლობის, ქვრივობის, მოხუცებულობის ან მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო არსებობის საშუალებათა დაკარ-

გვის სხვა შემთხვევაში“. საცხოვრებლის უფლებასთან მიმართებით ფუძემდებლური ხელშეკრულებაა გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, რომლის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი მიუთითებს ცხოვრების სათანადო დონის უფლებაზე და მის ერთ-ერთ კომპონენტად განსაზღვრავს საცხოვრებლის უფლებას, პაქტის მონაწილე სახელმწიფოები ამ უფლების უზრუნველსაყოფად მიიღებენ შესაბამის ზომებს, აღიარებენ რა, ამ მხრივ, თავისუფალ თანხმობაზე დაფუძნებული საერთაშორისო თანამშრომლობის დიდ მნიშვნელობას. მისით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას მონიტორინგს უწევს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი, რომელმაც საცხოვრებლის უფლებასთან დაკავშირებით რამდენიმე ზოგადი კომენტარი მიიღო;

5.2. ევროპის საბჭოს ევროპის სოციალური ქარტიის (განახლებული რედაქცია) 31-ე მუხლით განეროლია სახელმწიფოს ვალდებულება, ხელი შეუწყოს საცხოვრებელი ადგილის ადეკვატური სტანდარტის ხელმისაწვდომობას; თავიდან აიცილოს და შემციროს უსახლკარობა ეტაპობრივად, საბოლოოდ აღმოფხვრის მიზნით; შექმნას საცხოვრებელზე ფასის ხელმისაწვდომობა მათვების, ვისაც სათანადო სახსრები არ გააჩნიათ. სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტი, როგორც ქარტიის მონიტორინგის დაწესებულება, იღებს გადაწყვეტილებებს და დასკვნებს აღნიშნული ვალდებულებების სახელმწიფოების მიერ შესრულების ნაწილში. ევროკავშირის კანონმდებლობასთან მიმართებით აღსანიშნავია ასევე ევროპის კავშირის ფუნდამენტური უფლებების ქარტია. იგი პირდაპირ არ მიუთითებს სათანადო საცხოვრებლის უფლების შესახებ, თუმცა მისი 34-ე მუხლის მე-3 ნაწილი „საცხოვრებლის მიმართულებით დახმარების“ ცნებაზე საუბრობს, კერძოდ, დოკუმენტი მიუთითებს, რომ „სოციალური გათიშულობისა და სილარიბის წინააღმდეგ საბრძოლველად კავშირი აღიარებს და იცავს უფლებას სოციალური და საცხოვრებლით დახმარების შესახებ. საცხოვრებლის უფლებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია გაეროს კონვენცია „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“, რომლის 21-ე-22-ე მუხლებში მითითებულია, რომ „იმდენად, რამდენადაც დაბინავება კანონმდებლობით რეგულირდება ან საჯარო ხელისუფლების კონტროლს ექვემდებარება, ხელშემკვრელი სახელმწიფოები თავიანთ ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრებ ლტოლვილებს უქმნიან მაქსიმალურად ხელსაყრელ გარემოს, ყოველ შემთხვევაში იმაზე არანაკლებს, ვიდრე მსგავს პირობებში ჩვეულებრივ სარგებლობენ უცხოელები“. ზემოხსენებული ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის მიერ შემუშავებული ზო-

გადი კომენტარები სათანადო საცხოვრებლის უფლების დაცვისა და პროგრესული რეალიზების სახელმძღვანელო პრინციპებს აყალიბებს. კომიტეტის ხედვა გამორიცხავს სათანადო საცხოვრებლის უფლების ვიწროდ განმარტებას, რამდენადაც იგი არ უთანაბრდება (თუმცა მოიცავს) თავშესაფრის ქონას; ზოგადი თვალსაზრისით, სათანადო საცხოვრებელი გულისხმობს ნებისმიერ ადგილას „უსაფრთხო, მშვიდობიან და ღირსეულ პირობებში ცხოვრებას“. დამატებით, სათანადო საცხოვრებლის უფლება სისტემურად უნდა განიმარტოს პაქტის პრეამბულაში მითითებულ ძირითად ღირებულებებთან ერთად, როგორებიცაც ადამიანის ღირსება, თანასწორობა, განუყოფლობა;

5.3. პაქტით გათვალისწინებული სათანადო საცხოვრებლის ცნება მოიცავს სახელმწიფოს ვალდებულებას, რომ პირის ან პირთა ჯგუფის საცხოვრებელ ფართზე მფლობელობის ფორმის მიუხედავად (მათ შორის, არაფორმალური დასახლებების, საცხოვრებლისა თუ მინის დაკავების), უზრუნველყოს იმგვარი პირობები, რომ-ლებიც მათ მისცემს სამართლებრივ ბერკეტებს ძალადობრივი გასახლების, დევნისა თუ სხვა საშიშროების თავიდან ასაცილებლად. აღნიშნულ კომპონენტში კომიტეტი განსაზღვრავს სახელმწიფოს ვალდებულებას, როგორც საცხოვრებლის მქონე, ასევე იმ პირებთან მიმართებით, რომელთაც არ მიუწვდებათ ხელი ბინაზე და მიუთითებს, რომ სახელმწიფომ უნდა შესთავაზოს ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს საბინაო ხარჯის შემოსავალთან შესაბამისობას. ეს გულისხმობს, რომ საბინაო ხარჯებმა საფრთხის წინაშე არ უნდა დააყენოს სხვა ძირითადი მოთხოვნების დაკმაყოფილება, ასევე – სახელმწიფომ უნდა დააწესოს სუბსიდიები, დაფინანსების სხვადასხვა სქემა, რომლებიც „სათანადო ასახავს საბინაო მოთხოვნებს“. თავის მხრივ, ბაზისური საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, სათანადო საცხოვრებლის უფლების დაცვა გულისხმობს როგორც მატერიალური, ასევე პროცედურული დაცვითი მექანიზმების არსებობას. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოებმა გაითვალისწინონ უფლების დაცვის შემდეგი მინიმალური გარანტიები: დაგეგმილი გამოსახლების ან საცხოვრებლის დემონტაჟის შესახებ სასამართლოს აქტის გასაჩივრების შესაძლებლობა; უკანონო გასახლებისთვის კომპენსაციის მიღების სამართლებრივი მექანიზმების უზრუნველყოფა; მესაკუთრეთა ან მათი მხარდაჭერით უკანონო ქმედებების გასაჩივრების შესაძლებლობა; ბინაზე ხელმისაწვდომის თვალსაზრისით ნებისმიერი სახის დისკრიმინაციზე დავის ნარმოების მექანიზმი; მესაკუთრეთა მიმართ გასაჩივრების შესაძლებლობა, არაჯანსაღი და არა-სათანადო პირობების გამო;

5.4. აღსანიშნავია ისიც, რომ სოციალური უფლებების ევროპულ-მა კომიტეტმა საქმეში ბოშათა უფლებების ევროპული ცენტრი პორტუგალიის წინააღმდეგ (European Roma Rights Centre (ERRC) v Portugal, Complaint no. 61/2010, Decision on Merits, ECSR (30 June 2011) გაიმორა მისივე განმარტება, რომ სათანადო საცხოვრებლის ცნება გულისხმობს საცხოვრებელს, რომელიც უსაფრთხოა, როგორც სანიტარული, ასევე ჯანმრთელობის დაცვის კუთხით. აღნიშნული ნიშნავს, რომ ხელმისაწვდომი უნდა იყოს ისეთი საერთო სიკეთეები, როგორებიცაა: წყალი, ელექტრონობა, სანიტარული გაყვანილობა და ნაგვის შესაბამის ადგილას განთავსების შესაძლებლობა. კომიტეტი განსაკუთრებით ყურადღებას ამახვილებს წყლის კომპონენტზე და მიუთითებს, რომ სათანადო საცხოვრებლის უფლება ნიშნავს ახალ წყალზე წვდომას, რომელიც გონივრულ მანძილზე უნდა განთავსდეს. რაც შეეხება სახელმწიფოს მხრიდან სათანადო საცხოვრებლის უფლების ხელშეწყობას, აღნიშნულ საკითხზე მსჯელობას ასახულია ევროპული სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში, რომლის ფარგლებშიც ევროსასამართლო იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ სოციალური უფლებების რეალიზების პროცესში (მათ შორის, კონვენციის მე-8 მუხლის ფარგლებში საცხოვრებლის საკითხების განხილვისას) სახელმწიფოს დისკრეციის ფართო ფარგლები აქვს, თუმცა სასამართლო ხედავს ასევე აშკარა გადაცდომების რისკს;

5.5. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, განსახილველ შემთხვევასთან მიმართებით საინტერესოა, რომ ევროპული სასამართლოს პერსპექტივით, გამოსახლების პროპორციულობის შეფასებისას მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რამდენად კანონიერად დაიკავეს საცხოვრებელი (იხ. Chapman V. The United Kingdom App. no. 27238/95 (ECtHR, 18 January 2001), para. 102), თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ, თუკი კონკრეტული სივრცე უკანონოდ არის დაკავებული, იქ მცხოვრებლების საწინააღმდეგო გადაწყვეტილება უნდა მიიღონ ყველა შემთხვევაში. ევროსასამართლოსთვის განსაკუთრებით მაღლალია სტანდარტი, როდესაც საქმეს გავლენა აქვს მოწყვლად ჯგუფებზე, კერძოდ, ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ სათანადო საცხოვრებლის უფლების რეალიზების პროცესში განსაკუთრებული სიმძაფრით დგას მოწყვლადი ჯგუფების ინტერესების საკითხი, რომელთა განსაკუთრებული საჭიროებები და მათ წინაშე მდგარი სირთულეები სახელმწიფოს ვალდებულებას განსაზღვრული ხარუნის ქვეშ არიან შეზღდული შესაძლებლობის მქონე პირები, ბავშვები, ქალები, უსახლკაროები, იძულებით გადადგილებული პირები, მიგრანტები, მკვიდრი მოსახლეობა. აღნიშნუ-

ლი ჯგუფების წინაშე მდგარი გამოწვევები სხვადასხვა მასშტაბი-საა. ასევე განსხვავებულია მათი მოწყვლადობის განმაპირობებე-ლი ფაქტორებიც. სამართლებრივი თვალსაზრისით, განსაკუთრე-ბით მძაფრია საცხოვრებელი ფართის ფლობის სამართლებრივი უზ-რუნველყოფის კომპონენტის დაკამაყოფილება უსახლკარო პირებ-თან მიმართებით, რამდენადაც მათ მიმართ სათანადო პოლიტიკის დაგეგმვა სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ამოცანაა. უსახლკარო-ბის საკითხის ემპირიულ შესწავლას და შემდგომში საპასუხო პო-ლიტიკისა და პროგრამების დაგეგმვა-შემუშავებას ართულებს ის გარემოება, რომ არ არსებობს უნიფიცირებული მიდგომა უსახლკა-რობის დეფინიციასთან დაკავშირებით (The Right to Adequate Hous- ing, Fact Sheet No. 21/Rev.1, Geneva, 22 (2014);

5.6. წინამდებარე დავის განხილვის მიზნებისათვის, სააპელა-ციონ სასამართლომ აღნიშნა, რომ იძულებით გამოსახლებასთან და-კავშირებული სტანდარტების გასააზრებლად მნიშვნელოვანია საცხოვრებელის შინაარსის განსაზღვრა. იძულებითი გამოსახლე-ბის სიმწვავეს განაპირობებს თავად საცხოვრებლის კონცეფცია, რაც ამ სივრცის არსებითად მნიშვნელოვან სოციალურ, სამოქა-ლაქო, კულტურულ და პოლიტიკურ განზომილებას გულისხმობს. ევროსასამართლოს ინტერპრეტაციით, საცხოვრებლის ცნების-თვის მთავარი კრიტერიუმია „კონკრეტულ სივრცესთან“ „საკმა-რისი“ და „განგრძობადი“ კავშირის არსებობა (იხ. Yevgeniy Zakharov V. Russia App. no. 66610/10 (ECtHR, 14 March 2017), para. 30), ასევე, სივრცის საცხოვრებლად მიჩნევისათვის არსებითი კრიტერიუმია კონკრეტულ სივრცეში პერმანენტულად ცხოვრების ფაქტი (იხ. Ivana Roagna, Protecting the Right to Respect for Private and Family Life under the European Convention on Human Rights, Council of Europe hu- man rights handbooks, Council of Europe, Strasbourg, 93 (2012).). აღნიშ-ნული კომპონენტები გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც სა-დავოა კონკრეტული სივრცის კანონიერად დაკავების საკითხი, თუმცა იმის დადგენა, თუ რამდენად კანონიერად მოხდა საცხოვ-რებელი სივრცის დაკავება, მნიშვნელოვანია (მაგრამ არა გადამ-წყვეტი) იძულებითი გამოსახლების პროპორციულობის შეფასები-სას;

5.7. სოციალური უფლებების შესახებ ევროპული კომიტეტის განმარტებით, გამოსახლების ლეგიტიმური საფუძველი შესაძლე-ბელია იყოს შესაბამისი ადგილის უკანონო დაკავება, თუმცა, ევ-როპული კომიტეტის ხედვით, სივრცის უკანონოდ დაკავების შე-ფასება არ უნდა ეფუძნებოდეს გაუმართლებლად ფართო კრიტე-რიუმს, ევროპული სასამართლოს პერსპექტივით, ეროვნულ სასა-მართლოს მხედველობაში უნდა მიეღო კონკრეტულ სივრცეში შე-

საბამისი პირების სათანადოდ ხანგრძლივი პერიოდით ცხოვრების ფაქტი (Bagdonavicius and Others v. Russia App. no. 19841/06 (ECtHR, 11 September 2016);

5.8. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის 1991 წლის მე-6 სესიის ზოგადი კომენტარები №4-ში მოყვანილ განმარტებებზეც, რომელთა მიხედვითაც, საცხოვრებლის უფლება არ უნდა იქნეს განხილული ვინრო ან შეზღუდული გაგებით, რაც მას მაგალითად თავშესაფრით უზრუნველყოფასთან გაათანაბრებდა, რაც შავანისათვის მხოლოდ ჭერის ქონას ნიშნავს. იგი განხილულ უნდა იქნეს როგორც ნებისმიერ ადგილას უსაფრთხო, მშვიდობიან და ღირსეულ პირობებში ცხოვრების უფლება. ხსენებული კომენტარის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უკანონო საცხოვრებელი ფართიდან პირების გამოსახლება აკრძალულია და მიუხედავად საცხოვრებელი ფართის უკანონო ფლობისა, ყველა ადამიანი უნდა იყოს უზრუნველყოფილი და დაცული გარკვეული ხარისხის პირობებით, რომლებიც მას იცავს ძალადობრივი გამოსახლების დევნისა და სხვა საშიშროებებისაგან სახელმწიფო თუ სხვა პირების მოსალოდნელი შესაძლო თუ რეალური ზემოქმედებისაგან. გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის 1997 წლის 16 სესიის ზოგადი კომენტარი №7-ის პირველი პუნქტით მიღებულია დასკვნა, რომ იძულებითი გამოსახლება არ შესაბამება პაქტის მოთხოვნებს, თუმცა ამავე კომენტარის მეორე პუნქტი აკეთებს დათქმას, რომ, იმ შემთხვევებში, როდესაც გამოსახლება გარდაუვალია, სახელმწიფოებმა (მთავრობებმა) უნდა უზრუნველყონ სათანადო ალტერნატიული გადაწყვეტილების მიღება. შესაბამისად, სახელმწიფოებმა უნდა გამოიყენონ ყველა სათანადო საშუალებები, რაც მოიცავს სახელმწიფო ორგანოების მიერ სათანადო გარანტიების გარეშე კერძო პირების ან სახელმწიფო ორგანოების მიერ იძულებითი გამოსახლების შემთხვევების აკრძალვას, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გადახდონ და უნდა გააუქმონ ან შეცვალონ ნებისმიერი საკანონმდებლო ნორმა ან პოლიტიკა, რომელიც პაქტის მოთხოვნებს არ შეესაბამება. მითითებული კომენტარის მე-17 პუნქტის შესაბამისად კი, გამოსახლების შედეგად პირი არ უნდა დარჩეს უსახლკაროდ და არ უნდა დაირღვეს მისი სხვა უფლებები. იმ შემთხვევებში, თუ გამოსახლებულ პირებს არ შეუძლიათ თავად უზრუნველყონ საარსებო სახსრები, მონაწილე სახელმწიფოებმა, ხელმისაწვდომი რესურსების ფარგლებში, ყველა სათანადო საშუალება უნდა გამოიყენონ მათვევის სათანადო ალტერნატიული საცხოვრებლის უზრუნველსაყოფად, დასასახლებლად ან ნაყოფიერი მიწების გამო-

საყოფად არსებული გარემოებების გათვალისწინებით;

5.9. ზემოხსენებული მსჯელობის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ აპელანტის (მოპასუხის) სადაც ქონებიდან გამოსახლება ენინააღმდეგება ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა კონვენციით აღიარებულ და განმტკიცებულ ნორმა-პრინციპებს. იძულებითი გამოსახლებისა და საცხოვრებლის უფლებასთან დაკავშირებით არსებულ ევროპულ რეგულაციებზე (იხ. The Second Overview of Housing Exclusion in Europe 2017, (21 March 2017) დაყრდნობით სასამართლომ განმარტა, რომ არსებითაა, სახელმწიფოებმა მნიშვნელოვანი აქცენტი გააკეთონ (იძულებითი) გამოსახლების პრევენციაზე, რათა თავიდან იყოს აცილებული ან შემცირდეს იძულებითი გამოსახლების უარყოფითი ეფექტი ძირითადი უფლებებით სარგებლობაზე. პრევენციული პოლიტიკის რეალიზება ნიშნავს გამოსახლებაზე უარის თქმას, ხოლო გამოსახლების შემთხვევაში – პირის უზრუნველყოფას აღტერნატიული საცხოვრებლით ან მხარდაჭერის შესაბამისი საშუალებებით;

5.10. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ აპელანტი არის უსახლეარო პირი, სხვა ალტერნატიული საცხოვრებელი არ გააჩნია და იძულებულია თავი შეაფაროს სადაცო ფართს, რომელშიც სამსახურის ნებართვით იქნა შესახლებული და ათეული წლებია სარგებლობს, იგი რეგისტრირებულია ამ მისამართზე, წარმოადგენს ელ.ენერგიის აბონენტს და მოცუმული მდგომარეობითაც იხდის მოხმარებული კომუნალური მომსახურების გადასახადს. ამასთან, დადგენილია ისიც, რომ ამავე ფართში მას მოწყობილი ჰქონდა ავტოსახელოსნოც, რომელიც მისი შემოსავლის ერთადერთ წყაროს წარმოადგენდა. შესაბამისად, სასამართლოს შეფასებით, ხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, მოპასუხეს (აპელანტს) გააჩნია ფართის ფლობის უფლება, იგი მართლზომიერად სარგებლობს სადაცო სადგომით და თავისუფლად შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს ზემოხსენებულ „მოწყვლად ჯგუფებად“, რაც, თავის მხრივ, ავალდებულებს სახელმწიფოს, ყველა ღონე იხმაროს მისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

5.11. ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოპასუხის სააპელაციო საჩივარი დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, მოსარჩევე ქონების სააგენტოს უარი უნდა ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე მოპასუხის მიმართ, სახელმწიფოს მხრიდან ფულადი დახმარებით, ან საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფამდე. სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ სამოქალაქო კა-

ნონმდებლობა მოწესრიგებულია ზოგადი მოთხოვნების საფუძველზე, მათ შორისაა კეთილსინდისიერების პრინციპი, რაც გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით, ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში აღნიშნული პრინციპი გამოვლენილია მე-8 მუხლის მე-3 ნაწილით, რომლითაც დადგენილია, რომ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი. უფლების ბოროტად გამოყენებად ჩაითვლება საკუთრებით ისეთი სარგებლობა, რომლითაც მხოლოდ სხვებს ადგებათ ზიანი ისე, რომ არ არის გამოკვეთილი მესაკუთრის ინტერესის უპირატესობა, და მისი მოქმედების აუცილებლობა გაუმართლებელია. სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული მუხლის დანაწესი მესაკუთრეს უფლებას აძლევს, განკარგოს თავისი ნივთი შეხედულებისამებრ, არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, თუმცა, ამავე მუხლით დგინდება, რომ საკუთრების უფლება აბსოლუტურ უფლებას არ წარმოადგენს და მისი შეზღუდვა კანონით დადგენილ შემთხვევაში მესაძლებელია. იძულებითი გამოსახლება კომპლექსური საკითხია და ხელისუფლების სხვადასხვა შტოს ჩართულობას მოითხოვს, კომუნიკაციისა და კოორდინაციის ქმედითი სისტემის ფუნქციონირება არსებითია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს იძულებითი გამოსახლებისას ადრესატის სათანადო საცხოვრებლის გარეშე დარჩენის რისკი, მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ, მის ხელთ არსებული რესურსების ფარგლებში, იზრუნოს, რომ პირებს გონივრული ვადით ჰქონდეთ სათანადო საცხოვრებელზე წვდომა. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, საჯარო ხელისუფლებისთვის ეს არ წარმოადგენს აბსოლუტური ხასიათის ვალდებულებას, თუმცა ვითარება განსხვავებულია, როდესაც გამოსახლების ადრესატები მოწყვლადი ჯგუფები არიან. საკითხის ირგვლივ მნიშვნელოვანი ინტერპრეტაციების წყაროს კომიტეტი და ევროპული კომიტეტი წარმოადგენს. კომიტეტის განმარტებით, იძულებითი გამოსახლებისგან დაცვა და შესაბამისად, სათანადო საცხოვრებლის უფლების რეალიზება ნიშნავს, რომ გამოსახლების შედეგად პირი არ უნდა დარჩეს უსახლკაროდ (იხ.General Comment No. 7: The Right to Adequate Housing: Forced Evictions (art.11 (1)), Committee on Economic, Social and Cultural Rights, para. 17 (1997). სახელმწიფომ უნდა მიიღოს ყველა შესაბამისი ზომა, რათა უზრუნველყოს სათანადო ალტერნატიული საცხოვრებელი, განსახლება ან ნაყოფიერ მიწაზე წვდომა (იხ. Views adopted by the Committee under the Optional Protocol to the International Covenant on Economic, Social and Cultural Rights with re-

gard to communication No. 5/2015, Committee on Economic, Social and Cultural Rights, para. 15.2.). აღნიშნული სტანდარტი გულისხმობს, რომ საჯარო ხელისუფლება მოქმედებს მის ხელთ არსებული რესურსის ფარგლებში, რომლის სათანადოდ გამოყენების საკითხი ფასდება „ადეკვატურობის“ თუ „გონივრულობის“ კრიტერიუმებით. კერძოდ, მოწმდება შემდეგი ელემენტები: რამდენად მიიღეს მიზნობრივი და კონკრეტული ზომა; გამოირიცხა თუ არა დისკრიმინაციული მოპყრობა; რესურსების განაწილების შესახებ დისკრეცია იყო თუ არა საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისი; რამდენად გამოიყენა სახელმწიფომ სოციალური უფლების მიმართ ნაკლებად შემზღვდავი ღონისძიება; დროითი ფარგლები; რამდენად გაითვალისწინეს მოწყვლადი ჯგუფების ინტერესები და მათ რამდენად მიერიჭათ პრიორიტეტი (იხ. An Evaluation of the Obligation to Take Steps to the „Maximum of Available Resources“ under an Optional Protocol to the Covenant, ICESCR, E/C.12/2007/1, para. 8 (10 May 2007). ევროპული კომიტეტის სტანდარტის მიხედვით, მაშინაც კი, როდესაც გამოსახლება შეესაბამება კანონს, ხელისუფლებაზ უნდა მიიღოს ზომები შესაბამისი პირების სხვა საცხოვრებელ ადგილას გადაყვანის ან ფინანსური დახმარების შესახებ (იხ. European Federation of National Organisations Working with the Homeless (FEANTSA) v. France, Complaint No. 39/2006, Decision on the Merits, ECSR, para. 88 (5 December 2007);

5.12. სააპელაციო სასამართლომ მხარეებს განუმარტა, რომ სსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებაზი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, მე-3 ნაწილის შესაბამისად კი, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად, უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ აპელანტმა დაამტკიცა საკუთარი სააპელაციო საჩივრის საფუძვლიანობა, ხოლო მოწინააღმდეგე მხარემ – ქონების სააგენტომ ვერ დაუმტკიცა სასამართლოს მოპასუხის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარყოფის შესახებ თავისი პოზიციის დასაბუთებლობა, რის გამოც აპელანტის მოთხოვნა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით, ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე დაგმაყოფილდა.

## 6. საკასაციო სამართალნარმოების ეტაპი

6.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-

თა პალატის 2022 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ (სადაც ქონების მესაკუთრემ), მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, საკასაციო საზივრის დაკმაყოფილების გზით, სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა, კერძოდ, მოპასუხის, როგორც არამართლზომიერი მფლობელის, სახელმწიფოს საკუთრებად რიცხვული უძრავი ნივთიდან გამოსახლება და ქონების თავისუფალ მდგომარეობაში გადაცემა;

6.2. მოსაჩელის საკასაციო საჩივარი რამდენიმე ძირითად არგუმენტს ეფუძნება, კერძოდ:

6.2.1. გასაჩივრებული გადაწყვეტილება ეყრდნობა საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო აქტების მიმოხილვას საცხოვრებლის უფლებასთან დაკავშირებით და იმ გარემოებებს, რომ მოპასუხებულია რეგისტრირებულია სახელმწიფოს კუთვნილ ფართში, რეგისტრირებულია კომუნალური გადასახადის გადამხდელად, სადაც ფართში გარკვეულ დროს მოწყობილი ჰქონდა სახელმწიფოს, სადაც სამეჩარმეო საქმიანობას ეწეოდა, რაც მისი შემოსავლის წყაროს ნარმოადგენდა, რაც სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მოპასუხება მართლზომიერ მფლობელად აქცევს. ეს მსჯელობა და დასკვნა არ გამომდინარეობს კანონიდან და დაუსაბუთებელია;

6.2.2. კასატორის მოსაზრებით გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა, ნინაალმდეგობრივ მსჯელობებს შეიცავს. კასატორი უთითებს „სოციალური დახმარების შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „შ“ ქვეპუნქტზე, რომლის მიხედვით უსახლკარო პირად მიიჩნევა მუდმივი, განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილის არმქონები პირი, რომელიც მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია, როგორც უსახლკარო. ამდენად, უსახლკარო პირის სტატუსის განმარტების დროს კანონი კუმულაციური პირობების თანხვედრას ეყრდნობა: პირი უნდა იყოს მუდმივი განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილის არმქონება და იმავდროულად მუნიციპალიტეტში უნდა იყოს რეგისტრირებული. სხვაგვარად არ შეიძლება ნებისმიერ პირის უსახლკაროდ მიჩნევა და მისი მოწყვლადი ჯგუფებისადმი მიკუთვნება. მოპასუხებული კანონის მე-17 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი სამსახური – სოციალური მომსახურების სააგენტო ანარმოებს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ უსახლკარო პირთა ერთიან რეესტრს, ხოლო ქ. თბილისის საკრებულოს №28-116 დადგენილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფარი ფართით უზრუნველ-

ყოფის წესის დამტკიცების „შესახებ“ განსაზღვრავს უსახლკაროდ რეგისტრაციის კრიტერიუმებს, პროცედურებსა და თავშესაფარი ფართით დაკმაყოფილების პირობებს;

6.2.3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გამგეობის მიერ ხორციელდება ქ. თბილისში, დანგრეული და საცხოვრებლად გამოუსადეგარი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის პროგრამა, ასევე ფუნქციონირებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით უზრუნველყოფის კომისია, რის შესაბამისადაც, კანონით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისას, საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების საჭიროების მქონე ადამიანთა საცხოვრებლით დაკმაყოფილება ხორციელდება კანონით განსაზღვრული პროცედურების გავლით. აქედან გამომდინარე, სოციალურად დაუცველი პირების არსებობის და მათ მიერ შესაბამისი მიმართვის შემთხვევაში, მოქალაქეთა განცხადებები განიხილება მერიის ზემოხსენებული წესისა და პროგრამის საფუძველზე. სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოყენებული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, მათ მონაწილე სახელმწიფოებს (მთავრობებს) ავალდებულებებს, დაიცვან ადამიანის ძირითადი უფლებები და ვალდებულებები, რომელთა შორისაა ლირსეული საცხოვრებლის უფლება, მათ მიერ სათანადო გადაწყვეტილების მიღების გზით კანონმდებლობის საფუძველზე. სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, ყველა ლონე იხმაროს მოწყვლადი ჯგუფების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად, ზოგადი ხასიათისაა, რადგან სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სწორედ მის მიერვე მითითებული საერთაშორისო აქტების შესასრულებლად უშუალოდ მოქმედი საქართველო კანონმდებლობა, რომელიც კონკრეტულ პირთა უფლებებს იცავს;

6.2.4. კასატორს მიაჩინია, რომ სააპელაციო სასამართლო, როგორც საასამართლო ხელისუფლება, თავისი გადაწყვეტილებით გასცდა საქართველოს კონსტიტუციით ხელისუფლების შტოების გამიჯვნის შედეგად თითოეულისათვის მინიჭებულ ფუნქციებს და მართლმსაჯულების განხორციელების ნაცვლად, იტვირთა სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრის ფუნქცია, რაც უშაუალოდ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების კომპეტენციას განეკუთვნება;

6.2.5. მოსარჩელე ქონების სააგენტოს ვალდებულებას არ წარმოადგენს მოპასუხის ალტერნატიული საცხოვრებელი ადგილის შესახებ ფაქტების მოძიება, მტკიცება და სასამართლოში წარდგენა. სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ მოპასუხე არის უსახლკა-

რო, სხვა ალტერნატიული საცხოვრებელი არ გააჩნია, იძულებულია თავი შეკაფაროს სადაც ფართს რომელშიც სამსახურის ნებართვით იქნა შესახლებული და ათეული წლებია სარგებლობს, მოპასუხე რეგისტრირებულია ამ მისამართზე და იხდის კომუნალურ გადასახადს, ამავე ფართში მას მოწყობილი ჰქონდა ავტოსახელოსნოც, რომელიც მისი შემოსავლის ერთადერთ წყაროს წარმოდგენდა, რაც მოპასუხის მიერ სადაც ფართის მართლზომიერ მფლობელობას ადასტურებს, არ უნდა იქნეს გაზიარებული. კასატორი უთითებს სსკ-ის 170.1 და 172.1 მუხლებზე (ნორმათა დეფინიცია იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 3.4-3.5 ქვეპუნქტები), ასევე – სავინდიკაციო სარჩელებთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლოს პრაქტიკაზე (იხ. სუსგ-ები: №ას-1043-1004-2016, 12.12.2016; №ას-901-867-2016; №ას-3-3-206, 09.03.2016. №ას-1082-1039-2016, 14.02.2017; №ას-292-276-207, 31.03.2017; №ას-358-334-2017, 13.04.2017.) და აღნიშნავს, რომ არ ეთანხმება გასაჩივრებული გადაწყვეტილების მითითებას მე-8 მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის მიხედვით „სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი“. კასატორს მიაჩნია, რომ უფლების ბოროტად გამოყენებისათვის გამოვლენილი უნდა იყოს მართლზომიერად მოპოვებული უფლებების კონკურენცია, მოცემულ შემთხვევაში კი გამოკვეთილია, ერთი მხრივ, მოსარჩელის (კასატორის) საკუთრების უფლება და, მეორე მხრივ, მოპასუხის არამართლზომიერი მფლობელობა, შესაბამისად ეს უკანასკნელი ვერ იქნება დაცული საკუთრების უფლების საწინააღმდეგოდ.

6.3. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 8 ივლისის განჩინებით ქონების სააგენტოს საკასაციო საჩივარი ცნობილი იქნა დასაშვებად არსებითად განხილვის მიზნით სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, კერძოდ, „საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას“.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზების, მხარეთა ახსნა-განმარტებების შეფასების, მოსარჩელის საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის არსებითად განხილვის გზით შემოწმების შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ საკასაციო განაცხადი დასაბუთებულია და სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

7. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასა-

მართლო გადაწყვეტილებას ამონტებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშეგები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩევეს დასაბუთებული საკასაციო შედავება აქვს წარმოდგენილი, ამასთან, საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სავსებით საკმარისია სადაც სამართალურთიერთობის შეფასებისათვის, არ ქმნის საქმის ხელახლა განსახილველად (ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად ან სხვა მტკიცებულებების ხელახლა გამოსაკვლევად) ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნების სსსკ-ის 412-ე მუხლით გათვალისწინებულ პროცესუალურ საფუძველს და, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, შესაძლებელია ახალი გადაწყვეტილების მიღება საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე.

8. სასამართლოსათვის ამოსავალია ის კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. სწორედ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები განსაზღვრავენ მისი მოთხოვნის შინაარსს. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. სარჩელის ინდივიდუალიზაცია სარჩელის ელემენტების მეშვეობითაა შესაძლებელი. სსსკ-ის მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე მუხლების ანალიზით შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისგან. სარჩელის საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). მოსარჩელის სტადიის შემდეგ, სასამართლომ უნდა შეამოწმოს მოპასუხის სტადია, რაც მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების პასუხად შესაგებელში შედაგებული გარემოებების კვალიფიციურობაზეა დამოკიდებული. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის დიდი პალა-

ტის გადაწყვეტილებაში (საქმეზე №ას-664-635-2016; პუნქტი 201) მითითებულია: „2007 წლის 28 დეკემბერს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარდგენა სავალდებულო ხასიათს ატარებს (საქართველოს 28.12.2007წ.-ის კანონი №5669-სამ), რაც იმაში გამოიხატება, რომ აღნიშნული საპროცესო ვალდებულების შეუსრულებლობა მხარისათვის უარყოფით საპროცესოსამართლებრივ შედეგებს იწვევს. კერძოდ, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ითვლება შეუდავებლად და, შესაბამისად, დამტკიცებულად. სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული შესაგებლის წარუდგენლობის ფაქტი თავისთავად განსაზღვრავს მტკიცების საგანს, რადგანაც მოსარჩელე თავისუფლდება სარჩელში მითითებული ფაქტების მტკიცებისაგან. აღნიშნული გარემოება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობაცაა. საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია მოპასუხის მიერ კონკრეტული შესაგებლის წარდგენის ვალდებულება, კერძოდ, სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, დგინდება, რომ მოპასუხე უნდა შეედავოს მოსარჩელის გამართულ, დასაბუთებულ მოთხოვნას ანუ დავის გადაწყვეტისათვის სამართლებრივად მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები (და არა მისი სამართლებრივი შეხედულებები) დამტკიცებულად ითვლება“.

9. საკასაციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში/განჩინებაში უთითებს, რომ ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა სასამართლოში, დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. სწორედ მტკიცების ტვირთსა და მის სწორ განაწილებაზეა დამოკიდებული დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილების მიღება.

10. სსსკ-ის მე-3 მუხლის მიხედვით, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დამთავრონ. მოსარჩელეს

შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული შესაგებლები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

11. მტკიცების ტვირთს აწესრიგებს სსს-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხებ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება. მტკიცების ტვირთი არის სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორედ გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა სათანადოდ არ (ვერ) შეასრულა. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაუზონდუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს. მტკიცების ტვირთი დამოკიდებულია არა მხარის როლზე პროცესში, არამედ მოთხოვნის საფუძველზე. ის ვინც ითხოვს ვალდებულების შესრულებას, უნდა დაამტკიცოს მოთხოვნის საფუძვლის არსებობა არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ითხოვს თავისი მოთხოვნის შესრულებას, ან აღიარებას, არამედ მაშინაც, როდესაც იგი თავს იცავს მოწინააღმდეგ მხარის ნეგატიური აღიარებითი სარჩელისაგან (მოთხოვნისაგან). მტკიცების ტვირთისაგან უნდა გაიმიჯნოს ფაქტების მითითების ტვირთი, როგორც მხარის ფაკულტატური მოვალეობა. მხარეები სსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად სრულიად თავისუფალი არიან მიუთითონ ნებისმიერ ფაქტზე. ეს მათი უფლებაა, მაგრამ მათ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, ე.ი. იმის დადგენა და გარკვევა, თუ რამდენად ასაბუთებენ ეს ფაქტები იურიდიულად მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს – ეს უკევ სასამართლოს პრეროგატივაა. ამასთან, საკმარისი არ არის, რომ მხარემ ზოგადად გამოთქვას მოსაზრება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარე-

მოებაზე, მაგალითად, განაცხადოს, რომ იგი მთლიანად უარყოფს მეორე მხარის მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები კონკრეტულად და დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს და ეხებოდეს საქმის გადაწყვეტისათვის მინიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას. მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები უნდა იყოს დასაბუთებული და ეხებოდეს იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს დავასთან. მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხებ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს (იხ. ჰაინ ბიოლინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, თბ., 2003, გვ.64) – შეად. სუსგ-ებს №ას-1298-2018; 22.03.2019წ; №ას-1329-2018, 22.02.2019წ; №ას-1610-2019, 07.02.2020წ; №ას-804-2019, 19.03.2021წ; №ას-1133-2019, 30.07.2021წ; №ას-754-2021, 02.12.2021წ; №ას-1677-2018, 5.07.2022წ; №ას-309-2022. 7.07.2022წ; №ას- 471-2022, 08.07.2022წ; №ას-582-2022, 16.09.2022წ.).

12. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 170.1, 172.1, 168-ე მუხლები (წორმათა დეფინიცია იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 3.4-3.6 ქვეპუნქტებში). მოცემულ შემთხვევაში სადაც კონების მესაკუთრეა სახელმწიფო, ხოლო სსკ-ის 8.2 მუხლის თანახმად, „სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების კერძოსამართლებრივი ურთიერთობები სხვა პირებთან ასევე წესრიგდება სამოქალაქო კანონებით, თუკი ეს ურთიერთობები, სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, არ უნდა მოწესრიგდეს საჯარო სამართლით“. ამავე კოდექსის პირველი მუხლით კი განსაზღვრულია, რომ „ეს კოდექსი ანესრიგებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს“. მოსარჩელის მიერ მითითებულ ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები, სავსებით იძლევა მისი სავინდიკაციო მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას. ამიტომ, საკასაციო სასამართლოს შესაფასებელია, თუ რა ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები დაუპირისპირა მოპასუხებ მის წინააღმდეგ აღძრულ სარჩელს, რომლითად დამტკიცდებოდა მოპასუხის მართლზომიერი მფლობელობა. ამ კუთხით, უპირველეს ყოვლისა, საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს, მოპასუხის შესაგებელზე, სადაც მითითებულია, რომ სარჩელი მორალური თვალსაზრისით არის გაუმართლებელი, მოპასუხე 90-იანი წლებიდან სარგებლობდა სა-

დავო ქონებით და მისთვის უცნობი იყო ამ ქონების მესაკუთრედ სახელმწიფოს არსებობა, რადგან მოპასუხებ მრავალი წლის წინ დაიწყო ამ ქონების გამოყენება. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოპასუხის ეს მარტივი შედავება, გარდა იმისა, რომ ვერ გამორიცხავს სასარჩელო მოთხოვნის კანონიერებასა და დასაბუთებულობას, სულ მცირე, იმის დამადასტურებელია, რომ მოპასუხე ნლებია არამართლზომიერად სარგებლობდა სხვისი ქონებით და, მიუხედავად იმისა, იცოდა თუ არა, რომ სახელმწიფო იყო ქონების მესაკუთრე, დანამდვილებით იცოდა, რომ ქონება მისი არ იყო.

13. საკასაციო სასამართლო სსკ-ის მეორე მუხლის პირველ ნაწილს მოიხმობს, რომლის თანახმად „სამოქალაქო კოდექსი, კერძო სამართლის სხვა კანონები და მათი განმარტებები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციას“, ხოლო ამავე კოდექსის მეოთხე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „სასამართლოს არა აქვთ უფლება უარი თქვას კანონის გამოყენებაზე იმ მოტივით, რომ მას კანონის ნორმა უსამართლოდ ან არაზნეობრივად მიაჩნია“. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის (2010 წლის 21 ივნისი. №3512 – რს) მე-2 მუხლის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე განმარტებულია უძრავი ქონება, როგორც სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე არსებული შენობა-ნაგებობით (მშენებარე, აშენებული ან დანგრეული) ან მის გარეშე, შენობა-ნაგებობის ერთეული (მშენებარე, აშენებული ან დანგრეული), ხაზობრივი ნაგებობა, მიწაზე არსებული მრავალნიანი ნარგავები (10.12.2010 №3963 ამოქმედდა 2011 წლის 1 იანვრიდან). დადგენილია, რომ სადავო ქონება, რომელიც სახელმწიფო საკუთრებად ირიცხება არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთია მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით. მითითებული კანონის 36-ე მუხლი განსაზღვრავს ფიზიკური პირისა და კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო ქონების სარგებლობაში გადაცემის წესს, კერძოდ, პირველი ნაწილის მიხედვით „ფიზიკურ პირს ან კერძო სამართლის იურიდიულ პირს სახელმწიფო ქონებას სასყიდლით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის ფორმებით, აუქციონის საფუძველზე, ქონების მმართველის თანხმობით, გადასცემს ის სახელმწიფო ორგანო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ორგანო, მუნიციპალიტეტი ან საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც ეს ქონება სარგებლობაში აქვს გადაცემული ან ბალანსზე ერიცხება. თუ სახელმწიფო ქონება არ არის სარგებლობაში გადაცემული, მას ფიზიკურ პირს ან კერძო სამართლის იურიდიულ პირს სარგებლობაში გადასცემს ქონების მმართველი დადგენილი წესით.

(15.07.2020. №6896 ამოქმედდეს 2020 წლის 9 სექტემბრიდან), ხოლო ამავე კანონის 1<sup>3</sup> პუნქტის თანახმად, „სახელმწიფო ქონებით მოსარგებლე, რომელსაც არ აქვს ამ ქონებით მართლზომიერად სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი და რომელიც ქონებას სამეწარმეო საქმიანობისათვის (კომერციული მიზნით) იყენებს, ვალდებულია, ქონების მმართველის წერილობითი მოთხოვნის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხდოს სარგებლობაში გადაცემის საფასური, საპაზრო ღირებულების შესაბამისად (საექსპერტო/აუდიტორული დასკვნის საფუძველზე), საჯარო რეესტრში სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაციის მომენტიდან სარგებლობის მთელი პერიოდისათვის“ (11.12.2014. №2878). მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებულ გარემოებას და თანდართულ მტკიცებულებებს იმის თაობაზე, რომ მოპასუხე არამართლზომიერად სარგებლობს სადავო უძრავი ქონებით და მას სამეწარმეო მიზნებისათვის იყენებს, რაც დასტურდება 2018 წლის 28 მარტის აქტითა და ფოტომასალით მოპასუხე არ შედავებია, მისი პრეტენზია შესაგებელში მხოლოდ იმას ეხება, რომ სარჩელი მორალურად გაუმართლებელია (იხ. მე-13 პუნქტი) და უკანონოდ გამოყენებული ქონების ქირის საფასური, რომელიც სისი სამსარაულის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზამ განსაზღვრა არადამაჯერებელია, რადგან საკითხი ორი მხარის-მეიჯარისა და მოიჯარის შეთანხმებას ეხება;

14. საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას გაამახვილებს იმაზე, რომ 2018 წლის 13 აპრილის №7/2015 წერილით მოპასუხეს ეცნობა, რომ ის არამართლზომიერად სარგებლობს სახელმწიფოს კუთვნილი ქონებით და მას სამეწარმეო საქმიანობისათვის იყენებს, რის გამოც, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის 1<sup>3</sup> მუხლზე (იხ. მე-14 პუნქტი) მითითებით, მას მოეთხოვა არამართლზომიერი სარგებლობის გამო, მთელი პერიოდისათვის, სამეწარმეო საქმიანობისათვის გამოყენებული ქონების საფასურის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტში; ანალოგიური შინაარსის წერილი №7/28774 მოპასუხეს, როგორც სახელმწიფო ქონების არამართლზომიერ მფლობელს, 2018 წლის 22 მაისსაც გაეგზავნა. ალსანიშნავია, რომ საქმის მასალებში მოთავსებულია 2020 წლის 26 ივნისის აქტი, სადაც აღნიშნულია, რომ უკანონო მფლობელის მიმართ გატარებული ღონისძიებების მიუხედავად კვლავ ფიქსირდება სახელმწიფო ქონების სამეწარმეო მიზნებისათვის არამართლზომიერ სარგებლობა. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით „ფიზიკური პირისა და კერძო სამართლის იურიდიული პი-

რისათვის სახელმწიფო ქონების სასყიდლით ან უსასყიდლოდ, აუქტიონის გარეშე გადაცემა, გარდა უძრავ ნივთზე სერვიტუტის უფლების დადგენისა და ამ მუხლის 24-ე პუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა, შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ საქართველოს მთავრობის თანხმობით. (05.02.2020. №5705)“.

15. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გამახვილებს საქმის მასალებში მოთავსებულ მტკიცებულებებზე, რომელთა შორისაა მოპასუხის მიმართვების პასუხად 2014 წლის 25 სექტემბრის №6/35670, 2014 წლის 20 ოქტომბრის №6/39304, 2018 წლის 20 აპრილის №6/22181, 2018 წლის 25 მაისის №6/29621 წერილები, რომლებშიც მოპასუხეს არაერთხელ განემარტა, რომ მისი მოთხოვნა იჯარით აიღოს უძრავი ქონება და ისარგებლოს მისით, განხილული იქნებოდა შესაბამისი განცხადებისა და დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში, ელექტრონული აუქტიონის ფორმით. ამასთანავე განმცხადებელს (მოპასუხეს) განემარტა, რომ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ეს წერილები არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ დაპირებას და არ წარმომობდა აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვალდებულებას; სადაც კონების მოპასუხის მიერ მართლზომიერ მფლობელობასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასების საწინააღმდეგოდ, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოპასუხე არ წარმოადგენს მართლზომიერ მფლობელს. მოპასუხე ზემოხსენებული წერილებით სახელმწიფოსაგან ითხოვდა არა საცხოვრისის გამოყოფას იმ მოტივით, რომ უსახლეაროა და თავშესაფარი არ გააჩნია, არამედ – სადაც კონების მისთვის იჯარით გადაცემას, 2018 წლის 14 მაისს რეგისტრირებული განცხადებით კი მოპასუხემ მოითხოვა სადაც კონების შეძენა.

16. საკასაციო სასამართლო მხარეთა მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებისა და წარდგენილი მტკიცებულებების ფარგლებში უფლებამოსილია, საქმეზე დადგენილ გარემოებებს მისცეს სამართლებრივი შეფასება. შესაბამისად, ზემოხსენებულ მტკიცებულებებზე მითითება არ წარმოადგენს ახალი ფაქტობრივი გარემოებების დადგენას, რადგან სსკ-ის 170.1, 172.1 და 168-ე მუხლების წინაპირობები განხორციელებულია, ხოლო, მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, შესაფასებელია, რამდენად არის გასაზიარებელი სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა და დასკვნა, რომ მოპასუხე, როგორც უსახლეარო, სოციალურად დაუცველი პირი, რომელიც წლებია სარგებლობს სადაც უძრავი ქონებით, სადაც რეგისტრირებულია არა როგორც მესაკუთრე ან მფლობელი, არამედ ფაქტობრივად მცხოვრები პირი, იხდის კომუნალურ გადასახადებს, სხვა საცხოვრებელი არ გააჩნია

და განეკუთვნება მოწყვლად ჯგუფს, სახელმწიფოს სოციალური პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, მიჩნეული უნდა იქნეს მართლზომიერ მფლობელად. საკასაციო სასამართლოს განსჯით, მოცემულ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გაზიარებული გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობა და დასკვნები, რადგან სახელმწიფოს კონსტიტუციური ვალდებულება და სოციალური სახელმწიფოს როლის გამოვლენა არ უნდა განიმარტოს იმგვარად ფართოდ, რომ შესაძლებელი გახდეს თვითხებური ქმედებების – ამ შემთხვევაში სხვისი ქონების დაკავებისა და სარგებლობის (მოცემულ საქმეზე – სამეწარმეო საქმიანობისათვის გამოყენება) – „არაპირდაპირი“ წახალისება. საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასება, ქმნის დასაბუთებული დასკვნის საფუძველს, რომ მოპასუხე, რომელმაც იცის, რომ სხვისი ქონების არამართლზომიერი მფლობელია, ცდილობდა სადაცო მინის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობების დაკანონებას ქონების ეროვნული სააგენტოსადმი მიმართვის გზით (ამ მიმართებითაც არა მხოლოდ დაუსაბუთებელია მისი წერილობითი შესაგებელი, არამედ ფაქტობრივად წინააღმდეგობრივია მოპასუხის მარტივი შედავება და მის მიერვე წარდგენილი მტკიცებულებები, ისევე როგორც უპასუხოდ, შეუდავებლად დატოვებული სასარჩელო გარემოებები და სარჩელზე თანდართული მტკიცებულებები). წინამდებარე გადაწყვეტილების მე-16 პუნქტში მითითებული წერილების მიხედვით მოპასუხეს ეცნობა, რომ სადაცო ქონება დაკავებული აქვთ ფაქტობრივ მოსარგებლებს, რომელთაც სააგენტოში წარდგენილი არ აქვთ უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები, სააგენტოს კი თავისი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიზანშეწონილად არ მიაჩინა ამ ქონების პრივატიზება. უძრავ ქონებაზე ფაქტობრივ მოსარგებლებთა მიერ სარგებლობის შეწყვეტის შემთხვევაში, სააგენტო მზად არის განიხილოს მოპასუხის დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების საკითხი. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ეს წერილები არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ დაპირებას და არ წარმოშობდა აღმჭურველი აღმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვალდებულებას. ამდენად, მოპასუხეს არ ამონურვია კანონით დადგენილი წესით სადაცო ქონებაზე სარგებლობის თუ სხვა უფლების მოპოვების საკითხი, თუმცა ეს მას მართლზომიერი მფლობელის სტატუსს არ ანიჭებს. მოპასუხის არგუმენტი, რომ ის სამსახურის მიერ არის შესახლებული სადაცო ფართში სააპელაციო საჩივარში არის მითითებული და არა წერილობით წარდგენილ შესაგებელში, დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრიცესუალურსამართლებრივი პრინციპების მიხედვით მხარეთა პოზიციების შეფასებისას, რაც შესაბამის საპროცესო ეტაპ-

ზე უნდა ყოფილიყო წარდგენილი. თუმცა ეს მოპასუხის სასარგებლოდ სამართლებრივად მაინც არ ცვლის სურათს და მართლზომიერ მფლობელად არ აქცევს, რადგან არ არსებობს მისი მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება (დოკუმენტი). მოპასუხეს, როგორც უკანონო მფლობელს, არაერთხელ წერილობით მოეთხოვა დაკავებული ქონების გათავისუფლება, სადაც სამენარმეო საქმიანობას ახორციელებდა და მის მიერ სააგენტოში წარდგენილი განცხადებებიც იმას ადასტურებს, რომ ის სახელმწიფოს ქონებას ფლობს და მის დაკანონებას მოიხსოვს ხან ქონების იჯარით გადაცემის, ხან ქონების შეძენის გზით, რაზედაც უფლებამოსილი ორგანოებისაგან მიღებული აქვს წერილობითი პასუხები (იხ. 14-16 პუნქტები).

17. საკასასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას, რომელშიც რამდენიმე სამართლებრივი კონსტრუქციის საფუძველზეა განხილული მოპასუხის მფლობელობის მართლზომიერება, თუმცა, საკასასაციო სასამართლოს შეფასებით არც ერთი სამართლებრივი საფუძველი არ არის გამოვლენილი. პირის უსახლკაროდ მიჩნევის ფაქტობრივ-სამართლებრივი პირობები, წესი და პროცედურა განსაზღვრულია საერთაშორისო და ეროვნული საკანონმდებლო და კანონქვემდებარენორმატული აქტებით. საკასასაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2015 წლის 27 ნოემბრის №28-116 დადგენილებით დაამტკიცა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფის წესი“, რომელიც განსაზღვრავს პირთა უსახლკაროდ რეგისტრაციის კრიტერიუმებს, პროცედურებს და თავშესაფარი ფართით დაკავყითების პირობებს, ხოლო მისი განხორციელების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა ქმნის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფის კომისიას“ (შემდგომში – კომისია) და ამტკიცებს მის დებულებას. აღნიშნული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანაბაზად, ფიზიკური პირი (შემდგომში – პირი) უსახლკაროდ დარეგისტრირდება, თუ ის აკმაყოფილებს ყველა შემდეგ კრიტერიუმს: ა) რეგისტრირებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე; ბ) არ აქვს საკუთრების, მართლზომიერი მფლობელობისა თუ სარგებლობის უფლება საცხოვრებელ სადგომზე ან სხვა ფართზე; გ) საკუთრებაში, მართლზომიერ მფლობელობაში ან სარგებლობაში არ აქვს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქონების გარდა სხვა უძრავი ქონება ან, როცა პირს ასეთი ქონება გააჩნია და იგი

ასაბუთებს, რომ აღნიშნული ქონება სხვა შემოსავლებთან ერთობ-ლიობაში არ არის საკმარისი საცხოვრებლითა და საარსებო მინი-მუმით უზრუნველყოფისათვის; დ) არ აქვს შემოსავალი, ან შემო-სავლის არსებობის შემთხვევაში, პირი ასაბუთებს, რომ აღნიშნუ-ლი შემოსავალი სხვა ქონებასთან ერთობლიობაში არ არის საკმა-რისი საცხოვრებლითა და საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფი-სათვის ან არსებული შემოსავალი არ აღემატება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლის მაცხოვრებელთა კომშენსაციის“ ქვეპროგრამის განხორ-ციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიცი-პალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №33-138 დად-გენილებით გათვალისწინებული საცხოვრებელი ფართის ქირავნო-ბის თანხისა და საარსებო მინიმუმის (განაცხადში მითითებული ოჯახის წევრიდან ორი და მეტი პირის შემთხვევაში საარსებო მი-ნიმუმის თანხების ჯამს) თანხის ერთობლიობას; ე) არ ფიქსირდე-ბა მის მიერ სახელმწიფო საზღვრის 3 ან მეტი გადაკვეთა ბოლო ერთი წლის განმავლობაში, გარდა ჯანმრთელობასთან დაკავშირე-ბული შემთხვევების გამო სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისა, რაც დასტურდება განმცხადებლის მიერ, შესაბამისი ცნობის წარ-მოდგენით. მე-3 მუხლის საფუძველზე, პირმა თავშესაფარი ფარ-თის მიღების მიზნით, უსახლკაროდ რეგისტრაციისთვის განცხა-დებით უნდა მიმართოს კომისიას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი განაცხადის ფორმით, რომელსაც თან უნდა ერთოდეს: ა) პირის პირადობის დამადასტურებელი დო-კუმენტის (მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა/ დაბადების მოწმობა ან პასპორტი) ასლი; ბ) შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სხვა) ასეთის არსებობის შემთხვევაში; გ) ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, რომელმაც შეიძლება დაადასტუროს უსახლკაროდ რეგისტრაციისთვის მოთხოვილი გარემოებების არსებობა ან/და განმცხადებლის მიერ მითითებული ინფორმაცია. ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულ განცხადებებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციასთან დაკავშირებით, განიხილავს კომისია ამ წესისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და იღებს ერთ-ერთ შემდეგ რეკომენდაციას: ა) უსახლკაროდ რეგისტრაციის თა-ობაზე; ბ) უსახლკაროდ რეგისტრაციაზე უარის თაობაზე. ბოლოს კი, პირის უსახლკაროდ რეგისტრაციაზე ან უსახლკაროდ რეგის-ტრაციაზე უარის თქმის თაობაზე, კომისიის რეკომენდაციის სა-ფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს ქალაქ თბილისის მუნიციპა-ლიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სა-

ქალაქი სამსახური (შემდგომში – სამსახური) – იხ. სუსგ №ბს-287(კ-20), 29.09.2022წ;

18. საკასაციო სასამართლო მიუთითებს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომელიც ანესრიგებს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვასთან, განკარგვასა და სარგებლობაში გადაცემისთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. დასახელებული კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ქონება არის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მოძრავი და უძრავი ნივთები, არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, ხოლო „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პრივატიზება არის ელექტრონული ან/და საჯარო აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის, კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვისა და უსასყიდლო გადაცემის ფორმებით, სავაჭრო ობიექტის, მესამე პირის მეშვეობით, აგრეთვე ნილების ან აქციების ან სერტიფიკატებით წარმოდგენილი აქციების პირდაპირ ან შუამავლის მეშვეობით, საჯარო ან კერძო შეთავაზებით, უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟაზე ან მოცულეულ დროს საქრთაშორისო კაბიტალის ბაზრებზე არსებული პრაქტიკის შესაბამისი შეთავაზების სხვაგვარი ფორმით ფიზიკური ან იურიდიული პირების ან მათი გაერთიანებების მიერ სახელმწიფო ქონებაზე საკუთრების უფლების შეძენა ამ კანონით დადგენილი წესით. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების ფორმებია: ა) აუქციონი; ბ) პირდაპირი მიყიდვა; გ.ა) პირდაპირი მიყიდვა; ბ.ბ) პირდაპირი მიყიდვა კონკურენტული შერჩევის საფუძველზე; გ) უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა (შეად. სუსგ №ბს-613(კ-19), 10.03.2022წ.). კანონმდებლობა განსაზღვრავს სახელმწიფო ქონების გასხვისების წესსა და პროცედურას.

19. საკასაციო სასამართლო არ განავითარებს მსჯელობას გაეროს კონვენციაზე „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ (იხ. 5.2 ქცვეპუნქტი), რადგან განსახილველ შემთხვევაში მოპასუხე არ წარმოადგენს იძულებით გადაადგილებულ პირს – დევნილს, რაც თავის მხრივ, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით არის მოწესრიგებული.

20. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ტერმინ „საცხოვრებელს“ აქვს ავტონომიური მნიშვნელობა. კერძოდ: ჩაითვლება თუ არა გარკვეული ადგილი „საცხოვრებლად“ კონვენციის მიზნებისათვის, უნდა განისაზღვროს კონკრეტული გარემოებების გულდასმით განხილვის შედეგად. ზოგადად, საცხოვრებელი განიმარტება როგორც ადგილი, სადაც ადამიანი მუდმივად ცხოვრობს, ან რომელთანაც ადამიანს აქვს

საკმარისი და უწყვეტი კაგშირი (იხ. პირადი და ოჯახური ცხოვ-რების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები / ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა/ ; 2017, ოქტომბერი; 181 – [https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/piradi-da-ojaxuri-exovrebis\\_pativisemis-upleba-da-saxelmwipo-valdebulebebi.pdf](https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/piradi-da-ojaxuri-exovrebis_pativisemis-upleba-da-saxelmwipo-valdebulebebi.pdf);

21. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სოციალური სახელმწიფოს როლისა და ვალდებულებების აბსტრაქტულად წარმოჩენა საერთაშორისო ნორმატიული აქტებისა და თუნდაც საუკეთესო სასამართლო პრაქტიკის (თუმცა ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული სტატუსის მქონე პირებთან მიმართებით) საფუძველზე და, აქედან გამომდინარე, განსახილველ საქმეზე მოპასუხის უსახლკაროდ მიჩნევა და სადაც ქონების მართლზომიერ მფლობელად განსაზღვრა დაუშვებელია. კანომდებლობა მკაფიოდ განსაზღვრავს ამა თუ იმ პირისათვის კონკრეტული სტატუსის მინიჭებისა წესა და პროცედურას. პირის მართლზომიერ მფლობელად მიჩნევა უნდა ემყარებოდეს ფაქტობრივ საფუძველს და სამართლებრივად ვარგის მტკიცებულებებს. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი არ შეიძლება განიმარტოს, როგორც პირის უფლების აღიარება, უზრუნველყოფილი იყოს საცხოვრისით (ჩეპმენი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Chapman v. the United Kingdom), განაცხადი იუ. 27138/95, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2001 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილების პუნქტი 99) ან როგორც პირის უფლება, იცხოვროს გარკვეულ ადგილას (გარიბი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Garib v. the Netherlands), განაცხადი იუ. 43494/09, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 141). კონვენციის მე-8 მუხლის ძალით სახელმწიფოზე დაკისრებულ პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებს შორის გამყოფი ზღვარი ხშირად როზული დასადგენია. შესატყვისა პრინციპები მსგავსაა. ორივე შემთხვევაში უნდა დამყარდეს სამართლიანი წონასაწირობა კონფლიქტურ ინტერესებს შორის. „შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა უნდა იყოს ცხადი, წინასწარგანჭვრეტადი და სათანადოდ ხელმისაწვდომი. პირს უნდა შეეძლოს კანონის შესაბამისად მოქმედება. აგრეთვე, ცხადად უნდა იყოს განსაზღვრული საჯარო ხელისუფლებისთვის მინიჭებული დისკრეციის ფარგლებში სათანადო ღონისძიების მიღება. შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა გონიერული სიცხადით უნდა მიუთითებდეს იმ ფარგლებსა და გზებზე, რომლითაც უნდა განხორციელდეს საჯარო ხელისუფლებისთვის

დელეგირებული დისკრეცია ისე, რომ პირები უზრუნველყოფილნი იყვნენ დაცვის მინიმალური ხარისხით, რომლის უფლებაც მათ აქვთ სამართლის უზენაესობაზე დამყარებულ დემოკრატიულ საზოგადოებაში. რაც შეეხება წინასწარგანჭვრეტადობას, ფრაზა „კანონის შესაბამისად“ ამ კონტექსტში გულისხმობს, inter alia, რომ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა საკმარისად განჭვრეტადი უნდა იყოს, რათა სათანადოდ მიანიშნოს ინდივიდებს იმ გარემოებებსა და პირობებზე, რომელთა დადგომის შემთხვევაშიც, ხელისუფლებას უფლება აქვს, გამოიყენოს უფლებათა შემზღვულები ღონისძიებები. ევროპული სასამართლო მოითხოვს, რომ პირებს უნდა შეეძლოთ, გონივრულად განჭვრიტონ, სულ მცირე, იურისტის რჩევით, რომ მათზე შეიძლება კანონის მოქმედება გავრცელდეს“ (იხ. საცხოვრისის უფლება /საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის მიმოხილვა/; ავტორი – ნანა მჭედლიძე; 2019; 38-39; რედაქტორი – ნინო კალატოზიშვილი).

22. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-14-მე-15 და მე-18-მე-19 პუნქტები მოხმობილი რეგულაციები სწორედ იმ წესებისა და პროცედურების განმსაზღვრელია, რომელიც კონკრეტული პირის უფლების დაცვისკენაა მიმართული. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სავინდიკაციო სარჩელის შემთხვევაში მოპასუხის არგუმენტი, რომ ის უსახლკაროა და არ აქვს სხვა საცხოვრისი, არ არის საკმარისი მტკიცებულება საიმისოდ, რომ შეაფერხოს სასარჩელო მოთხოვნის განხორციელება ან საერთოდ გამორიცხოს მისი დაკმაყოფილება (სხვა მრავალთა შორის იხ. ბოლოდროინდელი სასამართლო პრატიკა – სუსგ-ები: №ას-870-2021, 6.07.2022წ; №ას-509-2020, 31.07. 2022წ; №ას-1326-2021, 13.04.2022წ; №ას-5-2022, 28.03.2022წ; №ას-1377-2021, 23.03.2022წ.). სამოქალაქო სამართალში და სამოქალაქო საპროცესო სამართალში დადგენილი მხარეთა მტკიცების ტვირთის განაწილებისა და საქმეზე დადგენილი გარემოებების საფუძველზე, საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოცემულ საქმეზე განხორციელებულია სსკ-ის 170.1, 172.1 და 168-ე მუხლებით განსაზღვრული ყველა წინაპირობა, რასაც საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების გზით სარჩელის დაკმაყოფილება მოჰყვა შედეგად.

23. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების საფუძველზე სახელმწიფო ბაჟის გადახდა დაეკისრა მოპასუხეს (იხ. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტი).

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

## **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ფ ა:**

1. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალა-ქო საქმეთა პალატის 2022 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილება;
3. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. მოპასუხე ო. ი-ვის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდე-ბარე, ქ. თბილისში, ... (ქ. თბილისი, ...), საკადასტრო ... (შენობა-ნა-გებობა №1/1-ის 43.50 კვ.მ. და შენობა-ნაგებობა 02/1-ის 59.03 კვ.მ) და თავისუფალ მდგომარეობაში გადაეცეს სახელმწიფოს;
5. ო. ი-ვს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს სა-ხელმწიფო ბაჟის 210 ლარის გადახდა;
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 2. საკუთრება

### უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

#### გადაცევების საქართველოს სახელით

№ას-900-2018

08 თებერვალი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
თ. ზამბახიძე

**დავის საგანი:** უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

#### აღნერილობითი ნაწილი:

1. მ. პ-ი (შემდგომში – „მოსარჩევე“) საჯარო რეესტრში აღ-  
რიცხულია ქ. თბილისში, ... ქუჩა №... და №...-ში (ს.კ. ...) მდებარე  
მშენებარე კორპუსში, მინის ზედაპირიდან პირველ სართულზე, ქუ-  
ჩის მხარეს, 100 კვ.მ. ფართის (შემდგომში – „სადავო უძრავი ქონე-  
ბა“, „სადავო ქონება“ ან „სადავო ფართი“) მომავალ მესაკუთრედ.  
უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს წილის უფლების ნასყი-  
დობის ხელშეკრულება წარმოადგენს.

2. ი. .... 3/5"-ის (შემდგომში – „ამხანაგობა“) დაფუძნებისა და  
ურთიერთთანაბმრომლობის შესახებ ხელშეკრულების თანახმად,  
მ. ო-ს (შემდგომში – „პირველი მოპასუხე“ ან „პირველი კასატო-  
რი“), მის მიერ ამხანაგობაში განხორციელებული შენატანის საკომ-  
პენსაციოდ, ...ის ქუჩა №...-...-ში, ნულოვან (მინიდან პირველ) სარ-  
თულზე, „კარკასის“ სახით, 30.00 კვ.მ. საოფისე ფართი უნდა მიე-  
ღო, ხოლო მ. ჭ-ეს (შემდგომში – „მეორე მოპასუხე“), მის მიერ ნა-  
კისრი ვალდებულებების შესრულების შემდგომ, ამხანაგობისგან  
130 კვ.მ. საერთო ფართი უნდა გადასცემოდა, საიდანაც 30.00 კვ.მ.  
ნულოვან (მინიდან პირველ) სართულზე მდებარე საოფისე ფართი  
იქნებოდა, ხოლო 100.00 კვ.მ. მეხუთე სართულზე მდებარე ბინა.

3. მოსარჩევემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხეების  
მიმართ და მოითხოვა მათი უკანონო მფლობელობიდან სადავო უძ-  
რავი ქონების გამოთხოვა და მოსარჩელისათვის გამოთავისუფლე-  
ბულ მდგომარეობაში გადაცემა. მოსარჩელის განმარტებით, იგი  
აღრიცხულია აღნიშნული ქონების მომავალ მესაკუთრედ, თუმცა  
ის უკანონოდ, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე  
მოპასუხეებს აქვთ დაკავებული.

4. მოპასუხებმა სარჩელი არ ცნეს. მათი განმარტებით, მოსარჩელე არ წარმოადგენს იმ უძრავი ქონების მესაკუთრეს, რომლის გამოთხოვასაც ითხოვს. საოფისე ფართის მომავალ მესაკუთრეებად რეგისტრირებულები არიან მოპასუხები და აღნიშნული ფართი მათ მართლზომიერ მფლობელობაშია.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2017 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

6. მოსარჩელემ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე წარადგინა სააპელაციო საჩივარი. მან მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 06 მარტის ადგილზე თათბირით მიღებული განჩინებით მეორე მოპასუხის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა ზ. ბ. (შემდგომში – „მეორე მოპასუხის უფლებამონაცვლე“ ან „მეორე კასატორი“).

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 03 აპრილის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2017 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება და სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; დადგინდა პირველი მოპასუხისა და მეორე მოპასუხის უფლებამონაცვლის უკანონო მფლობელობიდან, სარჩელზე დართული ნახაზის მიხედვით (გამუქებული ნაწილიდან), ქუჩის მხარეს მდებარე 60 კვ.მ. ფართის (ს.კ. ...) გამოთხოვა, საიდანაც 30 კვ.მ.-ს ფლობს პირველი მოპასუხე და 30 კვ.მ.-ს მეორე მოპასუხის უფლებამონაცვლე და მოსარჩელისათვის მისი გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში გადაცემა.

9. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე გადაწყვეტილების 1-2 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

10. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, უფლების დამდგენი დოკუმენტით, კერძოდ, ამხანაგობის დაფუძნებისა და ურთიერთთანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებით მოპასუხეთათვის გადასაცემი ფართების მდებარეობა იდენტიფიცირებული არ ყოფილა, შესაბამისად, მათი მომავალი საკუთრების უფლება გადასაცემ ფართებზე ადგილმდებარეობის გარეშე დარეგისტრირდა.

11. სააპელაციო პალატის განმარტებით, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, მოსარჩელის ქონების მდებარეობა იდენ-

ტიფიცირებულია, კერძოდ, ამონანერში მითითებულია, რომ მ. მ-მა, როგორც „წილის უფლების გამყიდველმა“, მოსარჩელეს, როგორც „წილის უფლების მყიდველს“, მიჰყიდა მის კუთვნილ წილზე, სადაც ოართზე უფლება (მავი კარკასის მდგომარეობაში). მ. მ-მა ქონება მოსარჩელეს ისეთივე უფლებრივ მდგომარეობაში გადასცა, როგორ მდგომარეობაშიც იგი მის ხელში იყო. აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებას ადასტურებს განახლებული ამონანერი საჯარო რეესტრიდან. შესაბამისად, განსხვავებით მოპასუხებისგან, მოსარჩელის სამომავლო საკუთრების უფლება იდენტიფიცირებულია. ეს კი ნიშნავს, რომ ჯერ სადაც კონების უფლებრივმა წინამორბედმა, მ. მ-მა მოიპოვა იდენტიფიცირებულ ქონებაზე საკუთრების უფლება, ხოლო შემდგომ ეს უფლება გარიგების საფუძველზე მოსარჩელეს გადასცა. ამასთან, კონების იდენტიფიცირება ჯერ კიდევ ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „... 2002“-ის წევრთა 07.05.2007წ. საერთო კრების გადაწყვეტილებით მოხდა, რომლითაც სადაც ფართი იდენტიფიცირებული სახით მ. მ-ს გადაეცა და მის სახელზე საჯარო რეესტრში მომავალი საკუთრების უფლება დარეგისტრირდა. აღნიშნული კრების ოქმი და ნახაზი, რომლის მიხედვითაც სადაც ფართის იდენტიფიცირება მოხდა, საჯარო რეესტრშია დაცული; ნახაზი (მთლიანი ნახაზი) დამოწმებულია „... 2002“-ისა და ამხანაგობის ბეჭდით.

12. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულება იმასთან დაკავშირებით, რომ მათ-თვის გადაცემული ფართების მდებარეობა 2014 წლის 27 მარტს დაზუსტდა. სასამართლოს განმარტებით, წარდგენილი მტკიცებულების მთლიანობა და ავთენტურობა ეჭვს იწვევს, კერძოდ, მტკიცებულების გვერდები არ არის თანმიმდევრული, წარდგენილია სანოტარო მოქმედებების შესრულების ორი დოკუმენტი და ა. შ. თუმცა, სასამართლომ ეს გარემოება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 137-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონტექსტში არ შეამონმა, ვინაიდან, მისი მოსაზრებით, აღნიშნული მტკიცებულება მოპასუხეთა პოზიციის დასადასტურებლად მაინც არ გამოდგებოდა შემდეგ გარემოებათა გამო: თუნდაც, სასამართლოს დადასტურებულად მიეჩინია, რომ მოპასუხეთა კუთვნილი ფართების ადგილმდებარეობა 2014 წლის 27 მარტს დაზუსტდა, სასამართლოს მოსაზრებით, დაზუსტებულ ფართზე მომავალი საკუთრების უფლება მოპასუხებზე ადრე მოსარჩელემ მოიპოვა. ამასთან, მოპასუხები ამხანაგობის დამფუძნებელი წევრები არიან, შესაბამისად, მათ, შეკევეთებისგან განსხვავებით, რომლებსაც ამხანაგობასთან ნარდობის ხელშეკრულება აკავშირებთ, უფლება აქვთ, ნებისმიერ დროს მიიღონ გადაწყვეტილება ამხანაგობის კუთვნილი

ფართის ამხანაგობის წევრისთვის გადაცემის თაობაზე. შესაბამისად, თუ სასამართლო ამგვარ დაშვებას გააკეთებს, სახეზე იქნება ვითარება, როდესაც ამხანაგობა მესამე პირებზე გასხვისებულ ფართებს, რომლის მათვის გადაცემის სურვილიც არ ექნება, თავისივე ამხანაგობის წევრებს გაუნაწილებს, რითაც ამხანაგობის წევრთა არამართლზომიერი ქმედების ხელშეწყობა მოხდება.

13. სააპელაციო პალატის მითითებით, განსახილველ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ სადავო ფართზე საჯარო რეესტრში მომავალი საკუთრების უფლება მოსარჩელის სახელზე იყო რეგისტრირებული, ამხანაგობამ შიიღო გადაწყვეტილება მისი მოპასუხებისათვის გადანაწილების თაობაზე. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული ფაქტის მიმართ მოპასუხები კეთილსინდისიერები ვერ იქნებოდნენ, ვინაიდან იმავე ამხანაგობის დამფუძნებელი წევრები არიან. მათ 2008 წელს, ამხანაგობის სადამფუძნებლო დოკუმენტით, მდებარეობის თვალსაზრისით, არაიდენტიფიცირებადი ქონების საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნის უფლება შეიძინეს, ხოლო შემდეგ ფართების დაზუსტების ეტაპზე არ გამოიკვლიეს დაზუსტებული ფართი მომავალი საკუთრების უფლებით ამხანაგობასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ მესამე პირს ხომ არ ეკუთვნოდა, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ინფორმაცია საჯაროა, ხოლო მოსარჩელეს სადავო ფართზე მომავალი საუთრების უფლება იმთავითვე რეგისტრირებული ჰქონდა.

14. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერი ვერც სადავო ფართის შემძენი, მეორე მოპასუხის უფლებამონაცვლე იქნებოდა, რომელმაც მეორე მოპასუხისაგან სადავო ფართი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, 2017 წლის 04 ოქტომბერს შეიძინა. ამასთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ 2017 წლის 04 ოქტომბრის მდგომარეობით, ადგილმდებარეობის თვალსაზრისით, იდენტიფიცირებული ფართი მომავალი საკუთრების უფლებით მეორე მოპასუხის სახელზე რეგისტრირებული არ ყოფილა, არამედ საჯარო რეესტრის ამონანერის მიხედვით, სადავო ფართზე საჯარო რეესტრში მომავალი საკუთრების უფლება მოსარჩელის სახელზე იყო რეგისტრირებული. საჯარო რეესტრის ჩანანერს კი ამხანაგობის 2014 წლის 27 მარტის კრების ოქმი ვერ ჩანაცვლებს. აღნიშნული კრების ოქმის საფუძველზე მოპასუხებებს იდენტიფიცირებულ ფართებზე მომავალი საკუთრების უფლება არ დაურეგისტრირებით. შესაბამისად, მეორე მოპასუხის უფლებამონაცვლის კეთილსინდისიერებას საჯარო რეესტრის ჩანანერის უტყუარობის პრეზუმფცია ვერ დაიცავს.

15. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა მოპასუხეთა განმარტებაზე, რომლის თანახმად ამხანაგობა იმა „.... 2002“-ის სამართალმემკვიდრეს არ წარმოადგენს და ამ უკანასკნელის ვალ-დებულებებზე იგი პასუხისმგებელი ვერ იქნება. სასამართლოს განმარტებით, განსახილველი დავის ფარგლებში ამხანაგობისა და იმა „.... 2002“-ის უფლებრივი ურთიერთმიმართება განსხვავებულად ვერ შეფასდება, კერძოდ, სადავო ფართზე, რომელიც ამ ეტაპზე ამხანაგობას ეკუთვნის, საჯარო რეესტრის ჩანაწერის მიხედვით, მოსარჩელის მომავალი საკუთრების უფლება არის რეგისტრირებული, შესაბამისად, რეგისტრირებული უფლების კანონით დადგენილი წესით გაუქმებამდე მოქმედებს უტყუარობის პრეზუმუცია, რაც იმას ნიშანს, რომ სააპელაციო წესით საქმის განხილვის ეტაპზე ამხანაგობას გააჩნია ვალდებულება, რომ სადავო ფართზე საკუთრების უფლება მოსარჩელეს გადასცეს.

16. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ დადასტურებულად მიიჩნია, რომ სადავო ფართზე რეგისტრირებული მომავალი საკუთრების უფლება მ. მ-მა ჯერ კიდევ 2009 წლის 14 დეკემბერს მოიპოვა. რეგისტრირებული უფლება მან მოსარჩელეზე გაასხვისა. შესაბამისად, ამ უკანასკნელმა უფლებრივი წინამორბედისაგან მომავალი საკუთრების უფლება იდენტიფიცირებულ ფართზე შეიძინა. ამ ფაქტის მიმართ მოსარჩელე კეთილსინდისიერია და მის კეთილსინდისიერებას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის კონტექსტში, საჯარო რეესტრის ჩანაწერის უტყუარობის პრეზუმუცია უზრუნველყოფს. მოსარჩელემ მომავალი საკუთრების უფლების შეძენასთან ერთად ყველა ის უფლება მოიპოვა, რაც მესაკუთრეს გააჩნია. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ განმარტა, რომ მომავალი საკუთრების უფლების რეგისტრაცია ნიშანს იმას, რომ გამყიდველსა და მყიდველს შორის ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო. შესაბამისად, შემძენმა ქონება შეიძინა. გამყიდველმა შემძენზე საკუთრების უფლების გადაცემის ნება დააფიქსირა. საკუთრების უფლების სრული მოცულობით გადასვლისთვის კი დამაბკოლებელი გარემოება არა გამსხვისებლის ნება, არამედ მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში შეუსვლელობაა. ამდენად, მომავალ მესაკუთრეს შეძენილი ფართის მიმართ ყველა ის უფლება გააჩნია, რაც მესაკუთრეს, მათ შორის, აღნიშნული ფართის მართლზომიერი ფლობის უფლება.

17. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში, საჯარო რეესტრის ჩანაწერის მიხედვით, ფართის ნაწილი, რომელიც მოსარჩელემ მომავალი საკუთრების უფლებით შეიძინა, პირველი მოპასუხისა და მეორე მოპასუხის უფლებამონაც-

ვლის მფლობელობაშია, რომელთაც მისი ფლობის მართლზომიერი საფუძველი არ აქვთ. შესაბამისად, სასამართლომ მართლზომიერად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა ამ ფართის ვინდიცირების თაობაზე. მისი განმარტებით, აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების დამაბრკოლებელ გარემოებას არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სადაც ფართი მოსარჩელის სახელზე საკუთრების უფლებით არ არის რეგისტრირებული და მასზე მოსარჩელეს მხოლოდ მომავალი საკუთრების უფლება გააჩნია. ფართზე რეგისტრირებული მომავალი საკუთრების უფლება მომავალ მესაკუთრეს ამავე ფართის მართლზომიერი ფლობის უფლებას ანიჭებს, ვინაიდან უძრავი ქონების შემძენს ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, საკუთრების უფლების გადაცემის მოთხოვნის უფლება მოპოვებული აქვს. სხვაგვარი განმარტება წინააღმდეგობაში მოვა საკუთრების უფლების მოპოვების ვალდებულებითსამართლებრივ საფუძველთან, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე, 323-ე და 477-ე მუხლებთან.

18. სააპელაციო პალატის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელესთან მიმართებით სახეზე საკუთრების უფლების შეძენის ნამდვილობის ვალდებულებითსამართლებრივი საფუძველი და მესაკუთრის მხრიდან საკუთრების უფლების გადაცემის ნება რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში, შესაბამისად, საკუთრების უფლების შემძენს, როგორც უფლების მესაკუთრეს, ყველა ის უფლება გააჩნია მესამე პირებთან მიმართებით, რაც ქონების მესაკუთრეს, მათ შორის, ქონების მართლზომიერი ფლობის უფლება. აღნიშნულ შემთხვევაში კი ქონების ვინდიცირება დასაშვებია, თუმცა გამოსაყენებელი სამართლებრივი საფუძველი არის არა 172-ე მუხლი, არამედ 163-ე და 164-ე მუხლები.

19. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ პირები მოპასუხე და მეორე მოპასუხის უფლებამონაცვლე სადაც ქონების არამართლზომიერ მფლობელებს წარმოადგენენ და განმარტა, რომ მართლზომიერი ფლობის უფლების მქონე პირის მხრიდან ქონება არამართლზომიერი მფლობელისაგან ვინდიცირებას (გამოთხოვას) ექვემდებარება ყველა შემთხვევაში, მიუხედავად ქონების არამართლზომიერი მფლობელის კეთილსილდისიერი თუ არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულებისა ქონების ფლობის სამართლებრივი საფუძვლის მიმართ. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში მოპასუხებმა ვერ წარადგინეს იმის დამადასტურებელი სარწმუნო მტკიცებულება, რომ სადაც ფართი მათ მართლზომიერ მფლობელობაშია და სწორედ ამ ფართზე მოიპოვეს სამომავლო საკუთრების უფლება. შესაბამისად, მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მოპასუხებს ნამდვილად აქვთ მო-

პოვებული საკუთრების უფლება სადაც შენობის პირველ სართულზე ჯამში 60 კვ.მ.-ზე, იმ პირის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი ვერ გახდება, რომელიც მისი საკუთრების მდებარეობას და ამ საკუთრების მოპასუხეთა მიერ არამართლზომიერი ფლობის ფაქტს სარწმუნო მტკიცებულებით ადასტურებს.

20. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამქალაქო კოდექსის 183-ე, 311-ე-312-ე მუხლებით და დამატებით განმარტა, რომ დავის სააპელაციო სასამართლოში განხილვის ეტაპზე სადაც უძრავ ქონებაზე საჯარო რეესტრის ჩანაწერი მოსარჩელის სამომავლო საკუთრების უფლების შესახებ არ გაუქმებულა და არც ადმინისტრაციულ თუ სხვა სახის წარმოებას პქონია ადგილი, რაც საჯარო რეესტრის ჩანაწერის უტყუარობის პრეზუმაციას ეჭვქვეშ დაყენებდა.

21. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე პირველმა მოპასუხემ წარადგინა საკასაციო საჩივარი. მან მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

22. პირველმა კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:

22.1. გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეში არსებული მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვა-შეფასების გარეშე;

22.2. სასამართლომ არასწორი ინტერპრეტაცია მისცა საქმეში არსებულ უმთავრეს მტკიცებულებას – საჯარო რეესტრის ჩანაწერს, გასცდა საჯარო რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმაციას და დადგენილად მიიჩნია სადაც ქონების ის ადგილმდებარეობა, რომლის მაიდნტიფიცირებელი მონაცემებიც საჯარო რეესტრის ჩანაწერში დაფიქსირებული არ არის. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ სადაც უძრავი ქონება არასწორად მიიჩნია იდენტიფიცირებულად;

22.3. სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე, 311-ე-312-ე მუხლები. ამასთან, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლი, რომელიც სადაც ურთიერთობას აწესრიგებს;

22.4. სინამდვილეს არ შეესაბამება სასამართლოს მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ სადაც უძრავი ქონების უფლებრივ წინამორბედს, მ. მ-ს მოპოვებული პქონდა აღნიშნულ იდენტიფიცირებულ ქონებაზე საკუთრების უფლება, რომელიც შემდგომ ნას-

ყიდობის ხელშეკრულებით მოსარჩელეს გადასცა. სასამართლოს ეს მჯელობა არ გამომდინარეობს საჯარო რეესტრის იმ ჩანაწერიდან, რომელსაც იგი დაეყრდნო. საქმეში არსებული მტკიცებულებებით სანინააღმდეგო დასტურდება. კერძოდ, 14.12.2009წ. წილის უფლების ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, ფ. გ-მა მ. მ-ს მიჰყიდა მის კუთვნილ წილზე, სადაც ფართზე უფლება; ხოლო, 21.08.2015წ. წილის უფლების ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად კი, ამ უკანასკნელმა სადაც ფართზე უფლება მოსარჩელეს გადასცა. აღნიშნული ხელშეკრულებებითა და საჯარო რეესტრის ჩანაწერებით სადაც ფართის ადგილმდებარეობა არ არის განსაზღვრული, ხოლო საჯარო რეესტრის ჩანაწერში არსებული მითითება – „ქუჩის მხარეს“ არ იძლევა სადაც ფართის იდენტიფიცირებულად მიჩნევის საფუძველს. სასამართლომ არ შეაფასა საქმეში არსებული სხვა მნიშვნელოვანი მტკიცებულებები, საიდანაც ირკვევა, რომ რეალურად ქუჩის მხარეს განთავსებულია არა 100 კვ.მ., არამედ 185 კვ.მ. ფართი. ამასთან, სასამართლომ არ იმსჯელა იმ საკითხზე, ქუჩის მხარეს კონკრეტულად სად არის განთავსებული სადაც ფართი – სადარბაზოდან მარჯვენა თუ მარცხენა მხარეს. შესაბამისად, გაურკვეველია რის საფუძველზე მიიჩნია, რომ პირველ სართულზე ქუჩის მარცხენა მხარეს განთავსებული 100 კვ.მ. ფართი ეკუთვნის მოსარჩელეს. მისი კუთვნილი ფართის მდებარეობა არ ემთხვევა იმ ფართების მდებარეობას, რომელსაც ფლობენ ამხანაგობის დამფუძნებელი წევრები. შესაბამისად, სასამართლომ ფართის არასწორი იდენტიფიცირებით უკანონოდ მოახდინა კანონიერი მესაკუთრების დაკავებული ფართებიდან გამოსახლება;

22.5. გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ სადაც უძრავი ქონების იდენტიფიცირება განხორციელდა ამხანაგობა „... 2002“-ის წევრთა 07.05.2007წ. გადაწყვეტილებით. ამასთან, აღნიშნული კრების ოქმით სადაც უძრავი ქონება არათუ გადაეცა მ. მ-ს, არამედ მის სახელზე დარეგისტრირდა საჯარო რეესტრი. აღნიშნული მსჯელობა ენინააღმდეგება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში განვითარებულ მსჯელობას, რომლის თანახმად, სადაც კონება მ. მ-ს გადაეცა და დაურეგისტრირდა 14.12.2009წ. წილის უფლების ნასყიდობის ხელშეკრულებით. საჯარო რეესტრის მონაცემებით დასტურდება, რომ სადაც უძრავი ქონება მოსარჩელის უფლებრივი წინამორბედის სახელზე დარეგისტრირდა 2009 წელს, დარეგისტრირების სამართლებრივ საფუძვლად მითითებულია 14.12.2009წ. წილის უფლების ნასყიდობის ხელშეკრულება და არა იმა „... 2002“-ის წევრთა კრების ოქმი. შესაბამისად, ირკვევა, რომ სასამართლომ სადაც ფართის იდენტიფიცირება მოახდინა არა საჯარო რეესტრის რეალური ჩანაწერით, არამედ ურთიერთგა-

მომრიცხავ მტკიცებულებებზე დაყრდნობით;

22.6. არასწორია სასამართლოს მსჯელობა, რომ მოპასუხეთა მიერ ამხანაგობის 30.12.2008ნ. სადამფუძნებლო ხელშეკრულებით შეძენილი ქონება არაიდენტიფიცირებადია. აღნიშნული ხელშეკრულების 7.1. პუნქტის თანახმად, დამფუძნებლებზე, მათ შორის მოპასუხეებზე, განაწილდა 30-30 კვ.მ. საოფისე ფართები ნაგებობის პირველ სართულზე. ხელშეკრულების 7.2 პუნქტის თანახმად, გადაცემული საოფისე ფართების ზუსტი მდებარეობა უნდა განსაზღვრულიყო ამხანაგობის წევრთა წერილობით შეთანხმების საფუძველზე. შესაბამისად, ამხანაგობის 27.03.2014წ. დამფუძნებელ წევრთა კრების ოქმით მოხდა ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთათვის 30.12.2008წ. სადამფუძნებლო ხელშეკრულებით გადაცემული საოფისე (კომერციული) ფართების აფგილმდებარეობის დაზუსტება. კერძოდ, პირველ მოპასუხეს გადაეცა 30 კვ.მ. საოფისე ფართი ნაგებობის პირველ სართულზე, ქუჩის მხარეს, სადარბაზოდან მარცხნივ; ხოლო, მეორე მოპასუხეს 30 კვ.მ. საოფისე ფართი ნაგებობის პირველ სართულზე, ქუჩის მხარეს, ასევე, სადარბაზოდან მარცხნივ. ამდენად, უბრალო დაკვირვებითაც ნათელია, რომ ამხანაგობის დამფუძნებელ წევრებს, მოპასუხეებს ჯერ კიდევ 30.12.2008წ. ხელშეკრულებით აქვთ გადაცემული მათი კუთვნილი ფართები, ბევრად ადრე ვიდრე ამ ფართზე პრეტენზიას მოსარჩელე განაცხადებდა;

22.7. რაც შეეხება მოსარჩელეს, მან 100 კვ.მ. დაუზუსტებელი ფართი შეიძინა 2015 წელს და დაირეგისტრირა საჯარო რეესტრში. ამდენად, დაუსაბუთებელია სასამართლოს დასკვნა, რომ სადავო უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება მოპასუხეებზე აღრე მოსარჩელე მოიპოვა;

22.8. დაუსაბუთებელია სასამართლოს მჯელობა, რომ ამხანაგობის წევრებს აქვთ მესამე პირებზე გასხვისებული ფართების ამხანაგობის წევრებზე გადანაწილების უფლება. ამხანაგობის დაფუძნებისა და ურთიერთანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების მე-7 მუხლით განისაზღვრა ბინებისა და საოფისე ფართების განაწილების წესი. კერძოდ, ხელშეკრულების 7.1 პუნქტით 19 დამფუძნებელზე განაწილდა როგორც ბინები, ასევე, საოფისე ფართები. დანარჩენი ფართების განკარგვის უფლება გადაეცა ამხანაგობის თავმჯდომარეს – ფ. გ-ს, რომელსაც კატეგორიულად აკრძალა ამხანაგობის მიერ უკვე განაწილებული ფართების ხელახლა განაწილება (ხელშეკრულების 5.6 პუნქტი). მიუხედავად ამისა, ფ. გ-მა დაარღვია ხელშეკრულების ზემოაღნიშნული პირობა, გასცდა მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს და ამხანაგობის მიერ უკვე განაწილებული ფართები ხელმეორედ გაასხვი-

სა, რისთვისაც იგი სასამართლოს მიერ დამნაშავედ იქნა ცნობილი. რაც შეეხება იმ ფართებს, რაც მან თავისი უფლებამოსილების ფარგლებში (როგორც ფიზიკურმა პირმა) გაასხვისა, ამხანაგობა მათზე პრეტენზიას ვერ განაცხადებს;

22.9. დაუსაბუთებელია სასამართლოს მსჯელობა, რომ მოპასუხებს დამატებით უნდა ეკვლიათ მათი კუთხინილი ფართი ამხანაგობასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ რომელიმე მესამე პირს ხომ არ ეკუთვნოდა. მესამე პირები არავითარ სახელშეკრულებო ურთიერთობაში არ იმყოფებიან ამხანაგობასთან. საქმეში არსებული საჯარო რეესტრის ამონაწერებით დგინდება, რომ მესამე პირებს, დაახლოებით 30 ფიზიკურ პირს, ხელშეკრულება ფართების გასხვისების თაობაზე დადგებული აქვთ ფიზიკურ პირთან, ფ. გ-თან და არა ამხანაგობასთან;

22.10. დაუსაბუთებელია, ასევე, სასამართლოს მსჯელობა, რომ მოპასუხებს სადავო ფართის ფლობის მართლზომიერი საფუძველი არ გააჩნიათ. სასამართლომ დავის გადაწყვეტისას იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე, 323-ე და 477-ე მუხლებით, რომლებიც არეგულირებენ საკუთრების უფლების მოპოვების ვალდებულებითსამართლებრივ საფუძვლებს, თუმცა საქმეში არსებულ წერილებით ხელშეკრულებაში შეძენილი ფართის ადგილმდებარება განსაზღვრული და დაკონკრეტებული არ არის. ამასთან, მოსარჩელის წინამორბედს სადავო ფართი არაუფლებამოსილი გამყიდველისგან – ფ. გ-სგან არათუ საკუთრებაში, მფლობელობაშიც კი არ გადასცემია.

23. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მეორე მოპასუხის უფლებამონაცვლემ წარადგინა საკასაციო საჩივარი. მან მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

24. მეორე კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:

24.1. კასატორები არ არიან იმა „... 2002“-ის 07.05.2007წ. საერთო კრების სამართლებრივი სუბიექტები და, მით უფრო, ამხანაგობის თავმჯდომარესა და მ. მ-ს შორის 14.12.2009წ. დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების მონაწილეები. საქმეში არსებული დოკუმენტებით არ დასტურდება მოპასუხეთა რაიმე ვალდებულება მოსარჩელის ან მისს წინამორბედის მიმართ. შესაბამისად, ისინი განსახილებ საქმეში არასათანადო მოპასუხეებს წარმოადგენენ;

24.2. საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით, ვიდრე მოსარჩელე პირველ სართულზე, ქუჩის მხარეს შეიძენდა სადავო 100 კვ.მ.

ფართს, 2014 წლის ივნისის მდგომარეობით, დაკავებული იყო ნა-გებობის პირველი სართულის 480 კვ.მ., რაც რეალურ თავსებადობას (439 კვ.მ.) აჭარებდა 41 კვ.მ.-ით. შესაბამისად, მოსარჩელის შენაძენი ამხანაგობის კორპუსის პირველი სართულის პარამეტრებში არ თავსდება. ამასთან, საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით, პირველ სართულზე სამომავლო საკუთრების უფლებით რეგისტრირებულ ყველა ფართს მინიჭებული აქვს კომერციული ან საოფისე სტატუსი, ხოლო მოსარჩელის შემთხვევაში, არ ჩანს რა სტატუსის მქონეა მისი კუთვნილი 100 კვ.მ. ფართი;

24.3. მოსარჩელეს ნასყიდობის საგანი არ უნახავს და ფიზიკურად არ გადასცემია. რომ ენახა დარწმუნდებოდა, რომ მის მიერ 2015 წლის 21 აგვისტოს შეძენილი ნივთის ადგილას, ნაცვლად 100 კვ.მ. შავი კარკასისა, 2009 წლის ივლის-სექტემბრიდან არსებობდა ორი 30-30 კვ.მ. ფართის მქონე დამოუკიდებელი, საჯარო რეესტრში რეგისტრირებული, მოპასუხეთა საკუთრებაში არსებული საოფისე კომერციული ფართი;

24.4. სარჩელზე დართული 11.08.2015წ. ამონანერის თანახმად, პირველ მოპასუხეს სადაცოდ გამხდარი საკუთრების (30 კვ.მ.) სამომავლო უფლება რეგისტრირებული აქვს 2009 წლის 24 ივლისს, ხოლო მეორე მოპასუხეს (30 კვ.მ.) იმავე წლის 24 სექტემბერს. რაც შეეხება მოსარჩელის წინამორბედს, მ. მ-ს სამომავლო საკუთრებაზე (100 კვ.მ) უფლება რეგისტრირებული აქვს 2009 წლის 14 დეკემბერს. ამასთან, კასატორები აღნიშნულ ქონებას შეძენისთანავე დაუუფლენებ და საჯარო რეესტრში დაირეგისტრირებს, ხოლო მოსარჩელემ ისე შეიძინა სამომავლო საკუთრების უფლება, მას არათუ არ დაუფლებია, არც კი იცის შენაძენის სავარაუდო მდებარეობა;

24.5. კასატორი მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 311<sup>1</sup>-ე მუხლის მე-3 პუნქტზე და განმარტავს, რომ მ. მ-ს 07.05.2007წ. კრების ოქმისა და მასზე დართული ნახაზების შესაბამისად გადაცემული ფართი საჯარო რეესტრში არ დაურეგისტრირებია. 11.08.2015წ. საჯარო რეესტრის ამონანერიდან ჩანს, რომ მოსარჩელის წინამორბედმა, მ. მ-მა სადაცო უძრავ ქონებაზე სამომავლო საკუთრების უფლება დაირეგისტრირა 2009 წლის 14 დეკემბერს ფ. გ-თან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, თუმცა, აღნიშნულის სანინააღმდეგოდ, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მ. მ-მა სამომავლო საკუთრების უფლება მიიღო 2007 წლის 07 მაისს;

24.6. 07.05.2007წ. საერთო კრების ოქმში არ არის მითითებული, რომ სადაცო ფართი არის „შავ კარკასულ“ მდგომარეობაში და მდებარეობს ქუჩის მხარეს. შესაბამისად, აღნიშნული ფართი შესაძ

ლებელია იყოს პირველ სართულზე, თუმცა არ არის ცნობილი, კორპუსის რომელ მხარეს არის განთავსებული;

24.7. არასწორია სასამართლოს მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელებ 2015 წლის 21 აგვისტოს სადავო ქონება იდენტიფიცირებული სახით შეიძინა. ფაქტია, რომ მან შეიძინა სამომავლო საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე და არა განივთებული, საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უძრავი ნივთი (ქონება);

24.8. დაუსაბუთებულია სააპელაციო სასამართლოს მითითება, რომ 2014 წლის 27 მარტს ფართების დაზუსტება და ამხანაგობის წევრებზე განაწილება ამ უკანასკნელთა შეირ უფლებამოსილების თავიანთ სასარგებლოდ გამოყენებას და მესამე პირების უფლებების შეზღუდვას წარმოადგენდა. ამხანაგობის წევრებზე გადაცემული და იდენტიფიცირებულია 200 კვ.მ. ფართი, ხოლო არაიდენტიფიცირებული და შესაბამისად ფლობის გარეშეა დატოვებული 219 კვ.მ. აქედან გამომდინარე, მოსარჩელეს და მის წინამორბედს უფლება აქვთ ეს საკითხი და მისი სამართლებრივი გადაწყვეტის გზები გაარკვიონ იმა „... 2002“-ისა და ამხანაგობის იმდროინდელ ხელმძღვანელებთან, რომლებთანაც სხვადასხვა დროს იმყოფებოდნენ სახელშეკრულებო ურთიერთობაში.

25. მეორე კასატორმა, აგრეთვე, მოითხოვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 90-ე მუხლის შესაბამისად, მის მხარეს მესამე პირად მეორე მოპასუხის ჩართვა. კასატორის განმარტებით, მას იგივე შუამდგომლობა სააპელაციო სასამართლოშიც ჰქონდა დაყენებული, თუმცა სააპელაციო სასამართლომ მასზე არ იმსჯელა.

26. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 28 დეკემბრის განჩინებით საკასაციო საჩივრები ცნობილ იქნა დასაშვებად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

27. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრების განხილვამდე იმსჯელებს მეორე კასატორის შუამდგომლობაზე საქმეში მესამე პირის ჩაბმის თაობაზე.

28. საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 406-ე მუხლზე [დავის საგნის შეცვლა ან გადიდება, შეგებებული სარჩელის შეტანა და ხარჯების განსაზღვრა საკასაციო სასამართლოზე დაუშვებელია], იმავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველ ნაწილზე [საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახუ-

ლია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები], 411-ე მუხლზე [საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები] და განმარტავს, რომ საკასაციო სასამართლო ამონებს გადაწყვეტილების მხოლოდ იურიდიულ მხარეს, კანონი კრძალავს საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითებას და ახალი მტკიცებულებების წარდგენას. კანონმდებელი ადგენს საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესუალურ ფარგლებს, საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება, რამდენადაც აღნიშნული შეუთავსებელია საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილებასთან. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო, რომელიც არ წარმოადგენს საქმის არსებითად განმხილველ სასამართლოს, მოკლებულია შესაძლებლობას, საქმეში მესამე პირი თავად ჩააბას (იხ. სუსგ საქმე №ას-795-760-2014, 10 მარტი, 2015 წელი).

29. ამდენად, მეორე კასატორის შუამდგომლობა საკასაციო სამართლნარმოების ეტაპზე საქმეში მესამე პირის ჩაბმის თაობაზე, არ გამომდინარეობს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობიდან და, შესაბამისად, არ უნდა დაკამაყოფილდეს.

30. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივრები უნდა დაკამაყოფილდეს.

31. განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია პირველი მოპასუხისა და მეორე მოპასუხის უფლებამონაცვლის მფლობელობიდან სადაც უძრავი ქონების გამოთხვის შართლზომიერება.

32. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელეს, როგორც უფლების მესაკუთრეს, მესამე პირებთან მიმართებით მესაკუთრის ყველა უფლება, მათ შორის, ქონების მართლზომიერი ფლობის უფლება გააჩნია და მას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 163-ე-164-ე მუხლების საფუძველზე, აქვს მოპასუხეთა უკანონო მფლობელობიდან სადაც უძრავი ქონების გამოთხვის უფლებამოსილება.

33. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ მსჯელობას, რომელიც ეწინააღმდეგება სა-

კასაციონ სასამართლოს პრაქტიკას (შედარებისთვის იხ. სუსგ საქ-  
მე ქასა-817-775-2013, 10 ივლისი, 2015 წელი) და მიუთითებს, რომ  
ვინდიკაციურ სარჩელში უკანონო მფლობელობიდან ნივთის გა-  
მოთხოვის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია საქართვე-  
ლოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლი. აღნიშნული მუხლის  
პირველი ნაწილის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს  
მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა,  
როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება. ეს ნორმა  
ითვალისწინებს მესაკუთრის უფლების დაცვის შესაძლებლობას  
ვინდიკაციური სარჩელის მეშვეობით იმ შემთხვევაში, როცა შე-  
ლაბულია ნივთზე მესაკუთრის მფლობელობა, კერძოდ, როცა მე-  
საკუთრის ქონება უკანონო მფლობელის ხელთაა.

34. ვინდიკაციური სარჩელის დაკმაყოფილებისათვის საგალდე-  
ბულოა, რომ არსებობდეს შემდეგი ნინაპირობები: а) მოსარჩელე  
უნდა იყოს ნივთის მესაკუთრე; ბ) მოპასუხე უნდა იყოს ნივთის  
მფლობელი; გ) მოპასუხეს არ უნდა ჰქონდეს ნივთის ფლობის უფ-  
ლება. პირველი ნინაპირობის არარსებობა თავშივე გამორიცხავს  
ვინდიკაციური სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას. შე-  
საბამისად, მოსარჩელემ უპირველესად ის გარემოება უნდა ამტკი-  
ცოს, რომ იგი სადაც ნივთის მესაკუთრეს წარმოადგენს (იხ. სუსგ  
საქმე ქასა-1081-1032-2013, 31 მარტი, 2016 წელი).

35. უძრავი ნივთის შეძენისა და მასზე საკუთრების უფლების  
წარმოშობის წესი რეგლამენტირებულია საქართველოს სამოქალა-  
ქო კოდექსით. კერძოდ, აღნიშნული კოდექსის 183-ე მუხლის პირ-  
ველი ნაწილის თანახმად, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებე-  
ლია გარიგების წერილობითი ფორმით დადგება და ამ გარიგებით გან-  
საზღვრული საკუთრების უფლების შემძნებზე საჯარო რეესტრში  
რეგისტრაცია. ამრიგად, დასახელებული სამართლებრივი ნორმა  
იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ საკუთრების უფლების წარ-  
მოშობისათვის აუცილებელია: გარიგების წერილობითი ფორმით  
დადგება და საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრა-  
ცია. სხვა შემთხვევაში უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება არ  
წარმოიშობა.

36. აღნიშნულიდან გამომდინარე, უძრავ ნივთზე საკუთრების  
უფლების არსებობის ფაქტის დადასტურება შეიძლება მხოლოდ  
ამ უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით.

37. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოსარჩელე  
21.08.2015წ. ნილის უფლების ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძ-  
ველზე, საჯარო რეესტრში აღრიცხულია სადაც უძრავი ქონების  
მომავალ მესაკუთრედ; ამასთან, საქმეში არსებული 29.07.2016წ.  
საჯარო რეესტრის ამონანერიდან ირკვევა, რომ ქ. თბილისში, ...

ქუჩა №...-ში მდებარე მიწის ნაკვეთისა (ს.კ. ...) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის მესაკუთრეს ამხანაგობა ნარმოადგენს; იმავე ამონანერში, ვალდებულების გრაფაში მითითებულია, რომ მ. მ-მა, როგორც „ნილის უფლების გამყიდველმა“, მიჰყიდა მოსარჩელეს, როგორც „ნილის უფლების მყიდველს“, მის კუთვნილ წილზე, სადაც ფართზე (შავი კარკასის მდგომარეობაში) უფლება.

38. ამდენად, სადაც უძრავი ქონება საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია ამხანაგობის სახელზე. რაც შეეხება მოსარჩელეს, აღნიშნულ ქონებაზე რეგისტრირებულია ამ უკანასკნელის სამომავლო უფლება, რაც, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლიდან გამომდინარე, ვერ გამოდგება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული საკუთრების უფლების საწინააღმდეგო გარემოებად.

39. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ უძრავი ნივთის მესაკუთრის ვინაობა ვლინდება საჯარო რეესტრის ამონანერის „მესაკუთრის“ ველში შემძენის რეგისტრაციის გზით, რაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მესაკუთრეს ანიჭებს უფლებამოსილებას კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულების შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ იღაბება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას. რაც შეეხება იმავე ამონანერში „ვალდებულების“ გრაფაში არსებულ ჩანანერს, იგი ადასტურებს იმ ფაქტს, რომ უძრავი ნივთის მესაკუთრეს ამ ველში მითითებული პირის/პირების მიმართ გააჩნია გარკვეული ვალდებულებები.

40. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს რომ განსახილველ შემთხვევაში საჯარო რეესტრის ამონანერის „ვალდებულების“ ველში არსებული ჩანანერი მოსარჩელეს ავტომატურად არ აქცევს უძრავი ნივთის მესაკუთრედ, არამედ მას ანიჭებს ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემის მოთხოვნის უფლებას.

41. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეს მესაკუთრედ ცნობის შესახებ სარჩელი არ აქვს აღძრული, რაც სასამართლოს ართმევს უფლებას, მოცემული დავის ფარგლებში მიიჩნიოს იგი სადაც უძრავი ნივთის მესაკუთრედ (სამოქალაქო საპროცესო კოლდექსის 248-ე მუხლი).

42. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მოთხოვნა უსაფუძვლოა, ვინაიდან იგი არ წარმოადგენს სადაც უძრავი ნივთის მესაკუთრეს და არც ამ

ნივთის მესაკუთრედ ცნობას მოითხოვს, შესაბამისად, მას არ აქვს პირველი მოპასუხისა და მეორე მოპასუხის უფლებამონაცვლისა-გან სადავო უძრავი ქონების გამოთხოვის უფლებამოსილება.

43. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა გან-სახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქ-მის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დად-გენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწ-ყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა და-მატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასა-მართლო თვლის, რომ არ არსებობს ამგვარი საფუძვლები და არ არის საჭირო მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, შესაბა-მისად, საკასაციო პალატა უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გა-დაწყვეტილება.

44. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძ-ლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანო-ნის დარღვევითაა გამოტანილი. იმავე კოდექსის 394-ე მუხლის პირ-ველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, გადაწყვეტილება ყო-ველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწ-ყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული.

45. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარები უნდა დაკმაყო-ფილდეს; გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამო-ქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 03 აპრილის გადაწყვეტილე-ბა და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩე-ლი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

46. საკასაციო სასამართლოში პირველი კასატორის მიერ წარ-მოდგენილ მტკიცებულებებთან დაკავშირებით საკასაციო პალა-ტა განმარტავს, რომ მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონ-მდებლობა ითვალისწინებს მხარეთა მიერ მათი მოთხოვნების და-სასაბუთებლად და მითითებული ფაქტების დასამტკიცებლად სა-ჭირო მტკიცებულებების წარდგენის საკმარის მკაცრად განერილ პროცედურას, რომლის შესაბამისად, მხარეებს მტკიცებულებათა წარდგენა შეუძლიათ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისა შესაბამისი წესების დაცვით. გამონაკლის შემთხვე-ვაში, კანონით დადგენილი წინაპირობების არსებობისას, დასაშ-ვებია ახალი მტკიცებულების წარდგენა სააპელაციო ინსტანციის

სასამართლოშიც (სსსკ-ის 380-ე მუხლი), თუმცა საქმის საკასაციო სასამართლოში განხილვისას მხარე ასეთ შესაძლებლობას მოკლებულია. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველ ნაწილით (საკასაციო სასამართლო იმ-სჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები) დადგენილია საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესუალური ფარგლები. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება. იმავე კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ. დასახელებული სამართლებრივი ნორმებიდან გამომდინარე, პირველ კასატორს უნდა დაუბრუნდეს საკასაციო სასამართლოში მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 23.02.2018წ. №93334 და 22.03.2018წ. №135766 წერილები; ამხანაგობის თავმჯდომარე მ. ფ-ის 06.06.2018წ. ნოტარიულად დამოწმებული ახსნა-განმარტება (ასლი); ამხანაგობის 14.02.2011წ. ნოტარიულად დამოწმებული დამფუძნებელ წევრთა კრების ოქმი №1 (ასლი); I სართულის გეგმა; 05.07.2018წ. №004634518 ექსპერტიზის დასკვნა დანართებით) მთლიანობაში „23“ ფურცლად.

47. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დაკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით. ამასთან, იმავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შექმნება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის საპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის

გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შე-საბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებას.

48. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილ-და სრულად, შესაბამისად, მოსარჩელეს კასატორების საარგებ-ლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელთა მიერ საკასაციო საჩივ-რებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად 150-150 ლარის გადახდა.

49. მეორე კასატორმა მოითხოვა მის მიერ სააპელაციო სასა-მართლოში წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯის – 600 ლარისა და საჯარო რეესტრიდან დოკუმენტების გამოთხო-ვისათვის განეული ხარჯის – 29,5 ლარის მოსარჩელისათვის და-კისრება. აღნიშნული ხარჯის დასადასტურებლად მან საქმის საა-პელაციო ინსტანციაში განხილვისას წარადგინა სალაროს შემოსავ-ლის ორდერი, საიდანაც ირკვევა, რომ მეორე კასატორმა 2018 წლის 21 მარტს უ. მ-ეს ჩაურიცხა „იურიდიული დახმარების საფასური“ 600 ლარის ოდენობით; ასევე, 09.03.2018წ. საპანერ ქვითრები, სა-იდანაც დასტურდება, რომ უ. მ-ემ (წარმომადგენელი) საჯარო რე-ესტრიდან სადაც უძრავ ქონებასთან დაკავშირებული დოკუმენ-ტების გამოთხოვისათვის გადაიხადა 29,5 ლარი; ამასთან, საქმე-შია მეორე კასატორის მიერ უ. მ-ის მიმართ 09.03.2018წ. გაცემული ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა.

50. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შუამდგომლობა ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილ-დეს და მოსარჩელეს მეორე მოპასუხის უფლებამონაცვლის სასარ-გებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო სასამარ-თლოში წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯის ასა-ნაზღაურებლად 160 ლარის (დავის საგნის ღირებულების – 4000 ლარის 4% [სსსკ-ის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნ-ქტის თანახმად, დავის საგნის ფასი განისაზღვრება: 4 000 ლარით, თუ ქონებრივ-სამართლებრივ დავაში (საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა, სამეზობლო დავა და სხვა) შეუძლებელია დავის საგნის ფასის განსაზღვრა]], ხოლო დოკუმენტების გამოთ-ხოვისათვის საჯარო რეესტრში განეული ხარჯის ასანაზღაურებ-ლად 29,5 ლარის გადახდა.

51. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხ-ლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მოცემულ შემ-თხვევაში დავის საგნის (უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთ-ხოვა) ფასი განისაზღვრება 4000 ლარით. შესაბამისად, იმავე კო-დექსის მე-14 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის [მაგისტრატი მოსამართლე-ები პირველი ინსტანციით განიხილავენ შემდეგ საქმეებს: ქონებ-რივ დავებს, თუ სარჩელის ფასი არ აღემატება 5000 ლარს] თანახ-

მად, განსახილველი დავა წარმოადგენს მაგისტრატი მოსამართლის განსჯადს, რის გამოც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო ბაჟის ოდენობა (300 ლარი), იმავე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე ნახევრდება და შეადგენს 150 ლარს.

52. კასატორებს საკასაციო საჩივარზე გადახდილი აქვთ სახელმწიფო ბაჟი 300-300 ლარის ოდენობით. შესაბამისად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მათ მიერ ზედმეტად გადახდილი 150-150 ლარი ექვემდებარება დაბრუნებას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ც ყ ვ ი ტ ა:**

1. მ. ჭ-ის უფლებამონაცვლე ზ. ბ-ის შუამდგომლობა საქმეში მესამე პირის ჩაბმის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;

2. მ. ო-სა და მ. ჭ-ის უფლებამონაცვლე ზ. ბ-ის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს;

3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 03 აპრილის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

4. მ. პ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

5. მ. პ-ს (პ.6. ...) მ. ო-ს (პ.6. ...) სასარგებლოდ დაეკისროს 150 (ას ორმოცდაათი) ლარის გადახდა ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;

6. მ. პ-ს (პ.6. ...) მ. ჭ-ის უფლებამონაცვლე ზ. ბ-ს (პ.6. ...) სასარგებლოდ დაეკისროს 150 (ას ორმოცდაათი) ლარის გადახდა ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;

7. მ. პ-ს (პ.6. ...) მ. ჭ-ის უფლებამონაცვლე ზ. ბ-ს (პ.6. ...) სასარგებლივ დაეკისროს 160 (ას სამოცი) ლარის გადახდა ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო სასამართლოში წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯის ასანაზღაურებლად და 29,5 (ოცდაცხრა ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარის გადახდა ამ უკანასკნელის მიერ განეული სასამართლოს გარეშე ხარჯის ასანაზღაურებლად;

8. მ. ო-ს (პ.6. ...) დაუბრუნდეს მის მიერ 2018 წლის 31 მაისს №... საგადახდო დაკალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან – 300 (სამასი) ლარიდან ზედმეტად გადახდილი 150 (ას ორმოცდაათი)

ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი ..., მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...;

9. მ. ჭ-ის უფლებამონაცვლე ზ. ბ-ეს (პ.ნ. ...) დაუბრუნდეს უ. მ-ის (პ.ნ. ...) მიერ 2018 წლის 05 ივნისს №3 საგადახდო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან – 200 (ორასი) ლარიდან ზედმეტად გადახდილი 50 (ორმოცდაათი) ლარი და 2018 წლის 07 ივნისს №7 საგადახდო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 100 (ასი) ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი ..., მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...;

10. მ. ო-ს დაუბრუნდეს საკასაციო სასამართლოში მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 23.02.2018წ. №... და 22.03.2018წ. №... წერილები; ამხანაგობა „... 3/5“-ის თავმჯდომარე მ. ფ-ის 06.06.2018წ. ნოტარიულად დამოწმებული ახსნა-განმარტება (ასლი); ამხანაგობა „... 3/5“-ის 14.02.2011წ. ნოტარიულად დამოწმებული დამფუძნებელ წევრთა კრების ოქმი №1 (ასლი); I სართულის გეგმა; 05.07.2018წ. №004634518 ექსპერტიზის დასკვნა დანართებით) მთლიანობაში „23“ ფურცლად;

11. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## უკანონო გვირებულობის ნივთის გამოთხვა

### განერება საქართველოს სახელით

№ას-242-2019

16 თებერვალი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ერემაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. კაკაბაძე,  
ლ. მიქაბერიძე

**დავის საგანი:** ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმება, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

#### აღნერილობითი ნანილი:

1. ლ. ჩ-სა (შემდეგში – მსესხებელი, მოვალე, შეგებებული მოსარჩევის შემდეგში) და რ. გ-ეს (შემდეგში – გამსესხებელი, კრედიტორი) შორის არსებობდა სასესხო ურთიერთობა. მოვალემ სასესხო ვალდებულების უზრუნველსაყოფად, ლომბარდში, უზრუნველყოფის საგანად გამოყენებული ავტომანქანები კრედიტორის თანხმობით ბებიის სახლით ჩაანაცვლა.

2. 2010 წლის 4 ნოემბერს ე. ს-ლს (შემდეგში – გამყიდველი, პირველი მოპასუხე, პირველი შეგებებული მოსარჩევე) და ი. მ-ეს (შემდეგში – პირველი მყიდველი, პირველი კასატორი) შორის გაფორმებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების (შემდეგში – პირველი ნასყიდობის ხელშეკრულება), თანახმად, გამყიდველმა მყიდველს 32 000 ლარად მიჰყიდა ქ. ქუთაისში, ... ქუჩა №...-ში (ამჟამად ... ქუჩა №...-, საკადასტრო კოდით ...) მდებარე უძრავი ქონება (შემდეგში – სადაც უძრავი ქონება). მყიდველს გამსხვისებლივა ნასყიდობის თანხა არ გადაუხდია. სადაც ქონების პირველმა მყიდველმა, ქონება იმ დათქმით შეიძინა, რომ თუ სესხის დავალიანება შეთანხმებულ ვადაში დაიფარებოდა, სახლი ქონების თავდაპირველი მესაკუთრისათვის უნდა დაებრუნებინა.

3. 2015 წლის 28 მაისს უძრავი ნივთის მეპატრონემ (პირველმა მყიდველმა) სადაც ქონება თ. ლ-ეს (შემდეგში – მოსარჩევე, შეგებებული სარჩევის მოპასუხე, მეორე კასატორი, მეორე მყიდველი) 25 000 აშშ დოლარად მიჰყიდა. მყიდველმა გადაიხადა ნასყიდობის საგნის ლირებულება. ქონების გასხვისების შედეგად აღებული თანხა გამყიდველმა მსესხებლის კრედიტორს გადასცა.

4. პირველ მყიდველს სადაც ქონების გასხვისების დროს წარმოადგენდა ა. გ-ძე, რომელიც სესხის კრედიტორის ბიძაშვილია,

ხოლო ქონების ბოლო შემძენი (მოსარჩელე) მისი ახლო მეგობარია და ერთ უბანში ცხოვრობენ.

5. ქონების თავდაპირველი მესაკუთრე (შეგებებული მოსარჩელე) შვილთან – მ. ს-სა და მის ოჯახთან (კ. ს-ლი, გ. ს-ლი, მ. ს-ლი და ქ. ს-ლი) ერთად ცხოვრობს მოსარჩელის (მეორე მყიდველის) სახელზე რეგისტრირებულ სადაც სახლში.

#### **6. მოსარჩელის მოთხოვნა:**

6.1. 2016 წლის 15 მარტს უძრავი ნივთის ბოლო შემძენმა სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს და მის საკუთრებაში რიცხული ქონების მოპასუხეთა უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა მოითხოვა.

#### **7. მოპასუხეთა პოზიცია:**

7.1. მოპასუხებმა სარჩელი არ ცნეს და მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლის წარდგენით უარყვეს სარჩელის საფუძვლიანობა. მათი მტკიცებით, ქონების მესაკუთრედ რეგისტრირებული მოსარჩელე არაკეთილსინდისიერი შემძენი იყო.

#### **8. შეგებებული სარჩელის საფუძვლები:**

8.1. 2016 წლის 10 ოქტომბერს სადაც ქონების თავდაპირველმა მესაკუთრემ სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, ქონების პირველი და შემდგომი მყიდველის წინააღმდეგ და 2010 წლის 4 ნოემბრისა და 2015 წლის 28 მაისს დადებული ნსყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, ასევე, სადაც ქონების მესაკუთრედ აღრიცხვა მოითხოვა.

8.2. შეგებებული მოსარჩელის მტკიცებით, 2010 წლის 4 ნოემბერს მან ხელი მოაწერა წინასწარ გამზადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც, მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე ფიქტურად დაიდო (პირველი) ნასყიდობის ხელშეკრულება, რეალურად კი, ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეებს ასეთი ხელშეკრულების დადების ნება არ ჰქონიათ, ის არც მყიდველს არ შეხვედრია და არც ნასყიდობის ხელშეკრულებაში მითითებული უძრავი ქონების ღირებულება 32 000 ლარი არ მიუღია. უძრავი ქონების თვალთმაცური ყიდვა-გაყიდვის უკან იდგა მისი შვილიშვილის კრედიტორის ინტერესი, რომლის სასარგებლოდაც სასესხო ვალდებულების უზრუნველსაყოფად დაიტვირთა უძრავი ქონება ვალის გადახდის შემდეგ უკან დაბრუნების პირობით.

8.3. შეგებებული მოსარჩელის მტკიცებითვე, ქონების შემდგომი მყიდველი არაკეთილსინდისიერ მყიდველს წარმოადგენდა.

#### **10. შეგებებული სარჩელის მოპასუხეთა პოზიცია:**

10.1. მოპასუხებმა მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი დაუპირისპირეს შეგებებულ სარჩელს. მათი მტკიცებით, სადაც ნასყიდობის ხელშეკრულებები როივე შემთხვევაში ნამდვილი ნე-

ბის გამოვლენის საფუძველზე დაიდო, ხოლო ნასყიდობის საგნის ლირებულება სრულად გადაიხადა პირველმა მყიდველმა. მოპასუხეთა განცხადებით, ქონების ამჟამინდელი მესაკუთრე (მეორე მყიდველი) კეთილსინდისიერი შემძენი იყო.

### **11. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება:**

11.1. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილებით, სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ხოლო შეგებებული საარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი 2010 წლის 4 ნოემბრისა და 2015 წლის 28 მაისის ნასყიდობის ხელშეკრულებები და სადავო ქონების მესაკუთრედ კვლავ შეგებებული მოსარჩელე აღირიცხა.

### **12. შეგებებული სარჩელის მოპასუხეთა სააპელაციო საჩივარი:**

12. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს შეგებებული საარჩელის მოპასუხეებმა, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილებით, შეგებებული საარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ასევე – ძირითადი საარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

### **13. სააპელაციო სასამართლოს განჩინება და სამართლებრივი დასკვნები:**

13.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 29 ნოემბრის განჩინებით, მომზივანთა მიერ წარდგენილი სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ დავის გადაწყვეტილას სსკ-ის 56-ე, 185-ე, 162-ე, 286-ე, 289-ე, 59-ე მუხლებით იხელმძღვანელა. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ნინამდებარე განჩინების 1-6 პუნქტებში მითითებული გარემოებები.

13.2. მტკიცებულებათა ერთობლიობის საფუძველზე პალატამ მიიჩნია, რომ 2010 წელს ქონების თავდაპირველ მესაკუთრესა და პირველ მყიდველს შორის დადებული გარიგება არ იყო მიმართული ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნის მიღწევისკენ, ამ გარიგების მონაწილე მხარეთა ნამდვილი ნება სესხის კრედიტორსა და მოვალეს შორის არსებული სასესხო ვალდებულების უზრუნველყოფას ემსახურებოდა. გარიგებაში მითითებული ფასი კი იყო არა ნასყიდობის საზღაური, არამედ უზრუნველყოფილი ვალდებულების მოცულობა. გარდა ამისა, პალატის მითითებით, პირველი მყიდველი არ წარმოადგენდა სესხის კრედიტორს, შესაბამისად, მას სადავო ნივთზე არც საკუთრების და არც იპოთეკის უფლება არ გააჩნდა.

13.3. სააპელაციო პალატის მითითებით, ა. გ-ძე – გამყიდველის წარმომადგენელი მეორე ნასყიდობის ხელშეკრულების დადების დღის, ინფორმირებული იყო სადავო სახლთან დაკავშირებულ სამართლებრივ მდგომარეობაზე, ხოლო შემძენი წარმოადგენდა კრედიტორის ნაცნობს (უბნელს, ნაცნობს, მეგობარს), რომელმაც გონივრული წინდახედულობის ფარგლებში იცოდა, რომ უძრავი წიგთის პირველი მყიდველი სადავო ქონების მესაკუთრედ მოჩვენებითი გარიგების საფუძველზე დარეგისტრირდა – რომლის მიღმაც, რეალურად, ქონების თავდაპირველი მესაკუთრის შვილიშვილის ფინანსური ვალდებულებები იდგა. ამ გარემოების გათვალისწინებით, პალატამ ქონების მეორე მყიდველი არაკეთილსინდისიერ შემძნად მიიჩნია.

13.4. პალატის განმარტებით, იპოთეკა ფორმასავალდებულო გარიგებათა რიცხვს განეკუთვნებოდა, შესაბამისად, კონკრეტულ შემთხვევაში, თვალთმაქცური გარიგებით დაფარული იპოთეკის ხელშეკრულება ფორმის დაუცველად იყო დადებული, რაც მას ბათილ გარიგებად აქცევდა. გარდა ამისა, პალატის მითითებით, სსკის 153-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, შეგებებულ მოსარჩევესა და მოპასუხებს, შორის სასესხო ვალდებულება არ არსებობდა, რაც შეგებებული მოსარჩელის ქონებაზე იპოთეკის, როგორც აქცესორული უფლების დადგენის შესაძლებლობას გამორიცხავდა. პალატის მოსაზრებით, იპოთეკის დადგენა პროცესუალურადაც შეუძლებელი იყო, ვინაიდან სესხის კრედიტორი და მოვალე განსახილველ დავაში მხარეებად არ მონაწილეობდნენ, რაც გამორიცხავდა ამ პირთა მიმართ მიმდინარე სამართალწარმოების შედეგების გავრცელებას.

#### 14. საკასაციო მოთხოვნა და მისი საფუძვლები:

14.1. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩინორეს აპელანტებმა, რომლებმაც გასაჩინორებული განჩინების გაუქმება და, ახალი გადანყვეტილებით, შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ასევე – ძირითადი სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

14.2. საკასაციო პრეტენზია შემდეგ გარემოებებს ეფუძნება:

14.2.1. კასატორთა მტკიცებით, 2010 წელს ქონების თავდაპირველ მესაკუთრესა და პირველ კასატორს შორის ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო და ქონება მყიდველის საკუთრებად დაგიტიზურად დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში. კასატორთა მითითებით, შეგებებული მოსარჩელის შვილიშვილს ჰქონდა 25000 აშშ დოლარის ვალი, რის სანაცვლოდაც კრედიტორს შესთავაზეს სადავო უძრავი ნივთის საკუთრებაში გადაცემა. კრედიტორი დაინტერესებული იყო არა ქონების გადაცემით, არამედ საკუ-

თარი ფულის დაბრუნებით, რისი გათვალისწინებითაც გამოიკვეთა ბინის შემძენის მოძიების აუცილებლობა. პირველმა კასატორმა ქონების შეძენის სურვილი გამოიქვა, ხოლო თანხა მსესხებლისა და ქონების თავდაპირველი მესაკუთრის თანდასწრებით გადაუხადა მსესხებლის კრედიტორს. ამ გარემოების საწინააღმდეგოდ, კასატორთა მტკიცებით, სასამართლომ არასწორად დაადგინა სასესხო დაგალიანების დაფარვის დრო და გადამხდელი.

14.2.2. კასატორთა მოსაზრებით, პირველი ნასყიდობის ხელშეკრულების გაბათილების შემთხვევაში, სასამართლოს სადაცო ქონებაზე უნდა დაერეგისტრირებინა იპოთეკა, დაფარული გარიგების შინაარსის შესაბამისად. სასამართლო გადაწყვეტილების შედეგად, გაურკვეველი რჩება, თუ ვინ უნდა გადაიხადოს თანხა, რომლითაც 25 000 აშშ დოლარის სასესხო ვალდებულება დაიფარა. კასატორთა განმარტებით, საბოლოოდ, მყიდველს, რომელმაც თანხა გადაიხადა, არც სახლი რჩება საკუთრებაში, არც იპოთეკის უფლება და არც მის მიერ გადახდილი 25 000 აშშ დოლარი.

14.2.3. მეორე მყიდველისათვის უცნობი იყო, მის მიერ სადაცო საცხოვრებელი სახლის შეძენამდე არსებული სამართალურთიერთობები და ის კეთილსინდისიერ შემძენს ნარმოადგენდა.

## 15. საკასაციო სამართალნარმოების ეტაპი:

15.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 22 მარტის განჩინებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო საჩივარი ნარმოებაში იქნა მიღებული დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო, ამავე პალატის 2021 წლის 19 მაისის განჩინებით, საკასაციო საჩივარი 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე დასაშვებად იქნა ცნობილი.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მტკიცებულებათა ერთობლივად გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის არსებითად განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ შეგებებული სარჩელის მოპასუხეთა საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

16. სსსკ-ის 410-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძლად არ უდევს კანონის დარღვევა ან გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

17. განსახილველ დავაზე ძირითად სასარჩელო მოთხოვნას უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა წარმოადგენს. საკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება. შესაბამისად, მესაკუთრის მიერ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის მართლზომიერებისათვის უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები:

- ა) მოსარჩელე უნდა იყოს მესაკუთრე;
- ბ) მოპასუხე უნდა იყოს ნივთის მფლობელი;

გ) მოპასუხეს არ უნდა ჰქონდეს ამ ნივთის ფლობის უფლება (შდრ, სუსგ №-ას-914-2019.25.07.2019წ, №ას-246-246-2018, 20.03.2018წ.).

18. ძირითადი სარჩელის მოთხოვნას მოპასუხეებმა შეგებებული სარჩელი დაუპირისპირეს, რომლის ფარგლებშიც სადავო გახადეს გადასაცემ უძრავ ნივთზე მოსარჩელის საკუთრების უფლება. შეგებებული სარჩელი მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის გარიგების თვალთმაქცურად დადების სამართლებრივ არგუმენტაციას ეფუძნება, შესაბამისად, შემონმებას ექვემდებარება საკ-ის 56-ე მუხლის (ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მოსაჩენებლად, იმ განზრახის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს (მოჩვენებითი გარიგება) თუ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით მხარეებს სურთ სხვა გარიგების დაფარვა, მაშინ გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები (თვალთმაქცური გარიგება)) წინაპირობები. ამ დანწესის ნორმატიული ანალიზიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ თვალთმაქცური გარიგების დროს, მართალია, ნების გამოვლენა მიმართულია სამართლებრივი შედეგების დადგომისაკენ, თუმცა არა იმ ხელშეკრულების შესაბამისად, რომელზეც მხარეები თანხმდებიან. ამგვარი გარიგების მიზანია დაფარვა იმ გარიგებისა, რომელიც მხარეებს რეალურად სურთ. ამ შემთხვევაში, არსებობს ორი გარიგება, ერთი თვალთმაქცური და მეორე – რომელიც მხარეებმა უშუალოდ გაითვალისწინეს. ამდენად, თვალთმაქცური გარიგება ერთგვარად ფარავს წარმდგრად გარიგებას, შესაბამისად, მას არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი და იგი ბათილია. თუმცა, ამ საფუძვლით გარიგების ბათილობას გარკვეული სპეციფიკურობა ახასიათებს. კანონმდებლის ასეთი დამოკიდებულება განპირობებულია მხარეთა რეალური წების გათვალისწინებით. ხშირ შემთხვევაში, მხარეები ვერ ერკვევიან, რა შინაარსის ხელშეკრულების გაფორმება სურთ ან კიდევ ვერ ასხვავებენ ერთმანეთისაგან გარიგების სხვადასხვა ტიპს. სამოქალაქო კოდექსი

შესაძლებლობას ანიჭებს ხელშეკრულების სუბიექტებს, გამოასწორონ დაშვებული შეცდომები თვალთმაქცური გარიგების ბათილად ცნობით და მხარეთა შეთანხმების მიმართ გამოიყენონ ის მოთხოვნები, რაც დამახასიათებელია იმ გარიგებისათვის, რომლის მიღწევაც მხარებს სურდათ (შდრ. სუსგ-ები №ას-487-461-2015, 17.06.2015; №ას-1382-2018, 25.01.2019წ; №ას-3-2020, 16 ივნისი, 2020).

19. კონკრეტულ შემთხვევაში, საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებითა (მათ შორის მოწმეთა ჩვენებებით) და მხარეთა ახსნა-განმარტებების საფუძველზე დგინდება, რომ შეგებებული მოსარჩელის შვილიშვილი სასესხო ურთიერთობაში იმყოფებოდა გამსესხებელთან. შეგებებულ მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის გაფორმებული შეთანხმება კი, მოსარჩელის შვილიშვილის ფინანსური ვალდებულებების უზრუნველყოფას (დალომბარდებული მანქანებს უძრავი ნივთით ჩანაცვლებას) ემსახურებოდა, რაც ხელშეკვრელ მხარეთა შორის ნასყიდობის ხელშეკრულების დადების სამართლებრივ შემადგენლობას არ აფუძნებს და არსობრივად იპოთეკის სამართალურთიერთობას ესადაგება. საქმეზე დაგენილია და მხარეთა შორის სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ პირველ მოპასუხეს მოსარჩელისათვის ნასყიდობის საგნის ღირებულება არ გადაუხდია. თანხა, ისიც მოგვაინებით სესხის კრედიტორს გადაუხადეს. საგულისხმოა ისიც, რომ მყიდველი ინფორმირებული იყო – კრედიტის მოვალის მიერ კონკრეტულ გადაში დაფარვის შემთხვევაში, ქონება თავდაპირველი მესაკუთრისათვის უნდა დაებრუნებონა. გარემოებათა ამგვარი ერთობლიობა ერთმნიშვნელოვნად ცხადყოფს, რომ ფორმალურად ნასყიდობის ხელშეკრულებაში კონტრაპირებულ მხარებს ამ ხელშეკრულების დადების ნება არ ჰქონდათ. მათ ამ გარიგებით, სესხის უზრუნველყოფი იპოთეკის ხელშეკრულება გადაფარეს. ნასყიდობის ხელშეკრულების მოჩვენებითობას ვერ აქარნებულებს ნასყიდობის ხელშეკრულების ნამდვილობის თაობაზე კასატორთა ზეპირსიტყვიერი შედავება. ნასყიდობის ხელშეკრულების ნამდვილობის სადავობის პირობებში, მტკიცების ტვირთის განაწილების ფარგლებში (სსსკ-ის მე-4, 102-3 მუხლებიდან გამომდინარე) სწორედ შემძებენს (შეგებებული სარჩელის პირველ მოპასუხეს) ევალებოდა სასამართლოსთვის იმ წონადი მტკიცებულებების წარდგენა, რომელიც სადავო ხელშეკრულების ბათილობის საფუძვლიანობის თაობაზე მოსარჩელის სამართლებრივ არგუმენტაციასა და მტკიცებულებებს გააქარწყლებდა, რასაც მან ამ დავის ფარგლებში თავი ვერ გაართვა.

20. კონკრეტულ შემთხვევაში, კასატორის ერთ-ერთი ძირითა-

დი პრეტენზია იმ გარემოებას ეფუძნება, რომ შეთანხმების თვალ-თმაქცურ გარიგებად მიჩნევის შემთხვევაში, სასამართლოს მისი დასკვნით მხარეთა შორის გაფორმებული იპოთეკა უნდა დაერე-გისტრირებინა სადაცო ქონებაზე. საკასაციო პალატა კასატორის ამ პრეტენზიას არ იზიარებს, სახელდობრ:

20.1. თვალთმაქცური გარიგებისა არსი და მისი განსხვავებულო-ბა მოჩვენებითი გარიგებისგან იმაში მდგომარეობს, რომ ის ნამ-დვილია. ამასთან, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოჩვენებითი შეთანხმების დაფარული (თვალთმაქცური) გარიგებით ერთგვარი ჩანაცვლება ავტომატურად არ ხდება და ამ გარიგებიდან გამომ-დინარე უფლება-მოვალეობათა სპექტრის განსაზღვრას წინ უს-ნრებს დაფარული გარიგების ნამდვილობის შემოწმება. სასამარ-თლომ უნდა შეაფასოს, ხომ არ არსებობს, რაიმე დამარკოლებელი გარემოებითი, რაც დაფარული გარიგებიდან გამომდინარე უცლე-ბა-მოვალეობების განხორციელებას გამორიცხავს. განსახილველ შემთხვევაში, იპოთეკის ხელშეკრულება მსესხებლის ბებისა და პირველ მოპასუხეს შირის დაიდო, რომლებიც იპოთეკით უზრუნ-ველყოფილი სესხის ხელშეკრულების მხარეებს არ წარმოადგენენ. შესაბამისად, საკასაციო პალატამ უნდა შეაფასოს იპოთეკის ხელ-შეკრულების ამგვარად გაფორმება ჯდება თუ არა სამართლებრი-ვად დასაშვებ საზღვრებში.

20.1.1. იპოთეკა (სსკ-ის 286-ე და მომდევნო მუხლები) სანივთო უზრუნველყოფის აქცესორული საშუალებაა და მისი არსებობა და-მოკიდებულია უზრუნველყოფილ მოთხოვნაზე, რომლის გარეშეც არ არსებოს იპოთეკა. იპოთეკის ხელშეკრულების მონაწილეები არიან იპოთეკარი – ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვ-ნის კრედიტორი და მესაკუთრე, რომლის უძრავი ნივთიც არის იპო-თეკით დატვირთული. იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის მე-საკუთრე შეიძლება იმავდროულად იყოს ძირითადი ვალდებულე-ბის, ე.ი. უზრუნველყოფილ მოთხოვნის პირადი მოვალე, მაგრამ შეიძლება არც იყოს პირადი მოვალე {ლ. ჭანტურია, კრედიტის უზ-რუნველყოფის სამართალი, გვ. 80-81}. სხვისი ქონების უზრუნველ-ყოფის საგნად გამოყენების შესაძლებლობას სსკ-ის 291.1 მუხლი განსაზღვრავს. კონკრეტულ შემთხვევაში, სწორედ ეს ვითარებაა, იპოთეკის ხელშეკრულებაში უძრავი ნივთის მესაკუთრედ გვევ-ლინება არა მსესხებელი, არამედ მესამე პირი (შეგებებული მო-სარჩელე), რომელმაც საკუთარი ქონება სხვისი ვალის უზრუნველ-საყოფად დატვირთა. რაც შეეხება იპოთეკარს, იგი, იმავდროულად, არის უზრუნველყოფილი მოთხოვნის კრედიტორი. აქედან გამომ-დინარე, განსახილველი დავის ერთ-ერთ საკვანძო გარემოებას იპოთეკის ხელშეკრულებაში იპოთეკარად იმ პირის (ქონების პირ-

ველი მყიდველის) კონტრაპირების სამართლებრივი საფუძვლის გა-  
მორკვევა წარმოადგენს, რომელიც უზრუნველყოფილი სესხის  
ხელშეკრულების კრედიტორს არ წარმოადგენდა.

20.1.2. იპოთეკა, როგორც უზრუნველყოფის აქცესორული სა-  
შუალება, წყდება იმ მოთხოვნის შეწყვეტასთან ერთად, რომლის  
უზრუნველსაყოფადაც არის იპოთეკა დადგენილი. საქმის მასალე-  
ბით ერთმნიშვნელოვნად დადგენილია, რომ სესხის კრედიტორმა  
ქონების რეალიზაციის შედეგად მიიღო 25 000 აშშ დოლარი, რი-  
თაც სასესხო ვალდებულება დაიფარა. ამ გარემოების გათვალის-  
წინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სადავო ქონების იპო-  
თეკით დატვირთვის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, ვი-  
ნაიდან მოჩვენებითი გარიგების საფუძველზე ქონების მესაკუთ-  
რედ აღრიცხული პირის (პირველი მოპასუხის) მიერ უძრავი ნივ-  
თის რეალიზაციამ და გასხვისების შედეგად მიღებული თანხით  
სესხის კრედიტორის დაკმაყოფილებამ, უძრავ ქონებაზე იპოთე-  
კის სამართლებრივი რეჟიმის გავრცელებას იურიდიული საყრდე-  
ნი გამოაცალა.

ამ საკითხთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა დამატებით,  
აღნიშნავს, რომ მართალია, არ იზიარებს შეგებებული მოსარჩე-  
ლისათვის დაბრუნებულ ქონებაზე იპოთეკის რეგისტრაციის უა-  
რის საფუძვლად სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებულ სა-  
მართლებრივ არგუმენტაციას, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ  
სასამართლომ სწორად განსაზღვრა უძრავი ქონების იპოთეკით  
დატვირთვაზე უარის თქმის სამართლებრივი შედეგი, სააპელაციო  
სასამართლოს კანონშეუსაბამო მსჯელობები გავლენას ვერ მოახ-  
დენს დავის პროცესუალურ შედეგზე.

21. საკასაციო პალატის განსჯით, კასატორებს შორის ნასყი-  
დობის ხელშეკრულების დადებისას ქვემდგომი ინსტანციის სასა-  
მართლებმა მართებულად დაუშვეს პრეზუმაცია, რომ მეორე  
მყიდველისათვის ცნობილი იყო უფლების ის სამართლებრივი ხარ-  
ვეზი, რომელიც მოცემული დავის ფარგლებში საკასაციო სასამარ-  
თლოს განსჯის საგანს წარმოადგენს. ნასყიდობის ხელშეკრულე-  
ბის შეფასების დროს განმსაზღვრელია სსკ-ის 185-ე მუხლით დეკ-  
ლარირებული კეთილსინდისირი შემძენის კომპონენტის არსებო-  
ბა-არარსებობის საკითხი. სადაცო არაა, რომ სესხის კრედიტორი,  
ქონების ფიქტიური მყიდველი, მისი წარმომადგენელი სადავო ქო-  
ნების გასხვისებისას და მეორე მყიდველი ურთიერთდაკავშირე-  
ბული პირები იყვნენ. სასამართლო სხდომაზე გამსესხებლის მიერ  
მიცემული ჩვენების თანახმად, „მეორე მყიდველი იყო მისი ნაც-  
ნობი, უბნელი, მეგობარი და ის იყო საქმის კურსში“. ასეთ ვითარე-  
ბაში პრეზუმირებულია, რომ მეორე კასატორმა ქონების შეძენი-

სას უწყოდა შეგებებულ მოსარჩელესა და პირველ მყიდველს შორის იპოთეკის ხელშეკრულების არსებობის შესახებ, რაც გამორიცხავს სადავო უძრავ ქონებაზე მის მიერ საკუთრების უფლების მოპოვების კანონიერებას. ქონების შეძენა თავისთავად, გარკვეული რისკის განცევას უკავშირდება, თუმცა ასეთი ფასეული ნივთის შეძენისას, შემძენი ორიენტირებულია, მოიძიოს შესაძენი ქონების შესახებ ინფორმაცია. კონკრეტულ შემთხვევაში, უძრავ ქონებას ფლობდნენ მოპასუხები და გონივრული წინდახედულობის კრიტერიუმის გათვალისწინებით, მოსალოდნელია, რომ ახალი შემძენი, სულ მცირე, იმ ფაქტით მაინც უნდა დაინტერესებულიყო, თუ რა სამართლებრივი საფუძვლით იმყოფებოდნენ ეს პირები მის მიერ შესაძენ საცხოვრებელ სახლში. პალატის განმარტებით, სწორედ მეორე მყიდველის მტკიცების საგანს განეკუთვნებოდა სასამართლოსთვის სამართლებრივად ვარგისა არგუმენტაციისა თუ ჯეროვანი მტკიცებულებების წარდგენით გაებათილებინა მისი არაკეთილსინდისიერების თაობაზე სასამართლოს მიხედულება, მაგრამ მას ამ მიმართულებით, სათანადო იურიდიული მნიშვნელობის მოქმედებანი არ განუხორციელებია.

22. საბოლოოდ, საკასაციო პალატის განსჯით, გამომდინარე იქიდან, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობისა და სადავო ქონებაზე საკუთრების უფლების დაბრუნების თაობაზე შეგებებული სარჩელი საფუძვლიანია (სსკ-ის 976.1, 982-ე და 979.1 მუხლების საფუძველზე), უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხვევის შესახებ ძირითად სასარჩელო მოთხოვნას სამართლებრივი საფუძველი გამოეცალა და არ არსებობს მისი დაკმაყოფილების კანონისმიერი წინაპირობა. ამავდროულად, პალატა მეორე მყიდველთან (რომლის მიერ გადახდილი თანხა, რეალურად სესხის კრედიტორის დაკმაყოფილებას მოხმარდა) მიმართებით აღნიშნავს, რომ ის არ კარგავს უფლებას, ცალკე სამართალწარმოების ფარგლებში იდავოს მის მიერ ნასყიდობის საგანზე გაღებული თანხის დაბრუნებაზე.

23. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, რადგანაც კასატორებმა ვერ დაძლიეს გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება დამაჯერებელ და სარწმუნო მტკიცებულებებზე მითითებით, არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების კანონისმიერი საფუძველი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით და

## დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ი. მ-სა და თ. ლ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 29 ნოემბერის განჩინება;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ხელშეშლის აღკვეთა

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელის

№ას-104-2021

8 ივლისი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ერემაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი)  
ზ. ძლიერიშვილი,  
ლ. მიქაბერიძე

**დავის საგანი:** ხელშეშლის აღკვეთა

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. საჯარო რეესტრის ამონანტერის თანახმად უძრავი ნივთი მდებარე: თბილისი, ... - გამზირი №... საკადასტრო კოდით №...-, რეგისტრირებულია მ. დ-ის (შემდეგში: მოსარჩელე, აპელანტი) საკუთრებად, ამავე მისამართზე მდებარე 37.18 კვ.მ უძრავი ნივთი საკადასტრო კოდით №... რეგისტრირებულია ბ. ჯ-ას (შემდეგში: მოპასუხე ან კასატორი) საკუთრებად. საჯარო რეესტრში მხარეთა თანასაკუთრებადა რეგისტრირებული ქ. თბილისში ... - გამზ. №... საკადასტრო კოდით №...- რეგისტრირებული საპირფარეშო.

2. საქმეში წარდგენილი ფოტოსურათებით ირკვეოდა, ამასთან, არც მხარეები ხდიდნენ სადავოდ, რომ მხარეთა საერთო სარგებლობაშია დერეფანი, მოსარჩელე და მოპასუხე მათ ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ ბინებში რომ მოხვდნენ, საერთო სარგებლობის დერეფანი უნდა გაიარონ, სადაც თავის მხრივ განთავსებულია საჯარო რეესტრში მხარეთა თანასაკუთრებად რეგისტრირებული საპირფარეშო და მოსარჩელის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული საპირფარეშოც.

3. მოსარჩელე, მის საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ ბინაში მდებარე: ქ. თბილისი ... გამზირი, №...- საკადასტრო კოდით: №...-

თავად არ ცხოვრობს და აღნიშნულ უძრავ ქონებას ძირითადად ტურისტებზე, დღიურად, კვირებით ან უფრო ხანგრძლივად აქირავებს.

#### **4. სარჩელის მოთხოვნა**

4.1. თბილისის საქალაქო სასამართლოში წარდგენილი სარჩელით, მოსარჩელემ, მოპასუხისმომავალი მისი კუთვნილი უძრავი ქონების დღიურად გაქირავება, ე.ნ. „ჰოსტელად“ გამოყენება და ბინიდან გამომავალი ხმაურის აკრძალვა, აგრეთვე, მხარეთა თანასაკუთრებაში და სარგებლობაში არსებული, შესასვლელი დერეფნის და ტუალეტის მესამე პირებისთვის, მოსარჩელესთან როგორც ზეპირი ისე წერილობითი თანხმობის გარეშე სარგებლობაში გადაცემის აკრძალვა მოითხოვა.

#### **5. მოპასუხის შესაგებელი**

5.1. მოპასუხემ, წარდგენილი შესაგებლითა და სხდომაზე მიცემული ახსნა-განმარტებებით სარჩელი არ ცნო.

#### **6. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება**

6.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2020 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაქმაყოფილდა.

#### **7. მოსარჩელის სააპელაციო მოთხოვნა**

7.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2020 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის მიღების მოთხოვნით.

#### **8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები**

8.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

8.2. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით მხარეები წარმოადგენნ როგორც მეზობელი უძრავი ქონებების მესაკუთრეებს, აგრეთვე უძრავი ქონების გარკვეული ნაწილის თანამესაკუთრეებს, ამდენად, მათ შორის დავა გამომდინარეობს საზიარო უფლებებისა და სამეზობლო სამართლის მომზესრიგებელი ნორმებიდან.

8.3. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მხარეები ქ. თბილისში ...- გამზირზე №...ში მდებარე მეზობელი საცხოვრებელი ბინების მესაკუთრეებს წარმოადგენნ, რომელთაც თანასაკუთრებაში აქვთ ამავე მისამართზე მდებარე საპირფარეშო. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მეზობლად მდე-

ბარე საცხოვრებელი ბინების მესაკუთრეებს საერთო სარგებლობაში აქვთ შესასვლელი დერეფანიც, კერძოდ, როგორც მოსარჩელის ისე მოპასუხის საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ ბინაში მოსახვედრად საჭიროა მხარეთა საერთო სარგებლობაში არსებული დერეფინის გავლა, სადაც თავის მხრივ განთავსებულია როგორც მათ თანასაკუთრებად რეგისტრირებული საპირფარეშო, ასევე მოსარჩელის საკუთრებაში არსებული საპირფარეშოც.

8.4. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა უდავო გარემოებაზე, რომ მოპასუხე მის საკუთრებად რეგისტრირებულ უძრავ ქონებას, მხარეთა თანასაკუთრებასთან ერთად (საპირფარეშო, დერეფანი) ძირითადად ტურისტებზე აქირავებს, რის გამოც, ხშირად იცვლებიან ბინის დამქირავებლები. პალატა ხაზგასმით შენიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხის საკუთრებად რეგისტრირებული ქონებით სარგებლობისას გარდაუვალია მხარეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობა, რა დროსაც საცხოვრებელ ბინაში მოსახვედრად აუცილებელია მხარეთა საერთო დერეფინის გავლა, სადაც ასევე განთავსებულია მხარეთა თანასაკუთრებად რეგისტრირებული საპირფარეშოც, მოპასუხეს მის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინის გაქირავებისას მოსარჩელის, როგორც საზიარო საგნის მოწილისგან თანხმობის მოპოვების მიზნით არასდროს მიუმართავს.

8.5. საპელაციო სასამართლოს განმარტებით, იმისათვის რათა საზიარო საგანი გაქირავდეს, თუ სხვა ვალდებულებით-სამართლებრივი ან/და სანივთო-სამართლებრივი უფლებით დაიტვირთოს, აუცილებელია თანამესაკუთრეთა თანხმობა. გათვალისწინებით იმისა, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა თანასაკუთრება, უფრო მეტიც, სახეზეა მოცემულობა, როდესაც თანასაკუთრებაში არსებული ქონების დამქირავებლებისთვის გადაცემა ხდება, რომლებიც თავის მხრივ საკმაოდ ხშირად იცვლებიან, ამასთან, მხარეთა თანასაკუთრებას წარმოადგენს ისეთი ქონება, რომლით სარგებლობის გარეშე შეუძლებელია მხარეთა ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული საცხოვრებელ ბინებში მოხვედრა, შეტიც საერთო სარგებლობის სივრცეშია განთავსებული როგორც მოსარჩელის პირად საკუთრებაში არსებული საპირფარეშო, ასევე მხარეთა თანასაკუთრებად რეგისტრირებული საპირფარეშო, პალატას აძლევს დასკვნის საფუძველს, რომ საკუთრებით დაუბრკოლებელი სარგებლობის უზრუნველყოფის (საგულისხმოა, რომ საერთო სარგებლობის დერეფანში მდებარეობს მოსარჩელის პირად საკუთრებაში არსებული საპირფარეშო), ასევე თანასაკუთრების ბუნებიდან გამომდინარე (რა დროსაც კანონმდებელი საზიარო უფლების მონაწილებს მხოლოდ ერთობლივად ანიჭებს საზიარო საგნის

ან მისი ნაწილის მართვის ან/და განკარგვის უფლებამოსილებას) ნაწილობრივ გასაზიარებელია მოსარჩელის მოთხოვნა ამ უკანას-კელის, როგორც ქონების თანამესაკუთრის თანხმობის გარეშე მო-პასუხისმგების მხარეთა თანასაკუთრებად რეგისტრირებული საპირ-ფარეშოს და საერთო სარგებლობაში არსებული დერეფნის მესამე პირებისთვის სარგებლობაში გადაცემის აკრძალვასთან დაკავში-რებით.

8.6. სააპელაციო სასამართლომ, მოსარჩელის პრეტენზიაზე სა-კუთრების უფლების ხელყოფასთან დაკავშირებით განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე იყო საკუთრებით სარგებლობის ხელშეშლა, რაც არსებითი ხასიათის იყო და სცილდებოდა სამე-ზობლო ზემოქმედებათა თმენის ვალდებულებას, რადგან, ქონე-ბის ჩვეულებრივი გამოყენებიდან არ გამომდინარეობდა.

8.7. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით მოწმეებმა მოპა-სუხის ქონებიდან მომდინარე ხმაურის ფაქტი დაადასტურეს, ხაზ-გასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოდავე მხარეების ქონება მრა-ვალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მეორე სართულზე მდება-რე ბინებს წარმოადგენს, ანუ სახეზე არ არის მოცემულობა, რაც მოსარჩელეს არსებითი ზემოქმედების/ხმაურის დადასტურების შემთხვევაშიც კი მისი თმენის ვალდებულებას წარმოუშობდა.

8.8. სააპელაციო სასამართლომ დასახელებული გარემოებების და იმ უდავო ფაქტის გათვალისწინებით, რომ მოდავე მხარეთა საც-ხოვრებელი ბინები ერთმანეთთან დაკავშირებულია საერთო სარ-გებლობაში არსებული დერეფნით და საერთო კედელით, ასევე იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მოპასუხე მხარე მის საკუთრება-ში არსებულ საცხოვრებელ ბინას ხანმოკლე პერიოდებით აქირა-ვებს, რაც დამქირავებლების ხშირ ცვლილებას იწვევს, განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში გამოკვეთილია უკანონო ხელმეშლა მოპასუხის მხრიდან.

## 9. მოპასუხის საკასაციო საჩივარი

9.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2020 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე საკასა-ციო საჩივარი წარადგინა მოპასუხემ, გასაჩივრებული გადაწყვე-ტილების გაუქმება და სარჩელის დაქმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

9.2. კასატორის განმარტებით, საქმის განხილვისას სააპელაციო სასამართლო გასცდა მოთხოვნის ფარგლებს. მოსარჩელის მოთ-ხოვნას მოპასუხის საკუთრებაში არსებული ფართის დღიურად გა-ქირავების აკრძალვა წარმოადგენდა. სააპელაციო სასამართლომ, დასახელებული მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, თუმცა, მოპასუხეს დაავალა საკუთარი ფართის იმგვარად მოწმობა, რომ მისი ბინიდან

აღკვეთილიყო გამომავალი ხმაურის ზემოქმედება მოსარჩელის კუთვნილ ფართზე.

9.3. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა აგრეთვე ის ფაქტი რომ მოსარჩელები მრავალფუნციურ ბინაში ცხოვრობდნენ, სადაც საკუთარ ბინებში შესასვლელი ფართები საერთო საკუთრებას წარმოადგენს, ხოლო, საპირფარეში თითოეულ მხარეს აქვს ინდივიდუალურად მათ საკუთრებაში და ასევე საერთო საკუთრებაში, თუმცა, მხარეებმა დაადასტურეს, რომ ამ უკანასკნელს არ იყენებენ.

#### **10. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი**

10.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 15 მარტის განჩინებით საკასაციო საჩივარი წარმოებაშია მიღებული.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის არსებითად განხილვის გზით შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

11. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედაბეჭა). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასებადადგვენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

12. საკასაციო სასამართლო მოცემულ შემთხვევაში უპირველესად მხარის სასარჩელო მოთხოვნაზე გაამსხვილებს ყურადღებას, კერძოდ, სარჩელის მიხედვით, მოთხოვნას მოპასუხისთვის საცხოვრებელი ბინის დღიურად გაქირავების, ე.წ „ჰოსტელად“ გამოყენების აკრძალვა წარმოადგენდა. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით კი საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმდა და მოპასუხეს მის საკუთრებაში არსებული ბინის იმგვარად მოწყობა დაევალა, რომ ამ ბინიდან გამომავალი ხმაურის ზემოქმედება აღკვეთილიყო მოსარჩელის ფართზე, აგრეთვე, მხარეთა თანასაკუთრებაში და სარგებლობაში არსებული შესასვლელი დერეფნის და საპირფარეშოს დამქირავებლებისთვის სარგებლობაში გადაცემა

აეკრძალა მოპასუხეს.

13. საკასაციო პალატა განმარტავს, სსსკ-ის 248-ე მუხლით იმ-პერატიულადაა დადგენილი სასამართლო გადაწყვეტილების ფარ-გლები, რომლის თანახმადაც, სასამართლოს უფლება არა აქვს, მი-აკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთ-ხოვა, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა. მითითებული ნორმის დანართის არა მარტო პირველი ინსტანციის, არამედ, სააპელაციო და საკასაციო განხილვის წესებზეც ვრცელდება, რამდენადაც, ამა-ვე კოდექსის 384-ე და 409-ე მუხლების თანახმად, ზემდგომი სასა-მართლო უფლებამოსილია, გადაწყვეტილება მხოლოდ მხარის მოითხოვნის ფარგლებში შეცვალოს, ხოლო საქმის ზემდგომ სასა-მართლოში განხილვისას დავის საგნის გადიდება დაუშვებელია (სსსკ-ის 381-ე და 406-ე მუხლები) (შდრ: სუსგ. №ას-883-2021, 9.12.2021; №ას-863-813-2015, 17 დეკემბერი, 2015).

14. საკასაციო სასამართლო მოთხოვნის ფარგლებში სასამარ-თლოს მოქმედების ვალდებულებაზე, სხვა საქმეზეც მიუთითებს, რომლის მიხედვითაც, დისპოზიციურობის პრინციპის თანახმად, მხარები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადე-ბის შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვი-თონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტა-ნის შესახებ (სსსკ 3.1), ამდენად, როგორც სასამართლოში დავის დაწყება, ისე მოთხოვნის ჩამოყალიბება თუ დავის საგნის განსაზ-ღვრა, მხოლოდ მხარის პრეროგატივაა, სასამართლოს როლი, სა-მოქალაქო სამართალნარმოების ფარგლებში, განისაზღვრება მხა-რეთა მიერ განსაზღვრული მოთხოვნის საფუძვლიანობის მათ მი-ერვე წარმოდგენილი მტკიცებულებების ფარგლებში გამოკვლე-ვასა და სამართლებრივ შეფასებაში. ამ მოსაზრებას საფუძვლად უდევს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, სასამართლოს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს თავი-სი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვა, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა (შდრ: სუსგ №ას-934-2020, 25 მარტი, 2021 წ.).

15. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქმის გარემოებათა ანალიზის საფუძველზე, მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის გან-საზღვრა, მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის მოძიება და სადავო სამართალურთოთობისადმი მისადაგება სასამართლოს უფლე-ბამოსილებაა და ის შეზღუდული არ არის მხოლოდ მხარის მიერ მითითებული სამართლის ნორმებით (შდრ. სუსგ ას-№1522-2018, 28 მაისი, 2019 წელი). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ

მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძვლზე აკმაყოფილებსა ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში.

16. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მხარეს იმაზე მეტი მიეკუთვნა ვიდრე ის ითხოვდა.

17. ამასთან, საკასაციო სასამართლო, მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივისამართლებრივი გარემოებების, აგრეთვე სასარჩელო მოთხოვნის გათვალისწინებით განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით, ასევე, „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის“ ევროკონვენციის დამატებითი ოქმის პირველი მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული საკუთრების უფლება შეიძლება შეიზღუდოს.

18. სსკ-ის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის თანაბმად, მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას. ამავე მუხლის მე-2 ნაზილით, უფლების ბოროტად გამოყენებად ჩაითვლება საკუთრებით ისეთი სარგებლობა, რომლითაც მხოლოდ სხვებს ადგებათ ზიანი ისე, რომ არ არის გამოკვეთილი მესაკუთრის ინტერესის უპირატესობა, და მისი მოქმედების აუცილებლობა გაუმართლებელია.

19. სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ნივთის ამოღების ან მისი ჩამორთმევის გარეშე საკუთრების ხელყოფის ან სხვაგვარი ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნა წარმოადგენს წევატორულ სარჩელს, რომელიც, მესაკუთრის დაცვის მიზნით, მიმართულია უფლების დამრღვევი პირის წინააღმდეგ. სასამართლო ამ ტიპის სარჩელის განხილვისას ადგენს არარაიმე ახალ უფლებას (აწესებს, ცვლის, წყვეტს და სხვა), არამედ მოდავე სუბიექტთა უფლებრივი მდგომარეობის შეუცვლელად ახდენს სამოქალაქო უფლების სწორი რეალიზაციის წესის განსაზღვრას. აღ-

ნიშნული ტიპის სარჩელი დაქმაყოფილდება ისეთ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ნივთის მესაკუთრე, რომლის საკუთრების ხელყოფა ან საკუთრების გამოყენებაში სხვაგვარი ხელშეშლა ხორციელდება სხვა პირის უკანონო მოქმედებით (იხ. სუსგ, №ას-1250-2018, 21.12.2018; №ას-1041-998-2014, 12.02.2016; №ას-843-809-2016, 26.10.2016).

20. სსკ-ის 953-ე მუხლით, თუ უფლება რამდენიმე პირს ერთობლივად ეკუთვნის, მაშინ გამოიყენება საზიარო უფლებების თავის წესები, თუკი კანონიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. ამავე კოდექსის 955-ე მუხლის მე-2 ნაწილი კი ადგენს, რომ თითოეულ მოწილეს უფლება აქვს ისარგებლოს საზიარო საგნით ისე, რომ ზიანი არ მიადგეს დანარჩენ მოწილეთა სარგებლობას. სადავო სამართალურთიერთობის მოწილი გენერალური კონებაზე მოსარჩელის საკუთრების არსებობის ფაქტის დამტკიცება და არა ის, მისი ნილი რეალურია თუ იდეალური. ნივთით სარგებლობაში ხელშეშლის აკრძალვის მოთხოვნა იდეალური ნილის მესაკუთრესაც აქვს (შდრ. №ას-230-230-2018, 23.05.2019).

21. ამდენად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში, თანაზიარო საკუთრებისა და საკუთრების უფლების არსის გათვალისწინებით, მოსარჩელის მოთხოვნა, მოპასუხისმतვის საკუთრების უფლების განკარგვის შეზღუდვის შესახებ გამოიწვევს საკუთრების უფლების რეალიზაციის მოსპობას.

22. საკასაციო სასამართლო კვლავ მიუბრუნდება გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებას, რომლის მიხედვითაც, მოწმეებმა დაადასტურეს, რომ მოპასუხე, საცხოვრებელ ბინას ძირითადად ტურისტებზე აქირავებდა, დამქირავებლები კი ძალიან ხმაურობდნენ. მოწმის განმარტებით, არაერთხელ შესწრებია ხმაურის აღკვეთის მიზნით პოლიციის გამოძახების ფაქტსაც. საქმეში წარდგენილია აგრეთვე საპატრულო პოლიციის რეაგირების ოქმები, რომლითაც დასტურდება, რომ საპატრულო პოლიციას ორივე მხარე იძახებდა, მოსარჩელე, ხმაურის აღკვეთის მიზნით, ხოლო, მოპასუხე უძრავი ნივთის გაქირავების ხელშეშლის აღკვეთის მიზნით.

23. საკასაციო სასამართლო, საპროცესო სამართლით დადგენილი მტკიცების სტანდარტის გათვალისწინებით განმარტავს, რომ სსსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალნარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობები თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავითანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რო-

მელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით, ხოლო მე-3 ნაწილის მიხედვით, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

24. საქართველოს მთავრობის დადგენილების №398, ტექნიკური რეგლამენტი – „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ ადგენს აკუსტიკური ხმაურის დასპეციალური ნორმებს საცხოვრებელ სახლებში, ხმაურის არახელსაყრელი ზემოქმედებისაგან ადამიანების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით. ამავე ნორმატიული აქტით დადგენილია, რომ ხმაურის დონის გაზომვა ხდება როგორც დღის, ისე ღამის პერიოდში. გაზომვისათვის შეირჩევა ისეთი პერიოდი, როდესაც მოსალოდნელია ხმაურის მაქსიმალური დონის დაფიქსირება. ხმაურის დონის კონტროლი ხმაურის მომატებულ დონეზე ხორციელდება შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული წესით დამოწმებული ხმაურმზომის გამოყენებით.

25. საკასაციო სასამართლო მოხმობილი ნორმატიული აქტის დანაწესის გათვალისწინებით განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩევებმ, თავისი მოთხოვნის დამადასტურებელ გარემოებად მითითებული ფაქტები ვერ დაადასტურა კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი სახის მტკიცებულებებით, ხოლო, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით, დაუსაბუთებლადაა გაზიარებული მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით ისეთი საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც, საქმეში კონკრეტული სახის მტკიცებულებების არსებობაზეა დამოკიდებული.

26. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის საპელაციო სასამართლოში განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის

ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი არ არსებობს, რადგან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოყვლევა.

27. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ესისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გაწიეს მხარეებმა საქმის საპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. ამასთან, იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისთვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლით, 53-ე, 408-ე, 411-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ 3 0 ტ ა:**

1. 6. ჯ-ას საკასაციო საჩივარი, დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მ. დ-ის სარჩელი 6. ჯ-ას წინააღმდეგ, ხელშეშლის აღკვეთის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;
3. მ. დ-რს (...) დაეკისროს, 6. ჯ-ას მიერ საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისთვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 150 ლარი;
4. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## აუცილებელი გზა

### განხილვა საქართველოს სახელით

№ას-1147-2021

31 მარტი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: გ. მიქაუტაძე (თავმჯდომარე),  
თ. ზამბახიძე (მომხსენებელი),  
რ. ნადარაია

**დავის საგანი:** აუცილებელი გზით სარგებლობის უფლების  
დადგენა

#### აღნერილობითი ნაწილი:

#### სასარჩელო მოთხოვნა:

1. მპს „ა. მ-სმა“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მოსარჩელე“, „კასატორი“) სარჩელი აღძრა სასამართლოში ა. ბ-ძის (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მოპასუხე“) მიმართ აუცილებელი გზით სარგებლობის უფლების დადგენის მოთხოვნით.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციით ნაწილი და საფუძვლები:

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 14.07.2020 წლის გადაწყვეტილებით – სარჩელი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება ეფუძნება შემდეგს:

2.1. მოსარჩელისა და მოპასუხის მიწის ნაკვეთები ერთმანეთის მომიჯნავეა. მოსარჩელის საკუთრებად საჯარო რეესტრში 16.12.2015 წლიდან რეგისტრირებულია თბილისში, ... ქუჩის მიმდებარედ, მტკვრის სანაპიროსთან მდებარე 876 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ №...), ხოლო მოპასუხის საკუთრებად 13.12.2018 წლიდან ირიცხება 1009 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ №...), მისამართზე – თბილისი, ... მიმდებარე ტერიტორია.

2.2. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ ექსპერტიზის დასკვნაში ასახული ფოტოსურათითა და მისივე ახსნა-განმარტებით დადგენილია, რომ მოსარჩელის კუთვნილ მიწის ნაკვეთს, საკადასტრო კოდით № ..., აქცს მისასვლელი საჯარო გზასთან.

2.3. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი 20.12.2019 წლის ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული ორსართულიანი №1 შენობის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში, I სართულზე მდებარე

ფართს, რომელიც ავტოტექნიკურების ცენტრია, მისასვლელი გზა ფაქტობრივად აქვს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილიდან, საჯარო რეესტრში №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის გავლით. საკვლევი ფართის შესასვლელთან მოწყობილია ლითონის ჭიშკარი, რომელთანაც უმოკლესი მისასვლელი გზის მოწყობა შესაძლებელია ჩრდილო-დასავლეთიდან, საჯარო რეესტრში №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილის გავლით.

2.4. სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ) 170-ე, 180-ე მუხლებზე და განმარტა, რომ მოსარჩელის კუთვნილ მიწის ნაკვეთი დაკავშირებულია საჯარო გზასთან, რაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თვითკმარი საფუძველია. ამასთან, მოსარჩელეს არ ნარმოუდგენია მის მიერ მითითებული და მოპასუხის მიერ სადავოდ გამხდარი გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მოსარჩელეს სადავო გზით სარგებლობის უფლება მოპასუხის კუთვნილი მიწის ნაკვეთის წინა მესაკუთრისაგან აქვს მიღებული. მნიშნელოვანია, რომ მოსარჩელე არ შესდაცვებია მოპასუხის პოზიციას, რომ 2015 წელს, მოსარჩელემ იმგვარად დააპროექტა №1 შენობის მშენებლობა, რომ თავად მოისპო აღნიშნულ შენობასთან მისასვლელი გზა. ეს გარემოება კი, სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესის გათვალისწინებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

2.5. მოსარჩელის მიწის ნაკვეთს აქვს კავშირი საჯარო გზასთან და აუცილებელი გზის უფლებას ითხოვს შენობასთან მისთვის სასურველი მხრიდან წვდომის უზრუნველყოფისთვის, რაც არ წარმოადგენს სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს. სასამართლოს განმარტებით, აუცილებელი გზით სარგებლობის უფლების დადგენა და მოპასუხებული თმენის ვალდებულების დაკისრება განპირობებული უნდა იყოს ისეთი ობიექტური ფაქტორებით, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც პრაქტიკულად შეუძლებელია მესაკუთრის მიერ თავის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (და არა შენობის ამა თუ იმ ნაწილის) ჯეროვანი გამოყენება მეზობელი მიწის ნაკვეთით სარგებლობის გარეშე. მოცემულ შემთხვევაში, გზით სარგებლობის უფლების დადგენას მოსარჩელე სუბიექტური ფაქტორის გათვალისწინებით ითხოვს იმ გარემოებაზე მითითებით, რომ მას №1 შენობასთან მისასვლელი გზის მოწყობისთვის ხარჯის გაწევა მოუწევს და არა მიწის ნაკვეთის საჯარო გზასთან კავშირის არქონის საფუძვლით, რაც გამორიცხავს მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

3. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩე-

ლემ და მოითხოვა მისი გაუქმება, ახალი გადაწყვეტილებით – სარჩელის დაკმაყოფილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი და საფუძვლები:

**4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 22.07.2021 წლის განჩინებით – სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. განჩინება ეფუძნება შემდეგს:**

4.1. სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 180-ე მუხლის პირველი ნაწილზე და განმარტა, რომ აღნიშნული დანაწესი გულისხმობს ნივთის ასეთი უფლებით დატვირთვას მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, ანუ ობიექტური გარემოება ნარმოშობს სხვისი ნივთით სარგებლობის აუცილებლობას.

4.2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 20.04.2021 წლის ადგილზე დათვალიერების ოქმით დადგენილია, რომ მოსარჩელის კუთხით შენობას აქვს რამდენიმე სართული. შენობის იმ ნაწილში, რომლიდანაც მოსარჩელე ითხოვს აუცილებელ გზის დადგენას, მიმდინარეობდა სათუნუქე და სამღებრო სამუშაოები, რაც მოსარჩელის განმარტებით, გაჩერებულია, ვინაიდან, ვერ ხერხდება შენობის ამ კონკრეტულ ტერიტორიაზე ავტომობილის შეყვანა. სწორედ აღნიშნულის უზრუნველსაყოფად ესაჭიროება მოსარჩელეს მეზობელი მინის ნაკვეთის 27 კვ.მ ფართით სარგებლობა. მოსარჩელის ნარმომადგენლის განმარტებით, შენობაში ავტომობილით შესვლა ბევრჯერ სცადეს, მაგრამ ყველა მათგანი ან ავტომობილის, ან ბუნებრივი აირის მრიცველის ყუთის (რომელიც განთავსებულია შენობაში შესასვლელ კედელზე) დაზიანებით დასრულდა.

4.3. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, შენობას აქვს არაერთი შესასვლელი. შესასვლელი არსებობს ზედა სართულიდანაც. ასევე, პირველ სართულს, სადაც მოსარჩელე ითხოვს აუცილებელი გზის დადგენას, გააჩინა სხვა შესასვლელიც. მოსარჩელის განმარტებით, აუცილებელი გზის დადგენის შემთხვევაში მას საშუალება ექნება მოხვდეს შენობის იმ ნაწილში, სადაც მიმდინარეობს სამღებრო სამუშაოები. შენობის იმ ნაწილს სადაც მიმდინარეობს ავტომობილების დაშლა-აწყობა, სალონის მოხსნა-შეკეთება აქვს სხვა შესასვლელიც და ამ ორი სივრცის გაერთიანება მოსარჩელის დირექტორის განმარტებით, არ არის რეკომენდებული. სწორედ ამიტომ, ეს ორი სივრცე გამიჯნულია მუყაოს კედლით. აღნიშნულთან დაკავშირებით, პალატა მიუთითებს, რომ აუცილებელი გზა შეუძლებელია დადგინდეს ერთი მიწის ნაკვეთისათვის გარკვეუ-

ლი სახის კომფორტის შესაქმნელად. იმავდროულად, შეუძლებელია, დადგინდეს რამდენიმე აუცილებელი გზა. მომიჯნავე მიწის მესაკუთრეები არ არიან ვალდებული, ითმინონ მიწის ნაკვეთზე არსებულ ყველა შესასვლელამდე მისასვლელი გზით სარგებლობა. განსახილველ შემთხვევაში შენობას აქვს არაერთი შესასვლელი. ასეთ დროს შეუძლებელია დადგინდეს აუცილებელი გზა თოთოვეული შესასვლელის მიმართ. მითუმეტეს, რომ სადავო ფართი იზოლირებულია მუყაოს კედლით და მისი აღება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ სადავო შენობის ყველა შესასვლელს საჯარო გზებთან კავშირის უზრუნველსაყოფად ესაზღვრება სხვა პირთა საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები. შესაბამისად, აუცილებელი გზის დასადგენად უნდა გამოკვლეულ იქნეს არა შენობის ცალკეულ ნაწილებთან კავშირის შესაძლო შემთხვევები, არამედ მთლიანად შენობასთან მისასვლელი აუცილებელი გზის მდებარეობის განსაზღვრის ოპტიმალური შესაძლებლობები. საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დაკრიტიკული შეუძლებელია ამ საკითხზე დასკვნების გამოტანა. მასში საუბარი არ არის, შეიძლება თუ არა ამ გზით აუცილებელი კავშირის უზრუნველყოფა მთელ შენობასთან, ამ შემთხვევებაში კი შეუძლებელია დადგინდეს აუცილებელი გზა. თუ მხარე ითხოვს აუცილებელ გზას, დავის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია გაირკვეს, თუ შენობის რომელი მხრიდან უნდა მოეწყოს აუცილებელი გზა და რომელი მიწის მესაკუთრის ტერიტორიას გადაკვეთს იგი, რადგან თითოეულ შესასვლელს ემიჯნება სხვადასხვა მესაკუთრის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები.

4. გარდა ზემოაღნიშნულისა, სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელში არ არის დაზუსტებული სასარჩელო მოთხოვნა. მოსარჩელე მიუთითებს, რომ იგი ვერ ისარგებლებს თავის საკუთრებაში არსებული შენობის ნაწილით, თუ ვერ გაივლის მოპასუხის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს. თუ სარჩელში საუბარია მხოლოდ შენობის ერთი გარკვეულ ნაწილთან კავშირზე, შეუძლებელია, იმსკველო აუცილებელი გზის დადგენის შესაძლებლობაზე. ამ თვალსაზრისით წინააღმდეგობრივია გასაჩივრებული გადაწყვეტილება. უნდა გაირკვეს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე – აუცილებელ გზას თუ მისასვლელს შენობის გარკვეულ ნაწილთან. მითითებული საკითხის გარკვევის გარეშე შეუძლებელია საქმეზე რაიმე გადაწყვეტილების მიღება. გარდა ამისა, არსებობს საშიშროებაც, რომ იმ შემთხვევებაში, თუ სარჩელს არ დააქმაყოფილებს სასამართლო და მომიჯნავე მიწის მესაკუთრები მოსარჩელეს არ მისცემენ შესაძლებლობას, ისარგებლოს მათი მიწის ნაკვეთებით, მოსარჩელე აღმოჩნდეს სრულ იზოლაციაში და არ ჰქონდეს მისასვლელი შე-

ნობასთან. ამდენად, უნდა დაზუსტდეს სასარჩელო მოთხოვნა და იმ შემთხვევაში თუ მოსარჩელე ითხოვს მთლიანად შენობის მიმართ აუცილებელი გზის დადგენას, საკითხი უნდა შეისწავლოს შესაბამისი სპეციალური ცოდნით აღჭურვილმა პირმა და მისი დასკვნის საფუძველზე შეფასდეს საკითხი, ხოლო თუ მოსარჩელე ითხოვს მისასვლელს შენობის გარეკეულ ნაწილამდე, ეს საკითხიც გამოსაკვლევი და შესაფასებელია.

4.5. სააპელაციო პალატის მითითებით, საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ კანონის მოთხოვნათა დაცვით უნდა დააზუსტებინოს მოსარჩელეს სასარჩელო მოთხოვნა იმგვარად, რომ თვალსაჩინო გახდეს მისი სამართლებრივი საფუძველი, ამის შემდეგ კი უნდა გამოიკვლიოს ფაქტობრივი გარემოებები, მისცეს მხარეებს საშუალება, წარმოადგინონ მტკიცებულებები და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცეს მათ.

#### **საკასაციო საჩივრის მოთხოვნა:**

5. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოსარჩელემ შეიტანა საკასაციო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება, ახალი გადაწყვეტილებით – სარჩელის დაგმაყოფილება.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით, საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსკ) 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამონმებლად. ამავე სასამართლოს განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

7. საკასაციო სასამართლოს შემოწმების საგანი უპირველესად არის საკითხი – სწორად დაუბრუნა თუ არა სააპელაციო სასამართლომ საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად. სააპელაციო სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოსთვის საქმის უკან დაბრუნების მართებულობის შეფასებისას, სასამართლომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაითვალისწინოს: 1) რა პროცესუალური გარემოებები მიუთითებენ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის უკან დაბრუნებაზე; 2) ამ გარემოებების გათვალისწინებით, რამდენად მიზანშეწონილია საქმის უკან დაბრუნება და 3) ხომ არ გამოიწვევს ეს საქმის უსაფუძ

ვლოდ გაჭიანურებას (მდრ. სუსგ №ას-1118-1145-2011, 10.01.2012წ.; სუსგ №ას-151-147-2016, 19.04.2016წ.).

8. სააპელაციო სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლებს განსაზღვრავს სსსკ-ის 385-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილის „ა“ ქებულების თანახმად, სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად, თუ ადგილი აქვს 394-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს (გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები). ამავე მუხლის მე-2 ნაწილი სააპელაციო სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს, არ გადააგზავნოს საქმე უკან და თვითონ გადაწყვიტოს იგი. ამრიგად, აღნიშნული მუხლი, ერთის მხრივ, უთითებს პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის დაბრუნების საფუძვლებზე, ხოლო, მეორეს მხრივ, სასამართლოს აძლევს უფლებას, ამ საფუძვლების არსებობისას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სამართლიანი მართლმასჯულების განხორციელების სტანდარტიდან გამომდინარე, შეაფასოს, რა უფრო მართებულია – მის მიერ გადაწყვეტილების გამოტანა თუ საქმის ხელახლა განსახილველად პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნება (სუსგ №ას-1234-1175-2014, 23.02.2015წ.; №ას-1167-2019, 22.07.2020 წ.).

9. ზემოაღნიშნული განპირობებულია სამართლიანი სასამართლოს უფლებით, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა და თავის თავში მოიცავს ადამიანის უფლებას მისი საქმე გონივრულ ვადაში, სწრაფად და ეფექტიანად განხილოს სასამართლომ (Profitis and Others v. Greece, §93; Tierce v. San Marino, §31; Surmeli v. Germany [GC], §129; Capuano v. Italy, §§30-31; Versini v. France, §29), რაც წარმოშობს სახელმწიფოს ვალდებულებას ისე მოაწყოს თავისი სამართლებრივი სისტემა, რომ სასამართლოებმა უზრუნველყონ თითოეული პირის უფლება გონივრულ ვადაში მიაღწიოს საბოლოო გადაწყვეტილებას დავაზე, რომელიც მისი სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეების განხორციელებას ეხება (Scordino v. Italy (no.1) [GC] §183, Surmeli v. Germany [GC], § 129). თუმცა, ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი მოითხოვს რა, რომ მართლმსაჯულება იყოს სწრაფი და ეფექტიანი, ხაზს უსვამს, რომ ამით არ უნდა დაზარალდეს მართლმსაჯულების სწორად (სათანადოდ) განხორციელების პრინციპი (Von Maltzan and Others v. Germany (dec.) [GC], §132), რომელიც სამართლიანი სასამართლოს უფლების უფრო ზოგადი პრინციპია (სუსგ №ას-1167-2019, 22.07.2020 წ.).

10. საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის უკან დაბ-

რუნება, ისევე როგორც საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება, სააპელაციო სასამართლოს უფლებაა და არა ვალდებულება. მიუხედავად ამისა, ეს არ გულისხმობს, რომ სააპელაციო სასამართლო არაა შეზღუდული, ნებისმიერი დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების შემთხვევაში ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნოს საქმე. ასეთი მიღვომა ეწინააღმდეგება რაციონალური მართლმსაჯულებისა და პროცესუალური ეკონომიკის პრინციპებს, სსსკ-ის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილის ნამდვილ აზრს, რითაც მოცემულ შემთხვევაში, შებოჭილია საპელაციო სასამართლო. ამიტომ, სააპელაციო სასამართლომ, რომელიც სსსკ-ის თანახმად, ასევე საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოა, პირველი ინსტანციის სასამართლოს საქმე უკან უნდა დაუბრუნოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც მას თავად რეალურად გაუჭირდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა ან კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით, მართლაც მიზანშეწონილია საქმის უკან დაბრუნება (სუსგ №ას-657-618-2012, 10.12.2012.; სუსგ №ას-151-147-2016, 19.04.2016.; სუსგ №ას-973-922-2015, 16.02.2016.).

11. საკასაციო პალატის მოსაზრებით, გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს მითითებას გარემოებებზე, რომელთა გამოც გამართლებული იქნებოდა საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში გადაგზავნა. სააპელაციო სასამართლოს თავადვე შეეძლო, გამოერკვია მის მიერ მითითებული გარემოებები, სამართლებრივად შეეფასებინა და გადაწყვეტიტა დავა.

12. საქმის მასალების მიხედვით, სასარჩელო მოთხოვნაა – მოპასუხეს დაევალოს, ითმინოს მის საკუთრებაში არსებული 27 კვ.მ ფართის გამოყენება მოსარჩელის კუთვნილ უძრავ ქონებასთან (ს/კ ...) აუცილებელი კავშირის უზრუნველსაყოფად 11.12.2019 წლის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზის მიხედვით. სარჩელის საფუძვლად კი მოსარჩელე მიუთითებს იმ ფაქტს, რომ ვერ სარგებლობს მისი კუთვნილი შენობის ნაწილით, თუ არ გაივლის მოპასუხის საკუთრებაში რიცხულ მიწის ნაკვეთს (ს/კ ...). ამდენად, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სასარჩელო მოთხოვნის და მისი საფუძვლის ბუნდოვანების თაობაზე სააპელაციო პალატის მოსაზრებას და მიაჩინა, რომ როგორც მოთხოვნა, ისე მისი ფაქტობრივი საფუძველი მოსარჩელის მიერ გარკვევით არის ჩამოყალბებული. ამასთან, თუ რამდენად დასაბუთებულია სასარჩელო მოთხოვნა, სსსკ-ში მოქმედი დისპოზიციურობისა და შეკვიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე სარჩელის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის საფუძველია და არა – სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოსთვის საქ-

მის ხელახლა განსახილველად დაბრუნების წინაპირობა. სსსკ-ის 248-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს უფლება არა აქვს, მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა.

13. მნიშვნელოვანია, ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს აუცილებელი გზისა და სერვიტუტის შემთხვევები: აუცილებელი გზა ყოველთვის ნაკარნახებია უალტერნატივო აუცილებლობით და დგინდება კანონის საფუძველზე. სერვიტუტი, თავის მხრივ, ყოველთვის მხარეთა ნების საფუძველზე დგინდება, ანუ იქ, სადაც მხარეები თანხმდებიან. აუცილებელი გზის დადგენა სერვიტუტის ფორმითაც არის შესაძლებელი, ამ შემთხვევაში სახეზე უნდა იყოს მხარეთა შეთანხმება. სერვიტუტის დადგენა აუცილებლობიდან არ გამომდინარეობს, ის ნებისმიერ შემთხვევაში შესაძლებელია წარმოშვას. იქ, სადაც მხარეთა ნება გამორიცხულია, კანონი ერვა უხეშად და სწორედ კანონისმიერი უფლების დადგენის გზით გვარდება სამართლებრივი კონფლიქტი. აუცილებელი გზის კონსტრუქციით კანონმდებელმა შემოიტანა საკონტროლო მექანიზმი, რომლითაც, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებში, შეუძლია, ისარგებლოს იზოლირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ, მიწის ნაკვეთის აუცილებელ კომუნიკაციებთან კავშირის უზრუნველსაყოფად (თამარ ზარანდია, სანიკორო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, მეორე შევსებული გამოცემა, 2019წ., გვ. 281). ამდენად, აუცილებელი გზით სარგებლობის უფლება – ესაა კანონით დადგენილი საკუთრების უფლების შეზღუდვა (ე. ნ. „აუცილებელი გზის სერვიტუტი“, „servitus necessaria“) და იგი წარმოიშობა მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც არის ცალმხრივი აღმჭურველი ნების გამოვლენა (ლევან თოთლაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, თბილისი, 2018წ., მუხ. 180, ველი 1).

14. სარჩელის საგანია აუცილებელი გზის უფლების დადგენა. შესაბამისად, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს სსკ-ის 180-ე მუხლის პირველი ნაწილი (თუ მიწის ნაკვეთს არა აქვს ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელი კავშირი საჯარო გზებთან, ელექტრო, ნავთობის, გაზისა და ნეალმომარაგების ქსელთან, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია მეზობელს მოსთხოვოს, რომ მან ითმინოს მისი მიწის ნაკვეთის გამოყენება ამგვარი აუცილებელი კავშირის უზრუნველსაყოფად. იმ მეზობელს, რომელთა ნაკვეთზედაც გადის აუცილებელი გზა ან გაყვანილობა, უნდა მიეცეთ შესაბამისი კომპანიასაცია, რომელიც, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება ერთჯერადი გადახდით გამოიხატოს) წარმოადგენს, რომელმიც საკუთრების უფლების კანონისმიერი შებორგვის პირობებია მოცემული. აუცილებელი გზის მოთხოვნით აღძრული სარჩელის მართებულობის

დასადგენად სასამართლომ უნდა შეამოწმოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული (აუცილებელი გზის ან გაყვანილობის თმენის ვალდებულება არ წარმოიშობა, თუკი უკვე არსებული დაკავშირება მინის ნაკვეთისა გაუქმდა მესაკუთრის თვითნებური მოქმედებით) თმენის ვალდებულების გამომრიცხველი გარემოების არსებობა/არარსებობაც. პირი, რომელიც თავისი ქმედებით, თავისუფალი წების საფუძველზე, წყვეტს მინის ნაკვეთის დაკავშირებას საჯარო ქსელებთან, არ საჭიროებს დაცვას სხვა მესაკუთრის ინტერესების ხარჯზე. მაგალითად, თვითნებურად მოქმედებს მესაკუთრე, რომელიც მინის ნაკვეთზე შშენებლობის გამო კავშირს წყვეტს საჯარო ქსელებთან, ასევე – თუ მისი თანხმობის საფუძველზე მინის ნაკვეთის დაკავშირება გაუქმდება (ლევან თოთლაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, თბილისი, 2018წ., მუხ. 180, ველი 10).

15. მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს სსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული პირობები, მესაკუთრემ უნდა ითმინოს თავისი უძრავი ნივთის დატვირთვა მეზობლის ინტერესებში. აღნიშნული მუხლის დანაწესი გულისხმობს ნივთის ასეთი უფლებით დატვირთვას მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, ანუ ობიექტური გარემოება (სხვა გზის არარსებობა, რაც ნივთის ჯეროვანი გამოყენების საშუალებას არ იძლევა და ამით ნივთის დანიშნულებისამებრ გამოყენების შესაძლებლობა მცირდება ან საერთოდ იკარგება) წარმოშობს სხვისი ნივთით სარგებლობის აუცილებლობას. ამ გარემოებების არსებობა კონკრეტულ დავასთან დაკავშირებით სარწმუნოდ უნდა იქნეს დადგენილი (შდრ. №ას-1291-1211-2017, 15.12.2017წ; სუსგ №ას-1048-1316-09, 23.03.2010წ.). სსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული აუცილებელი კავშირის არსებობა არ არის დამოკიდებული სუბიექტურ მიზანშენობილობასა და არჩევანზე, არამედ ეფუძნება ობიექტურად არსებულ ისეთ ფაქტორივ გარემოებებს, რომლებიც უთითებს აუცილებელ, უალტერნატივო კავშირზე საჯარო გზებთან და ა.შ. (შდრ. სუსგ №ას-1513-2018, 08.02.2019წ.). უნდა დადგინდეს მოსარჩელის კუთვნილი მინის ნაკვეთის საჯარო გზასთან ჯეროვანი კავშირის არსებობა/არარსებობის ფაქტი (შდრ. იხ. სუსგ №ას-744-801-2011, 13.10.2011წ).

16. აუცილებელი გზის უფლების თაობაზე სარჩელი ფორმალურად გამართულია, თუკი მოსარჩელე მიუთითებს ნორმით განსაზღვრულ ყველა წინაპირობაზე: ის უნდა იყოს მინის ნაკვეთის მესაკუთრე; მინის ნაკვეთს არ უნდა გააჩნიდეს ჯეროვანი კავშირი საჯარო გზასთან; მეზობელი ნაკვეთის აუცილებელ გზად გამოყენება განპირობებული უნდა იყოს ნივთის ფაქტორივი მდებარეობი-

თა და ფუნქციური დანიშნულებისამებრ გამოყენებით; მეზობელი მინის ნაკვეთი უნდა იყოს მიზნის მიღწევის ერთადერთი პროპორციული საშუალება. იმის მიხედვით, თუ ჩამოთვლილთაგან რომელ ფაქტებს შეედავება მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრე, განისაზღვრება მტკიცების საგანი (სადაც ოფაქტები) და შედავებათა პროცესუალური ხასიათიდან გამომდინარე, მხარეთა შორის ნაწილდება მტკიცების ტვირთი (სუსგ №ას-1869-2018, 25.10.2019წ).

17. სსსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალნარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარნყონ მეორე მხარის მიერ ნამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოსარჩელემ უნდა ადასტუროს სხვისი საკუთრების უფლების ვანონისმიერი ბოჭვის სსკ-ის 180-ე მუხლით განსაზღვრული პირობების არსებობა (შდრ. სუსგ №ას-367-2021, 15.10.2021წ.; სუსგ №ას-828-2020, 18.12.2020წ.).

18. რაც შეეხება საქმეში გარკვეული მტკიცებულებების არასებობის, მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების სპეციალური ცოდნის მქონე პირის მიერ შესწავლის აუცილებლობის და ამ მიზნით საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების მიზანშეწონილობის შესახებ სააპელაციო სასამართლოს მითითებას, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის დაბრუნების ზემოაღნიშნული საფუძველი განსილულ უნდა იქნეს დისპოზიციურობისა (სსკ-ის მე-3 მუხლი) შეჯიბრებითობის (სსკ-ის მე-4 მუხლი) პრინციპების კონტექსტით, რომლებიც გულისხმობს მხარეთა შესაძლებლობას, თავად განსაზღვრონ დავის საგანი და თვითონვე მიიღონ გადაწყვეტილება სასამართლოში სარჩელის შეტანის შესახებ. მხარეები თვითონ განსაზღვრავენ, რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები. მართალია, სსკ-ის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს სასამართლოს უფლებას საქმის გარემოებათა გასარკვევად ამ კოდექსში გათვალისწინებულ ღონის-

ძიებებს საკუთარი ინიციატივითაც მიმართოს, მაგრამ სამოქალაქო სამართალწარმოების კონტექსტით, რომელიც მთლიანად მხარეთა დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპს ეფუძნება, სასამართლოს მხრიდან ნებისმიერი ინიციატივის გამოჩენის უფლება ვინორდ (შეზღუდულად) უნდა განიმარტოს, რაც გულისხმობს, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს მხრიდან ინიციატივის გამოჩენის საფუძვლები და აუცილებლობა სასამართლომ ნათლად უნდა დაასაბუთოს (სუსგ №ას-209-196-2015, 30.07.2015წ.; ასევე იხ. ქ. მესხიშვილი, სსსკ-ის კომენტარი (რჩეული მუხლები), თბილისი, 2020, მუხ. 4, გვ. 91, 92).

19. პალატა მიუთითებს, რომ მტკიცებულებები საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით უნდა წარედგინოს სასამართლოს, ახალ გარემოებებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარდგენა შეზღუდულია არა მარტო სააპელაციო, არამედ პირველი ინსტანციის სასამართლოშიც, თუ საქმის მოსამზადებელი სტადია დასრულებულია (სსკ-ის 215-ე, 380-ე მუხლი). კანონი ზუსტად განსაზღვრავს იმ შემთხვევებს, რა დროსაც მოსამზადებელი სტადიის დასრულების შემდეგ შესაძლებელია ახალ გარემოებებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარდგენა. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლო არ უთითებს, არსებობს თუ არა ახალი მტკიცებულებების წარდგენის კანონით გათვალისწინებული რომელიმე შემთხვევა, ასევე გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს რაიმე მითითებას იმის შესახებ, შეზღუდა თუ არა მოსარჩელეს ახალი მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობა პირველი ინსტანციის სასამართლოში. ამ გარემოებაზე არ უთითებს არც თავად მოსარჩელე, რომელიც საკასაციო ინსტანციაში კასატორი მხარეა და განმარტავს, რომ სასამართლოში წარმოადგინა ყველა ფაქტი და მტკიცებულება, რაც მას საქმის გარემოებების დასადასტურებლად აუცილებლად და მიზანშეწონილად მიაჩნდა. ამასთან, თუ სააპელაციო სასამართლო ხელახლა განხილვის დროს მიიჩნევს, რომ აუცილებელია საკითხი სპეციალური ცოდნის მქონე პირმა შეისწავლოს და ამის გარეშე გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელია, უფლებამოსილია დანიშნოს ექსპერტიზა თავისი ინიციატივით (სუსგ №ას-1639-2018, 19.04.2019წ., №ას-867-834-2016, 22.11.2018წ.).

20. პალატას მიაჩნია, რომ კასატორის მიერ წარმოდგენილია ნაწილობრივ დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო საჩივარი. სსსკ-ის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილებად აპრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინების დროს.

ბული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. მოცემულ შემთხვევაში, არსებობს სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი. აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

21. სსსკ-ის 53-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ვინაიდან მოცემული საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა ქვემდგომ სასამართლოს, პროცესის ხარჯების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „ა. მ-სის“ საკასაციო საჩივარი დაქმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 22.07.2021 წლის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# ბავშვის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის გაცარჩვა

## გადაცყვეტილება საქართველოს სახელი

№ას-92-2022

25 მაისი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: გ. შიქაუტაძე (თავმჯდომარე),  
რ. ნადარაია (მომხსენებელი),  
თ. ზამბახიძე

**დავის საგანი:** არასრულწლოვანის საკუთრებაში არსებული უძ-  
რავი ქონების განკარგვაზე (გაყიდვაზე) თანხმობის გაცემა/აღსრუ-  
ლების მონიტორინგი

### აღნერილობითი ნაწილი:

1. 2020 წლის 29 ოქტომბერს, მ. ვ-ამ და გ. ჭ-ამ განცხადებით  
მიმართეს გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ  
სასამართლოს, არასრულწლოვანი შვილების – ა. ჭ-ასა და ა. ჭ-ას  
სახელზე რიცხული (თანასაკუთრებაში არსებული) უძრავი ქონე-  
ბის (მდებარე: წალენჯიხა, ... ს/კ: ...) განკარგვაზე (წასყიდობის  
გზით) თანხმობის მისაღებად.

1.1. განმცხადებლების განმარტებით, ისინი არიან აფხაზეთი-  
დან დევნილები. 2005 წლის 03 მაისიდან იმყოფებიან რეგისტრი-  
რებულ ქორწინებაში და ჰყავთ ორი შვილი: 2006 წელს დაბადებუ-  
ლი ა. ჭ-ა და 2009 წელს დაბადებული ა. ჭ-ა. დევნილთა გრძელვადი-  
ანი განსახლების პროგრამის ფარგლებში, ოჯახს გადაეცა უძრავი  
ქონება, მდებარე: წალენჯიხა, ... ს/კ: .... აღნიშნული უძრავი ქონება  
თანასაკუთრების უფლებით რეგისტრირებულია განმცხადებლე-  
ბისა და მათი შვილების საკუთრებად. ფართის სიმცირის გამო, ამ  
ბინაში ოჯახმა ცხოვრება ვერ შეძლო და უკვე წლებია ცხოვრობენ  
ქ. ჯვარი, ..., რომელიც ფაქტობრივად შეისყიდა ოჯახმა, მაგრამ  
საკუთრების უფლების რეგისტრაციისთვის გადასახდელია თანხის  
დარჩენილი წანილი. ამისთვის კი, ესაჭიროებათ წალენჯიხის რაი-  
ონის სოფელ ..., მდებარე მათი კუთვნილის ბინის (ს/კ: ...) გაყიდვა  
და მიღებული თანხით მათთვის სასურველი ბინის დარჩენილი ღი-  
რებულების გადახდა, რაც ბავშვების უკეთესი მომავლის შექმნის  
საწინდარია და მათ საუკეთესო ინტერესებს ემსახურება.

2. გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სა-  
სამართლოს 2020 წლის 02 ნოემბრის განჩინებით, საქმეში მესამე

პირად ჩაბმულ იქნა სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ცენტრი, რომლის წარმომადგენელიც დაეთანხმა სოციალური მუშავის მიერ შედგენილ დასკვნას სადაც აღნიშნულია, რომ არასრულწლოვნებს და მშობლებს გააზრებული აქვთ მათ თანასაკუთრებაში არსებული სახლის გაყიდვის მიზანშეწონილობა, აღნიშნული ხელს შეუწყობს არასრულწლოვნების ინტერესების დაცვასა და კეთილდღეობას.

3. გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყყვარჩელის რაიონული სა-სამართლოს 2020 წლის 02 ნოემბრის განჩინებით, ა. ჭ-ასა და ა. ჭ-ას დაენიშნათ ადვოკატი იურიდიული დახმარების სამსახურიდან. არასრულწლოვნების ადვოკატის განმარტებით, უძრავი ქონების გასხვისება არ ენინააღმდეგება არასრულწლოვნების ინტერესებს.

4. გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყყვარჩელის რაიონული სა-სამართლოს 2021 წლის 08 ივნისის გადაწყვეტილებით, მ. ვ-ასა და გ. ჭ-ას მოთხოვნა დაკმაყოფილდა; მ. ვ-ასა და გ. ჭ-ას მიეცათ თანხმობა არასრულწლოვნი შვილების: ა. ჭ-ასა და ა. ჭ-ას სახელზე რიცხული უძრავი ქონების (მდებარე: წალენჯიხა, სოფელი ..., ს/კ: ...) განკარგვაზე (წასყიდობის ხელშეკრულების დადების გზით); ზემოაღნიშნული უძრავი ქონების რეალიზაციის ვადად განისაზღვრა 6 თვე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან; ამასთან, განმცხადებლებს დაევალათ სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონულ ცენტრს, გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყყვარჩელის რაიონულ სასამართლოს წარუდგინობის ინფორმაცია არასრულწლოვნის ქონების გასხვისების შემდეგ მიღებული თანხის მიზნობრიობით – ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად გამოყენების თაობაზე ქონების რეალიზაციიდან 1 წლის ვადაში.

## 5. სასამართლო საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

5.1. მ. ვ-ასა და გ. ჭ-ას ჰყავთ ორი შეილი: ა. ჭ-ა (დაბადებული: 25.08.2006 წ.) და ა. ჭ-ა (დაბადებული: 20.09.2009 წ.).

5.2. საცხოვრებელი ბინა, რომლის თანამესაკუთრეები არიან არასრულწლოვნები – ა. და ა. ჭ-ები (მდებარე: წალენჯიხა, სოფელი ..., ს/კ: ...), მათ გადაეცათ დევნილთა გრძელვადიანი განსახლების პროგრამის ფარგლებში 2019 წლის 28 მარტს, მაგრამ ფართის სიმცირის გამო ამ ბინაში არ უცხოვრიათ.

5.3. მშობლებს განზრახული აქვთ ამ ქონების გასხვისება და მიღებული თანხის არასრულწლოვნათა ინტერესებისთვის გამოყენება, კერძოდ, საცხოვრებელი სახლის საფასურის სრულად და-

ფარვა.

5.4. ოჯახი წლებია ცხოვრობს ქ. ჯვარი, ..., რომელიც 2021 წლის 28 მაისის მდგომარეობით რეგისტრირებულია მ. ვ-ას საკუთრებად (ს.კ...).

5.2. სასამართლომ, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას, მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, არსებული რისკების გათვალისწინებით, ბავშვების ინტერესებში იყო მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და მათ მომავალზე ორიენტირებული ხარჯების დაფინანსება. ამასთან, ბავშვების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, რაიონულმა სასამართლომ განმცხადებლებს დაავალა სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ცენტრს და გალიგულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოს წარუდგინონ ინფორმაცია არასრულნლოვნების ქონების გასხვისების შემდეგ მიღებული თანხის მიზნობრიობით, ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად გამოყენების თაობაზე, ქონების რეალიზაციიდან 1 წლის ვადაში.

6. გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 08 ივნისის გადაწყვეტილება, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ცენტრისათვის ინფორმაციის წარდგენის დავალების ნაწილში, სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა სააგენტომ. შესაბამისად, არასრულნლოვნის ქონების გასხვისების შესახებ თანხმობის გაცემის ნაწილში გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

## 7. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

7.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 05 ნოემბრის განჩინებით, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ცენტრის სააპელაციო საჩივრი არ დაქმაყოფილდა და უცვლელად დარჩა გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 08 ივნისის გადაწყვეტილება.

## 8. სააპელაციო სასამართლოს განჩინების ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

8.1. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენცია და ბავშვის უფლებათა შესახებ კოდექსი განამტკიცებული ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით მოქმედების ვალდებულებას, რის გამოც სახელმწიფო უნდა განახორციელოს აქტიური მოქმედები და შეიმუშაოს არას-

რულწლოვნის უფლებებისა და კანონიერი ინტერესის დასაცავად საკანონმდებლო რეგულაციები. შესაბამისად, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ბავშვის საუკეთესო ინტერესის სრულფასოვნად დასაცავად, სასამართლომ სწორად დაადგინა განმცხადებლების მიერ ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება, რათა სისპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონულმა ცენტრმა განახორციელოს არასრულწლოვნის უძრავი ქონების გასხვისების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი (მონიტორინგი).

9. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 05 ნოემბრის განჩინება სისპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონულმა ცენტრმა საკასაციო წესით გაასაჩივრა.

#### 10. კასატორის მოთხოვნის ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

10.1. კასატორი აღნიშნავს, რომ სააგენტოსთვის კონტროლის დავალების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, რადგან კანონმდებლობით არ რეგულირდება სააგენტოს, როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ არასრულწლოვნის კუთვნილი უძრავი ქონების რეალიზაციის გზით მიღებული სარგებლის მიზნობრივ განკარგვაზე მონიტორინგის/კონტროლის წესი, პირობები და რეგიონების მექანიზმები. ამასთან, სააგენტოს არც შესაბამისი რესურსი გააჩინა. ამდენად, სასამართლოს დავალების აღსრულება ობიექტურად შეუძლებელი იქნება.

10.2. კასატორი დამატებით მიუთითებს, რომ არასრულწლოვნის ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემამდე სასამართლო იკვლევს ქონების გასხვისების მიზანს, არსებულ ვითარებას, ბავშვის მდგომარეობაზე ქონების გასხვისებით გამოწვეულ შედეგებს, მოისმენს სააგენტოს პოზიციასაც. ამრიგად, ქონების გასხვისებაზე თანხმობის მიღების პროცედურა უზრუნველყოფს ბავშვის დაცვას.

11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 02 თებერვლის განჩინებით, სისპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ცენტრის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2022 წლის 05 მაისის განჩინებით – საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და დადგინდა

მისი ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

12. საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად, მიიჩნევს, რომ სისი სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ცენტრის საკასაციო საჩივრი უნდა დაკმაყოფილდეს.

13. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეში, მთავარ სადაცო საკითხს წარმოადგენს არასრულწლოვნების ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემის შესახებ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების სათანადოდ აღსრულებაზე სისი სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსთვის მონიტორინგის დავალების კანონიერება.

14. სადაცო საკითხის მართებულად შეფასებისთვის, საკასაციო პალატა მიზანმდებრონილად მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს ბავშვის უფლებების მარეგულირებელ კანონმდებლობაზე.

15. საკასაციო სასამართლო მიუთითებს „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციაზე, რომლის მონაწილე სახელმწიფოებიც აღიარებენ, რომ ბავშვებს აქვთ განსაკუთრებული ზრუნვისა და დახმარების უფლება. კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ, უზრუნველყონ ბავშვი ისეთი დაცვითა და ზრუნვით, როგორიც საჭიროა მისი კეთილდღეობისათვის, ამასთან, ითვალისწინებული მისი მშობლების, მეურვეების ან კანონით მისთვის პასუხისმგებელი სხვა პირების უფლებებსა და მოვალეობებს და ამ მიზნით მიმართავენ ყველა შესაბამის საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ზომას.

16. „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციით აღიარებული ბავშვის უფლებების სრულფასოვნად რეალიზაციისათვის, 2020 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოში ამოქმედდა ბავშვის უფლებათა კოდექსი, რომელიც, კანონის განმარტებითი ბარათის თანახმად, მიზნად ისახავდა ბავშვის კეთილდღეობის მისაღწევად საქართველოში ერთიანი სახელმწიფოებრივი ხედვისა და სისტემური მიდგომის ჩამოყალიბებას. კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნა-

წილის მიხედვით, ბავშვს უფლება აქვს, მასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას, უპირატესობა მიენიჭოს მის საუკეთესო ინტერესებს, რომლებიც ბავშვისთვის ინდივიდუალურად, ამ კოდექსის, საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად განისაზღვრება. ამავე კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ბავშვს აქვს საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება, ხოლო მე-4 ნაწილის თანახმად, ბავშვის ქონების განკარგვა დასაშვებია ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

17. ნიშანდობლივია, რომ ბავშვის უფლებათა კოდექსის ამოქმედებამ არაერთ საკანონმდებლო აქტში გამოიწვია ცვლილების შეტანა, მათ შორის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შესული ცვლილებით დაწესდა საგალდებულო სასამართლო კონტროლი არასრულწლოვნის უძრავი ქონების გასხვისების პროცედურებზე. კერძოდ, 183-ე მუხლს დაემატა მე-2 ნაწილი, რომლის შესაბამისადაც, ბავშვის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის მისი მშობლის ან სხვა ვანონიერი წარმომადგენლის მიერ განკარგვა დასაშვებია ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, სასამართლოს თანხმობის საფუძველზე. საგულისხმოა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსსაც დაემატა ახალი წორმა – 251-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ არასრულწლოვნის უფლებებთან დაკავშირებულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას და დასაბუთებისას სასამართლო უპირატესობას ანიჭებს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს.

18. ზემოაღნიშნული წორმებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მოუთითებს, რომ ბავშვის ქონების გასხვისებისას სასამართლოს თანხმობის მოპოვების აუცილებლობის შემოღება ბავშვის უფლებების სათანადო დაცვის, მისი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების, საკუთრების გარეშე დარჩენის რისკების გამორიცხვისა და მისი კეთილდღეობის მიზნებით არის განპირობებული. მსგავსი სახის დავა სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, რაც საჭიროებს ქონების გასხვისების მიზეზის, მიზნებისა და სავარაუდო შედეგების შესწავლასა და ბავშვის მდგომარეობაზე გავლენის შეფასებას. ამასთან, ბავშვის საუკეთესო ინტერესების დადგენას ემსახურება კანონმდებლობით მსგავსი ტიპის დავებში არასრულწლოვნის, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსა და ადგოგატის ჩაბმა. დასახელებულ პირთა პოზიციების გათვალისწინება საკითხის სწორად გადაწყვეტისთვის განსაკუთრებით მნიშვნელო-

ვანია.

19. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვინაიდან სადაც შემთხვევაში, არასრულწლოვნის ქონების განკარგვაზე სასამართლოს მიერ თანხმობის გაცემა არ გასაჩივრებულა, საკასაციო სასამართლო ვერ შეაფასებს თანხმობის გაცემის წინაპირობების არსებობას, თუმცა ხაზგასასმელია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ საკითხი გადაწყვიტა როგორც განცხადების დეტალურად შესწავლისა და განმცხადებლის პოზიციის მოსმენის, ისე სოციალური მუშავის დასკვნის, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სამეგრელო-ზემო სეანეტის რეგიონული ცენტრის წარმომადგენლისა და არასრულწლოვნების ადვოკატის განმარტებების გათვალისწინებით. ამრიგად, განსახილველ საქმეზე ქონების განკარგვით არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის ფაქტი დადგენილია და სასამართლო კონტროლი ბავშვის უფლებების დარღვევის გამოსარიცხად განხორციელებულია.

20. რაც შეეხება სასამართლოს გადაწყვეტილების სათანადოდ აღსრულების კონტროლსა და სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსთვის მონიტორინგის დავალებას, საკასაციო პალატა, საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის პირველ პუნქტზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლის პირველ პუნქტსა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლზე მითითებით, აღნიშნავს, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული აქტები (გადაწყვეტილებები, განჩინებები, დადგენილებები) შესასრულებლად სავალდებულო ძალას ატარებს. სწორედ ამიტომ, ნებისმიერი პირი, ვის მიმართაც არის გამოტანილი გადაწყვეტილება, გალდებულია, შესარულოს ის. ამასთან, გადაწყვეტილების შესრულება გამოიხატება გადაწყვეტილებაში მითითებული ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლების ზუსტად, ჯეროვნად, სათანადოდ გათვალისწინებასა და შესრულებაში. საყურადღებოა, რომ გადაწყვეტილების წებაყოფლობით შეუსრულებლობისას, მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს გადაწყვეტილების იძულებით აღსრულების მექანიზმებს, რადგან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულება სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს და მისმა აღუსრულებლობამ შეიძლება სასამართლოსადმი მიმართვის უფლება დეკლარაციულ უფლებად აქციოს.

21. განსახილველი საქმის სპეციფიკიდან გამომდინარე, რადგან საკითხი არ შეეხება მოდაცე მხარეებს შორის წარმოშობილი

კონფლიქტის მოწესრიგებას, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მიხედვით გადაწყვეტილების იძულებით აღსრულების საკითხი არ წარმოიჭრება – მიუხედავად სასამართლოს მიერ თანხმობის გაცემისა, ქონების განკარგვაზე განმცხადებლის იძულება ვერ მოხდება. ამასთანავე, სწორედ დავის თავისებურების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ განმცხადებელმა გადაწყვეტილება სათანადოდ შეასრულოს, რაც გამოიხატება უძრავი ქონების გასხვისების შემთხვევაში მიღებული სარგებლის მიზნობრივად – სასამართლოს მიერ გამოკვლეული და ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფი დანიშნულებით გამოყენებაში. ამასთან, მიღებული გადაწყვეტილების შესრულების – სარგებლის სათანადოდ გამოყენების კონტროლის სპეციალური მექანიზმი მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის. მიუხედავად ამისა, ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა არასრულწლოვნის დედას დაუწესეს სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსვერბლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში ინფორმაციის ნარდგენის ვალდებულება, რათა სააგენტომ განახორციელოს გადაწყვეტილების აღსრულებაზე მონიტორინგი.

22. საკასაციო სასამართლო, მართალია, იაზრებს ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მიერ საკითხის ამგვარი მოწესრიგებით ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნის მიღწევის სურვილის არსებობას, თუმცა მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, იზიარებს კასატორის არგუმენტებს გასაჩივრებულ ნაწილში, სასამართლოს განჩინების წინაპირობების არსებობის თაობაზე.

23. საკასაციო პალატა, სააგენტოსთვის მსგავსი ვალდებულების დაკისრების კანონიერების შესწავლისას, ყურადღებას გაამახვილებს ბავშვის უფლებათა კოდექსის განმარტებით ბარათზე, რომლის მიხედვითაც, აუცილებელია აღსრულების კონკრეტული მექანიზმებით კოდექსის აღჭურვა, რაც მის სრულფასოვან იმპლემენტაციას უზრუნველყოფს. ასეთ მექანიზმებად დასახელებულია: კონკრეტული, კრიტერიუმებზე დაფუძნებული პროგრამების, მათი დამტკიცებისა და ამოქმედების ვალდებულების გაწერა კანონში კონკრეტულ ვადებში; საპარლამენტო ზედამხედველობის გაძლიერება ბავშვის უფლებების დაცვის კუთხით, მათ შორის, სპეციალური საბჭოს შექმნა, რომელიც ბავშვის კეთილდღეობაზე იქნება ორიენტირებული; კოდექსის საიმპლემენტაციო გეგმის შექმნა და დამტკიცება, რაც ასევე კოდექსითა გათვალისწინებული; სახალხო დამცველის როლის გაძლიერება; იურიდიული დახმარების სამსახურის უფლებამოსილებების გაფართოება; სასამართლოს გაძლიერება, რომელიც იქნება თითოეული ბავშვის უფლების დაც-

ვის ეფექტიანი კონკრეტული მექანიზმი. ამრიგად, კოდექსის შემოღებისას კანონმდებელმა ბავშვის უფლებების დაცვის გასაძლიერებლად აღსრულების მექანიზმების საჭიროებასა და მნიშვნელობაზე იმსჯელა და სწორედ ხსენებული სპეციალური მექანიზმის ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენს სასამართლოს კონტროლის შემოღება ბავშვის ქონების გასხვისებისას, თუმცა უკვე მიღებული გადაწყვეტილების შესრულებაზე მონიტორინგის საკითხი კანონმდებელს არ განუსაზღვრავს (რაც შესაძლებელია, კანონმდებლის კვალიფიციურ დუმილსაც კი წარმოადგენდეს). შესაბამისად, დღეის მდგომარეობით, მშობლისთვის ინფორმაციის წარდგენისა და სააგენტოსთვის მონიტორინგის დავალების საკანონმდებლო საფუძველი არ არსებობს, რის გამოც ასეთი დავალების პირობებშიც კი – სააგენტო მოკლებული იქნება საკითხზე რეალური და შედეგიანი რეაგირების როგორც სამართლებრივ, ისე ფაქტობრივ შესაძლებლობას.

24. საკასაციო პალატა დამატებით ითვალისწინებს, რომ რადგან ქონების გასხვისებაზე სასამართლოს მიერ თანხმობის გაცემა ჯერ კიდევ ახალი სამართალურთიერთობაა, მისი პრაქტიკაში დანერგვისა და აღსრულების პროცესში შესაძლებელია, წამოიჭრას ახალი გამოწვევები და ახალი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების საჭიროების – გადაწყვეტილების შესრულების მონიტორინგის შემოღების აუცილებლობის საკითხიც კი დადგეს. თუმცა, საკითხის სენსიტიურობიდან და სირთულიდან გამომდინარე, ის გადაწყვეტილ უნდა იქნეს დარგით დაინტერესებული ინსტიტუციებისა და პირების ჩართულობით, პრობლემის სიღრმისეული და მასშტაბური შესწავლის შედეგად, რათა შემოღებული მოწესრიგებით ბავშვის უფლებების ეფექტიანი, სწრაფი და დროული დაცვა იყოს შესაძლებელი. სწორედ ამიტომ, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინების ძალაში დატოვებამ, კანონმდებლობის არარსებობისა და სააგენტოს მიერ შესაბამისი რესურსისა არქონის პირობებში, შესაძლებელია, ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის ნაცვლად, ურთიერთობის მოწესრიგების ხელოვნურად გაჭიანურება და გართულება გამოიწვიოს. ამასთან, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით მიუთითებს და აღნიშნავს, რომ სააგენტოსთვის მონიტორინგის დავალების გაუქმება არ ნიშნავს და არ გულისხმობს სასამართლოს გადაწყვეტილების განმცხადებლის მიერ ბავშვის ინტერესების დარღვევით შესრულებას. თუეკი ქონების განკარგვის შემდგომ ადგილი ექნება ბავშვის უფლებების დარღვევას და მიღებული სარგებლის არამიზნობრივ გამოყენებას, ასეთ ფაქტზე რეაგირება კანონმდებლობით გათვალისწინებული საერთო საფუძვლებით შეიძლება მოხდეს.

25. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის, 409-ე, 411-ე მუხლების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება არ შეესაბამება კანონმდებლობას და უნდა გაუქმდეს. რაც შეეხება საპროცესო ხარჯების განაწილებას, მხარეები სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან გათავისუფლებულნი არიან.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 408.3, 411-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ს:**

1. სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სამეცნიერო-ზემო სვანეთის რეგიონული ცენტრის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 5 ნოემბრის განჩინება, რომლითაც უცვლელი დარჩა გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილების მე-4 პუნქტი იმ ნაწილში, რომლითაც განმცხადებელს დაევალა სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სამეცნიერო-ზემო სვანეთის რეგიონული ცენტრისთვის ინფორმაციის წარდგენა;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# ბავშვის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის განკარგვა

## გადაცყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-1198-2021

20 ივნისი 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. ქოჩიაშვილი (თავმჯდომარე, მომსენებელი),  
თ. ზამბახიძე  
რ. ნადარაია

**დავის საგანი:** არასრულწლოვნის საკუთრებაში არსებული უძ-  
რავი ქონების განკარგვაზე (გაყიდვაზე) თანხმობის გაცემა/აღსრუ-  
ლების მონიტორინგი

### აღნერილობითი ნაწილი:

#### განმცხადებლის მოთხოვნა:

1. ზ. კ-მა (მემდგომში მოხსენიებული, როგორც „განმცხადებე-  
ლი“, „მოწინააღმდეგე მხარე“) განცხადებით მიმართა ქუთაისის სა-  
ქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, არასრულ-  
წლოვანი შვილის – ლ. კ-ის უძრავი ქონების გასხვისებაზე თანხმო-  
ბის მისაღებად.

#### განცხადების საფუძვლები:

2. განმცხადებელი შვილებთან, მეუღლესთან და რძალთან ერ-  
თად ცხოვრობს ქუთაისში, 64 კვ.მ. ფართობის საცხოვრებელ ბინა-  
ში, რომელიც აღრიცხულია არასრულწლოვან ლ. კ-ის საკუთრებად;  
ფართის სიმცირის გამო თანაცხოვრება აღნიშნულ ბინაში თითქმის  
შეუძლებელია. განმცხადებელს სურს, გაყიდოს ქუთაისში მდება-  
რე საცხოვრებელი ბინა, მიღებული თანხით შეიძინოს და ლ. კ-ის  
საკუთრებად აღრიცხოს წყალტუბოს რაიონის სოფელ ... 187.6 კვ.მ.  
საცხოვრებელი ფართი, რის შედეგადაც გაუმჯობესდება არას-  
რულწლოვნის საყოფაცხოვრებო პირობები.

#### მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს პოზიცია:

3. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-  
ლეგიის 2021 წლის 09 მარტის განჩინებით, საქმეში ჩაბმულ იქნა  
ს.ს.ი.პ. სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, და-  
ზარალებულთა დახმარების სააგენტოს იმერეთის ცენტრი, რომ-  
ლის ნარმობადგენელმაც აღნიშნა, რომ ზ. კ-ის მოთხოვნის დაკმა-  
ყოფილება ხელს შეუწყობს არასრულწლოვნისა და მისი ოჯახის კე-  
თილდღეობას.

## **ბავშვის ადვოკატის პოზიცია:**

4. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 09 მარტის განჩინებით, საქმეში ჩაბმულ იქნა არასრულწლოვანი – ლ. კ-ი, რომელსაც დაენიშნა ადვოკატი იურიდიული დახმარების სამსახურიდან. არასრულწლოვნის ადვოკატი დაეთანხმა ზ. კ-ის მოთხოვნას. მისი განმარტებით, უძრავი ქონების გასხვისება შეესაბამებოდა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

**5. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 03 ივნისის გადაწყვეტილებით:**

5.1. განმცხადებელს მიეცა თანხმობა არასრულწლოვნის ქონების (ქ. ქუთაისში, ... მდებარე უძრავი ქონება, ბინა №64, მინის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: ...) განკარგვაზე, მათ შორის, გაყიდვაზე;

5.2. განმცხადებელს დაევალა უძრავი ქონების რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხით შეეძინა უძრავი ქონება, რომელიც აღირიცხებოდა ლ. კ-ის საკუთრებაში, ქონების რეალიზაციიდან დარჩენილი თანხა 6000 აშშ დოლარი, რაც აღნიშნულია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ მომზადებულ დასკვნაში, მიმართულიყო შეძენილი უძრავი ქონების სარემონტო სამუშაოებისათვის და აღნიშნულის შესახებ ეცნობებინა ს.ს.ი.პ. სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებლთა დახმარების სააგენტოს იმერთის რეგიონული ცენტრისათვის;

5.3. ს.ს.ი.პ. სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს იმერთის რეგიონულ ცენტრს დაევალა კონტროლის განვევა მიღებული გადაწყვეტილების შესრულებაზე.

**6. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

6.1. ლ. კ-ი დაიბადა 2004 წლის 06 ნოემბერს;

6.2. მისი მმობლები არიან ზ. კ-ი და ე. ფ-ძე;

6.3. ქ. ქუთაისში, ... მდებარე უძრავი ქონება, ბინა №64, მინის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: ... საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია ლ. კ-ის საკუთრებად;

6.4. წყალტუბოს რაიონ სოფელ ... მდებარე უძრავი ქონება, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: ..., საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია მ. თ-ძის საკუთრებად;

6.5. შ.პ.ს. „ა-ფ“-ს მიერ 2021 წლის 09 მარტს გაცემული ქონების შეფასების საექსპერტო დასკვნის თანახმად, წყალტუბოს რაიო-

ნის სოფელ ... მდებარე უძრავი ქონების (ს/კ ...) ღირებულებაა 48777 ლარი.

6.6. შ.პ.ს. „ა-ფ“-ს მიერ გაცემული ქონების შეფასების საექსპერტო დასკვნის თანახმად, ლ. კ-ის საკუთრებაში არსებული, ქ. ქუთაისში, ... მდებარე უძრავი ქონების (ს/კ ...) ღირებულებაა 49536 ლარი.

7. სასამართლომ, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას, სოციალური მუშაკის დასკვნის, ს.ს.ი.პ. სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს იმერეთის რეგიონული ცენტრის წარმომადგენლისა და ლ. კ-ის ადვოკატის განმარტებების გათვალისწინებით, აღნიშნა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ბავშვის ქონებაზე გარიგების დადებისას გამოკვეთილია ბავშვის უპირატესი ინტერესი, დაცულია საქართველოს კანონმდებლობით თუ საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით აღიარებული ბავშვის საყოველთაო უფლებები და საუკეთესო ინტერესები. შესაბამისად, მშობლის მიერ ბავშვის სახელით გარიგების დადება ემსახურება ბავშვის უფლებებისა და ინტერესების უკეთ დაცვას. მსგავსი საკითხის განხილვისას სასამართლოსათვის უპირველესად სახელმძღვანელოა ბავშვის კეთილდღეობა და მისი უპირატესი ინტერესი, შესაბამისად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სოციალური სამსახურის როლი. სასამართლომ მოცემული საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე დაადგინა ზ. კ-ის ვალდებულება, აცნობოს ქონების განკარგვის თაობაზე ს.ს.ი.პ. სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს იმერეთის რეგიონულ ცენტრს, ხოლო ამ უკანასკნელს დაევალა კონტროლი გაუწიოს მიღებული გადაწყვეტილების შესრულებას.

8. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 03 ივნისის გადაწყვეტილება, გადაწყვეტილების აღსრულებაზე კონტროლის განხვის დავალების ნაწილში, სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა სააგენტომ. შესაბამისად, არასრულწლოვნის ქონების გასხვისების შესახებ თანხმობის გაცემის ნაწილში გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 15 სექტემბრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

9. ს.ს.ი.პ. სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს იმერეთის რეგიონული ცენტრის სააპელაციო საჩივრი არ დაემაყოფილდა; უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 03 ივნისის გადაწყვეტილება.

10. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები (წინამდებარე გადაწყვეტილების 6.1.-6.6. პუნქტები) და აღნიშნა, რომ „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენცია და ბავშვის უფლებათა შესახებ კოდექსი განამტკიცებენ ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით მოქმედების გალდებულებას, როს გამოც სახელმწიფომ უნდა განახორციელოს აქტიური მოქმედებები და შეიმუშაოს არასრულწლოვნის უფლებებისა და კანონიერი ინტერესის დასაცავად საკანონმდებლო რეგულაციები. ამდენად, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ბავშვის საუკეთესო ინტერესის სრულფასოვნად დასაცავად, საქალაქო სასამართლომ სწორად დაადგინა ს.ს.ი.პ. სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს იმერეთის რეგიონული ცენტრისთვის არასრულწლოვნის უძრავი ქონების გასხვისების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი (მონიტორინგი).

11. ზემოაღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ს.ს.ი.პ. სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს იმერეთის რეგიონულმა ცენტრმა, რომელმაც მოითხოვა ახალი გადაწყვეტილების მიღების გზით ს.ს.ი.პ. სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს იმერეთის რეგიონული ცენტრისათვის გადაწყვეტილების აღსრულებაზე მონიტორინგის დავალების შესახებ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 03 ივნისის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმება, შემდეგი დასაბუთებით:

12.1. კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, ვინაიდან სააგენტოსთვის კონტროლის დავალების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს. კანონმდებლობით არ რეგულირდება სააგენტოს, როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ არასრულწლოვნის უთვინილი უძრავი ქონების რეალიზაციის გზით მიღებული სარგებლის მიზნობრივ განკარგვაზე მონიტორინგის/კონტროლის წესი, პირობები და რეაგირების მექანიზმები. ამასთან, სააგენტოს არც საამისო რესურსი გააჩნია. ამდენად, სასამართლოს დავალების აღსრულება აბიექტურად შეუძლებელი იქნება.

12.2. კასატორი დამატებით მიუთითებს, რომ არასრულწლოვნის ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემამდე სასამართლო იკვლევს ქონების გასხვისების მიზანს, არსებულ ფაქტობრივ მდგომარეობას, ბავშვის მდგომარეობაზე ქონების გასხვისებით გამოწ

ვეულ შედეგებს, მოისმენს სააგენტოს პოზიციასაც. ამრიგად, ქონების გასხვისებაზე თანხმობის გაცემამდე სასამართლო თავად უნდა დარწმუნდეს ქონების გასხვისების ბავშვის ინტერესთან შესაბამისობაზე და არ გასცეს ამგვარი თანხმობა, თუკი ერთმნიშვნელოვნად გამოკვეთილი არ არის ბავშვის საუკეთესო ინტერესი გასხვისების შედეგებთან მიმართებით. აღნიშნული წესით ნარმართული სასამართლო პროცედურა უზრუნველყოფს ბავშვის დაცვას და არ საჭიროებს დამატებით კონტროლს, სწორედ ამიტომ არ არის კანონმდებლობით რეგულირებული გადაწყვეტილების აღსრულებაზე ზედამხედველობის მექანიზმი.

12.3. მონიტორინგის გახორციელება სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია იმის გამოც, რომ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მშობლის უფლება არასრულნლოვანი შვილის ნარმომადგენლობის შესახებ შეჩერებული არ არის და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო აღარ ნარმომადგენს ბავშვის არც ნარმომადგენლს და არც მეურვეს.

12.4. ნორმის, რომლის საფუძველზეც სასამართლომ მართებულად მიიჩნია გადაწყვეტილების აღსრულებაზე სააგენტოსთვის მონიტორინგის ვალდებულების დასაწესება, კერძოდ, ბავშვის უფლებათა კოდექსის 82-ე მუხლის ადრესატი მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო არ არის და იგი მიემართება საკანონმდებლო ორგანოს, რათა შექმნას ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება და კანონმდებლობა, რომელიც უზრუნველყოფს არამხოლოდ ბავშვის ან ბავშვთა ჯგუფის უფლებებზე ზეგავლენის რისკების პრევენციას, არამედ უკვე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას. ამრიგად, სასამართლოს მიერ მითითებული ნორმა განმარტებულია არასწორად.

13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 31 დეკემბრის განჩინებით, საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა ნარმოებაში, ხოლო 2022 წლის 23 თებერვლის განჩინებით, საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და დადგინდა მისი შხარეთა დასწრების გარეშე განხილვა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

14. საკასაციო პალატამ შეისწავლა ნარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

15.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებუ-

ლად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები საგალდებულოა საკასა-ციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრე-ტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარე-მოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამარ-თლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

15.2. საგულისხმოა, რომ წინამდებარე საქმეში სადავოა არა სა-აპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები, არამედ მხო-ლოდ სამართლებრივი შეფასება, კერძოდ, საკასაციო სასამარ-თლოს განხილვის საგანია არასრულწლოვნის ქონების განკარგვა-ზე თანხმობის გაცემის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების სათანადოდ აღსრულებაზე ს.ს.ი.პ. სახელმწიფო ზრუნვისა და ტრე-ფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგნენტოს-თვის კონტროლის განევის დავალების კანონიერება. სადაც სა-კითხისათვის სწორი სამართლებრივი შეფასების მისაცემაზ ამო-სავალია ბავშვის უფლებების მომწერიგებელი ნორმების ანალი-ზი.

16.1. საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მეორე პუნ-ქტის თანახმად, დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანო-ნით. შესაბამისად, ბავშვის უფლებები დაცული და აღიარებული კონსტიტუციური ღირებულებებია.

16.2. ამავდროულად, საქართველო მონაწილეა „ბავშვის უფლე-ბების შესახებ“ 1989 წლის 20 ნოემბრის კონვენციისა, რომლის მო-ნაწილე სახელმწიფოებიც აღიარებენ, რომ ბავშვებს აქვთ განსა-კუთრებული ზრუნვისა და დახმარების უფლება. კონვენცია აწე-სებს ბავშვის უფლებების დაცვის იმ მინიმალურ სტანდარტებს, რომლებიც საზოგადოების არასრულწლოვანი წევრის ღირსეულ პი-როვნებად ჩამოყალიბებისა და ნორმალური განვითარების ამოცა-ნას ემსახურება და ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, ყველა ღონე იხმარონ არასრულწლოვნის უპირატესი ინტერესების დაც-ვისათვის.

16.3. „ბავშვის უფლებების კონვენციის“ 3.1. მუხლის თანახმად, ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში, იმის მიუხედავად, მიმარ-თავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ად-მინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყუ-რადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას. ამავე კონვენციის 3.2. მუხლი განსაზღვრავს მონაწილე სა-ხელმწიფოთა ვალდებულებას, უზრუნველყონ ბავშვი ისეთი დაც-

ვითა და ზრუნვით, როგორიც საჭიროა მისი კეთილდღეობისათვის, ამასთან ითვალისწინებენ მისი მშობლების, მეურვეების ან კანონით მისთვის პასუხისმგებელი სხვა პირების უფლებებსა და მოვალეობებს, და ამ მიზნით მიმართავენ ყველა შესაბამის საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ზომებს.

16.4. საგულისხმოა, რომ ბავშვის უფლებებების მარტოდენ კონვენციურ რანგში რეგულირება საკმარისი არ არის მათი პრაქტიკული და ეფექტური აღსრულებისათვის, სწორედ ამიტომ, 2020 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოში ამოქმედდა „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, რომელიც, კანონის განმარტებითი ბარათის თანახმად, მიზნად ისახავდა ბავშვის კეთილდღეობის მისაღწევად საქართველოში ერთიანი სახელმწიფო ბრივი ხედვისა და სისტემური მიდგომის ჩამოყალიბებას და უფლების აღსრულების ქმედითი ინსტრუმენტების დანერგვას.

16.5. აღნიშნული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ბავშვს უფლება აქვს, მასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას უპირატესობა მიენიჭოს მის საუკეთესო ინტერესებს, რომლებიც ბავშვისთვის ინდივიდუალურად, ამ კოდექსის, საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად განისაზღვრება.

16.6. თავად „ბავშვის საუკეთესო ინტერესებს“, კოდექსი შემდეგ განმარტებას აძლევს: - ბავშვის კეთილდღეობის, უსაფრთხოების, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, საზოგადოებრივი, ზნეობრივი და სხვა ინტერესების, რომლებსაც პრიორიტეტულად განსაზღვრავს მშობელი ამ კოდექსის, საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებისა და ბავშვის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, მისი მონაწილეობით და მისი მოსაზრების გათვალისწინებით.

16.7. ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ბავშვს აქვს საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება, ხოლო მე-4 ნაწილის თანახმად, ბავშვის ქონების განკარგვა დასაშვებია ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამრიგად, ბავშვის ქონებრივი ინტერესები, მათ შორის საკუთრების უფლება, დაცვის ღირსი მაღალი ღირებულებაა და მათ ეფექტურ, ბავშვის ინტერესებზე მორგებულ, გამოყენებაზე პასუხისმგებელია ბავშვის კანონიერი ნარმომადგენელი.

16.8. ბავშვის უფლებათა კოდექსის ამოქმედების თანადროუ-

ლია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლში შესული ცვლილება, მისთვის მეორე ნაწილის დამატების სახით, რაც გულისხმობს შემდეგი ქცევის წესის დამკვიდრებას: ბავშვის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ განკარგვა დასაშვებია ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, სასამართლოს თანხმობის საფუძველზე. ამრიგად, ბავშვის უძრავი ქონების გასხვისების პროცედურებზე დაწესდა სავალდებულო სასამართლო კონტროლი.

16.9. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 251<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არასრულწლოვნის უფლებებთან დაკავშირებულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას და დასაბუთებისას სასამართლო უპირატესობას ანიჭებს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს.

17.1. ზემოაღნიშული ნორმებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ბავშვის ქონების გასხვისებისას სასამართლოს თანხმობის მოპოვების აუცილებლობის შემოღება ბავშვის უფლებების სათანადო დაციის, მისი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების, საკუთრების გარეშე დარჩენის რისკების გამორიცხვისა და მისი კეთილდღეობის მიღწევის მიზნებით არის განპირობებული. მსგავსი სახის დავა სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, რაც საჭიროებს ქონების გასხვისების მიზეზის, მიზნებისა და სავარაუდო შედეგების შესწავლასა და ბავშვის მდგომარეობაზე გავლენის შეფასებას. ამასთან, ბავშვის საუკეთესო ინტერესების დადგენას ემსახურება კანონმდებლობით მსგავსი ტიპის დავებში არასრულწლოვნის, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსა და ადვოკატის ჩაბმა. დასახელებულ პირთა პოზიციების გათვალისწინება საკითხის სწორად გადაწყვეტილისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია (იხ. სუსგ. №ას-1378-2021 05.04.2022).

17.2. პალატა მიუთითებს, რომ არასრულწლოვნის ქონების განკარგვაზე სასამართლოს მიერ თანხმობის გაცემა გასაჩივრებული არ არის და გადაწყვეტილება ამ ნაწილში შესულია კანონიერ ძალაში, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო არსებითად ვერ აფასებს თანხმობის გაცემის წინაპირობებს, თუმცა ყურადღებას მიაპყრობს იმ პროცედურულ ნაწილს, რომელიც საქალაქო სასამართლომ გაიარა თანხმობის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, კერძოდ: საქმეში მონაწილეობის მისაღებად ჩართო მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, რომელსაც დაევალა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრების სასამართლოს-თვის წარდგენა, ბავშვს დაენიშნა საზოგადოებრივი ადვოკატი, მომზადდა სოციალური მუშაკის დადებითი დასკვნა ქონების გას-

ხვისების საკითხზე თანხმობის მიცემასთან მიმართებით, ჩატარდა საქმის ზეპირი მოსმენა, რომელზედაც ზემოაღნიშნულმა პირებმა ერთმნიშვნელოვნად დადებითი მოსაზრება გამოხატეს მშობლისათვის ბავშვის უძრავი ნივთის გასხვისებაზე თანხმობის სასამართლო წესით გაცემაზე. ამრიგად, სასამართლომ განცხადების დადებითად გადაწყვეტამდე განახორციელა ჯეროვანი კონტროლი ქონების განკარგვით არასრულნლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის საკითხზე.

17.3. რაც შეეხება უშუალოდ მიღებული გადაწყვეტილების მიგვარ აღსრულებაზე კონტროლს, როგორც ეს სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით განისაზღვრა, პალატა მიუთითებს, რომ არავითარი საკანონმდებლო დათქმა, რომელიც აღსრულების პროცესში სახელმწიფო ორგანოთა მონაწილეობის უფლებამოსილებას დაადგენდა, მოცემული მდგომარეობით, არ არსებობს. კანონმდებელს, გადაწყვეტილების ამგვარი კონტროლის დაწესების ნების არსებობისას, შეეძლო, არასრულნლოვნის ქონების გასხვისებისას გაეთვალისწინებინა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სავალდებულო მონაწილეობა ამავე გარიგებაში ან/და ამონაგები თანხის მიზნობრივად განკარგვის უზრუნველსაყოფად, დაეფინა გახარჯვის პროცედურებში მისი უფლებამოსილებანი. უდავოა, რომ ამგვარი დათქმები კანონმდებელს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის მეორე ნაწილის ამოქმედების პარალელურად, არ დაუწესებია, შესაბამისად, მშობლისთვის ინფორმაციის წარდგენისა და სააგენტოსთვის მონიტორინგის დავალების საკანონმდებლო საფუძველი არ არსებობს. ამავდროულად, კონტროლის ვალდებულების იმ ფორმით დაწესება, როგორც აღნიშნული განხორციელდა პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილების საკეთოლუციო ნაწილში (რაც გაზიარებულ იქნა სააპელაციო ინსტანციის მიერ), არ ადგენს ქცევის განსაზღვრულ წესს, რომელიც განმცხადებელმა ან/და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ უნდა განახორციელოს ბავშვის ქონების არამიზნობრივი გასხვისების რისკის თავიდან ასარიდებლად.

17.4. მართლმსაჯულების კანონიერ ძალაში შესული აქტი, საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის პირველ პუნქტის, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლის პირველ პუნქტის, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის გათვალისწინებით, შესასრულებლად საგალდებულო ძალას ატარებს – ნებისმიერი პირი, ვის მიმართაც არის გამოტანილი გადაწყვეტილება, ვალდებულია, შეასრულოს ის. სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ან-

და მისი შესრულებისათვის ხელის შეშლა იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

17.5. ერთ-ერთ მსგავს საქმეზე საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „გასაჩივრებული განჩინების ძალაში დატოვებამ, კანონმდებლობის არარსებობისა და სააგენტოს მიერ შესაბამისი რესურსის არქონის პირობებში, შესაძლებელია, ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის ნაცვლად, ურთიერთობის მოწესრიგების ხელოვნურად გაჭიანურება და გართულება გამოიწვიოს. ამასთან, ... სააგენტოსთვის მონიტორინგის დავალების გაუქმება არ ნიშნავს და არ გულისხმობს განმცხადებლის მიერ სასამართლო გადაწყვეტილების ბავშვის ინტერესების დარღვევით შესრულებას. თუკი ქონების განკარგვის შემდგომ ადგილი ექნება ბავშვის უფლებების დარღვევას და მიღებული სარგებლის არამიზნობრივ გამოყენებას, ასეთ ფაქტზე რეაგირება კანონმდებლობით გათვალისწინებული საერთო საფუძვლებით შეიძლება მოხდეს“ (იხ. სუსგ. №ას-1378-2021 05.04.2022წ).

18. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩინა, რომ ს.ს.ი.პ. სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს იმერეთის რეგიონული ცენტრის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 15 სექტემბრის განჩინება ს.ს.ი.პ. სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს იმერეთის რეგიონული ცენტრისათვის გადაწყვეტილების აღსრულებაზე მონიტორინგის დავალების შესახებ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 03 ივნისის №2/490-21 გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე, 409-ე, 411-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ს :**

1. ს.ს.ი.პ. სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს იმერეთის რეგიონული ცენტრის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 15 სექტემბრის განჩინება ს.ს.ი.პ.

სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარა-ლებულთა დახმარების სააგენტოს იმერეთის რეგიონული ცენტრი-სათვის გადაწყვეტილების აღსრულებაზე მონიტორინგის დავალების შესახებ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 03 ივ-ნისის №2/490-21 გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნა-ნილში.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 15 სექტემბრის განჩინება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასა-ჩივრდება.

## ბავშვის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის განკარგვა

### გადაცევატილება საქართველოს სახელი

№ას-479-2022

11 ნოემბერი 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. ძიმისტარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. ქოჩიაშვილი  
ა. ძაბუნიძე

**დავის საგანი:** არასრულწლოვანი ბავშვის საკუთრებაში არსე-ბული უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვაზე თანხმობის გაცემა

#### აღწერილობითი ნაწილი:

##### 1. განმცხადებლების მოთხოვნა

1.1. მ. ფ-ძემ და კ. ბ-ძემ (შემდგომში წოდებული, როგორც „გან-მცხადებლები“, „მონინააღმდეგე მხარეები“), განცხადებით მიმარ-თეს საჩხერის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვეს არასრულ-წლოვნი შვილის – გ. ბ-ძის (პ/ნ... დაბადებული 2006 წლის 23 ნოემ-ბერს) სახელზე რიცხული უძრავი ქონების მდებარე: საჩხერის მუ-ნიციპალიტეტი, სოფელი ... ს/კ ..., კუთვნილი 1/4 ნილის, იპოთეკით დატვირთვისთვის თანხმობის მიცემა.

1.2. საჩხერის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 10 მარტის განჩინებით, საქმეში ჩაეგა სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრე-ფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს

იმერეთის რეგიონული ცენტრი.

## **2. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი**

2.1. საჩერის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 01 ივნისის გადაწყვეტილებით, მ. ფ-ძისა და კ. ბ-ძის განცხადება დაკმაყოფილდა.

2.2. განმცხადებლებს მიეცეთ თანხმობა, რათა ერთჯერადად, არაუმტეს 14 წლის ვადით, იპოთეკით დაეტვირთათ არასრულნლოვნი გ. ბ-ძის (პ/ნ... დაბადებული 2006 წლის 23 ნოემბერს) სახელზე რიცხული უძრავი ქონების (მდებარე: საჩერის მუნიციპალიტეტი, სოფელი ... ს/კ ...) კუთვნილი 1/4 ნილი.

2.3. ამავე გადაწყვეტილებით, განმცხადებელებს დაევალათ, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსთვის, არასრულნლოვნის ქონების გასხვისების შემდეგ მიღებული თანხის მიზნობრიობისა და მისი ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად გამოყენებისა თაობაზე ინფორმაციის მიწოდება.

2.4. აღნიშნული გადაწყვეტილება, ინფორმაციის წარდგენის დავალების ნაწილში, საპელაციო საჩივრით გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტომ.

## **3. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს განჩინება და დასკვნები**

3.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 18 იანვრის განჩინებით, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს, იმერეთის რეგიონული ცენტრის, სააპელაციო საჩივრი არ დაკმაყოფილდა.

3.2. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ბავშვის ქონების განკარგვა დასაშვებია ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ბავშვის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენებლის მიერ განკარგვა დასაშვებია ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, სასამართლოს თანხმობის საფუძველზე. ამასთან, პალატამ აღნიშნა, რომ დაუშვებელია, მშობლის მიერ მშობლის უფლებების ისე განხორციელება, მათ შორის, ბავშვის ქონების იმგვარად მართვა, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ზიანი მიადგეს.

3.3. ბავშვის მოწყვლადი სტატუსიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიჩინია, რომ განსაზილველ შემთხვევაში, მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული ბავშვის საუკეთესო ინტერესი და მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოს როლი მსგავსი კა-

ტეგორიის საქმეებში. პალატამ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულება მოიცავს სახელმწიფოს მხრიდან არა მხოლოდ ნეგატიური ჩარევის დაუშვებლობას (რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფომ არ უნდა დაარღვიოს არასრულწლოვანისათვის კანონით მინიჭებული უფლებები), არამედ გულისხმობს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებასაც – განახორციელოს აქტიური მოქმედებები არასრულწლოვანის უფლებებისა და კანონიერი ინტერესის დაცვისათვის, კერძოდ, შეიმუშავოს არასრულწლოვანის უფლებებისა და კანონიერი ინტერესის დასაცავად საკანონმდებლო რეგულაციები და აღასრულოს ისინი.

3.4. ზემოაღნიშნული მსჯელობის, ბავშვის უფლებების შესახებ კოდექსის 82.2 მუხლისა და სამოქალაქო კოდექსის 182-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო პალატამ დაასკვნა, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესის სრულფასოვანი დაცვის უზრუნველსაყოფად, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად დაადგინა სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს იმერეთის რეგიონული ცენტრისათვის არასრულწლოვნის უძრავი ქონების გასხვისების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი (მონიტორინგი).

3.5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, საკასაციო წესით, გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს იმერეთის რეგიონულმა ცენტრმა.

#### 4. კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები

4.1. კასატორი არ ეთანხმება ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ სააგენტოსთვის არასრულწლოვანი ბავშვის მშობლების მიერ, მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვაზე ზედამხედველობის ვალდებულების დაკისრების მართლზომიერებას.

4.2. კასატორი მიუთითებს, რომ სააგენტოსთვის კონტროლის დავალებს სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, რადგან კანონმდებლობით არ რეგულირდება სააგენტოს, როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ არასრულწლოვნის კუთვნილი უძრავი ქონების რეალიზაციის გზით მიღებული საარგებლის მიზნობრივ განკარგვაზე მონიტორინგის/კონტროლის წესი, პირობები და რეაგირების მექანიზმები. ამასთან, სააგენტოს არც შესაბამისი რესურსი გააჩნია. ამდენად, სასამართლოს დავალების აღსრულება ობიექტურად შეუძლებელი იქნება.

4.3. კასატორი დამატებით მიუთითებს, რომ არასრულწლოვნის ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემამდე, სასამართლო იკ-

ვლევს ქონების გასხვისების მიზანს, არსებულ ვითარებას, ბავშვის მდგომარეობაზე ქონების გასხვისებით გამოწვეულ შედეგებს, მოისმენს სააგენტოს პოზიციასაც. შესაბამისად, ქონების გასხვისებაზე თანხმობის მიღების პროცედურა სრულად უზრუნველყოფს ბავშვის დაცვას და დამატებით, სააგენტოსთვის, აღნიშნულ პროცესზე მონიტორინგის ვალდებულების დაკისრების საჭიროება არ არსებობს.

## 5. საკასაციო სამართალნარმოების ეტაპი

5.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 29 აპრილის განჩინებით, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს იმერეთის რეგიონული ცენტრის საკასაციო საჩივარი, მიღებულ იქნა ნარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამონ-მებლად.

5.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 26 ივნისის განჩინებით, საკასაციო სა-ჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და დადგინდა მისი მხარეთა დას-წრების გარეშე განხილვა.

## სამოტივაციო ნაწილი:

### 6. გასაჩივრებული განჩინების შეცვლის დასაბუთება

6.1. საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივარის საფუძვლების შესწავლის შედეგად, მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს იმერეთის რეგიონული ცენტრის საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია და იგი უნდა დაკმაყოფილდეს.

6.2. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 409-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია შეცვალოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ. ხოლო ამავე კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

6.3. განსახილველ საქმეში წარდგენილი საკასაციო საჩივრით სადაცოდაა გამხდარი არასრულწლოვნის ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემის შესახებ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების სათანადოდ აღსრულებაზე სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარე-

ბის სააგენტოსთვის მონიტორინგის დავალების კანონიერება.

6.4. საკასაციო პალატა ეთანხმება კასატორის არგუმენტს მასზედ, რომ სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსთვის, არასრულწლოვნის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვაზე თანხმობის გაცემის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მონიტორინგის დავალება, არ გამომდინარეობს არსებული საკანონმდებლო ჩარჩოდან და ლეგიტიმური ვერიქნება.

6.5. საკასაციო პალატა უპირველესად ყურადღებას მიაპყრობს ბავშვის უფლებებთან დაკავშირებული საქმეების სპეციფიკას და განმარტავს, რომ ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში მოქმედი, როგორც ეროვნული (ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-5 მუხლი) ასევე, საერთაშორისო კანონმდებლობა (ბავშვის უფლებების შესახებ” კონვენციის მე-3 მუხლი) ამგვარი ტიპის საქმეების განხილვისას უპირატესად ბავშვის საუკეთესო ინტერესების სასარგებლოდ მოქმედების ვალდებულებას ითვალისწინებს. კერძოდ, ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი (“ბავშვთან დაკავშირებით ნებისმიერი ქმედების განხორციელებისას, მიუხდავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი – სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური დაცვის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები – უპირველესი ყურადღება უნდა დაეთმოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას”) ბავშვს აძლევს უფლებას, მის მიმართ განხორციელებული ნებისმიერი ქმედებისას ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას, შეფასდეს და უპირველესი ყურადღება დაეთმოს მის საუკეთესო/ქეშმარიტი ინტერესებს როგორც საზოგადოებრივ, ისე კერძო სფეროში. ამასთან, იგი ასახავს კონვენციის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს. ბავშვის უფლებათა კომიტეტმა, მე-3 მუხლის პირველი პუნქტი მიიჩნია კონვენციის ოთხი ზოგადი პრინციპიდან ერთ-ერთად ბავშვის ყველა უფლების განმარტებისა და განხორციელებისათვის და იყენებს მას, როგორც დინამიკურ ცნებას, რომელიც მოითხოვს კონკრეტული კონტექსტის შესატყვის შეფასებას.

6.6. ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების ცნების მიზანია, უზრუნველყოს როგორც კონვენციით აღიარებული ყველა უფლებით სრული და ეფექტური სარგებლობა, ისე ბავშვის ყოვლისმომცველი განვითარება. ამასთან, ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების ცნების სრული გამოყენება მოითხოვს უფლებებზე დაფუძნებული მიღვომის დანერგვას, რომელშიც ჩაერთვება ყველა მონაწილე მხარე, ბავ-

შვის ყოვლისმომცველი ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ფსიქიკური და სულიერი ერთიანობის უზრუნველსაყოფად და მისი ადამიანური ღირსების პატივსაცემად. მე-3 მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს ჩარჩოს მონაწილე სახელმწიფოთა სამი სხვადასხვა სახის ვალდებულებებისთვის: (ა) ვალდებულება, უზრუნველყონ, რომ ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესები სათანადო ინტეგრირებული იყოს და თანმიმდევრულად ხდებოდეს მათი გათვალისწინება საჯარო უწყების მიერ განხორციელებულ ნებისმიერ ქმედებაში, განსაკუთრებით განხორციელების ყველა ღონისძიებაში, ადმინისტრაციულ და სასამართლო სამართალწარმოებაში, რომელსაც პირდაპირი ზეგავლენა აქვს ბავშვებზე; (ბ) ვალდებულება, უზრუნველყონ, რომ ყველა სასამართლო და ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებაში, ისევე, როგორც ბავშვებთან დაკავშირებულ კანონმდებლობასა და პოლიტიკაში ნათლად ჩანდეს„, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესს დაეთმო უპირველესი ყურადღება. საჭიროა იმის აღნერაც, თუ როგორ მოხდა საუკეთესო ინტერესების შესწავლა და შეფასება და რა მნიშვნელობა მიენიჭა მათ გადაწყვეტილებაში; (გ) ვალდებულება, უზრუნველყონ, რომ ბავშვის ინტერესები შეფასდა და დაეთმო უპირველესი ყურადღება კერძო სექტორის ყველა გადაწყვეტილებასა და ქმედებაში, მათ შორის მომსახურების მიმწოდებლების ან ნებისმიერი სხვა კერძო ორგანიზაციის ან დაწესებულების მიერ, რომლებიც იღებენ ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც ზეგავლენას ახდენს ბავშვზე ან შეეხება მას. (იხ. ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №14 (2013 წ.) მე-13-მე-14 პუნქტები)

6.7. ნაკასრი ვალდებულებების შესრულების მიზნით, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გაატარონ რიგი ღონისძიებებისა, ამგვარ ღონისძიებებს შორის არის: ეროვნული კანონმდებლობისა და სამართლის სხვა წყაროების გადასინჯვადა და საჭიროებისამებრ შეცვლა მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ჩართვის მიზნით და იმის უზრუნველყოფა, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების მოთხოვნა ასახული და განხორციელებული იყოს ყველა ეროვნულ საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტში, პროვინციის თუ ტერიტორიულ კანონმდებლობაში, ბავშვებისათვის ან ბავშვებზე ზეგავლენის მქონე მომსახურების გამწევი კერძო თუ საჯარო დაწესებულებების მარეგულირებელ წესებში და სასამართლო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ნებისმიერ დონეზე, როგორც მატერიალური უფლება და საპროცესო ნორმა; (იხ. ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №14 (2013 წ.) მე-15 პუნქტი)

6.8. „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციით აღიარებული

ბავშვის უფლებების სრულფასოვნად რეალიზაციისათვის, საქართველოში, 2020 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა ბავშვის უფლებათა კოდექსი. ამასთან, აღნიშნული კოდექსითა და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით, რომლის ფარგლებშიც სხვა მრავალ სიახლესთან ერთად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შევიდა ცვლილება (ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-19 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ბავშვის ქონების განკარგვა დასაშვებია ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით) და დაწესდა სავალდებულო სასამართლო კონტროლი არასრულნლოგნის უძრავი ქონების გასხვისების პროცედურებზე. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლს დაემატა მე-2 ნაწილი, რომლის შესაბამისადაც, ბავშვის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ განკარგვა დასაშვებია ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, სასამართლოს თანხმობის საფუძველზე.

6.9. საგულისმოა, რომ სასამართლოებმა ბავშვთა მონაწილეობით საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გამოიყენონ მულტიდისციპლინური მიდგომა ბავშვის საუკეთესო ინტერესების დასადგენად (ბავშვის უფლებათა კოდექსის 72-ე მუხლი) რაც მოიაზრებს ბავშვის ფსიქოლოგიური, სოციალური, ემოციური და ფიზიკური ჯანმრთელობის შეფასებას, მისი საუკეთესო ინტერესების დადგენის მიზნით. შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანო და სასამართლო მულტიდისციპლინურ მიდგომას ახორციელებენ ბავშვის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო უწყებების სპეციალისტებს, მოწვეულ ექსპერტებს ან/და ორგანიზაციებს შორის ფორმალური თანამშრომლობის პროცედურით.

6.10. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ბავშვის ქონების გასხვისებისას, სასამართლოს თანხმობის მოპოვების აუცილებლობის შემოღება ბავშვის უფლებების სათანადო დაცვის, მისი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების, საკუთრების გარეშე დარჩენის რისკების გამორიცხვისა და მისი კეთილდღეობის მიღწევის მიზნებით არის განპირობებული. მსგავსი სახის დავა სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს ბავშვის საკუთესო ინტერესების შესაბამისად, მულტიდისციპლინური მიდგომით, რაც საჭიროებს ქონების გასხვისების მიზეზის, მიზნებისა და სავარაუდო შედეგების შესწავლასა და ბავშვის მდგომარეობაზე გავლენის შეფასებას. აღნიშნულ შემთხვევაში, კი აუცილებელია საკითხის განხილვაში მონაწილეობდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო, რომელსაც მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკის-

რება საოჯახო დაცებში, არასრულწლოვნის ინტერესებისა და უფლებების დაცვის კუთხით.

6.11. განსახილველ შემთხვევაში ირკვევა, რომ მ. ფ-ძემ და კ. ბ-ძემ განცხადებით მიმართეს საჩერის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვეს არასრულწლოვანი შვილის – გ. ბ-ძის (პ/ნ... დაბადებული 2006 წლის 23 ნოემბერს) სახელზე რიცხული უძრავი ქონების მდებარე: საჩერის მუნიციპალიტეტი, სოფელი ... ს/კ ..., კუთვნილი 1/4 წილის, იპოთეკით დატვირთვისთვის თანხმობის მიცემა. საჩერის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 10 მარტის განჩინებით, საქმეში ჩაება სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს იმერეთის რეგიონული ცენტრი. პირველი ინსტანციის სასამართლომ ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, შეამოწმა არასრულწლოვნის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების უფლებრივად დატვირთვის აუცილებლობა, რის შედეგადაც, მულტიდისიციპლინური შეფასების საფუძველზე, განმცხადებლებს მიეცათ თანხმობა, რათა ერთჯერადად, არაუმჯოს 14 წლის ვადით, იპოთეკით დაეტვირთათ არასრულწლოვნი გ. ბ-ძის (პ/ნ... დაბადებული 2006 წლის 23 ნოემბერს) სახელზე რიცხული უძრავი ქონების (მდებარე: საჩერის მუნიციპალიტეტი, სოფელი ... ს/კ ....) კუთვნილი 1/4 წილი. ამ ნაწილში გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა და შესაბამისად საკასაციო პალატა გაცემული თანხმობის მართლზომიერების კვლევაში არ შევა, თუმცა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კანონმდებლის მიზანი (სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის მე-2 ნაწილი) ბავშვის უფლებების დარღვევის გამოსარიცხად, სასამართლო კონტროლის დაწესების შესახებ, ჯეროვნად არის განხორციელებული და სადაცოდ მხოლოდ სასამართლოს მიერ გაცემული ნებართვის აღსრულების კონტროლის გალდებულების კასატორისთვის დაკისრება.

6.12. სადაცო საკითხთან მიმართებით, საკასაციო პალატას მიაჩინა, რომ საჩერის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 01 ივნისის გადაწყვეტილებით, განმცხადებლებისთვის არასრულწლოვნის ქონების გასხვისების შემდეგ მიღებული თანხის მიზნობრიობისა და მისი ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად გამოყენების თაობაზე ინფორმაციის მიწოდების დავალდებულება სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსთვის, რომელიც ქუთაისის საპელაციო პალატის 2022 წლის 18 იანვრის განჩინებით ძალაში დარჩა, არ შეესაბამება მოქმედ საკანონმდებლო რეგულაციებს და შესაბამისად, არამართლზომიერია.

6.13. 2020 წლის 29 იანვრის საქართველოს მთავრობის №58 დად-

გენილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დებულების მე-2 მუხლის თანახმად, სააგენტო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ გრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით, „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონით, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონით, ბავშვის უფლებათა კოდექსით, ამ დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.

6.14. საკასაციო პალატა მნიშვნელოვნად მიიჩნევს აღინიშნოს, რომ სადაც შემთხვევაში, მიღებული გადაწყვეტილების შესრულების სათანადო გამოყენების, კონტროლის სპეციალური მექანიზმი მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის. ამიტომ, მიუხედავად სასამართლოების სურვილისა, ბავშვის საუკეთესო ინტერესის დასაცავად, მოხდეს არასრულწლოვნის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვის შესახებ გაცემული თანხმობის ეფექტური კონტროლი, გასაზიარებელია კასატორის პოზიცია, რომ ასეთი ვალდებულების საჯარო დაწესებულებაზე მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების ძალით (შესაბამისი საკანონმდებლო მოწესრიგების გარეშე) დაკისრება, ვერ იქნება დასახული მიზნის მიღწევის ეფექტური და რელევანტური საშუალება.

6.15. საკასაციო პალატა მიუთითებს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს, პრაქტიკაზე (იხ. სუსგ საქმეზე №ას-1378-2021, 2022 წლის 05 აპრილი, 28-ე პუნქტის ბოლო აბზაცი), სადაც სააგენტოსთვის მსგავსი ვალდებულების დაკისრების კანონიერებს შესწავლისას, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ კოდექსის შემოღებისას, კანონმდებელმა ბავშვის უფლებების დაცვის გასაძლიერებლად აღსრულების მექანიზმების საჭიროებასა და მნიშვნელობაზე იმსჯელა, რომლის ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენს სასამართლოს კონტროლის შემოღება ბავშვის ქონების გასხვისებისას, თუმცა უკვე მიღებული გადაწყვეტილების შესრულებაზე მონიტორინგის საკითხი კანონმდებელს არ განუსაზღვრავს (რაც შესაძლებელია, კანონმდებლის კვალიფიციურ დუმილსაც კი წარმოადგენდეს). აღნიშნულის შესაბამისად, საკასაციო პალატამ გან-

მარტა, რომ დღეის მდგომარეობით, მშობლისთვის ინფორმაციის წარდგენისა და სააგენტოსთვის მონიტორინგის დავალების საკანონმდებლო საფუძველი არ არსებობს, რის გამოც ასეთი დავალების პირობებშიც კი – სააგენტო მოკლებული იქნება საკითხზე რეალური და შედეგიანი რეაგირების როგორც სამართლებრივ, ისე ფაქტობრივ შესაძლებლობას.

6.16. საკასაციო პალატა დასძენს, რომ იგი სრულად იზიარებს იმ სულისკვეთებას, რომ ამგვარი კატეგორიის დავებზე, კასატორის მხრიდან სასამართლო გადაწყვეტილების შესრულების მონიტორინგის განხორციელებას სჭირდება შესაბამისი შატერიალურ-ტექნიკური, ფინანსური და ადამიანური რესურსი, რაც საკანონმდებლო მონესრიგების გარეშე, ვერ მოხდება. ამასთან, მეტიც, სააგენტოს მიერ შესაბამისი რესურსის არქონის პირობებში, აღნიშნულმა გარემოებამ, შესაძლებელია, ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის ნაცვლად, ურთიერთობის მოწესრიგების ხელოვნურად გაჭიანურება და გართულება გამოიჩიოს. ამასთან, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სააგენტოსთვის მონიტორინგის დავალების გაუქმება არ ნიშნავს და არ გულისხმობს სასამართლოს გადაწყვეტილების განმცხადებლის მიერ ბავშვის ინტერესების დარღვევით შესრულებას. თუკი ქონების განკარგვის შემდგომ ადგილი ექნება ბავშვის უფლებების დარღვევას და მიღებული სარგებლის არამიზნობრივ გამოყენებას, ასეთ ფაქტზე რეაგირება კანონმდებლობით გათვალისწინებული საერთო საფუძვლებით შეიძლება მოხდეს (შდრ იხ. სუსგ საქმეზე №ას-1378-2021, 2022 წლის 05 აპრილი).

6.17. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის, ასევე 409-ე და 411-ე მუხლების გათვალისწინებით, სააპელაციო პალატის განჩინება, გასაჩივრებულ ნაწილში არ შეესაბამება კანონმდებლობას და უნდა გაუქმდეს.

6.18. განსახილველ შემთხვევაში, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, მხარეები სახელმწიფო ბაჟის გადახდის-გან გათავისუფლებულნი არიან.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე, 409-ე, 411-ე მუხლებით და

## დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს იმერეთის რეგიონული ცენტრის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 18 იანვრის განჩინება განმცხადებლისთვის სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს იმერეთის რეგიონული ცენტრისთვის ინფორმაციის წარდგენისა და სააგენტოსთვის მონიტორინგის დავალების ნაწილში;
3. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## საკუთრების უფლების დროებით შეზღუდვა არასრულდებოვნის ინტერესებიდან გამომდინარე

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-1375-2021

16 ივნისი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემაღენლობა: გ. მიქაუტაძე (თავმჯდომარე),  
რ. ნადარაია (მომხსენებელი),  
თ. ზამბახიძე

**დაგის საგანი:** უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა,  
ხელშეწყობის აღკვეთა

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. თ. ტ-ძემ (შემდგომში მოსარჩელემ) სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. ფ-ვას (შემდეგში მოპასუხის) მიმართ და მოითხოვა მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან მოსარჩელის საკუთრებაში არსებული, ხელვაჩაურის რაიონის, სოფელ ... (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი ...) მდებარე საცხოვრებელი სახლის გამოთხოვა და მისი გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში მოსარჩელისათვის გადაცემა.

#### სარჩელის საფუძვლები:

1.2. 2020 წლის 14 ივნისს მოპასუხემ, მოსარჩელის კუთვნილ საცხოვრებელ სახლში მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ შეაღ-

წია და დაეუფლა მოსარჩელის საკუთრებას. აღნიშნულის გამო მოსარჩელე მეუღლესთან ერთად ცხოვრობს ნაქირავებ ბინაში, გაუსაძლის პირობებში და ადგება ზიანი.

1.3. წარმოდგენილი შესაგებლით მოპასუხებ მიუთითა, რომ არის ქონების მართლზომიერი მფლობელი, ვინაიდან მოსარჩელის შვილის – რ. ტ-ძის ჯერ კიდევ კანონიერი მეუღლეა და სადაც სახლში ცხოვრობს მოსარჩელის შეილთან ქორწინების შემდეგ. მოპასუხის მითითებით, აღნიშნულ სახლში იგი ცხოვრობს მცირებლოვან შვილებთან ერთად და გამოსახლების შემთხვევაში დარჩება საცხოვრებლის გარეშე.

1.4. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 28 იანვრის საოქმო განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაბმული იქნა სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების საგვანტოს მეურნეობა-მზრუნველობისა და მხარდაჭერის სერვისების დეპარტამენტის აჭარის ა/რ ცენტრი, ასევე არასრულწლოვნები – 6. ტ-ძე და ბ. ტ-ძე.

1.5. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 02 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა; აღვეთილ იქნა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ... მდებარე, №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების უკანონო ხელყოფა და დადგინდა ამ მიზნით 6. ფ-ვას გამოსახლება მოსარჩელის კუთვნილი უძრავი ქონებიდან და გამოთავისუფლებული ფართის თ. ტ-ძისათვის ჩაბარება. მოსარჩელეს უარი ეთქვა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევაზე.

1.6. პირველი ინსტანციის სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხებ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

1.7. დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევაზე უარის თქმის ნაწილში გადაწყვეტილება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მოსარჩელებ და მოითხოვა აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილება.

**სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:**

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 29 ივნისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა თ. ტ-ძის კერძო საჩივარი დაუყოვნებლივ აღსრულებაზე უარის თქმის ნაწილში ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 02 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ.

2.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 07 ოქტომბრის განჩინებით 6. ფ-ვას სააპე-

ლაციო საჩივარი არ დაქმაყოფილდა. უცვლელად დარჩა ხელვაჩა-ურის რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარე-მოებებს:

2.2. ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ... მდებარე №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების მესაკუთრედ რეგისტრირებულია თ. ტ-ძე.

2.3. მოსარჩელე თ. ტ-ძე არის მოპასუხის მამამთილი. მოსარჩელის შეილთან – რ. ტ-ძესთან ქორნინების შემდეგ ნ. ფ-ვა საცხოვრებლად გადავიდა მოსარჩელის კუთვნილ, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ... (ს/კ...) მდებარე საცხოვრებელ სახლში, სადაც ცხოვრობს არასრულწლოვან შვილებთან, ნ. და ბ. ტ-ძეებთან ერთად. ნ. ფ-ვა და მისი მეუღლე ფაქტობრივად დაშორდნენ ერთმანეთს და ცხოვრობენ ცალ-ცალკე.

2.4. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ საპელაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს წარმოადგენდა იმ საკითხის გარკვევა-შეფასება, აპელანტს გააჩნდა თუ არა უძრავი ქონების მართლზომიერი ფლობის უფლება და არსებობდა თუ არა რეგისტრირებული მესაკუთრის – თ. ტ-ძის ვინდიკაციური მოთხოვნის გამომრიცხავი გარემოება. პალატის განმარტებით, ერთმანეთს უპირისპირდება თ. ტ-ძის საკუთრების უფლება და ნ. ფ-ვას საცხოვრისის უფლება, რაც უკავშირდება არასრულწლოვანი შვილების დედასთან ცხოვრების უფლებას. პალატამ მიუთითა, რომ საცხოვრისის უფლება არ გულისხმობს სხვისი საკუთრებით სარგებლობასა და ფლობას და ამ გზით საცხოვრისის უფლების განხორციელებას.

2.5. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის, როგორც მესაკუთრის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უფლებაზე, რომლის უზრუნველყოფა სავინდიკაციო სარჩელის შეტანის გზით ხდება. მოთხოვნა დაქმაყოფილდება შემდეგ შემთხვევაში: უნდა არსებობდეს ნივთის მესაკუთრე, უნდა არსებობდეს ნივთის მფლობელი და მფლობელს არ უნდა ჰქონდეს ამ ნივთის ფლობის უფლება. ამდენად, დასახელებული ნორმების შესაბამისად, ვინდიკაციური სარჩელის საფუძვლიანობა მოწმდება იმ გარემოებათ შეფასებით, არსებობს თუ არა მოსარჩელის საკუთრების უფლება ნივთზე და იმყოფება თუ არა ეს ნივთი სხვა პირთა არამართლზომიერ მფლობელობაში, ანუ ხორციელდება თუ არა მფლობელობა საამისო უფლების გარეშე. პალატის მითითებით, დგინდებოდა მოსარჩელის სადაცვო უძრავი ქონების მესაკუთრედ ყოფნისა და მოპასუხის მიერ აღნიშნული ქონების ფლობის ფაქტი, ხოლო მოპასუხის მიერ ვერ იქნა დადასტურე-

ბული მისი მტკიცების საგანში შემავალი ფაქტობრივი გარემოება – უძრავი ნივთის ფლობის მართლზომიერების შესახებ.

3. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა მოპასუხებ და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის დაპრუნება ხელახლა განსახილველად.

### **საკასაციო საჩივრის საფუძვლები:**

3.1. კასატორების მითითებით, სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მოპასუხე სადაც ფართში არ შეჭრილა უკანონოდ და იქ ცხოვრობს მას შემდეგ, რაც მოსარჩელის რძალი გახდა. ჰყავს არასრულწლოვანი შვილები, რომელებიც ცხოვრობენ დედასთან ერთად. სასამართლომ არ გაითვალისწინა მცირებულოვანი ბავშვების უფლებები და კანონიერი, ჭეშმარიტი და ნამდვილი ინტერესები. არ გაითვალისწინა „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ ის ფუნდამენტალური მოთხოვნები, რაც დემოკრატიულ სახელმწიფოში ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესებს უზრუნველყოფს და იცავს მათი ინტერესების ხელყოფისგან.

3.2. სასამართლომ არ მოუსმინა საქმეში მესამე პირებად ჩართულ მცირებულოვან ბავშვებს, ისე მიიღო გადაწყვეტილება, რითაც დაირღვა „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ იმპერატიული მოთხოვნები.

3.3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 17 თებერვლის განჩინებით სსსკ-ის 396-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო ამავე სასამართლოს 2022 წლის 27 მაისის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

4. საკასაციო პალატამ შეისწავლა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია, შესაბამისად, გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილებით, თ. ტ-ძის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

5. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხოლოდ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გა-

დაწყვეტილებებსა და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მსედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსა-მართლებრივი ნორმის გამოყენება ან/და განმარტება. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

6. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მხარეთა შორის დავის განხილვისას სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რა ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს მოსარჩელე თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს სამართლებრივი ნორმა, რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რომლის მიღწევაც მხარეს სურს. მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად განხილული ნორმა შეიცავს იმ აღნერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემონმებაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენებით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს ამა თუ იმ ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღნერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს (სუსგ წას-251-2018, 08.02.2022 წ.).

7. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა,

საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა აგებულია რა დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებზე, პირის დარღვეული ან სადაცოდ ქცეული უფლების დაცვა ამავე პირის ხებაზეა დამოკიდებული. მხარეები სამოქალაქო სამართალწარმოებაში თვითონვე განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის შეტანის შესახებ (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3-მე-4 მუხლები), რაც კანონის მოთხოვნათა დაცვით (ამავე კოდექსის 178-ე მუხლი) უნდა აისახოს მხარეთა მიერ სასამართლოში წარდგენილ სარჩელში (სუსგ №ას-1163-2018, 08.02.2019 წ.; №ას-495-2020, 23.10.2020 წ.).

**8. საკასაციო სასამართლო დაფგენილად მიიჩნევს საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:**

8.1. სადაცო უძრავი ქონება, მდებარე: ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ..., საკადასტრო კოდი №..., მოსარჩელის საკუთრებას წარმოადგენს.

8.2. მოპასუხე მოსარჩელის შვილის – რ. ტ-ძის რეგისტრირებული მეუღლეა. 2009 წლის 12 მაისს დაბადებული ნ. ტ-ძე და 2015 წლის 25 იანვარს დაბადებული ბ. ტ-ძე არიან მოპასუხის შვილები და ამავე დროს მოსარჩელის შვილიშვილები.

8.3. ნ. და ბ. ტ-ძეები ცხოვრობენ დედასთან – ნ. ფ-ვასთან ერთად, მოსარჩელის კუთვნილ სახლში. მხარეები სადაცოდ არ ხდიან იმ გარემოებას, რომ ნ. ფ-ვას და მასთან მცხოვრებ ბავშვებს საკუთრებაში უძრავი ქონება და შესაბამისად სხვა საცხოვრებელი არ გააჩნიათ.

9. მოცემულ შემთხვევაში, ერთმანეთს უპირისაპირდება თ. ტ-ძის საკუთრების უფლება და ნ. ფ-ვას საცხოვრისის უფლება, რაც უკავშირდება არასრულნლოვანი შვილების დედასთან ცხოვრების უფლებას.

10. საკასაციო პალატა, სადაცო საკითხის მართებულად შეფასებისათვის, მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს ბავშვის უფლებების მარეგულირებელ კანონმდებლობაზე.

11. საკასაციო სასამართლო მიუთითებს „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციაზე, რომლის მონაწილე სახელმწიფოებიც აღიარებენ, რომ ბავშვებს აქვთ განსაკუთრებული ზრუნვისა და დახმარების უფლება. კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მოუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლო-

ები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ, უზრუნველყონ ბავშვი ისეთი დაცვითა და ზრუნვით, როგორიც საჭიროა მისი კეთილდღეობისათვის, ამასთან, ითვალისწინებენ მისი მშობლების, მეურვეების ან კანონით მისთვის პასუხისმგებელი სხვა პირების უფლებებსა და მოვალეობებს და ამ მიზნით მიმართავენ ყველა შესაბამის საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ზომას.

12. „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენცია აწესებს ბავშვის უფლებების დაცვის მინიმალურ სტანდარტებს, რომლებიც საზოგადოების არასრულნლოვანი წევრის ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბებისა და ნორმალური განვითარების ამოცანას ემსახურება და ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, ყველა ღონე იხმარონ არასრულნლოვნის უპირატესი ინტერესების დაცვისათვის.

13. „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციით აღიარებული ბავშვის უფლებების სრულფასოვნად რეალიზაციისათვის, 2020 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოში ამოქმედდა ბავშვის უფლებათა კოდექსი, რომელიც, კანონის განმარტებითი ბარათის თანახმად, მიზნად ისახავდა ბავშვის კეთილდღეობის მისაღწევად საქართველოში ერთიანი სახელმწიფოებრივი ხედვისა და სისტემური მიდგომის ჩამოყალიბებას. კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ბავშვს უფლება აქვს, მასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას უპირატესობა მიენიჭოს მის საუკეთესო ინტერესებს, რომლებიც ბავშვისთვის ინდივიდუალურად, ამ კოდექსის, საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად განისაზღვრება.

14. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ იმ პირობებში, როდესაც არასრულნლოვანი ბავშვები დედასთან ერთად ცხოვრობენ პაპის კუთვნილ სახლში და საკუთრებაში უძრავი ქონება არ გააჩნიათ, ნ. ფ-ვას გამოსახლება გამოიწყევს მისი მცირებულოვანი შეინარჩუნების გამოსახლებასაც, მიუხედავად იმისა, რომ სასარჩელო მოთხოვნა უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ ბავშვების მიმართ არ დაყენებულა. საკასაციო პალატა მიუთითებს სსკის 1225-ე მუხლზე, რომელიც ითვალისწინებს პაპისა და ბებიის სააღიმენტო მოვალეობას შეილიშვილის მიმართ (პაპა და ბებია, რომელთაც საკასაციო პალატა აქვთ, მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულნლოვანი შეილიშვილი, რომელიც დახმარებას საჭიროებს, თუ მას არ შეუძლია სარჩო მიიღოს თავისი მშობლებისაგან)

და მიიჩნევს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მოცემული დავის ფარგლებში განსახილველ საკითხს არ განეკუთვნება აღნიშნული მუხლის შესაბამისად, პაპისათვის ალიმენტის დაკისრების შესახებ მოთხოვნა, აღნიშნული მუხლის სწორი, თანმიმდევრული, დასაბუთებული და ლოგიკური განმარტების შედეგად, მისი რეგულირების მიზანი მხოლოდ არასრულწლოვანისათვის მატერიალური საზრდოს დანიშვნა არაა, არამედ, მისი მოქმედების მასშტაბი უფრო ფართოა და მოიცავს არასრულწლოვანის უზრუნველყოფას საცხოვრებლით, მაშინ როდესაც, არასრულწლოვანს ამ სიკეთის მიღება თავის მშობლებისაგან არ შეუძლია (სუსგ. №ას-454-426-2017, 05.05.2017.). მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის არასრულწლოვანი შვილიშვილები ცხოვრობენ დედასთან (მოპასუხესთან) ერთად მოსარჩელის კუთვნილ სახლში და სხვა საცხოვრებელი არ გააჩნიათ. ასეთი მოცემულობის არსებობისას, არასრულწლოვნის უფლებასთან მიმართებით, რომ პაპის მიერ უზრუნველყოფილი იყოს საცხოვრებლით, არ იკვეთება მესაკუთრის უპირატესი ინტერესი 6. ფ-გას, და შესაბამისად მისი არასრულწლოვანი შვილების უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვასთან მიმართებით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სისტემური ანალიზის მიხედვით, შვილიშვილებზე ზრუნვის ვალდებულება პაპა-ბების მოვალეობაცაა, მით უფრო იმ შემთხვევაში, როდესაც დადგენილია, რომ ბავშვები ცხოვრობენ მხოლოდ დედასთან ერთად.

15. პაპისა და ბებიის მიერ შვილიშვილზე ზრუნვისა და მისი რჩენის მოვალეობა არ არის უცხო არც ევროპული სამართლის ქვეყნებისთვის. მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (BGB) 1601-ე პარაგრაფის მიხედვით, პირდაპირი ხაზით ნათესავები ვალდებული არიან, არჩინონ ერთმანეთი. გერმანიის უზენაესმა ფედერალურმა სასამართლომ განმარტა, რომ კონკრეტული გარემოებების არსებობის შემთხვევაში, პაპა და ბებია მოვალენი არიან დაეხმარონ დამატებითი სახსრებით მის არასრულწლოვან შვილიშვილს, მაშინაც კი, როდესაც ბავშვის მშობლებს აქვთ გარკვეული სახის შემოსავალი. განქირწინებულმა მშობლებმა კონკრეტული გარემოებების არსებობისას ნაკლები სახსრებით უნდა დაეხმარონ თავიანთ შვილს, როდესაც პაპა და ბებია ფინანსურად იმგვარ მდგომარეობაში არიან, რომ მათ ასევე შეუძლიათ შვილიშვილების რჩენისა და ზრუნვისთვის სახსრები გაიღონ. სასამართლომ აღნიშნა, რომ კანონმდებლის მიერ ნათესაური კავშირების გამო რჩენისა და ზრუნვის მოვალეობის დაწესება თაობათაშორისი სოლიდარობის პრინციპის გამოხატულებაა. ამდენად, პაპა და ბებია მოვალენი არიან იზრუნონ შვილიშვილზე და მათ სასიკეთოდ სოციალური ვალდებულები აიღონ, რაც სამოქალაქო-სამართლებრივი ზრუნვის მო-

ვალეობაში გამოიხატება (Beschluss vom 27. Oktober 2021 \_ XII ZB 123/21).

16. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მცირებლოვან ბავშვებს, რომელთა გამოსახლება თანხვედრაშია დედის გამოსახლებასთან და მხარეებს შორის, არ არის მხოლოდ მესაკუთრესა და უკანონო მფლობელს შორის ურთიერთობა, არამედ იგი მოიცავს ასევე პაპისა და შვილიშვილების ურთიერთობასაც (ურთიერთრჩევის თვალსაზრისით) და სწორედ ამიტომ ბავშვის საუკეთესო ინტერესები „წინ უსწრებს“ საკუთრების უფლებას (სუსგ. №ას-454-426-2017, 05.05.2017).

17. სადაცო საკითხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საკასაციო პალატამ თავისი ერთ-ერთი გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა მესაკუთრის სარჩელი, რომლითაც იგი ითხოვდა მოპასუხის (რძლის) არასრულწლოვან შვილებთან ერთად გამოსახლებას. დავაში დადგენილია, რომ მოსარჩელე მოპასუხის და მისი ორი არასრულწლოვანი შვილის გამოსახლებას სადაცო ბინიდან მოითხოვდა იმ მოტივით, რომ მოპასუხე არ უფლიდა მას. მოპასუხეს არ გააჩნდა სხვა საცხოვრებელი ბინა და იგი თავის ორ არასრულწლოვან ბავშვთან ერთად ცხოვრობდა სადაცო ბინაში. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ იყო გამოკვეთილი მესაკუთრის ინტერესის უპირატესობა და მისი მოქმედების აუცილებლობა იყო გაუმართლებელი. საკასაციო პალატის მითითებით, პაპას საალიმენტო ვალდებულებების გარდა აქვს მოვალეობაც, რომ შვილიშვილებს შეუქმნას ცხოვრებისათვის ჯანსაღი გარემო და იმ ვითარებაში, როდესაც მოპასუხეს და მის არასრულწლოვან შვილებს არ გააჩნიათ სხვა საცხოვრებელი სახლი, პაპის ზეობრივი მოვალეობაა იზრუნოს შვილიშვილებზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელე არამართლზომიერად იყენებდა მესაკუთრის უფლებებს (სუსგ. №ას-545-728-08, 12.09.2008).

18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 05 მაისის №ას-454-426-2017 განჩინებით განმარტებულია, რომ მოცემულ შემთხვევაში, განსახილველი დავა შეეხება უკანონო მფლობელობიდან უძრავი ქონების გამოთხოვასა და საკუთრებით სარგებლობის ხელშემლის აღკვეთას, თუმცა, განსახილველ დავასა და ზემოთმოხმობილ სასამართლო პრაქტიკას აერთიანებთ არასრულწლოვანი ბავშვების უფლების განხორციელებაში (იზრდებოდნენ ოჯახურ გარემოში, დედასთან და ჰქონდეთ საცხოვრებელი ადგილი და შესაბამისი პირობები) შესაბამისი პირების მხრიდან პოზიტიური ვალდებულების არსებობა, როგორიცაა უპირატესად, თავად მშობლები და იმავდროულად, პაპა – ბებია. შესაბამისად, სა

კასაციონ პალატა მიიჩნევს, მოპასუხის სტადიის შეფასებისა და უწინარესად, სამართლებრივი კვაფიიკაციის ვალდებულების გათვა-ლისწინებით, მოხმობილი სასამართლო პრაქტიკა, განსახილველ საქმეზე საკუთრების უფლების შეზღუდვის პროპორციულობისა და გონივრულობის თვალსაზრისით, რელევანტურია.

19. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, დავის ერთ მხარეზე არსებობს მოსარჩელის საკუთრების დაცვის ლეგიტიმური ინტერესი (საქართველოს კონსტიტუციის 19-ე მუხლისა და ევრო კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის, სსკ-ის 170-ე-172-ე მუხლების სამართლებრივი საფუძვლით), ხოლო ამ უფლების საპირზონედ, წარმოდგენილია მესაკუთრის არასრულწლოვანი შვილიშვილების მწვავე საჭიროება საცხოვრებელ ბინაზე (თავშესაფარზე), სადაც ისინი შეძლებენ ოჯახურ გარემოში – დედასთან ერთად ცხოვრებასა და გაზრდას. საკასაციონ პალატა აღნიშნავს, რომ არასრულწლოვანთან მიმართებით ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისას ამოსავალი წერტილი არის ბავშვის საუკეთესო ინტერესები, რომლის დასაცავად გათვალისწინებულ უნდა იქნეს ბავშვის უფლებათა კოდექსის 81-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული კრიტერიუმები, რომელიც ვერ იქნება შესრულებული, თუ ისინი არ იქნებიან უზრუნველყოფილი საცხოვრებელი ადგილით. შესაბამისად, საქმის ფაქტობრივი გამოებების გათვალისწინებით, მოსარჩელის კუთვნილ საცხოვრებელ სახლში მისივე არასრულწლოვანი შვილიშვილების ცხოვრების პირობებში, არსებობს საკუთრების კონსტიტუციური უფლების დროებით შეზღუდვის მწვავე სოციალური საჭიროება, რაც გამოწვეულია მესაკუთრის შვილიშვილების საცხოვრებლის ქონის აუცილებლობით.

20. ზემოთ მითითებულ მსჯელობასთან ერთად საკასაციონ სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს ასევე საქმეში წარმოდგენილ სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობის და მხარდაჭერის სერვისების დეპარტამენტის აჭარის ა/რ სააგენტოს ხელვაჩაურის წარმომადგენლობის 2020 წლის 12 მარტის დასკვნაზე, რომელიც მოპასუხესა და მის მეუღლეს – რ. ტ-ძეს შორის არსებულ სამოქალაქო საქმეზე (დავის საგანს წარმოადგენდა შვილების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა და ალიმენტის დაკისრება) არის შედგენილი. აღნიშნული დასკვნის თანახმად, საცხოვრებელი სახლი, სადაც ნ. ფ-ვა ქმართან და სამ შვილთად ერთად ცხოვრობდა, არის სამსართულიანი კაპიტალური ქვის შენობა (მოცემულ საქმეზე სადაცო სახლი), რომლის პირველ სართულს ოჯახი საცხოვრებლად არ იყენებს. ნ. ფ-ვას ქმრის – რ. ტ-

ძის გადმოცემით, იგი გეგმავდა, სახლის მეორე სართულის გაქირავებას, ხოლო მესამე სართული გამოყენებულია საცხოვრებლად. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული დასკვნიდან გამომდინარე, საცხოვრებელი სახლი მისი დიდი ფართის, კერძოდ, იმის გათვალისწინებით, რომ მესამე სართულს იყენებენ საცხოვრებლად, მეორე სართულის გაქირავება შესაძლებელია, ხოლო პირველ სართულს დასკვნის გაცემის დროისათვის არ იყენებდნენ საცხოვრებლად, შესაძლებელია, რომ სადაც სახლში ერთმანეთისგან დამოუკიდებლად (იზოლირებულად) იცხოვრონ როგორც მოსარჩელემ, ასევე მოპასუხემ თავის არასრულნლოვან შვილებთან ერთად. აღნიშნული კი უზრუნველყოფს, როგორც მესაკუთრის მიერ მისი საკუთრებით საარგებლობის უფლებას, ასევე ბავშვების საუკეთესო ინტერესების დაცვას – უზრუნველყოფილი იყვნენ საცხოვრებლით, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს საკუთრების უფლებასა და ბავშვების (რომლებიც არის მოსარჩელის შვილიშვილები) საუკეთესო ინტერესებს შორის ბალანსის დაცვას.

21. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა არის ლეგიტიმური და წარმოადგენს საკუთრების უფლებაში ჩარევის პროპორციულ, გონივრულ და აუცილებელ ზომას.

22. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, ვალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს; გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და სარჩელი უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ არ დაკმაყოფილდეს.

23. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გადებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თა-

ნახმად, აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გაწიეს მხარეებმა საქმის საპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ საპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

24. განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ მოპასუხეს საპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში წინასწარ გადახდილი აქვს სახელმწიფო ბაჟი 230 (80+150) ლარი, რისი ანაზღაურებაც მოსარჩელეს უნდა დაეკისროს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 408.3, 411-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ფ ა:**

1. 6. ფ-ვას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაემაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის საპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 7 ოქტომბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. თ. ტ-ძის სარჩელი არ დაემაყოფილდეს;
4. თ. ტ-ძეს (...) 6. ფ-ვას (...) სასარგებლოდ დაეკისროს 230 (80+150) ლარის გადახდა, ამ უკანასკნელის მიერ საპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საკუთრების უფლების დროებით შეზღუდვა  
არასრულმარის ინტერესებიდან გამოვლინარე**

**გადაცყვაფილება  
საქართველოს სახელით**

№ას-289-2022

27 ივლისი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ა. წულაძე (თავმჯდომარე, მომსენებელი),  
ლ. მიქაელიძე,  
გ. მიქაუტაძე

**დავის საგანი:** უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

**აღნერილობითი ნაწილი:**

1. მ. ფ-მა სარჩელით მიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – ი. ფ-ის მიმართ, უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის მოთხოვნით.

2. რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას 2021 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილებით მ. ფ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

3. პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები დაადგინა:

3.1. მ. ფ-ის სახელზე საკუთრების უფლების აღრიცხულია რუსთავში, ... №1 კორპუსში მდებარე №205 ბინა;

3.2. აღნიშნულ ბინაში ცხოვრობს ი. ფ-ი, სრულწლოვან და არასრულწლოვან შვილებთან ერთად, რომელთა მამა – გ. ფ-ი სასჯელს იხდის პენიტენციურ დანესხებულებაში;

3.3. გ. ფ-ი მ. ფ-ის შვილია;

3.4. ი. ფ-ს უძრავი ქონება საკუთრებაში არ გააჩნია;

3.5. მ. ფ-ი ცხოვრობს რუსთავში, ... კორპუსში მდებარე №14 ბინაში, რომელიც წარმოადგენს თავად მოსარჩელის საკუთრებას;

3.6. მ. ფ-ს ი. ფ-ისთვის სხვა აღტერნატიული საცხოვრებელი ადგილი, სადაც მოპასუხე შვილებთან ერთად იცხოვრებდა, არ შეუთავაზებია.

4. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა, რომ მოპასუხის გამოსახლება არასრულწლოვანი ბავშვების გამოსახლებასაც გამოიწვევს, რის გამოც დავის გადაწყვეტილისას ბავშვთა საუკეთესო ინტერესები უნდა იქნეს შესწავლილი.

5. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მასზედ, რომ არას-რულწლოვნები მოსარჩელის შვილიშვილები არიან; ბავშვებზე ზრუნვას ახორციელებს მოპასუხე; არასრულწლოვანი ბავშვები შეჩვეული არიან არსებულ საცხოვრებელ პირობებს; მოსარჩელეს არ უზრუნია ბავშვების სხვა, მათი ინტერესების შესაბამისი საცხოვრისით უზრუნველყოფაზე; მოსარჩელეს არ წარუდგენია მტკი-ცებულება, რომელიც დაადასტურებდა მესაკუთრის ინტერესების უპირატესობას არასრულწლოვნების ინტერესებთან შედარებით. აქედან გამომდინარე, სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლზე მითითებით, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე არა-მართლზომიერად იყენებდა მესაკუთრის უფლებებს, რის გამოც სარჩელი არ დააკმაყოფილა.

6. რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება სააპელაციო წე-სით გაასაჩივრა მ.ფ-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტი-ლების გაუქმდა და სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწ-ყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. ფ-ის საა-პელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა რუსთავის საქალა-ქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტი-ლება, რომლითაც მ. ფ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ი. ფ-ის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა ქალაქ რუსთავში, ... კორ-პუში მდებარე №205 ბინა (ს/კ<sup>1</sup>...).

8. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, თუმცა მიიჩნია, რომ დავა არასწორად იყო გადაწყვეტილი.

9. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ვინდიკაციური სარჩელის დაკმაყოფილების ყველა ნინაპირობა არსებობდა, ხოლო არას-რულწლოვნების სადაცო ბინაში ცხოვრების გამო მესაკუთრის უფ-ლებები არ უნდა შეზღუდულიყო, რადგან მოსარჩელის არასრულ-წლოვან შვილიშვილებს ჰყავთ ორივე მშობელი, რომელთაც ბავ-შვების რჩენის ვალდებულება პირველ რიგში ეკისრებათ. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ იმავე კორპუსში, სადაც განთავსებულია სადაცო ბინა, მდებარეობს მოპასუხის ძმის საკუთრებაში რეგისტრირებული ბინაც, რომელსაც ფლობს და სარ-გებლობს მოპასუხის დედა. ამდენად, სააპელაციო პალატის მო-საზრებით, ბავშვების უფლებები არ დაირღვეოდა მეორე ბებისა-თან ცხოვრების შესაძლებლობითაც.

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-

თა პალატის 2021 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება ი. ფ-მა სა-კასაციო წესით გაასაჩინერა.

11. კასატორი ალნიშნავს, რომ მასთან ერთად სადავო ბინაში არასრულნლოვანი შვილები (მოსარჩელის შვილიშვილები) ცხოვ-რობენ, რის გამოც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვება ბავშვების უფლებების გაუმართლებელ ხელყოფას გამოიწვევს.

12. საქართველოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სა-მოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 8 აპრილის განჩინებით ი. ფ-ის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, ხოლო 2022 წლის 21 ივნისის განჩინებით – საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

13. საკასაციო სასამართლო, საკასაციო საჩივრის საფუძვლე-ბის შესწავლისა და საქმის მასალების გაცნობის შედეგად, მიიჩ-ნეებს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს – გასაჩივ-რებული გადაწყვეტილების გაუქმებით მიღებულ უნდა იქნეს ახა-ლი გადაწყვეტილება, რომლითაც საჩივლი არ დაკმაყოფილდება.

14. საკასაციო პალატა ალნიშნავს, რომ განსახილველ შემ-თხვევაში მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენს უძრავი ქო-ნების უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის მართლზომიე-რება მაშინ, როდესაც სარჩელის დაკმაყოფილება მოსარჩელის არასრულნლოვანი შვილიშვილების გამოსახლებას გამოიწვევს.

15. საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქა-ლაქო კოდექსის 172-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახ-მად, მესაკუთრეს შეუძლია, მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ უკანასკნელს ჰქონ-და ამ ნივთის ფლობის უფლება.

16. განსახილველ შემთხვევაში უდავოდ დასტურდება, რომ სა-დავო ბინა მ. ფ-ის საკუთრებას წარმოადგენს, ხოლო ნივთს ფლობს ი. ფ-ი. ამასთან, მოპასუხე სადავო ბინაში ცხოვრობს შვილებთან (მათ შორის, 11 და 15 წლის არასრულნლოვნებთან) ერთად, რომ-ლებიც მოსარჩელის შვილიშვილები არიან. ამრიგად, ვინაიდან სარ-ჩელის დაკმაყოფილება ბინიდან არასრულნლოვნების გამოსახლე-ბასაც გამოიწვევს, განსახილველ საქმეზე მიღებული გადაწყვე-ტილება პირდაპირ გავლენას მოახდენს ბავშვების უფლებებსა და მდგომარეობაზე. ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-5 და საქართვე-ლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 251<sup>1</sup>-ე მუხლებიდან გა-მომდინარე კი, არასრულნლოვნის უფლებებთან დაკავშირებულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას და დასაბუთებისას სა-

სამართლომ უპირატესობა უნდა მიანიჭოს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს. მაშასადამე, წარმოდგენილი ვინდიკაციური სარჩელის გადაწყვეტისას, საქმეზე დადგენილი ყველა ფაქტობრივი გარემოების ერთობლივად გათვალისწინებით, უნდა შეფასდეს, ხომ არ არსებობს არასრულწლოვნანთა მიერ წივთის ფლობისა და მოსარჩელის საკუთრების უფლების შეზღუდვის წინაპირობები. ამასთან, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არასრულწლოვნის საქმეში მონაწილეობა, ვინდიკაციური სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის უპირობო საფუძველი ვერ გახდება, არამედ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ყველა საქმის ინდივიდუალური თავისებურების გათვალისწინებით, კანონმდებლობის მიხედვით უნდა მოხდეს მხარეთა უფლებების/ინტერესების ურთიერთშეპირისპირება და დავის გადაწყვეტა.

17. საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლზე, რომლის პირველი პუნქტით საკუთრების უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. ამასთან, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, „საკუთრების უფლება მისი მაღალი კონსტიტუციური მნიშვნელობის მიუხედავად, არ არის აბსოლუტური ხასიათის. საქართველოს კონსტიტუცია არ ადგენს იმგვარ საკუთრებით წესრიგს, რომელშიც მესაკუთრის კერძო ინტერესი საჯარო ინტერესებთან მიმართებით აბსოლუტური უპირატესობით სარგებლობს... ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სამოქალაქოსამართლებრივი წესრიგის შექმნისას აუცილებელია, მიღწეულ იქნეს სწორი ბალანსი საკუთრების უფლებასა და სხვა უფლებებს/საჯარო ინტერესებს შორის. აუცილებელია, მესაკუთრებ გაითავისოს, რომ არა მხოლოდ მას აქვს ინტერესები, არამედ იმყოფება სხვა ინტერესთა გარემოცვაში, რომელთაგანაც ის იზოლირებული არ არის და სადაც აუცილებელია ინტერესთა გონივრული ბალანსის დაცვა... შესაბამისად, საკუთრების უფლების რეგულირებისას აუცილებელია, მოხდეს, ერთი მხრივ, ძირითადი უფლებიდან მომდინარე, ხოლო, მეორე მხრივ, საპირისპიროდ არსებულ საჯარო ინტერესთა სამართლიანი დაბალანსება“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 დეკემბრის №2/3/1337 გადაწყვეტილება საქმეზე „ხათუნა წონორია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-10). ამასთანავე, საკუთრების უფლების შეზღუდვისას, გასათვალისწინებელია, რომ „სამართალში და განსაკუთრებით სამოქალაქო სამართალში ყოველთვის აუცილებელია სამართალსა და ზნეობას შორის ფუნდამენტური ურთიერთობის გათვალისწინება. აუცილებელია იმ მსგავსებისა და განსხვავების გათვალისწინება, რომელიც არსებობს სამართლებრივ შეფასებასა და ზნე-

ობრივ შეფასებას, სამართლებრივ ღირებულებასა და ზნეობრივ ლირებულებას შორის. **ზნეობრივად სავალდებულო მოქმედების შესრულება არ შეიძლება განვიხილოთ თავისუფლების შეზღუდვად**” (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 1 აპრილის №2/155 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე აკაკი სალირაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).

18. განსახილველ შემთხვევაში, მესაკუთრის უფლებას – თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს საკუთრებით უპირისპირდება არასრულწლოვანთა ინტერესები – უზრუნველყოფილ იყვნენ საცხოვრებლით. იმავდროულად, განსაკუთრებით ხაზგასასმელია, რომ არასრულწლოვნები არიან მოსარჩელის შვილიშვილები. გარდა იმისა, რომ ბებიას/პაპას და შვილიშვილებს ერთმანეთზე ზრუნვის ზნეობრივი მოვალეობა ეკისრებათ, კანონმდებლობითაც არის მოწესრიგებული მათი ურთიერთობები, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 1225-ე მუხლის შესაბამისად, პაპა და ბებია, რომელთაც საემან სახსრები აქვთ, მოვალეობი არიან არჩინონ თავიათი არასრულწლოვანი შვილიშვილი, რომელიც დახმარებას საჭიროებს, თუ მას არ შეუძლია სარჩო მიიღოს თავისი მშობლებისაგან. დასახელებული ნორმის „რეგულირების მიზანი მხოლოდ არასრულწლოვანისათვის მატერიალური საზრდოს დანიშვნა არაა, არამედ, მისი მოქმედების მასშტაბი უფრო ფართოა და მოიცავს არასრულწლოვანის უზრუნველყოფას საცხოვრებლით მაშინ, როდესაც არასრულწლოვანს ამ სიკეთის მიღება თავის მშობლებისაგან არ შეუძლია“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 5 მაისის ას-454-426-2017 განჩინება).

19. სადაც შემთხვევაში კი დადგენილია, რომ არასრულწლოვნების მამა (მოსარჩელის შვილი) იმყოფება პენიტენციურ დაწესებულებაში, მათ დედას (მოპასუხეს) კი უძრავი ქონება საკუთრებაში არ გააჩნია. ამდენად, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში წარმოიქმნება რეალური და დასაბუთებული საფრთხე, რომ ბავშვები დარჩებიან საცხოვრებლის გარეშე, რომლით შვილების უზრუნველყოფის შესაძლებლობასაც მათი მშობლები, მათ შორის, მოსარჩელის შვილი, მოკლებული არიან. დამატებით, ნიშანდობლივია, რომ უშუალოდ მოსარჩელეს გააჩნია ალტერნატიული საცხოვრებელი ადგილი, რომელიც მის საკუთრებას წარმოადგენს და სადაც ის დღეის მდგომარეობით ცხოვრობს; ბავშვების მეორე ბებიის საკუთრებაში კი უძრავი ნიგოთი არ ირიცხება. შესაბამისად, სარჩელის დაკმაყოფილება მოსარჩელის საცხოვრებლით უზრუნველყოფის ან საკუთარ ბინაში მშვიდობიანად, მასთან კონფლიქტიში

მყოფი პირების გარეშე ცხოვრების აუცილებლობას არ ემსახურება.

20. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ვინაიდან მოსარჩელეს გააჩნია სხვა საცხოვრებელი ბინა, მოპასუხეს უძრავი ქონება საკუთრებაში არ აქვს (ხოლო მისი ძმის საკუთრებაში ნივთის არსებობა განსახილველი საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე არ არის, რადგან, მართალია, და-ძმის სააღმინტო ვალდებულებებს კანონი ანესრიგებს, მაგრამ უმუალოდ ბავშვების მიმართ პაპას/ბებიას ეკისრება პასუხისმგებლობა, ბიძისგან განსხვავებით), ბავშვების მამა (მოსარჩელის შვილი) იმყოფება პენიტენციურ დაწესებულებაში, ხოლო არასრულწლოვან შვილიშვილებზე ზრუნვა ბებიის არა მხოლოდ ზნეობრივი, არა-მედ კანონისმიერი მოვალეობაცაა, საკასაციო სასამართლო მიჩნევს, რომ კონკრეტულ საქმეზე ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად დასტურდება არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვის საჭიროება, ხოლო მესაკუთრის ინტერესების უპირატესობა არ იკვეთება. ასეთ პირობებში კი, მესაკუთრის უფლების გა-მოყენება ვერ იქნება მართლზომიერად მიჩნეული და დროებით უნდა შეიზღუდოს ბავშვების კეთილდღეობისა და ნორმა-ლური განვითარებისთვის.

21. საგულისხმოა, რომ მსგავსი ფაქტობრივი გარემოებების არ-სებობის პირობებში, ვინდიკაციური სარჩელები, რომელთა დაკმა-ყოფილებაც არასრულწლოვანი შვილიშვილების გამოსახლებას გა-მოიწვევდა, გაუმართლებლად იქნა მიჩნეული საქართველოს უზე-ნაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 16 ივნისის №ას-1375-2021 გადაწყვეტილებით, 2017 წლის 5 მაისის №ას-454-426-2017 და 2008 წლის 12 სექტემბრის №ას-545-728-08 განჩინებებით.

22. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ და-ვა არ არის მართებულად გადაწყვეტილი, არ არის დაცული თანა-ზომიერების პრინციპი და ირლვევა არასრულწლოვანთა საუკეთე-სო ინტერესები. ამდენად, საქართველოს სამოქალაქო საპროცე-სო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტისა და 411-ე მუხლის სა-ფუძველზე, საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს – სააპე-ლაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყო-ფილებაზე უარის თქმის შესახებ.

23. ამასთანავე, საკასაციო პალატა მხარეებს მიუთითებს, რომ ამ ეტაპზე სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა არ ართმევს მოსარჩელეს უფლებას, სამომავლოდ, თუკი არსებითად შეიცვლე-

ბა საქმის ფაქტობრივი გარემოებები (მათ შორის, თუკი არასრულ-ნლოვნებისთვის ალტერნატიული საცხოვრებელი პირობები შეიქმნება, ან როდესაც ბავშვები სრულწლოვნების ასაკს მიაღწევენ), კვლავ იდავოს უძრავი ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვაზე.

24. რაც შეეხება საპროცესო ხარჯის განაწილებას, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. იმავე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. მითითებული საკანონმდებლო აქტის 55-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად კი, სარჩელზე უარის თქმისას სასამართლოს მიერ განეული ხარჯები გადახდება მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. ამრიგად, საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების პირობებში, მ. ფ-ს ი. ფ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 150 ლარის ანაზღაურება; ამასთან, რადგან მოსარჩელეს სარჩელსა და სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის (სულ 140 ლარი) გადახდა სასამართლომ გადაუვადა, მასვე სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 140 ლარის ანაზღაურება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 55-ე, 411-ე მუხლებით და

#### **გ ა დ ა ც ყ ვ ი ტ ა:**

1. ი. ფ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. მ. ფ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. მ. ფ-ს (პ/ნ ...) ი. ფ-ის (პ/ნ ...) სასარგებლოდ დაეკისროს საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 150 ლარის ანაზღაურება;
5. მ. ფ-ს (პ/ნ ...) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკის-

როს სარჩელსა და სააპელაციო საჩივარზე გადავადებული სახელმწიფო ბაჟის – 140 ლარის გადახდა, შემდეგ ანგარიშზე: თბილისი, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის № ..., სახაზინო კოდი № ...;

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## საკუთრების შეძენა მოძრავი ნივთიე

### განჩინება საქართველოს სახელით

№ას-795-2020

30 ივნისი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. მიქაელერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ერემაძე,  
ვ. კაკაბაძე

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან მოძრავი ნივთების გამოთხოვა

#### აღნერილობითი ნაწილი:

1. გ. გ-ძემ, თ. შ-ძემ, ხ. კ-ძემ, გ. გ-ძემ, შ. ქ-ნმა, დ. ა-მა და ლ. ბ-ძემ (შემდგომ – მოსარჩელები, აპელანტები, კასატორები) სარჩელი აღდრეს სასამართლოში სისი საქართველოს ეროვნული მუზეუმის (შემდგომ – მუზეუმი, მოპასუხე, მოწინააღმდეგე მხარე) მიმართ უკანონო მფლობელობიდან მოძრავი ნივთების გამოთხოვისა და მესაკუთრეთათვის გადაცემის მოთხოვნით.

#### სარჩელის საფუძვლები

2. მოსარჩელეთა განმარტებით, 2015 წელს მათ შეიძინეს სასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთი, მრავალწლიანი ნარგავების (თხილი, ჯონჯოლი და ა.შ.) გაშენების მიზნით. ვინაიდან შერჩეული მინის ნაკვეთი გასული საუკუნის 24-37 წლებში ბოლშევიკების მიერ რეპრესირებულთა ნამოსახლარები იყო და ადგილობრივები დროდადრო პოულობდნენ ანტიკვარულ ნივთებს, მოსარჩელებმა დააფუძნეს შპს „ს-ა“ განძის მოპოვებისა და ანტიკვარული ნივთებით ვაჭრობის საქმიანობის უფლებით, რომლის წესდებაც კანონით დადგენილი წესით დაარეგისტრირეს. შპს-ს დაფუძნება განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ მინის ფართის

დამუშავების დროს ნამოსახლარებზე ანტიკვარული ნივთების აღმოჩენის შემთხვევაში მათი საქმიანობა არ ყოფილიყო უკანონო. ზემოაღნიშნული სამენარმეო საქმიანობის მიზნით მოსარჩელებმა საჩხერის რაიონის სოფელ ჭ-ში (ლ-ი) შეიძინეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (დაზუსტებული ფართობით 1754.00 კვ.მეტრი, ს/კ ...), რაც დარეგისტრირდა შპს-ს ერთ-ერთი დამფუძნებლის საკუთრებად. მოსარჩელებმა დაიწყეს მიწის ნაკვეთზე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, თუმცა ნიადაგის ღრმა დამუშავებამდე, რაიმე ფასეული ნივთების შესაძლო აღმოჩენისა და შძიმე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისგან დაზიანება-განადგურების თავიდან აცილების მიზნით, ნაკეთობა ზედაპირულად (დაახლოებით 20 სმ), ხოლო რამდენიმე ადგილას შედარებით ღრმა (დაახლოებით 50 სმ) ფენა დაამუშავეს. შედეგად მათ იპოვეს ქვევრი და მასში გადანახული ძვირფასეულობა (განძი) ვერცხლის ჯამით – ოქროს საკიდები (9 ერთეული), ვარდულები, ოქრო, ალმადინი (15 ერთეული), მძივები (4 ერთეული), საყურე (12 ერთეული), ფირფიტა (1 ერთეული), ბეჭედი (11 ერთეული), მონეტები (7 ერთეული), თასები (ორი ერთეული), ფიბულები (6 ერთეული), ვერცხლის საკიდები (7 ერთეული). ამის შესახებ აცნობეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს, ხოლო ნაპოვარი საექსპერტოდ და შესასწავლად წარუდგინეს ს. ჯ-ას სახელობის საქართველოს მუზეუმს. ამ უკანასკნელმა გასცა საექსპერტო დასკვნა იმის თაობაზე, რომ აღმოჩენილი განძი ანტიკვარულია, რაც სხვა მოპოვებულ ნივთებთან ერთად წარმოაჩენს კულტურულ მემკვიდრეობას.

3. მოსარჩელეთა მტკიცებით, ისინი სადავო ნივთების თანამე-საკუთრები არიან თანაბარი წილის უფლებით, როგორც განძის აღმოჩენი, რამდენადაც ნივთები მოიპოვეს შემთხვევით, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართის ამავე (სასოფლო-სამეურნეო) დანიშნულებით დამუშავების პროცესში და არა – მიზნიშნულისა, ნაპოვნის დაბრუნებაზე ან გამოსყიდვაზე მოპასუხემგანაცხადა უარი.

### **მოპასუხის შესაგებელი**

4. მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მოითხოვა, უარი ეთქვათ მოსარჩელებს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

### **მესამე პირის პოზიცია**

5. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს (მემდგომ – მესამე პირი) განმარტებით, მოსარჩელები არ არიან სადავო ნივთების კეთილსინდისიერი მფლობე-

ლები, შესაბამისად, მათ არ აქვთ ნივთების უკან გამოთხოვის უფლება. მოსარჩელეები თავადვე განმარტავდნენ, რომ მათ არქეოლოგიური სამუშაოები შეასრულეს, მინა გაათავისუფლეს არტეფაქტებისაგან არქეოლოგიური მეთვალყურეობის გარეშე, რაც უკანონოა. სადავო მოძრავი ნივთების მესაკუთრეა სახელმწიფო. შესაბამისად, საქართველოს ეროვნულ მუზეუმს არ უნდა დაეგალოს ნივთების დაპრუნება.

### **პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით, სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

7. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელეებმა სააპელაციო წესით გაასაჩივრეს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივსამართლებრივი დასაბუთება:

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 10 მარტის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

9. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, სადავო ნივთებს – არტეფაქტებს ეძებნება ანალოგები საქართველოს ტერიტორიაზე ბევრ სხვადასხვა ძეგლზე, მათ შორის, ისეთ მნიშვნელოვან ობიექტებზე როგორიცაა: არმაზის ხევის, ზღუდრის, ახალი ჟინგალის, ბორის, მოდინახეს, სამთავროს სამაროვნები, მიუხედავად ამისა, განსახილველ კოლექციაში შემადგენელი არტეფაქტებიდან ზოგიერთი მაინც იშვიათობაა, მაგალითად: გავარსით შედგენილი, მტევნებით შემკული საყურებების (4.3. და 4.4.) მსგავსი აქამდე მხოლოდ ერთადერთი წყვილი იყო ცნობილი საქართველოში (მოდინახეს სამაროვნიდან), კიდევ უფრო იშვიათი ნივთების კატეგორიას ეკუთხნის ახ.ნ. II საუკუნის ოქროს ბეჭედში (№6.2.) ჩამდებული სარდიონის კამერა – ხელოვნების მაღალმხატვრული ნიმუში, რომელიც ახ.ნ. I საუკუნით თარიღდება.

10. ამ დასკვნის გათვალისწინებით, პალატამ გაიზიარა მოწინააღმდეგე მხარისა და მესამე პირის განმარტება, რომ სადავო მოძრავი ნივთები არქეოლოგიური არტეფაქტებია და მათზე ვერ გავრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 192-ე მუხლით გათვალისწინებული განძის სტატუსი.

11. აპელანტთა განმარტებით, სადავო მოძრავი ნივთები იპოვეს მოსარჩელის კუთვნილ ნაკვეთში მიწის გათხრების შედეგად

და, ამასთან, ისინი თარიღდება ახ.ნ. III საუკუნის მეორე ნახევ-რით, IV საუკუნით და XIX საუკუნით, გამოდის, რომ ნივთები იყო სრულად განმარტებული. პალატამ ყურადღება მიაქცია იმ გარე-მოებას, რომ სადავო მოძრავი ნივთები მოსარჩელებს შემთხვე-ვით არ უპოვიათ რაიმე სხვა სახის სამუშაოებს (ზაგ: სანერგე მი-ნის გათხრა და ა.შ.) დროს. ამასთან, თავად აპელანტები ადასტუ-რებენ, რომ ნიადაგი ლრმად დაამუშავეს, სწორედ, ფასეული ნივ-თების შესაძლო აღმოჩენისა და მძიმე სასოფლო-სამეურნეო ტექ-ნიკისგან დაზიანება-განადგურების თავიდან აცილების მიზნით (ზათ განზრახვაზე ნაპოვნი ყოფილიყო მოძრავი არქეოლოგიური ობიექტები მიუთითებს კომპანიის დაარსებაც, რომლის მიზანი იყო განძის ძებნა) და, შესაბამისად, პალატის შეფასებით, მიუხედავად აპელანტთა მხრიდან აღმოჩენილი ნივთების განძად ალქმისა, ისი-ნი არქეოლოგიურ ობიექტად უნდა ყოფილიყო მიჩნეული.

12. პალატამ დაამატებით განმარტა, რომ „კულტურული მემ-კვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სადა-ვო მოძრავი ნივთები არქეოლოგიური ობიექტებია. შესაბამისად, საფუძველს მოკლებულია აპელანტთა მტკიცება აღმოჩენილ ქო-ნებაზე საკუთრების უფლების მოპოვებასთან დაკავშირებით, მით უფრო, რომ, ერთი მხრივ, აპელანტთა განმარტებით, მათ შპს სწო-რედ განძის მოპოვებისა და ანტიკვარული ნივთებით ვაჭრობის საქ-მიანობის უფლებით დაარეგისტრირეს, ხოლო, მეორე მხრივ, მათ გათხრები ანარმოეს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ სა-ქართველოს კანონის 47-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინე-ბული მოთხოვნის დარღვევით, რაც არქეოლოგიური სამუშაოების-თვის ნებართვის არსებობას გულისხმობს, რომელიც აპელანტებს არ ჰქონდათ. ეს კი სადავო მოძრავ ნივთებზე სახელმწიფოს სა-კუთრების უფლების გაერცელების კანონისმიერ საფუძველს წარ-მოადგენს.

13. პალატამ დაასკვნა, რომ უკანონ მფლობელობიდან ნივ-თის გამოთხოვის მართლზომიერებისთვის დაფგენილი კრიტერი-უმების პირველივე ელემენტი – მოსარჩელის შესაკუთრეობა არ ვლინდებოდა, შესაბამისად, ვინდიკაციური სარჩელის დაქმაყოფი-ლების სხვა აუცილებელი პირობის კვლევა აუცილებლობას აღარ წარმოადგენდა.

#### **კასატორების მოთხოვნა და საფუძვლები:**

14. ზემოაღნიშნული განჩინება აპელანტებმა საკასაციო წესით გაასაჩივრეს, გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და, ახალი გა-დაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაქმაყოფილება მოითხოვეს.

15. კასატორთა საკასაციო პრეტენზიის თანახმად, სადავო ნივ-თების კანონიერი მესაკუთრეები, საქართველოს სამოქალაქო კო-

დექსის (შემდგომ – სსკ-ის) 150-ე, 151-ე, 158-ე, 170-ე და 192-ე მუხლების საფუძველზე არიან მოსარჩელეები და სასამართლომ მათ არ დაუბრუნა ნივთები. ამ უკანონო გადაწყვეტილების დასასაბუთებლად მოიხმო ევროკონვენციის ნორმები, ევროსასამართლოს პრაქტიკა და სხვა საერთაშორისო აქტები, რომლებიც მოცემულ საქმეს არაფრით უკავშირდებოდა.

16. მინის ნაკვეთი, სადაც აღმოჩენილ იქნა სადაც ნივთები, არ წარმოადგენდა არქეოლოგიურ ობიექტს. ნივთების აღმოჩენას ნინ უძლოდა მოპასუხის წარმომადგენლობით დაზვერვითი სამუშაოები და გაიცა დასკვნა, რომ სოფელი ჭალოვანი არ იყო არტეფაქტების აღმოჩენის პერსპექტივის არქეოლოგიური ადგილი. ეს ფაქტი სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა. რაც შეეხება ანტიკურული ნივთების მოძიების ლიცენზიას, მას არაფერი აქვს საერთო ამ საქმესთან, რადგან არც ფიზიკური და არც იურიდიული პირები შეზღუდული არ არიან, ენეოდნენ კანონით ხებადართულ სამენარმეო საქმიანობას. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელეებმა საკუთარ უძრავ ქრისტიანული იძოვება ნივთები, აცნობეს კომპეტენტურ უწყებებს და ნებაყოფლობით წარედგინა საექსპერტო შემოწმებისთვის მოპასუხეს, რომელმაც უკანონოდ მიისაკუთრა.

17. სასამართლომ სადაც ნივთები ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე მიზნია 100 წელზე მეტი ხნის წინათ გამარხებულ არქეოლოგიურ ობიექტად, მაშინ, როდესაც მათ შორისაა მე-19 საუკუნის ნივთები, რაც სამკაულებია და არ შეიძლებოდა დამზადებულიყო საუკუნის პირველ წლისავე დასაწყისში, ისიც განმარხების მიზნით. ამასთან დაკავშირებით, სასამართლომ არ გაითვალისწინა მოსარჩელის მტკიცება, რომ განძის აღმოჩენის ადგილი იყო 1924 წლის ბოლშევიკური რეპრესიის მსხვერპლთა ნამოსახლარების ნაწილი და სრულიად სარწმუნოა, ნივთები მათ მიერ გადანახული ძვირფასეულობა იყოს.

18. როგორც მოპასუხე, ისე მესამე პირის ხელმძღვანელობა სისტემატურად ცდილობდა დაშინებას, რათა მათ ხელი აეღოთ განძის დაბრუნების მოთხოვნაზე. ამ მიზნით მხარემ არაერთხელ მიმართა სამართალდამცავ ორგანოებს, ყოველ ჯერზე გამოძიების შემდგომ სისხლის სამართლის საქმე შეწყდა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

19. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საჩივრი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაგმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

20. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომ

– სსსკ-ის) 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორებს სააპელაციო სასამართლის მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ ნარმოუდგენიათ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

21. მოსარჩევეთა მოთხოვნა უკანონო მფლობელობიდან მოძრავი ნივთების გამოთხოვის შესახებ სსკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილს (მესაკუთრეს შეუძლია, მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება) ეფუძნება. სხვისი უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის უფლება მესაკუთრის ერთერთი უმნიშვნელოვანესი უფლება და მისი უზრუნველყოფა ხდება სავინდიკაციო სარჩელის შეტანის გზით. გინდიკაციური სარჩელის დაკმაყოფილებისათვის უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: ა. მოსარჩელე უნდა იყოს ნივთის მესაკუთრე; ბ. მოპასუხე უნდა იყოს ნივთის მფლობელი; გ. მოპასუხეს არ უნდა ჰქონდეს ნივთის ფლობის უფლება. ამასთან, ამ წინაპირობებს სასამართლო ზემომითითებული თანმიმდევრობით ამონმებს და სწორედ ამ გარემოებების გათვალისწინებით გადაწყვეტს დავას. მოთხოვნის უფლების მფლობელია ნივთის მესაკუთრე, რომელსაც ეკისრება სადაც ნივთებზე საკუთრების უფლებისა და მოპასუხის მიერ ამ ნივთების ფლობის ფაქტის მტკიცების ტვირთი, ხოლო მოთხოვნის უფლების მოვალე ნივთის მფლობელია, რომელმაც, თავის მხრივ, მართლზომიერი მფლობელობა უნდა ადასტუროს.

22. მოსარჩევეთა მტკიცებით, სადაც ნივთებზე მათი საკუთრების უფლება სსკ-ის 192-ე მუხლის (თუ აღმოჩენილია საგანი, რომელიც ისე დიდხანს იყო დაფლული, რომ შეუძლებელია მისი მესაკუთრის დადგენა (განძი), მაშინ საკუთრება სანახევროდ გადადის აღმომჩენზე და იმ მესაკუთრეზე, რომლის ნივთშიც იქნა განძი ნაპოვნი.) საფუძველზე წარმოიშვა.

23. მოწინააღმდეგე მხარის შედავების თანახმად, მოსარჩელეებს სადაც ნივთებზე საკუთრების უფლება არ წარმოშობიათ, რადგან მათ სადაც ნივთები, რომლებსაც კულტურული ღირებულება

გააჩნიათ, იპოვეს უკანონო არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად, რაც გამორიცხავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 192-ე მუხლის გამოყენებას.

24. საკასაციო პალატა მიუთითებს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ (შემდგომ – სპეციალური კანონი) საქართველოს კანონზე, რომლის პირველი მუხლის თანახმად, კანონის მიზანია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და ამ სფეროში წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგება. ამავე კანონის 33-ე მუხლის მიხედვით, 1. არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის საფუძველზე არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარებისას, ასევე უნებართვიდ ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოებისას აღმოჩენილი მოძრავი არქეოლოგიური ობიექტი სახელმწიფოს საკუთრებაა. 2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, სხვა სახის საქმიანობის შედეგად აღმოჩენილ არქეოლოგიურ ობიექტებზე (შემთხვევით აღმოჩენა) საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით. 3. შემთხვევით აღმოჩენის შემთხვევაში აღმომჩენი ვალდებულია, დაუყოვნებლივ, ამ კანონის III თავით დადგენილი წესით აცნობოს სამინისტროს. 4. სახელმწიფოს აქვს არქეოლოგიური ობიექტის უპირატესი შესყიდვის უფლება.

25. სპეციალური კანონის მოხმობილი ნორმიდან გამომდინარე, არქეოლოგიური სამუშაოების საფუძველზე, იქნება ის ნებართვით თუ ნებართვის გარეშე წარმოებული, მოძრავ არქეოლოგიურ ობიექტებზე საკუთრების უფლება წარმოეშვება სახელმწიფოს. ნორმიდან გამომდინარეობს ისიც, რომ თუკი არქეოლოგიური ობიექტები აღმოჩენილი იქნება არა არქეოლოგიური სამუშაოებისა და გამიზნული ძებნის შედეგად, არამედ შემთხვევით, ასეთ შემთხვევაში მესაკუთრეობის საკითხი საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით გადაწყვეტება. თავის მხრივ, სსკ-ის 192-ე მუხლი (თუ აღმოჩენილია საგანი, რომელიც ისე დიდხანს იყო დაფლული, რომ შეუძლებელია მისი მესაკუთრის დადგენა (განძი), მაშინ საკუთრება სანახევრიდ გადადის აღმომჩენზე და იმ მესაკუთრეზე, რომლის ნივთშიც იქნა განძი ნაპოვნი) შემთხვევით აღმოჩენილ განძზე საკუთრების უფლებას წარმოუშობს აღმომჩენსა და იმ მესაკუთრეს, რომლის ნივთშიც იქნა განძი ნაპოვნი. ნორმის მიზანა, ერთი მხრივ, სანივთოსამართლებრივი მდგომარეობა სამოქალაქო ბრუნვის წესებს დაუქვემდებაროს და, მეორე მხრივ, განძის მპოვნელს გაუჩინოს მოტივაცია, რომ საზოგადოების, როგორც კულტურული ერთობის, ცოდნა გამდიდრებულ იქნეს განძის აღმოჩენის ფაქტით (შდრ. ლ. თოთლაძე, „სამოქალაქო კოდექსის კო-

მენტარი“, წიგნი II, ჭანტურია (რედ), 2018, მუხლი 192), რადგან განძის შემთხვევითი აღმოჩენის შემთხვევაშიც კი, სპეციალური კანონობის მე-10 მუხლის პირველი პუნქტისა და 33.3 მუხლის თანახმად, პირი ვალდებულია აცნობოს შესაბამის სახელმწიფო უწყებას. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს წარმოეშვება არქეოლოგიური ობიექტის უპირატესი შესყიდვის უფლება.

26. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩევე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღნერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმებაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღნერილობა, რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი ნანამდლვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას (შდრ., სუსგ №ას-1338-2018, 25 იანვარი, 2019 წელი, პ-17; №ას-1470-2018, 15 თებერვალი, 2019 წელი, პ-41).

27. განსახილველ შემთხვევაში, უდავოა (გარდა რამდენიმე გამონაკლისისა – იხ. 33 პ.), რომ მოსარჩევების მიერ აღმოჩენილი ნივთები სპეციალური კანონის მე-3 მუხლის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული არქეოლოგიური ობიექტებია (100 ან მეტი წლის წინ ნაწილობრივ ან სრულად განამარტებული ან წყალქვეშ მოქცეული ნაშთი, კულტურული ფენა, რომელიც შექმნილია ადამიანის მიერ ან ადამიანის ბუნებაზე ზემოქმედების შედეგად ან რომელსაც ატყვევია ადამიანის ზემოქმედების კვალი). უდავოა ისიც, რომ მოსარჩევებმა სადაცო ნივთები არა შემთხვევით, არამედ გამიზნული ძებნის მიზნით ჩატარებული არქეოლოგიურ სამუშაოთა შედეგად აღმოაჩინეს. სარჩელის მიხედვით – „გინაიდან შერჩეული მიწის ნაკვეთი იყო ბოლშევიკების მიერ გასული საუკუნის 24-37 წლების რეპრესირებულთა ნამოსახლარები და ადგილობრივები დროდად-

რო პოულობდნენ ანტიკვარულ ნივთებს, მოსარჩელეებმა დააფუძნეს შპს განძის მოპოვებისა და ანტიკვარული ნივთებით ვაჭრობის საქმიანობის უფლებით. შპს-ს დაფუძნება განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ მიწის ფართის დამუშავების დროს ნამოსახლარებზე ანტიკვარული ნივთების აღმოჩენის შემთხვევაში მათი საქმიანობა არ ყოფილიყო უკანონო... ზემოაღნიშნული სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების მიზნით, მოსარჩელეებმა საჩერის რაიონის სოფელ ჭ-ში (ლ-ი) შეიძინეს სასოფლო-სამეურნეო მინის ნაკვეთი (დაზუსტებული ფართობით 1754 კვ.მ.), რაც საჯარო რეგისტრში დარეგისტრირდა შპს-ს ერთ-ერთ დამფუძნებლის გ. გ-ძის საკუთრებად. ამის შემდეგ მოსარჩელეებმა დაიწყეს მიწის ნაკვეთზე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, თუმცა ნიადაგის ღრმა დამუშავებამდე, რაიმე ფასეული ნივთების შესაძლო აღმოჩენისა და მძიმე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისგან დაზიანება-განადგურების თავიდან აცილების მიზნით, ნაკვეთი ზედაპირულად (დაახლოებით 20 სმ-ით), ხოლო რამდენიმე ადგილას შედარებით ღრმა (დაახლოებით 50 სმ) ფენად დამუშავეს. შედეგად ქვევრი და მასში გადანახული ვერცხლის ჯამით ძირფასეულობა იპოვეს (განძი). ამდენად, სარჩელიდან გამომდინარე, კასატორებმა არქეოლოგიური ობიექტების გამოვლენის მიზნით ჩაატარეს მიწისქვეშა სამუშაოები.

27. ზემოაღნიშნულის შესაბამისად, მოსარჩელეთა მიერვე მითითებული ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე, სადავო ნივთები შემთხვევით არ აღმოუჩენიათ, რის გამოც სპეციალური კანონის 33.2 მუხლი (ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, სხვა სახის საქმიანობის შედეგად აღმოჩენილ არქეოლოგიურ ობიექტებზე (შემთხვევით აღმოჩენა) საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით) ვერ გამოიყენება.

28. პალატა განმარტავს, რომ სსსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით (სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები) მხარეები თავად იღებენ გადაწყვეტილებას, რომელ ფაქტებს დააფუძნონ სასარჩელო მოთხოვნები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია,

რომ სარჩელი უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია, ვინაიდან მოსარჩელეთა მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად არ ამართლებს მათ სასარჩელო მოთხოვნას. კასატორებს კი არ წარმოუდგენიათ რაიმე დასაბუთებული პრეტენზია, რომელიც სასამართლოს დაარწმუნებდა მათი მოთხოვნის საფუძვლიანობაში.

29. პალატა დამატებით ყურადღებას გაამახვილებს კანონმდებლობით ალიარებულ არქეოლოგიური მემკვიდრეობის ფუნდამენტური მნიშვნელობაზე კაცობრიობისათვის, სახელმწიფოს მიერ მისი დაცვის ვალდებულებაზე, რომელიც განმტკიცებულია არა მხოლოდ კონსტიტუციით, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით, არამედ საერთაშორისო ხელშეკრულებითა და შეთანხმებებით. არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის ევროპული კონვენცია (ლა, ვალეტა 16.01.1992), რომელიც სახელმწიფოებს არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვას ავალდებულებს, მიუთითებს, რომ „განახლებული კონვენციის მიზანია არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვა, როგორც კოლექტიური ევროპული მეხსიერებისა და როგორც ისტორიული და მეცნიერული კვლევის ინსტრუმენტისა. ამ მიზნით, არქეოლოგიური მემკვიდრეობის, საგანი თუ კვალი ელემენტებად მიჩნეულია ცველა ისტორიული ნაშთი კაცობრიობის წარსულის ყოფისა, რომელთა: i) დაცვა და შესწავლა საშუალებას იძლევა ჩამოყალიბდეს კაცობრიობის განვითარების და მისი ბუნებრივ გარემოსთან ურთიერთობის ისტორია. ii) ინფორმაციის ძირითად წყაროს წარმოადგენს გათხრები და აღმოჩენები, აგრეთვე კაცობრიობისა და მისი გარემოს ურთიერთობის ისტორია. iii) ადგილმდებარეობა ექვემდებარება მონაწილე მხარეთა იურისდიქციის. არქეოლოგიურ მემკვიდრეობაში იგულისხმება სტრუქტურები, შენობები, არქიტექტურული ანსამბლები, მოწყობილი ნაკვეთები, ნივთები, სხვა სახის ძეგლები, აგრეთვე მათი გარემო, მიწაზე თუ წყალში“ (კონვენციის პირველი მუხლი).

30. გარდა სახელმწიფოსი, ფიზიკური და იურიდიული პირებიც ვალდებული არიან დაიცვან და მოუფრთხოებლენ კულტურულ მემკვიდრეობას; ისინი ვალდებული არიან სამინისტროს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სხვა სახელმწიფო ორგანოებს, მუნიციპალიტეტებს დაუყოვნებლივ მიაწოდონ ინფორმაცია კულტურული მემკვიდრეობის აღმოჩენის, გამოვლენის ან კულტურული მემკვიდრეობისთვის საფრთხის შემცველი გარემოების არსებობის შესახებ (სპეციალური კანონის 9.1 მუხლი). მოხმობილი კანონმდებლობა ემყარება კონცეფციის, რომ არქეოლოგიური მემკვიდრეობა მთლიანად კაცობრიობისა და ხალხის კუთვნილებაა და არა – ცალკეული პირვენებების.

31. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე Giuseppe TORNO and others against Italy (საჩივარი no. 61781/08, 23.09.2012) კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 (ა) და მე-4 პუნქტის შესაბამისად დაუშვებლად ცნო საჩივარი, რომლითაც მომჩივნები დავობდნენ არქეოლოგიური ნივთების საკუთრებაზე კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის საფუძველზე და განმარტა, რომ „სახელმწიფოები სარგებლობენ თავისუფალი შეფასების ფარგლებით საკუთრებით სარგებლობის მარეგულირებელი ზომების მიღებისას, აგრეთვე იმის დადგენისას, არის თუ არა მათი შედეგები გამართლებული – ზოგადი ინტერესების გათვალისწინებით – განსახილველი კანონის მიზნის მიღწევისათვის. თავისუფალი შეფასების ფარგლები კიდევ უფრო ფართოა, როდესაც საქმე ეხება კულტურულ და ისტორიულ ფასეულობებს (იხ. Ruspoli Morenes v. Spain, no. 28979/07, § 39-40, 28 June 2011) ან როდესაც, როგორც მოცემულ შემთხვევაში, მიზანს ნარმოადგენს ქვეყნის არქეოლოგიური მემკვიდრეობის შენარჩუნება და ეს არის არსებოთი ღირებულება, რომლის დაცვა და ხელშეწყობა ევალება საჯარო ხელისუფლებას (იხ. Kozacýoðlu v. Turkey [GC], no. 2334/03, § 54, 19 February 2009; Beyeler v. Italy [GC], cited above § 112)“. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მითითებით, არქეოლოგიური მასალის საჯარო საკუთრების პრეზუმაციის პრინციპი დადგენილი იყო ამ საკითხზე დამკვიდრებული შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო პრაქტიკითაც (იხ. Domestic Law and Practice above, paragraph 20). ამდენად, სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ საკასაციო სასამართლომ გონივრულად დაადგინა არქეოლოგიური მასალის საჯარო საკუთრების პრეზუმაცია.

32. კასატორთა პრეტენზია ისიც არის, რომ სადავო ნივთებიდან ნაწილი არქეოლოგიურ ობიექტებს საერთოდ არ განეკუთვნება. პალატა მიუთითებს, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ პუნქტზე, რომლის თანახმადაც, არქეოლოგიური ობიექტი არის 100 ან მეტი წლის წინ ნაწილობრივ ან სრულად განამარტებული ან წყალქვეშ მოქცეული ნაშთი, კულტურული ფენა, რომელიც შექმნილია ადამიანის მიერ ან ადამიანის ბუნებაზე ზემოქმედების შედეგად ან, რომელსაც ატყვევი ადამიანის ზემოქმედების კვალი. თავად მოსარჩელეთა მიერ ნარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, „ოქროს და ვერცხლის ნივთების აბსოლუტური უმეტესობა ახ.ნ. III საუკუნის მეორე ნახევრითა და IV საუკუნით თარიღდება (გამონაკლისია ვერცხლის ჯერის ფორმის თვლებიანი ნივთი №11.1. და საკიდები №10.2-10.7, რომელიც XIX საუკუნის უნდა იყოს)“. ამ დასკვნიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ სადავო ნივთები არქეოლო-

გიური ობიექტებია. ამის საწინააღმდეგო მტკიცებულება, რომლის საფუძველზეც პალატა შეძლებდა დასკვნას, რომ, თუნდაც XIX საუკუნის ნივთი 100 წელზე ნაკლები ხნით იყო განამარხებული, მოსარჩელებს არ წარმოუდგენათ, მაშინ, როდესაც სწორედ მათ ევალებოდათ სასამართლოს დარწმუნება იმაში, რომ აღმოჩენილ ნივთებზე სწორედ მათ წარმოეშვათ საკუთრების უფლება.

33. ამდენად, პალატა ასკვნის, რომ მოსარჩელეები არ არიან სა-დავო ნივთების მესაკუთრები, შესაბამისად, არ არსებობს ვინდი-კაციური სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობა.

34. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მიხედ-ვით, საკასაციო სასამართლო არ დაკმაყოფილებს საკასაციო სა-ჩივარს, თუ: а) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწ-ყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწ-ყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუ-თებას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკ-მაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამარ-თლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 410-ე მუხლებით

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. გ. გ-ძის, თ. შ-ძის, ბ. კ-ძის, გ. გ-ძის, შ. ქ-ნის, დ. ა-ისა და ლ. ბ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 10 მარტის განჩინება დარჩეს უცვლელად;

3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **3. საკუთრება, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება**

#### **იპოთეკით დატვირთული უპრავი ნივთის გადასვლა პრედიტორის საკუთრებაში**

##### **გადაწყვეტილება საქართველოს სახელით**

№ას-1084-2020

10 ნოემბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. კავაბაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
გ. მიქაუტაძე,  
მ. ერემაძე

**დავის საგანი:** ხელშეკრულების ბათილად ცნობა, ზიანის ანაზ-  
ლაურება, უსაფუძვლო გამდიდრება

##### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. 2010 წლის 8 ივნისს, სს „ს. ბ-სა“ (შემდეგში: მოპასუხე, მეორე კასატორი, კრედიტორი) და შპს „ჩ-ს“ (შემდეგში: მოსარჩელე, პირველი კასატორი, მოვალე) შორის საკრედიტო ხელშეკრულება (შემდეგში – პირველი საკრედიტო ხელშეკრულება) დაიდო, რომლითაც მოსარჩელის სახელზე 10 000 000 აშშ დოლარი გაიცა.

1.1. 2010 წლის 8 ივნისს, ერთი მხრივ, კრედიტორს და მეორე მხრივ თ. კ-ს, ვ. ა-ს, პ. გ-ს და ლ. ჭ-ს შორის იპოთეკის ხელშეკრულება გაფორმდა, რომლითაც პირველი საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნები იქნა უზრუნველყოფილი და იპოთეკით დაიტვირთა ქ. თბილისში, ... მდებარე 226.78 კვ.მ ფართი და 179.30 კვ.მ სარდაფი (შემდეგში – პირველი უძრავი ქონება).

უძრავი ნივთის სანესდებო კაპიტალში შეტანის მიზნით გაფორმებული გადაცემის ხელშეკრულების საფუძველზე პირველი უძრავი ქონება მოვალის საკუთრებაში აღირიცხა.

1.2. 2010 წლის 8 ივნისს, კრედიტორსა და მოვალეს შორის იპოთეკის ხელშეკრულება გაფორმდა, რომლითაც პირველი საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებები იქნა უზრუნველყოფილი და იპოთეკით დაიტვირთა მოვალის კუთვნილი სამი უძრავი ნივთი, კერძოდ:

ა). ქ. თბილისში, ... მდებარე 125 კვ.მ ფართი და 84.71 კვ.მ სარდაფი (შემდეგში – მეორე უძრავი ქონება);

ბ). ქ. თბილისში, ... მდებარე 58.42 კვ.მ არასაცხოვრებელი ფარ-

თი (შემდეგში – მესამე უძრავი ქონება);

გ). ქ. ბათუმში, ... მდებარე 317.48კვ.მ არასაცხოვრებელი ფარ-  
თი (შემდეგში – მეოთხე უძრავი ქონება).

1.3. 2010 წლის 8 ივლისს, კრედიტორსა და თ. კ-ს შორის სოლი-  
დარული თავდებობის ხელშეკრულება გაფორმდა, რომლითაც პირ-  
ველი საკრედიტო ხელშეკრულება იქნა უზრუნველყოფილი;

1.4. 2010 წლის 8 ივლისს, კრედიტორსა და ვ. ა-ს შორის სოლიდა-  
რული თავდებობის ხელშეკრულება გაფორმდა, რომლითაც პირ-  
ველი საკრედიტო ხელშეკრულება იქნა უზრუნველყოფილი;

2. 2010 წლის 8 ივლისს, კრედიტორსა და მოვალეს შორის გა-  
ფორმებული პირველი საკრედიტო ხელშეკრულების ფარგლებში  
საკრედიტო ხელშეკრულება (შემდეგში – მეორე საკრედიტო ხელ-  
შეკრულება) დაიდო, რომლითაც 510 000 აშშ დოლარის კრედიტი  
გაიცა.

3. 2010 წლის 8 ივლისს, კრედიტორსა და მოვალეს შორის გა-  
ფორმებული პირველი საკრედიტო ხელშეკრულების ფარგლებში  
საკრედიტო ხელშეკრულება (შემდეგში – მესამე საკრედიტო ხელ-  
შეკრულება) დაიდო, რომლითაც 590 000 აშშ დოლარის კრედიტი  
გაიცა.

4. 2010 წლის 23 ივლისს, კრედიტორსა და მოვალეს შორის გა-  
ფორმებული პირველი საკრედიტო ხელშეკრულების ფარგლებში  
საკრედიტო ხელშეკრულება დაიდო (შემდეგში – მეოთხე საკრე-  
დიტო ხელშეკრულება), რომლითაც 100 000 აშშ დოლარის კრედი-  
ტი გაიცა.

5. 2011 წლის 4 თებერვალს, კრედიტორსა და მოვალეს შორის  
საკრედიტო ხელშეკრულება (შემდეგში – მეხუთე საკრედიტო ხელ-  
შეკრულება) გაფორმდა, რომლითაც მოვალის სახელზე 871 000 აშშ  
დოლარის კრედიტი გაიცა.

კრედიტის მიზნობრიობად, მეორე და მესამე საკრედიტო ხელ-  
შეკრულებების სესხის დაფარვა განისაზღვრა.

6. 2011 წლის 4 თებერვალს, კრედიტორსა და მოვალეს შორის  
საკრედიტო ხელშეკრულება (შემდეგში – მეექვსე საკრედიტო  
ხელშეკრულება) გაფორმდა, რომლითაც მოვალის სახელზე 150 000  
აშშ დოლარის სესხი გაიცა.

კრედიტის მიზნობრიობად, მეორე და მესამე საკრედიტო ხელ-  
შეკრულებების სესხის ძირისა და სარგებლის დაფარვა დადგინდა.

7. 2013 წლის 31 იანვარს, კრედიტორსა და მოვალეს შორის და-  
დებული პირველი საკრედიტო ხელშეკრულების ფარგლებში საკ-  
რედიტო ხელშეკრულება გაფორმდა (შემდეგში – მეშვიდე საკრე-  
დიტო ხელშეკრულება), რომლითაც 704 000 აშშ დოლარის კრედი-  
ტი გაიცა.

კრედიტის მიზნობრიობად, მეხუთე საკრედიტო ხელშეკრულების სესიის ნაწილობრივ რეფინანსირება განისაზღვრა.

8. 2015 წლის 24 დეკემბერს, კრედიტორსა და მოვალეს შორის შეთანხმება (ორი დანართითურთ) გაფორმდა, რომლითაც პირველი საკრედიტო ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით იპოთეკით დატვირთული სამი უძრავი ნივთი, კერძოდ, პირველი, მეორე და მესამე უძრავი ქონება კრედიტორს საკუთრებაში გადაეცა, რის სანაცვლოდაც მოვალის დავალიანებიდან, რომელიც ამ დროისათვის 920 000 აშშ დოლარს შეადგენდა, 850 000 აშშ დოლარი დაიფარა.

შეთანხმების დანართით გათვალისწინებულია შესყიდვის ოფცია, კერძოდ, მოვალეს ბანკისათვის გადაცემული უძრავი ნივთების გამოსყიდვის შესაძლებლობა მიეცა.

შეთანხმების მიხედვით, შესყიდვის ოფცია ძალაში შედის შესყიდვის ოფციის საგანზე ბანკის საკუთრების უფლების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან და 18 თვის განმავლობაში მოქმედებს.

შესყიდვის ოფცია ძალაშია მხოლოდ სამიერ უძრავი ნივთის ერთდროულად გამოსყიდვის შემთხვევაში. ამასთან, ბანკი თანხმობას აცხადებს, რომ ოფციის მოქმედების პერიოდში (თუ კონტრაგენტის მხრიდან ოფციის პირობების დარღვევას ადგილი არ ექნება) საკუთრებაში მიღებულ ნივთებს კონტრაგენტის წერილობითი თანხმობის გარეშე არ გაასხვისებს.

უძრავი ნივთების გამოსყიდვის ფასი შემდეგი პრინციპით განისაზღვრა: კვადრატული მეტრის ლირებულება 1 487.62 აშშ დოლარი, რაც დღგ-ს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა გადასახადებს მოიცავდა.

დანართის 2.5 პუნქტის თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ შეთანხმების საჯარო რეესტრში რეგისტრაციიდან 7 დღის ვადაში უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულებას 18 თვემდე ვადით გააფორმებდნენ. საიჯარო ქირა ყოველთვიურად 7 085 აშშ დოლარით (დღგ-ის გარეშე) განისაზღვრა. იჯარის ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, დარღვევების აღმოსაფხვრელად მოიჯარეს 30 კალენდარულის დღის ვადა მიეცემოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკს უფლება ჰქონდა, შესყიდვის ოფცია ცალმხრივად გაეუქმებინა.

9. 2015 წლის 24 დეკემბერს, კრედიტორსა და მოვალეს შორის საკრედიტო ხელშეკრულება (შემდეგში – მერვე საკრედიტო ხელშეკრულება, სადაც პირველი ხელშეკრულება, სადაც პირველი გარიგება) დაიდო, რომლითაც მოვალის სახელზე 134 950 აშშ დოლარის კრედიტი გაიცა.

კრედიტის მიზნობრიობად მეშვიდე საკრედიტო ხელშეკრულე-

ბის კრედიტის რეფინანსირება და იჯარის (დღგ-ის ჩათვლით) თანხის დაფარვა განისაზღვრა, მათ შორის, 134 950 აშშ დოლარიდან 73 528 აშშ დოლარი იყო შეთანხმების გაფორმების შემდეგ დარჩენილი დავალიანება, ხოლო 63 390 აშშ დოლარი – სამომავლოდ გადასახდელი საიჯარო ქირა.

10. 2016 წლის 18 თებერვალს, მოვალესა და კრედიტორს შორის იჯარის ხელშეკრულება და იჯარის ხელშეკრულების დანართი №1 (შემდეგში – სადაცვო მეორე ხელშეკრულება ან სადაცვო მეორე გარიგება) გაფორმდა, რომელთა შესაბამისად, პირველი, მეორე და მესამე უძრავი ქონება მოვალეს იჯარით გადაეცა.

11. 2018 წლის 2 ივლისს, შპს „ლ-სა“ და კრედიტორს შორის ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო, რომლითაც პირველი უძრავი ქონება შპს „ლ-ს“ საკუთრებაში გადაეცა. ნასყიდობის საფასური 610 000 აშშ დოლარს შეადგენდა.

12. 2017 წლის 4 აპრილს, კრედიტორმა სარჩელით მიმართა სასამართლოს მოპასუხების: მოვალის, ვ. ა-ის, პ. გ-ის, შპს „პ-ს“, ლ. ჭ-ისა და თ. კ-ის მიმართ. მოსარჩელემ, მერვე საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების, 115 045.23 აშშ დოლარის მოპასუხეთათვის დაკისრება მოითხოვა.

13. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2019 წლის 17 იანვრის განჩინებით კრედიტორის სარჩელზე საქმის წარმოება შეჩერდა, მოვალის მიერ წინამდებარე საქმეზე აღძრული სარჩელის განხილვამდე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 30 აპრილის განჩინებით კრედიტორის კერძო საჩიგარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2019 წლის 17 იანვრის განჩინება ძალაში დარჩა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2019 წლის 21 იანვრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა კრედიტორის შუამდგომლობა საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

14. მოვალემ კრედიტორის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა, რომლითაც მოითხოვა:

14.1. 2016 წლის 18 თებერვალს კრედიტორსა და მოვალეს შორის დადებული იჯარის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და ბათილი ხელშეკრულებების გაფორმებით გამოწვეული უსაფუძვლოდ მიღებული სარგებლის, 63 390 აშშ დოლარის მოპასუხისთვის დაკისრება;

14.2. მერვე საკრედიტო ხელშეკრულების ბათილად ცნობა, რომითაც მოვალეზე 134 950 აშშ დოლარის კრედიტი გაიცა;

14.3. კრედიტორისათვის უსაფუძვლო გამდიდრების ფარგლებ-

ში მიღებული სარგებლის მოსარჩელისათვის დაპრუნების დავალება, კერძოდ, მეორე და მესამე უძრავი ქონების მოვალის საკუთრებაში აღრიცხვა და ამ უკანასკნელისათვის 280 000 აშშ დოლარის ანაზღაურება.

– მოსარჩელის განმარტებით, კრედიტორის მიმართ მოვალის ვალდებულება 920 000 აშშ დოლარს შეადგენდა, რომლის დასაფარად საგსებით საკმარისი იყო პირველი უძრავი ქონების ბანკისათვის საკუთრებაში გადაცემა, რადგან მისი ღირებულება შეადგენდა 1 202 434 აშშ დოლარს. მიუხედავად ამისა, დასახელებულ უძრავ ნივთთან ერთად ბანკმა მეორე და მესამე უძრავი ქონებაც თავის საკუთრებაში დაირეგისტრირა, რის შედეგადაც ორ მილიონამდე ღირებულების უძრავი ნივთები დაისაკუთრა, ისე, რომ მოსარჩელეს დავალიანებაც სრულად არ შესრულებულა და ახალი ვალდებულებებიც წარმოიქმნა.

– მის მიერ დასახელებული ფაქტობრივი გარემოების დასადასტურებლად მოსარჩელემ მიუთითა საქმეზე წარმოდგენილ ექსპერტიზის დასკვნებზე, კერძოდ, შპს „შ. და გ. ც-ის“ 2018 წლის 8 ნოემბრის დასკვნასა და შპს „ს.ბ.ს.პ-ის“ 2014 წლის 18 ივლისის დასკვნაზე.

#### **15. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილებით:**

- 15.1. სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;
- 15.2. მეორე უძრავი ქონება მოსარჩელეს საკუთრებაში დაუბრუნდა;
- 15.3. მეორე უძრავი ქონების გადაცემის ნაწილში ბათილად იქნა ცნობილი კრედიტორსა და მოვალეს შორის 2016 წლის 18 თებერვალს დადებული იჯარის ხელშეკრულება;
- 15.4. 73 528 აშშ დოლარის გაცემის ნაწილში ბათილად იქნა ცნობილი კრედიტორსა და მოვალეს შორის დადებული მერვე საკრედიტო ხელშეკრულება;
- 15.5. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.
16. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით ორივე მხარემ გაასაჩივრა.
17. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილებით:
  - მოპასუხის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა;
  - მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;
- 73 528 აშშ დოლარის კრედიტის გაცემის შესახებ მერვე საკრედიტო ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ამ ნაწილში ახალი გადაწყვე

ტილება იქნა მიღებული.

– 94 878 აშშ დოლარის გაცემის ნაწილში ბათილად იქნა ცნობილი მერვე საკრედიტო ხელშეკრულება;

– სხვა ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

17.1. სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო წინამდებარე გადაწყვეტილების 1-13 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და შემდეგი შეფასებები და დასკვნები ჩამოაყალიბა:

17.1.1. პირველი ინსტანციის სასამართლომ ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად განიხილა სადავო გარემოებასთან დაკავშირებით მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, ისინი სწორად შეაფასა და მართებულად დაადგინა, რომ პირველი უძრავი ქონების ღირებულება შპს „ს.პ.ს.პ-ის“ 2014 წლის 18 ივნისის დასკვნიდან გამომდინარე უნდა დადგენილიყო. სადავო ქონების საბაზრო ღირებულება გასხვისების ფასის მიხედვით ვერ განისაზღვრებოდა, ვინაიდან ნივთის ფასთან დაკავშირებით ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა შეთანხმება მესამე პირებისათვის სავალდებულო არ არის, ხელშეკრულების დადებისას მხარეები თავისუფალი ვაჭრობის პირობებში მოქმედებენ, რაც მათ ნივთის სარეალიზაციო ფასის დამოუკიდებლად დადგენის შესაძლებლობას აძლევთ, მიუხედავად მისი საბაზრო ღირებულებისა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველი დავის ფარგლებში მოპასუხეს არ წარმოუდგენია დასაშვები და დამაჯერებელი მტკიცებულებები, რომელიც მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების სამართლებრივ მნიშვნელობას გადაწონიდა და გააქარწყლებდა. შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ პირველი უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების განსაზღვრისას „ს.პ.ს.პ-ის“ დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა უნდა გამოყენებულიყო, რომელიც 2014 წელს მომზადდა და შეთანხმების გაფორმების დროისათვის არსებულ გითარებას (ნივთის ღირებულება 1 202 434 აშშ დოლარი) ასახავდა.

17.1.2. საქმის წარმოების შენყვეტის შესახებ შუამდგომლობის დაკავშირებაზე უარის თქმის თაობაზე 2019 წლის 21 იანვრის განჩინება კანონიერი იყო, რადგან მოვალის მიერ აღძრული წინამდებარე სარჩელი და კრედიტორის მიერ აღძრული სარჩელი ერთი და იგივე დავის საგანს არ შეეხებოდა, მიუხედავად მათი მჭიდრო ურთიერთავშირისა.

17.1.3. არც მერვე საკრედიტო ხელშეკრულება და არც სადავო იჯარის ხელშეკრულება მოჩვენებით გარიგებას არ წარმოადგენ-

და, ვინაიდან სამართლებრივ შედეგებს წარმოშობდა – ქონების ნაწილი ამჟამადაც მოვალის მფლობელობაში იყო და კრედიტი საიჯარო ქირის დასაფინანსებლად გაიცა.

17.1.4. მოვალის დავალიანება 920 000 აშშ დოლარს შეადგენდა, თუმცა სამი უძრავი ნივთის ბანკის საკუთრებაში გადაცემით მხოლოდ 850 000 აშშ დოლარი დაიფარა, მიუხედავად იმისა, რომ პირველი უძრავი ნივთის ლირებულება 1 202 434 აშშ დოლარი იყო.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კრედიტორის საკუთრებად გადაფორმებული ქონების ლირებულებასა და მოვალის დავალიანებას შორის აშკარა დისპროპორცია არსებობდა, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ ხელშეკრულება საწარმომ უძრავი ქონების შენარჩუნების მიზნით გააფორმდა. საწარმო მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში იმყოფებოდა და დავალიანების გადახდის საშუალება არ გააჩნდა. გარიგების მეორე მხარემ მოსარჩელის მძიმე მდგომარეობით ისარგებლა, გარიგების მხარეს არასამართლიანი პირობები შესთავაზა და სამივე უძრავი ქონების საკუთრებაში მიღების პირობით დავალიანების ნაწილობრივ დაფარვას დათანხმდა, ე.ი. მოსარჩელის მძიმე მდგომარეობა გახდა გარიგების შედგენის მიზეზი, რაც ჩვეულებრივ შემთხვევაში არ დაიდებოდა.

უძრავი ქონების საკუთრებაში მიღებისას კომერციულმა ბანკმა უნდა გაითვალისწინოს ყველა რისკი, კერძოდ, რისკი იმისა, რომ ქონება საბაზო ლირებულებაზე დაბალ ფასად შეიძლება გასხვისდეს, რასაც მოცემულ შემთხვევაში 2018 წლის 2 ივლისს შპს „ლ-ს“ და კრედიტორს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებაც ამყარებდა, რომლითაც შპს „ლ-ს“ საკუთრებაში პირველი უძრავი ქონება გადაეცა და ნასყიდობის საფასურმა 610 000 აშშ დოლარი შეადგინა.

ამდენად, საქმეზე წარმოდგენილი მინიმალური შეფასების გათვალისწინებითაც კი, მოვალის დავალიანების დასაფარად, მათ შორის, კომერციული ბანკისთვის დამახასიათებელი რისკების დაზღვევით, პირველი და მესამე უძრავი ქონების კრედიტორის საკუთრებაში გადაცემა საქართვის იყო.

17.1.5. ზემომითითებული გარემოებების გათვალისწინებით, მეორე უძრავი ქონების კრედიტორის საკუთრებაში გადაცემის ნაწილში კრედიტორსა და მოვალეს შორის დადებული შეთანხმება ბათილია, ბათილია 2015 წლის 24 დეკემბრის საბანკო კრედიტის ხელშეკრულებაც იმ ნაწილში, რომლითაც დარჩენილი დავალიანების დაფარვის მიზნით სესხად 73 528 აშშ დოლარი გაიცა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში – სსკ-ის 54-ე მუხლის თანახმად ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს

ან ზნეობის ნორმებს; ამავე კოდექსის 55-ე მუხლის თანახმად ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია ერთი მხარის მიერ მეორეზე გავლენის ბოროტად გამოყენებით, როცა მათი ურთიერთობა დაფუძნებულია განსაკუთრებულ ნდობაზე). ამასთან, რაკი მეორე უძრავი ნივთის საკუთრებაში გადაცემის ნაწილში შეთანხმება ბათილი იყო და სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობდა, სსკ-ის 61-ე მუხლიდან გამომდინარე ბათილი იყო იჯარის ხელშეკრულებაც და მეორე საკრედიტო ხელშეკრულებაც იმ ნაწილში, რომლითაც მეორე უძრავი ქრონების საიჯარო ქირის გადასახდელად კრედიტი გაიცა, რაც აღნიშნულ ფართზე 7 თვის საიჯარო ქირის (3 050 აშშ დოლარი) გათვალისწინებით 21 350 აშშ დოლარს შეადგენდა.

17.1.6. იმის გათვალისწინებით, რომ ბანკისათვის მეორე უძრავი ქრონების საკუთრებაში გადაცემის შესახებ კრედიტორსა და მოვალეს შორის დადებული ხელშეკრულება ბათილად ცნობას ექვემდებარებოდა, აღნიშნული უძრავი ნივთი მოსარჩელეს უნდა დაბრუნებოდა.

#### **18. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო ნესით გაასაჩივრა მოსარჩელემ და მოპასუხებ.**

18.1. მოსარჩელის მოთხოვნაა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილება. შემდეგი მოტივებიდან გამომდინარე:

– მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხემ კრედიტი იმ იმედით გასცა, რომ თუკი გადახდისუუნარო მოვალე კრედიტის გადახდას ვერ შეძლებდა, კრედიტორი თავის მოთხოვნას თავდებთა იპოთეკით დატვირთული ქონებით დაიკმაყოფილებდა. სადავო საკრედიტო ხელშეკრულება სასამართლოს სსკ-ის 8.3, 54-ე და 115-ე მუხლების კონტექსტში უნდა განხილა, ვინაიდან კრედიტორის ქმედებები დასახელებული ნორმების რეგულირების სფეროში ექცევა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისგან განსხვავდულია.

– სააპელაციო სასამართლომ ნაწილი იჯარის ხელშეკრულება, რომლის ერთ-ერთ მხარეს მხოლოდ ქრონების შენარჩუნების სურვილი ამოძრავებდა და, – არა საიჯარო ურთიერთობაში რეალურად მონაწილეობა. მოქმედი კანონმდებლობით იჯარის ხელშეკრულებას სრულიად სხვა მიზნები და სამართლებრივი შედეგები აქვთ. აღნიშნული დასკვნით სასამართლომ ფაქტობრივად პირდაპირ აღიარა იჯარის ხელშეკრულების მოჩვენებითი ბუნება, რაც იჯარის ხელშეკრულების ბათილად ცნობის საკმარისი საფუძველია.

– იჯარის ხელშეკრულების გაფორმებისას არ იკვეთება მხარე-

თა საერთო ნება, რაც სახელშეკრულებო ურთიერთობებში მნიშვნელოვანი პირობაა. კრედიტორის მიზანი იყო, მოჩვენებით დადგებული გარიგებით სარგებლის მიღება, ხოლო მოვალეს სურდა, იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთების შენარჩუნება, რაც საიჯარო ურთიერთობების მიზნებს სცილდება.

18.2. მოპასუხე საკასაციო საჩივრით მოითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმებას და, ახალი გადაწყვეტილებით, პირველი კასატორის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას, შემდეგ საფუძვლებზე მითითებით:

- 2015 წლის 24 დეკემბრის საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე 115 045.23 აშშ დოლარის მოთხოვნით წინამდებარე საქმეზე სარჩელის აღძვრამდე მოვალის წინააღმდეგ კრედიტორმა სასამართლოში სარჩელი შეიტანა. ხსენებულ სარჩელზე წარდგენილ შესაგებელში მოვალე სარჩელის ფაქტობრივ გარემოებებს (მათ შორის, დავალიანების არსებობის მოთხოვნასა და ოდენობას) დაეთანხმა და მხოლოდ ის აღნიშნა, რომ კრედიტორთან მრავალწლიანი ურთიერთობის პერიოდში წარმოშობილი ყველა უთანხმოება ურთიერთმოლაპარაკებით სრულდებოდა, რის გამოც ამ უკანასკნელის მხრიდან სარჩელის აღძვრით გაკვირვებულია. ამდენად, განსახილველი სარჩელის მიზანი იმ შეთანხმებათა ბათილად ცნობა, უძრავი ნივთების დაბრუნება და თანხის დაკისრებაა, რომლის კანონიერება მოპასუხებ შესაგებლით უკვე დაადასტურა.

ზემომითითებული სარჩელით აღძრულ საქმეზე სასამართლომ საქმის წარმოების შეჩერების გადაწყვეტილება მიიღო, რაც კანონსაწინააღმდეგობა. მიუხედავად საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ შუამდგომლობისა, სასამართლოს მტკიცებით, მოვალეს იმ ხელშეკრულებების ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლება ჰქონდა, რომელთა კანონიერებაც სხვა სამართლწარმოების ფარგლებში უკვე აღიარა. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებს აღნიშნული პროცესუალური საკითხები უნდა შეემოწმებინათ და მოვალის სარჩელი განუხილველად უნდა დაეტოვებინათ, თუმცა ასეთ ქმედებას ადგილი არ ჰქონია.

- კრედიტორის საკუთრებად გაფორმებული ქონების ღირებულებასა და თავის დავალიანებას შორის დისპროპორციის გამო ხელშეკრულებათა ბათილობის შესახებ მოსარჩელის პრეტენზია უსაფუძვლოა. მხარეთა შორის ნასყიდობის გარიგებები გამოსყიდვის უფლებით დაიდო, რომლებზეც ვადა ერთჯერადად გაიზარდა სწორედ მოვალის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებითა და ფინანსური გაჯანსალების იმედით, რაც მოვალის ქონების დაუფლების თაობაზე ბანკის დაფარულ ინტერესს გამორიცხავს. დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებითაც, სამოქალა-

ქო კოდექსის 54-ე-55-ე მუხლები სადავო გარიგებების ბათილად ცნობის დამოუკიდებელ საფუძვლად ვერ ჩაითვლება.

- კრედიტორი უთითებს და არც სასამართლო უარყოფს, რომ შპს „ლ-ს“ პირველი უძრავი ქონება 610 000 აშშ დოლარად მიყიდა, ხოლო მოვალის ვალდებულება 920 000 აშშ დოლარს შეადგენდა. ამ გარემოებით დასტურდება, რომ დარჩენილი ერთი უძრავი ნივთის - მესამე უძრავი ქონების ღირებულება სრულად ვერ დაფარავს მოვალის ვალდებულებებს. შესაბამისად, უსაფუძვლო გამოიდრების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

19. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 12 ოქტომბრის განჩინებებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში – სსსკ-ის) 391-ე მუხლის მიხედვით, მოსარჩელისა და მოპასუხის საკასაციო საჩივრები მიღებულ იქნა ნარმოებაში დასაშვებობის შესამოწმებლად. 2022 წლის 6 ოქტომბრის განჩინებით, სსსკ-ის 391.5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საკასაციო პალატამ მითითებული საკასაციო საჩივრები დასაშვებად ცნო და დადგინა საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრების საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოპასუხის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მოსარჩელის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამთ:

20. საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანი შემდეგია: რამდენად კანონიერია მოსარჩელის მოთხოვნები, საკრედიტო და იჯარის ხელშეკრულებების ბათილად ცნობის, უსაფუძვლო გამდიდრების ფარგლებში მიღებული სარგებლის მოპასუხისთვის დაკისრებისა და უძრავი ქონებების თავის საკუთრებაში აღრიცხვის თაობაზე.

სარჩელის ფაქტობრივი საფუძველი ისაა, რომ კრედიტორის მიმართ მოსარჩელის დავალიანების, კერძოდ, 920 000 აშშ დოლარის დასაფარად, პირველი უძრავი ქონების მოპასუხის საკუთრებაში გადაცემა საკმარისია, რადგან ამ ქონების ღირებულება 1 202 434 აშშ დოლარს შეადგენდა. მიუხედავად ამისა, დასახელებულ უძრავ ნივთთან ერთად, კრედიტორმა საკუთრებაში მეორე და მესამე უძრავი ქონებაც მიიღო, რითაც ორ მილიონამდე ღირებულების უძრავი ნივთები დაისაკუთრა, ისე, რომ მოსარჩელის დავალიანებაც სრულყოფილად შესრულებულად არ მიიჩნია და ახალი ვალდებულებებიც წარმოუქმნა.

21. პალატის განსჯით, დასმულ საკითხზე სწორი დასკვნის ჩა-

მოსაყალიბებლად, საყურადღებოა, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დაფგენილად (ცნობილი შემდეგი გარემოებები):

1). 2010 წლის 8 ივლისს, კრედიტორსა და მოვალეს შორის პირველი საკრედიტო ხელშეკრულება დაიდო, რომლითაც მოსარჩევლის სახელზე 10 000 000 აშშ დოლარი გაიცა.

2). 2010 წლის 8 ივლისს, ერთი მხრივ, კრედიტორს და მეორე მხრივ თ. კ-ს, ვ. ა-ს, პ. გ-ს და ლ. ჭ-ს შორის იპოთეკის ხელშეკრულება გაფორმდა, რომლითაც პირველი საკრედიტო ხელშეკრულება იქნა უზრუნველყოფილი და იპოთეკით დაიტვრითა პირველი უძრავი ქონება.

3). 2010 წლის 8 ივლისს, კრედიტორსა და მოვალეს შორის იპოთეკის ხელშეკრულება გაფორმდა, რომლითაც პირველი საკრედიტო ხელშეკრულება იქნა უზრუნველყოფილი და იპოთეკით დაიტვრითა მოვალის კუთვნილი სამი უძრავი ნივთი, კერძოდ: მეორე, მესამე და მეოთხე უძრავი ქონება.

4). 2015 წლის 24 დეკემბერს, კრედიტორსა და მოვალეს შორის შეთანხმება (ორი დანართითურთ) გაფორმდა, რომლითაც პირველი საკრედიტო ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით იპოთეკით დატვირთული სამი უძრავი ნივთი, კერძოდ, პირველი, მეორე და მესამე უძრავი ქონება კრედიტორს პირდაპირ საკუთრებაში გადაეცა, რის სანაცვლოდაც მოვალის დავალიანებიდან, რომელიც ამ დროისათვის 920 000 აშშ დოლარს შეადგენდა, 850 000 აშშ დოლარი დაიფარა.

შეთანხმების დანართით გათვალისწინებულია შესყიდვის ოფცია, კერძოდ, მოვალეს ბანკისათვის გადაცემული უძრავი ნივთების გამოსყიდვის შესაძლებლობა მიეცა.

შეთანხმების მიხედვით, შესყიდვის ოფცია ძალაში შედის შესყიდვის ოფციის საგანზე ბანკის საკუთრების უფლების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან და 18 თვის განმავლობაში მოქმედებს.

შესყიდვის ოფცია ძალაშია მხოლოდ სამივე უძრავი ნივთის ერთდროულად გამოსყიდვის შემთხვევაში. ამასთან, ბანკი თანხმობას აცხადებს, რომ ოფციის მოქმედების პერიოდში (თუ კონტრაგენტის მხრიდან ოფციის პირობების დარღვევას ადგილი არ ექნება) დასაკუთრებულ ნივთებს კონტრაგენტის წერილობითი თანხმობის გარეშე არ გაასხვისებს.

უძრავი ნივთების გამოსყიდვის ფასი შემდეგი პრინციპით განისაზღვრა: კვადრატული მეტრის ღირებულება 1 487.62 აშშ დოლარი, რაც დღგ-ს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა გადასახადებს მოიცავდა.

დანართის 2.5 პუნქტის თანახმად, მხარეებმა დათქვეს, რომ შეთანხმების საჯარო რეესტრში რეგისტრაციიდან 7 დღის ვადაში

უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულებას 18 თვემდე ვადით გააფორმებდნენ. საიჯარო ქირა ყოველთვიურად 7 085 აშშ დოლარით (დღგ-ის გარეშე) განისაზღვრა. იჯარის ხელშეკრულების პირობების დარღვევების შემთხვევაში, დარღვევების აღმოსაფხვრელად მოიჯარეს 30 კალენდარულის დღის ვადა მიეცემოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკს უფლება ჰქონდა, შესყიდვის ოფცია ცალმხრივად გაეუქმდინა.

სსსკ-ის 407.2 მუხლის (სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)) დანაწესიდან გამომდინარე, ეს გარემოებები საკასაციო სასამართლოსათვის სავალდებულოა.

22. შექმნილი ფაქტობრივი მოცემულობიდან გამომდინარე იკვეთება შემდეგი დასკვნა:

კრედიტორსა და მოვალეს შორის საბანკო კრედიტის სახელშეკრულებო ურთიერთობა არსებოდა, ხოლო აღნიშნული კრედიტის უზრუნველყოფას ორი იპოთეკის ხელშეკრულება ემსახურებოდა, რომლებითაც იპოთეკით დაიტვირთა მოვალის საკუთრებაში არსებული ოთხი უძრავი ქონება.

დასახელებული პირველი იპოთეკის ხელშეკრულების 4.1.1.5 პუნქტის მიხედვით, ხელშეკრულების დადების თარიღისათვის იპოთეკის საგნის (პირველი უძრავი ქონება) ღირებულება 420 000 აშშ დოლარს ან ბანკში დადგენილი კომერციული კურსით სხვა ვალუტაში მის ეკვივალენტს შეადგენდა.

მეორე იპოთეკის ხელშეკრულების 4.1.1 პუნქტისა და დანართი „ა-ს“ შესაბამისად, ხელშეკრულების დადების თარიღისათვის იპოთეკის საგნად მითითებული დანარჩენი სამი უძრავი ქონების ღირებულება ჯამურად 580 000 აშშ დოლარს შეადგენდა, კერძოდ:

მეორე უძრავი ქონება – 230 000 აშშ დოლარი ან ბანკში დადგენილი კომერციული კურსით სხვა ვალუტაში მისი ეკვივალენტი;

შესამე უძრავი ქონება – 100 000 აშშ დოლარი ან ბანკში დადგენილი კომერციული კურსით სხვა ვალუტაში მისი ეკვივალენტი;

მეოთხე უძრავი ქონება – 250 000 აშშ დოლარი ან ბანკში დადგენილი კომერციული კურსით სხვა ვალუტაში მისი ეკვივალენტი.

23. სსკ-ის 867-ე მუხლის თანახმად, საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით კრედიტის გამცემი აძლევს ან მოვალეა მისცეს მსესხებელს სასყიდლიანი კრედიტი სესხის ფორმით. ამავე კოდექსის 286.1 მუხლის მიხედვით, უძრავი ნივთი შეიძლება ისე იქნეს გამოყენებული (დატვირთული) მოთხოვნის დასაქმაყოფილებლად, რომ უზრუნველყოფილ კრედიტორს მიეცეს უფლება, სხვა კრედიტო-

რებთან შედარებით პირველ რიგში მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ ნივთის რეალიზაციით ან მის საქუთრებაში გადაცემით (იპოთეკა), ხოლო 301.1 მუხლის შესაბამისად, თუ მოვალე არ დააკმაყოფილებს მოთხოვნას, რომლის უზრუნველყოფის საშუალებაც არის იპოთეკა, იპოთეკარი უფლებამოსილია, მოითხოვოს უძრავი ნივთის რეალიზაცია, თუ იპოთეკის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

სსკ-ის 301.1 მუხლი იპოთეკარს იპოთეკის საგნის რეალიზაციის მოთხოვნის უფლებას ანიჭებს, თუ სახეზეა შემდეგი წინაპირობები:

ა) იპოთეკარმა ნამდვილად გაასესხა თანხა, რომლის დაბრუნება უზრუნველყოფილია უძრავ ნივთზე კრედიტორის სასარგებლოდ დადგენილი იპოთეკით;

ბ) მოვალე ვადაში არ აპრუნებს სესხს, ანუ მოპასუხემ გააჭიანურა ვალდებულების შესრულება;

გ) უძრავ ნივთზე არსებული იპოთეკა იურიდიული ძალის მქონეა, რადგანაც აკმაყოფილებს მისი ნამდვილობის წინაპირობებს (სსკ-ის 289.1 მუხლი) (იხ. სუსგ, საქმე №ას-1906-2018, 25.06.2019).

ამრიგად, იპოთეკის დადგენისას მხარეები თავდაპირველადვე ითვალისწინებენ საგნის ღირებულებას. ამ შემთხვევაში, წინდანინ იქმნება იმის ვარაუდი, რომ იპოთეკის საგნის რეალიზაციაა სწორედ მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება. იგი ხელს უწყობს კრედიტორს, წინასწარ შეაფასოს, რამდენად უზრუნველყოფს იპოთეკის საგანი მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებას მოვალის მხრიდან ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში. ამ პირობებში ნათელია, თუ სად გადის მოვალის პასუხისმგებლობის ზღვარი.

იპოთეკის ხელშეკრულების არსი, ისევე, როგორც, აღნიშნული სახელშეკრულებო ურთიერთობის საკანონმდებლო მოწესრიგება გვიყალიბებს შემდეგ დასკვნას:

სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით უზრუნველყოფილი იპოთეკის საგნის ღირებულების შედავების საკითხის შეფასებისას სასამართლოსათვის ამოსავალი სწორედ ამ ხელშეკრულებაში მითითებული ღირებულება უნდა გახდეს, რამდენადაც სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობის დროისთვის იპოთეკის საგნის მესაკუთრემ (რომელიც, შესაძლოა, კრედიტორის პირადი მოვალეც იყოს) გამოხატა მზაობა სწორედ ამ ღირებულების მქონე ნივთით მოეხდინა გაცემული სესხის უზრუნველყოფა.

შესაძლოა, კრედიტორსა და მოვალეს შორის სასესხო ურთიერთობა, რომლის უზრუნველყოფასაც კონკრეტული იპოთეკის საგანი ემსახურება, ხანგრძლივი დროის მანძილზე გაგრძელდეს ან ამა თუ იმ სესხის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავალიანების და-

ფარვას დიდი დრო დასჭირდეს, ამ პერიოდის ფარგლებში იპოთეკის საგნის ლირებულება შესაძლოა შეიცვალოს.

ასეთ შემთხვევაში, შესაბამისი უძრავი ქონების ღირებულების იპოთეკის ხელშეკრულებისგან განსხვავებულად დადგენის მოტივით დასაბუთებული პრეტენზია სამართლებრივად ვარგისად ვერ მიიჩნევა, რამდენადაც იპოთეკის ხელშეკრულების დადგენის მომენტში კრედიტორის მოთხოვნის უზრუნველყოფაზე მზადყოფნა იპოთეკის საგნის მესაკუთრემ სწორედ ხელშეკრულებაში მითითებული კონკრეტული ღირებულების გათვალისწინებით გამოთქვა და აღნიშნული გარიგების კანონიერებაზე ნივთის საფასურის შემდგომი ცვლილებები გავლენას ვერ მოახდენს.

24. განსახილველი საკითხის შეფასებისას, კიდევ ერთი გარემოება საგულისხმო, სახელფობრ:

თავდაპირველი საკრედიტო ხელშეკრულების დადებიდან (2010 წლის 8 ივლისი) რამდენიმე წლის შემდეგ, კერძოდ, 2015 წლის 24 დეკემბრის გარიგებით, კრედიტორი და მოვალე იპოთეკით დატვირთული სამი უძრავი ნივთის (პირველი, მეორე და მესამე უძრავი ქონების) კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში გადასვლაზე შეთანხმდნენ.

აღნიშნული გარიგების №ა დანართით მხარეებმა შესყიდვის ოფცია გაითვალისწინეს, რომლითაც მოვალეს კრედიტორსათვის გადაცემული უძრავი ნივთების გამოსყიდვის შესაძლებლობა მიეცა. ამასთან, მასში იპოთეკით დატვირთული თითოეული საგნის კვადრატული მეტრის საშუალო ღირებულებაზეც მიეთითა, რაც სამივე შემთხვევაში 1 487.62 აშშ დოლარს შეადგენდა.

ზემოთ მოყვანილი გარემოებებიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ იპოთეკის ხელშეკრულების შედგენიდან (2010 წლის 8 ივლისი) იპოთეკის საგნების მოვალის საკუთრებაში გადაცემის შესახებ გარიგების დადებამდე (2015 წლის 24 დეკემბერი) არსებულ დროის მონაკვეთში იპოთეკით დატვირთული სამი უძრავი ქონების, მათ შორის, პირველი უძრავი ქონების ღირებულებებთან მიმართებით რადიკალური განსხვავება არ იკვეთება და განსახილველი სარჩელის ერთ ერთი არგუმენტი დაუსაბუთებელია.

25. როგორც აღინიშნა, მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2015 წლის 24 დეკემბერს, კრედიტორსა და მოვალეს შორის შეთანხმება (ორი დანართითურთ) გაფორმდა, რომლითაც პირველი საკრედიტო ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით იპოთეკით დატვირთული სამი უძრავი ნივთი, კერძოდ, პირველი, მეორე და მესამე უძრავი ქონება კრედიტორს პირდაპირ საკუთრებაში გადაეცა, რის სანაცვლოდაც მოვალის დავალიანებიდან, რომელიც ამ დროისათვის 920 000 აშშ დოლარს შეადგენდა,

850 000 აშშ დოლარი დაიფარა.

სსკ-ის მე-300 მუხლით სწორედ ის შემთხვევაა დარეგულირებული, როდესაც იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის კრედიტორის საკუთრებაში გადაცემაა შესაძლებელი. მითითებული ნორმის მიხედვით: თუ მოვალე გააჭიანურებს იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკამაყოფილებას, იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთი შეიძლება გადავიდეს კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში, თუ კრედიტორი და მოვალე ამის თაობაზე ერთობლივი განცხადებით მიმართავენ საჯარო რეესტრს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის მესაკუთრე გააჭიანურებს იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკამაყოფილებას და იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთი არ გადავა კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში ამ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ნოტარიუსი გასცემს სააღსრულებო ფურცელს, თუ ამის თაობაზე არსებობს მხარეთა შეთანხმება და ნოტარიუსმა სანოტარო აქტში წერილობით განმარტა სააღსრულებო ფურცლის გაცემის სამართლებრივი შედეგები. ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე იძულებითი აღსრულება განხორციელდება „სააღსრულებო ნარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

26. ვალდებულების წარმოშობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველი ხელშეკრულებაა. საქართველოს კანონმდებლობით უზრუნველყოფილი და დაცულია ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი, კერძოდ, სსკ-ის 319.1 მუხლის თანახმად, კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ენიააღმდეგება კანონს. აღნიშნული მეტყველებს მასზედ, რომ სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ხელშეკრულების კლასიფიკაცია ამომწურავი არ არის და ხელშეკრულების მხარეებს, როგორც წესი უფლება აქვთ, დამოუკიდებლად აირჩიონ ხელშეკრულების ტიპიც და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულების შინაარსი (იხ: სერგი ჯორბენაძე, ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართლში, თბილისი, 2017, გვ. 103).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რაც იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის კრედიტორის საკუთრებაში გადასვლის თაობაზე კრედიტორი და მოვალე ხელშეკრულების ფარგლებში შეთანხმდნენ, შესაბამისად, ამ უკანასკნელის საკუთრებად აღრიცხული ქონების ღირებულებასა და მოსარჩელის დავალიანებას შორის დისპროპორციის (ფასის მნიშვნელოვანი განსხვავება) საფუძ-

ვლით სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთება არარელევანტურია.

26. საკასაციო პალატის განსჯით, სადაც გარიგებების ბათილად ცნობის საფუძვლის არსებობა განსახილველ შემთხვევაში არ დასტურდება, კერძოდ, სახეზე არ არის სსკ-ის 54-ე (ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ენინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზეობის ნორმებს), 55-ე (ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია ერთი მხარის მიერ მეორეზე გავლენის ბოროტად გამოყენებით, როცა მათი ურთიერთობა დაფუძნებულია განსაკუთრებულ ნდობაზე), 56.1 (ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს (მოჩვენებითი გარიგება) მუხლებით გათვალისწინებული ფაქტობრივი შემადგენლობა).

26.1. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არაერთ საქმეზე განმარტა, რომ: სსკ-ის 54-ე მუხლის საკანონმდებლო დანაწესის მიზანი ისეთი გარიგებების თავიდან აცილებაა, რომელიც ფორმალურად კანონისაწინააღმდეგო არაა, თუმცა, თავისი არსით, საზოგადოებრივ მართლწესრიგს არღვევს და სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტთა თანაცხოვრებას აუარესებს, რაც შედეგობრივად, სამოქალაქო ბრუნვას აფერხებს (იხ. სუსგ: №ას-212-201-2017, 15.05.2017; №ას-15-15-2016, 1.03.2016).

სსკ-ის 54-ე მუხლი გამოყოფს „სამი სახის ფასეულობას“, რომელთა დარღვევა იწვევს გარიგების ბათილობას: კანონით დადგენილი წესი და აკრძალვა; საჯარო წესრიგი; ზეობის ნორმები... ამ მუხლის მიზანია, ზოგადად მართლწესრიგსა და სამოქალაქო სამართალს შორის კავშირის უზრუნველყოფა და იმის დაფიქსირება, რომ გარიგების ნამდვილობა არ არის მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის ნორმებზე დამოკიდებული... დამკვიდრებული შეხედულების თანახმად, გარიგება ენინააღმდეგება ზეობის ნორმებს, როდესაც იგი არსებითად არღვევს ერთ-ერთი მხარის ინტერესებს და არათანაბარ პირობებში აყენებს მას... ზეობის შესაბამისი გარიგება არ უნდა ენინააღმდეგებოდეს სოციალური სამრთლიანობის პრინციპს, ხელშეკრულების მხარეს არ უნდა აყენებდეს შეუსაბამოდ რთულ მდგომარეობაში. ამ საკითხის კვლევისას, შემოწმების საგანია არა გარიგების მონაწილეთა ქცევა ზეობასთან მიმართებაში, არამედ გარიგების შინაარსის მიმართება ზეობასთან (იხ. სუსგ: №ას-10-2020, 24.06.2020).

რაც შეეხება სსკ-ის 55-ე მუხლის შინაარსს, იგი ადგენს მკაფიო კრიტერიუმს – განსაკუთრებულ ნდობაზე დაფუძნებულ ურთიერთობებში ერთი მხარის მიერ მეორეზე გავლენის ბოროტად გამოყენებას. „ამ დროს მნიშვნელოვანია არა გარიგების შინაარსი, არა-

მედ გარიგების დადების სახე. გარიგების დადების საფუძველი არის არა ინდიკიდის ნამდვილი ნება, არამედ ხელშეკრულების მხარის მიერ „გარემოებათა ბოროტად გამოყენება“ (იხ. კერძებულიძე, უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გარემოებათა ბოროტად გამოყენება, გვ. 354). სსკ-ის 8.3 მუხლით კი /სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიათო უფლებები და მოვალეობანი/ განმტკიცებულია კეთილსინდისიერების პრინციპი. შესაბამისად, ამ ნორმის საფუძველზე ფასდება ურთიერთობის მონაწილეთა ქცევა. „უფლებათა ბოროტად გამოყენებისაგან სხვათა თავისუფლებას იცავს სამოქალაქო კანონის იმპერატიული ნორმები“ (სსკ-ის 10.3 მუხლი). შესაბამისად, მხარეთა უფლება, თავისუფლად დადონ ხელშეკრულება და ასევე თავისუფლად განსაზღვრონ მისი შინაარსი, აბსოლუტური არ არის. სახელშეკრულებო დებულებების განსაზღვრის დროს ისინი ვალდებული არიან გაითვალისწინონ ზემოაღნიშნული (შდრ. იხ. სუსგ: №ას-755-811-2011, №ას-813-764-2015, 28.10.2015; №ას-1167-1087-2017, 23.01.2018).

მოცემულ შემთხვევაში, სადავო გარიგებების ბათილად ცნობის საფუძვლის არსებობის შესახებ სააპელაციო სასამართლოს დასკვნა შემდეგი ძირითადი მოსაზრებებითაა დასაბუთებული, კერძოდ:

1) კრედიტორის საკუთრებად გადაფორმებული ქონების ღირებულებასა და მოვალის დავალიანებას შორის აშკარა დისპროპორცია;

2) სადავო ხელშეკრულებები მოვალემ უძრავი ქონების შენარჩუნების მიზნით გააფორმა, იგი მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში იმყოფებოდა და დავალიანების გადახდის საშუალება არ ჰქონდა/გარიგების მეორე მხარემ მოსარჩევის მძიმე მდგომარეობით ისარგებლა და მას აშკარად არასამართლიანი პირობები შესთავაზა – დავალიანების ნაწილობრივ დაფარვას მხოლოდ სამი უძრავი ქონების საკუთრებაში მიღების პირობით დათანხმდა, ე.ი. მოსარჩელის მძიმე მდგომარეობა გახდა გარიგების დადების მიზეზი, რაც ჩვეულებრივ შემთხვევაში არ დაიდებოდა.

დისპროპორციულობის საკითხის შეფასებისას შემდეგი გარემოებების გათვალისწინებაა აუცილებელი:

1) კრედიტორსა და მოვალეს შორის საპანკო კრედიტის სახელშეკრულებო ურთიერთობა არსებობდა, ხოლო აღნიშნული კრედიტის უზრუნველყოფას ორი იპოთეკის ხელშეკრულება ემსახურებოდა, რომლებითაც იპოთეკით დაიტვირთა მოვალის საკუთრებაში არსებული ოთხი უძრავი ქონება.

როგორც ზემოთ განიმარტა, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრუ-

ლებით უზრუნველყოფილი იპოთეკის საგნის ღირებულების სადაც ვორბის საკითხის შეფასებისას სასამართლოსთვის ამოსავალი სწორედ ამ ხელშეკრულებაში მითითებული ღირებულება უნდა იქცეს, რამდენადაც სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობის დროისთვის იპოთეკის საგნის მესაკუთრემ (რომელიც, შესაძლოა, კრედიტორის პირადი მოვალეც იყოს) სწორედ კონკრეტული ღირებულების მქონე ნივთით გამოხატა სესხის უზრუნველყოფის თანხმობა (ვრცლად იხ. წინამდებარე განჩინების 23-ე პუნქტში წარმოდგენილი დასაბუთება).

2) თავდაპირველი საკრედიტო ხელშეკრულების დადებიდან (2010 წლის 8 ივლისი) რამდენიმე წლის შემდეგ, კერძოდ, 2015 წლის 24 დეკემბრის გარიგებით, კრედიტორი და მოვალე იპოთეკით დატვირთული სამი უძრავი ნივთის (პირველი, მეორე და მესამე უძრავი ქონების) კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში გადაცემაზე შეთანხმდნენ, ხოლო აღნიშნული გარიგების №ა დანართით მხარეებმა შესყიდვის ოფცია გაითვალისწინეს, რომლითაც მოვალეს კრედიტორისათვის გადაცემული უძრავი ნივთების გამოსყიდვის შესაძლებლობა მიეცა. მასში იპოთეკით დატვირთული თითოეული საგნის კვადრატული მეტრის საშუალო ღირებულებაზეც მიეთითა, რაც სამივე შემთხვევაში 1 487.62 აშშ დოლარს შეადგენდა. აშკარაა, რომ იპოთეკის ხელშეკრულების დადებიდან (2010 წლის 8 ივლისი) იპოთეკის საგნების მოვალის საკუთრებაში გადაცემის შესახებ გარიგების დადებამდე (2015 წლის 24 დეკემბერი) დროის მონაკვეთში იპოთეკით დატვირთული სამი უძრავი ქონების, მათ შორის, პირველი უძრავი ქონების ღირებულებაში იმგვარი რადიკალური სხვაობა არ იკვეთება, რომლის საფუძველზეც სარჩელის პრეტენზია დასაბუთებულად ჩაითვლება.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კრედიტორის საკუთრებად გადაფორმებული ქონების ღირებულებასა და მოვალის დავალიანებას შორის განსხვავებული საფასურის მითითების მოტივით სადაც ხელშეკრულებების ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სადაც გარიგებებს სსკ-ის 54-ე-55-ე მუხლებით გათვალისწინებული რეგულირების ფარგლებში ვერც ის გარემოება მოაქცევს, რომ მოვალე მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ვალდებულების შესრულებას ვერ ახერხებდა და იპოთეკის საგნების აუქციონზე რეალიზაციის თავიდან აცილების სურვილი ამოძრავებდა. ამ შემთხვევებში, საქმის მასალებით გამოკვეთილია საყურადღებო ასპექტი, კერძოდ:

1) იმის გამო, რომ მოვალე ფინანსურად მძიმე მდგომარეობაში

იმყოფებოდა და იპოთეკის საგნების აუქციონზე რეალიზაციის თავიდან აცილება სურდა, მხარეებმა იჯარის ხელშეკრულების დადების შესახებ ურთიერთთანხმობას მიაღწიეს, რომელიც ორივე მხარის მიზანს ემსახურებოდა.

2) თავდაპირველი საკრედიტო ხელშეკრულება მხარეებმა 2010 წელს გააფორმეს, რის შემდეგაც კრედიტის დაბრუნების ვადის გაგრძელებასა და რესტრუქტურიზაციაზე არაერთხელ შეთანხმდნენ, თუმცა, მიუხედავად ამისა, მოვალემ ვალდებულება ჯეროვნად ვერ შეასრულა.

მოვალეს 2010 წლიდან სასესხო დავალიანების ანაზღაურების შესაძლებლობა რამდენჯერმე მიეცა, უფრო მეტიც, სწორედ მოსარჩელის მძიმე ფინანსური მდგომარეობა და იპოთეკის საგნების აუქციონზე რეალიზაციის თავიდან აცილება შეიქმნა მხარეებს შორის იჯარის ხელშეკრულების გაფორმების ერთ-ერთი მთავარი საფუძველი, რათა სათანადო ანაზღაურების სანაცვლოდ მოვალეს კუთვნილი ქმნების კვლავ თავის საკუთრებაში მიღების შესაძლებლობა გასჩენდა. ცხადია, რომ მეორე კასატორმა მოსარჩელის არასახარბიერო ფინანსური მდგომარეობა არაერთხელ გაითვალისწინა და ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეც, შეუძლებელია დავასკვნათ, რომ კრედიტორის მხრიდან ადგილი ჰქონდა გარიგების კონტრაპენტ მხარეზე გავლენის ბოროტად გამოყენებას.

26.2. სსკ-ის 56.1 მუხლის ჭრილში სადაც გარიგებების სააპელაციო სასამართლოსული შეფასება გასაზიარებელია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მყარად დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, მოჩვენებითი გარიგების დადება უეავშირდება მესამე პირებთან არსებულ ურთიერთობას (მაგალითად, მოჩვენებითი გარიგების დადების ერთ-ერთ მოტივს შეიძლება, წარმოადგენდეს მესამე პირის მოტყუება, პასუხისმგებლობისაგან თავის არიდება და ა.შ.). მითითებული გარემოებების დადასტურება ეკისრება პირს, რომელიც ითხოვს ამ საფუძვლით გარიგების ბათილობას, რადგან, თუნდაც მოსარჩელე უთითებდეს გარიგების ერთი მხარის არაკეთილსინდისიერებაზე, ივარაუდება, რომ გარიგების მეორე მხარე კეთილსინდისიერად მოქმედებდა, რისი გაქარწყლებაც, მოსარჩელეს ევალება (შდრ. იხ. სუსგ.: №ას-1029-2019, 30.10.2019; №ას-1348-2019, 22.01.2020; №ას-3-2020, 16.06.2020).

სსკ-ის 56.1 მუხლში ის შემთხვევა იგულისხმება, როდესაც, როგორც ნების გამომვლენი, ასევე, მისი მიმღები, იმ განზრახვის გარეშე მოქმედებენ, რომ ამ გარიგებას შესაბამისი იურიდიული შედეგი მოჰყენეს. აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ მოჩვენებით გარიგებას ახასიათებს მხარეთა „ურთიერთშეთანხმება“, „გარიგება“ მოჩვენებით ნების გამოვლენის შესახებ. ამ შემთხვევაში, ორი-

ვეს გაცნობიერებული აქვს, რომ მათ მიერ ასეთი ნების გამოვლენას იურიდიული შედეგი არ მოჰყვება (იხ. სუსგ №ას-1029-2019, 30.10.2019). სსკ-ის 56.1 მუხლით გათვალისწინებული შედეგის მიმართ გადამწყვეტია მხოლოდ და მხოლოდ მხარეთა ნამდვილი ნება, ანუ მათ არ უნდა სურდეთ იმ სამართლებრივი შედეგის მიღწევა, რასაც გარიგება ითვალისწინებს (იხ. სუსგ №ას-296-283-2015, 4.06.2015).

განსახილველ შემთხვევაში, სადავო ხელშეკრულებების გაფორმებისას ორივე მხარე იმ განზრაცხით მოქმედებდა, რომ ამ გარიგებას შესაბამისი იურიდიული შედეგი მოჰყვილოდა, რადგან საკუთარი მიზნის მიღწევას თითოეული მათგანი სწორედ ამ შედეგის დადგომას უკავშირებდა, კერძოდ, კრედიტორს, თავის საკუთრებაში არსებული ფართის იჯარით გაცემის სურვილი ამოძრავებდა, ხოლო, მოვალე – უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების შენარჩუნებას ცდილობდა. ეს გარემოება დასახელებული ხელშეკრულებების მოჩვენებით გარიგებად მიჩნევის შესახებ მოსაზრებას საფუძველს აცლის.

ზემოაღნიშნული მსჯელობის გასაქარწყლებლად ვერ გამოდგება არგუმენტი იმის თაობაზე, რომ იჯარით აღებულ ფართებში მოვალე სამენარმეო საქმიანობას აღარ ეწეოდა, რადგან ამა თუ იმ გარიგების მოჩვენებითობის შეფასებისას არსებითად მნიშვნელოვანი იმის გარკვევაა, მოქმედებდნენ თუ არა მხარეები იმ განზრაცვის გარეშე, რომ ამ გარიგებას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყოლოდა. აქვე სააპელაციო სასამართლომ ყურადღება იმაზეც სწორად გაამახვილა, რომ სადავო საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმებისას მოვალეს კრედიტორის მიმართ სასესხო დავალიანებაც ჰქონდა და საიჯარო ქირის თანხის გადახდის ვალდებულებაც მართებდა. ხსნებული საკრედიტო ხელშეკრულების მიზნობრიობადაც სწორედ ის დასახელდა, რომ შედეგად კრედიტის რეფინანსირება და იჯარის (დღგ-ს ჩათვლით) თანხის დაფარვა უნდა შესრულებულიყო.

ამრიგად, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, ზემოთ მოყვანილი გარემოებები საკმარის საფუძველს ქმნის დასკვნისათვის, რომ სადავო ხელშეკრულებები მოჩვენებით გარიგებებს არ მიეკუთვნებიან.

27. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ რაკი სადავო ხელშეკრულებების კანონსაწინააღმდეგობა მოსარჩელემ სასამართლოს ვერ დაუმტკიცა, შესაბამისად, სარჩელი წარმატებულად ვერ ჩაითვლება და მის დაკმაყოფილებაზე მოვალეს უარი უნდა ეთქვას.

28. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლე-

ბათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი აყალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად. შესაბამისად საკასაციო პალატა მიზანშეზონილად მიიჩნევს გაანალიზოს და განიხილოს მხოლოდ კასატორთა ძირითადი არგუმენტები (იხ. „ჯლარკავა საქართველოს წინააღმდეგ“, №7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81).

29. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე.

სსსკ-ის 53.1 მუხლის პირველი და მეორე წინადადების შესაბამისად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. ამავე კოდექსის 55-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით განეული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი, რომელთა გადახდისაგან განთავისუფლებული იყო მოსარჩელე, გადახდება მოპასუხეს ბიუჯეტის შემოსავლის სასარგებლოდ, მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილებულია.

მოცემულ შემთხვევაში, რაკი წინამდებარე გადაწყვეტილებით მოპასუხის მიმართ მოსარჩელის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ამიტომ მოპასუხის სასარგებლოდ მოსარჩელეს უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, ჯამურად 15 000 ლარის ანაზღაურება.

## **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-  
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 53-ე, 199<sup>1</sup>-ე, 264.3,  
404-ე, 408.3, 409-ე, 411-ე მუხლებით და

### **გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ლ ი ტ ა:**

1. სს „ს. ბ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. შპს „ჩ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალა-  
ქო საქმეთა პალატის 2020 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილება და  
საქმეზე ახალი გადაწყვეტილება იქნეს მიღებული;
4. შპს „ჩ-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
5. მოსარჩელე შპს „ჩ-ს“ მოპასუხე სს „ს. ბ-ის“ სასარგებლოდ  
დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო ინ-  
სტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, ჯამუ-  
რად 15 000 ლარის ანაზღაურება.
6. გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამარ-  
თლოს 2018 წლის 9 ოქტომბრის განჩინებით გამოყენებული სარჩე-  
ლის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც ყადაღა დაედო მო-  
პასუხე სს „ს. ბ-ის“ კუთვნილ უძრავ ნივთებას, რომელთა მისამარ-  
თი და მახასიათებლებია:
  - ქ. თბილისი, ..., სარდაფი, 84.71 კვ.მ, ს/კ ... ქ. თბილისი, ..., არა-  
საცხოვრებელი ფართი, 58.42 კვ.მ, ს/კ ...
7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ  
საჩივარდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)